

მასალები ქართულ ინტელიგენციის ისტორიისათვის

ნაწილი პირველი

„ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“

(1852-1863 წ.)

1.

ჟურნალ „ცისკრის“ გამოსვლამდე საქართველოში პერიოდული პრესა არ არსებობდა. მართალია, დროგამოშვებით იბეჭდებოდა გაზეთები: ასე, მაგალითად, „საქართველოს გაზეთი“ 1817 წ., „ქართული გაზეთი“ 1821 წ. „ტფილისის უწყებანი“ 1832 წ., ან კიდევ „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ 1845 წ. მაგრამ ამ გამოცემათ ხანგრძლივი სიცოცხლე არ ჰქონიათ. არც მკითხველი იყო, არც მოთხოვნილება.

ქართულ საზოგადოებას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა. ძველ დროში თუ იყო რაიმე კულტურის ნასახი, თითქოს წაშლილიყო. პოლიტიკურად დასწეულებული ეროვნული სხეული დასწეულდა ზნეობრივად და გონებრივად. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა. და როდესაც 1852 წელს გამოვიდა პირველი „ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი“- ასე უწოდებდა „ცისკარი“ თავის თავს - ეს იყო სრულიად მოულოდნელი ამბავი, რომელსაც ზოგი უნდობლობით და მტრულად დაუხვდა, ზოგი-კი დიდის გაკვირვებით. იყვნენ, მართალია, აღფრთოვანებულნიც და გახარებულნიც.

აღსანიშნავი მოვლენაა ის გარემოება, რომ ჟურნალი „ცისკარი“ მთავრობის დახმარებით დაარსდა. თ. ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის ნამესტნიკად (1844 წ.) ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი გახდა ქართულ ახალ კულტურის აღორძინებისათვის. მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამრთელების და განკურნების იმედმა შეიპყრო.

თავის უქვემდებარდომილეს მოხსენებაში (1849-51წ.) თ. ვორონცოვი ამბობდა: „საქართველოში ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ბევრნი ყოფილან წარჩინებულ ოჯახებიდან გამოსულნი პირნი (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვ.), რომელნიც ლიტერატურით არიან დაინტერესებულნი და პროზით და ლექსით ვარჯიშობენ. ამგვარი კულტურული მიმართულება საჭირო იყო წამექეზებინა, რათა საზოგადოებაში გავრცელებულიყო კეთილშობილი მისწრაფება ხელოვნებისადმი.¹ და მართლაც თ. ვორონცოვის ინიციატივით დაარსდა ჩვენში თეატრი და პირველი სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც პირველ ხანებში იბეჭდებოდა ნამესტნიკის ტიპოგრაფიაში. ვორონცოვის ხანა შეიქმნა ქართული კულტურის აღორძინების ხანად.

¹ „Очерки по гр. Словесности“ А. Хаханова. გვ. 56

ექვს გარეშეა, თ. ვორონცოვი ვერ შეჰქმნიდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, თვით საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო ამისათვის საჭირო ელემენტები. თეატრი ცნობილი იყო საქართველოში მეთვრამეტე საუკუნეშიაც. „სახიმეტყველებას“ უწოდებდნენ თეატრალურ წარმოდგენებს, რომელსაც ჰმართავდნენ ქართლ-კახეთის დიდკაცთა ოჯახებში. მართალია, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ყოველივე ეს მივიწყებული იყო; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ სანამ თ. ვორონცოვს დაებადებოდა სურვილი ქართულ თეატრის დაარსებისა, გიორგი ერისთავს, რომელიც ახლად დაბრუნებული პოლონეთიდან განმარტოვებით სცხოვრობდა თავის სოფელ ხიდისთავში, უკვე ჰქონდა დაწერილი „გაყრა“. ამ პიესას უკვე ტფილისში იცნობდნენ, ხელთნაწერი ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა. საჭირო იყო მხოლოდ თაოსნობა, გარჯა და მეცადინეობა და საფუძველი თეატრისა უკვე ჩაყრილი იყო. ვორონცოვმა სწორედ ეს საჭირო თაოსნობა გამოიჩინა და გაჩნდა თეატრი.

იგივე ითქმის ჟურნალის შესახებაც. ხოლო ჟურნალის საქმე, დასაწყისში განსაკუთრებით, უფრო ძნელი და მძიმე იყო. „ცისკრის“ გამოსვლამდე პეტერბურგში სდომებიათ ჟურნალის გამოცემა, რომლის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „არე“, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.² თეატრს პირველ ხანებში უფრო გასართობი ხასიათი ჰქონდა. დიდკაცების დროს გასატარებელი საშუალება იყო. ჟურნალი-კი იმ თავითვე მძიმე და პასუხსაგები შრომა გახდა და მთავრობის დაუხმარებლად იმ დროინდელ პირობებში ამ შრომის აღსრულება ფრიად ძნელი იქნებოდა. ამიტომ აქაც თ. ვორონცოვს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ლიტერატურის წინაშე.

ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინად, არც შემდგომში მის მსგავს მოვლენას არა ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ვორონცოვის ხანამდე მხოლოდ პირველ ნაწილს ამ პოლიტიკურ ფორმულისას მიეცა რეალური ხასიათი, ხოლო მეორე ნაწილი კი ოცნება იყო და განუხორციელებელი წადილი. ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ-ეს ოცნება რეალობად იქცა და ფერმიხდილი წადილი ბრჭყვიალა ფერადებით შეიმოსა.

„ცისკარი“ გამოვიდა 1 იანვ. 1852 წ. გიორგი ერისთავის რედაქტორობით. ბ. ხახანაშვილი თავის „სიტყვიერების ისტორიაში“ ამბობს, რომ თ. ვორონცოვმა თავის სახელზე გამოიწერა 100 ცალი და 200 ცალიც გააგზავნინა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს ასეც იყო. თუმცა თვით „ცისკარში“ ამის შესახებ ცნობას ვერ ვპოვებთ.

² „ცისკრის“ № 8. 1852 ვკითხულობთ: პეტერბურგში ჰსურდათ გამოცემა ქართულს ენასაზედა ჟურნალისა, რომლისათვისაც უნდა ეწოდებინათ არეო.

ეს მით უფრო არის საკვირველი, რომ ჟურნალი ყოველთვის აღნიშნავდა ხოლმე მთავრობის მისდამი ყურადღებას. აი, მაგალითად, პირველსავე ნომერში ვპოვებთ ამ ხასიათის მადლობის შენიშვნას: „ახალ ამბავად უსასიამოვნესი რა იქნება როგორც ვახარო ჩემთა მკითხველთა: რომელ მისმა ბრწყინვალეობამ კნიაზ ვორონცოვმა გვიბძანა: მე და უფალს, ღუთის მეტყველების კანდიდატს პლატონ იოსელიანს, რომ რაც ქართული წიგნები იყოს ძველი და ახალი დაიბეჭდოს ქართულ ენაზე, პლატონმა უკვე დაბეჭდა დიდმოურავიანი გალექსილი ტფილელისაგან, მეორე ნუმერში დავწერთ დაწვრილებით რაც ღირსება აქვს ამ წიგნსა, და ახლად იბეჭდება პლატონისაგანავე მოგზაურობა ტიმოთე ეპისკოპოსისა. მე ამავე თვეში დავიწყებ დაბეჭვდას მოსე ხონელის თხზულებასა ამირან დარეჯჯანის. თავ. , გ. ერისთავ.“³

„ცისკრის“ შინაარსი შესდგებოდა სამ განყოფილებიდან: „ლექსთ თხზულება“, პროზა და „სწავლა და ხელოვნება“. ლექსების განყოფილება დანარჩენ განყოფილებებს სჯობნიდა. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, გ. ერისთავის ნაწარმოებები აქ იბეჭდებოდა. (შიგა და შიგ უნიჭო პოეტების ლექსებიც ერივნენ). პროზად იბეჭდებოდა ნათარგმნი მოთხრობები (მოლანურ, ამაღათ-ბეგ. და სხვა). სწავლა და ხელოვნებაში ვპოვებთ საბა ორბელიანის მოგზაურობას ევროპაში (დასაწყისი ამ თხზულების დაკარგულია). აქვე არის რუბრიკა „სოფლური სახლის პატრონობის“ შესახებ. აქ იბოვნით ოჯახისთვის საჭირო ცნობებს: „დამარილება ხორცთა“, „ღორის გაკეთება“, „ბატი ძმრით“. ბატის მომზადების შესახებ ვკითხულობთ: „გასჭერით ორი ანუ სამი ბატი, მოასხით ძმარში ჩადეთ მარილი უყავით შემოდგით მოსახარშავათ და როდესაც მოიხარშოს ამოიღოს და ჩაიწყოს წმინდა ჭურჭელში, ერთ დღე ღამის შემდგომ გადმოწუროთ ძმარი უნდა ჩააწყოთ წამოადუღეთ ისე ბატზედ სხუა ძმარში ჩაჰყარეთ აგლიური პილპილი, დაფნის ფოთოლი და მიხაკი, ძმარი წამოადუღეთ და მერე ძმარში მოხარშულ ბატს დაასხამთ შეზავებული ძმარი“.⁴ ამგვარი დარიგება, საზოგადოებრივ ჟურნალში მოთავსებული თითქმის პუბლიცისტურ წერილის მაგივრობას გვიწევს, რადგან შეუდარებელის მეტყველებით ახასიათებს იმ დროინდელ საზოგადოების ვითარებას!..

ტექნიკურის მხრივ „ცისკრი“-ის გამოცემა სუსტია. ჟურნალის სათაური ზოგ ნუმერში წვრილის ასოებით არის დაბეჭდილი. ცალკე წერილების სათაურებსაც ვერ გავარჩევთ ტექსტის სტრიქონებში. ჟურნალი, როგორც ვთქვი, მთავრობის ტიპოგრაფიაში იბეჭდებოდა. მაგრამ იმ დროში არც რიგიანი ასოები იყო, არც მცოდნე ამწყობები. ჟურნალი დროზე ვერ გამოდიოდა. ამის შესახებ პატარა უწყებაში ვკითხულობთ: „მიზეზი 7-ის ნუმრის დაგვიანებისა იყო რადგან ტიპოგრაფია კავკაზიის ნამესტნიკის კანცელარიისა არ იყო მოცლილი კალენდრის დაბეჭვდის გამო, შემდგომნი ნუმერნი იქნებიან დროზედ წარგზავნილი. რ. ი. გ. ერ.“ ასე რომ მასპინძლობის რეჟიმსაც ჰქონია თავისი სუსტი მხარე!

ასე თუ ისე, დიდ კულტურულ საქმეს ჩაეყარა საძირკველი. გამოჩნდა ახალი ეტაპი ქართულ საზოგადოებრივობის განვითარებისა. პრესა, წიგნების ბეჭვდა, თეატრი-

³ „ცისკარი“ № 1. 1852 წ. აქ და ყველგან, სადაც კი „ცისკრის“ ციტატებს ამოვწერთ, დავიცავთ ამ ჟურნალის ენას და მართლწერას. გვარების რუსული დაბოლოვება (ერისთავ, ორბელიანოვ და სხვა) ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროში.

⁴ „ცისკარი“ № 4. 1852 წ.

ყოველივე ეს ამ განვითარების მაჩვენებელი იყო. საყურადღებო ის არის, რომ ეს პირველი ეტაპი ქართული კულტურის აღორძინებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო მთავრობის და საზოგადოების სოლიდარული თანამშრომლობის ეტაპი. აქ პირველად შეხვდა ერთმანეთს ორი ნაკადული, ერთი მხრივ, თავად-აზნაურულ წრეებში ისტორიულად აღზრდილი გრძნობა ერთგულებისა, მეორეს მხრივ, კეთილ-გონიერი პოლიტიკა ვალდებულების ასრულებისა მფარველობის ქვეშ მყოფ ერისადმი. ვორონცოვის დროში ეს ორი ნაკადული თითქმის ერთ კალაპოტში ჩადგა. და თუმცა შემდეგ ხანში აღმოჩნდნენ მსურველნი ამ ნაკადულების ერთმანეთისაგან განშორებისა და მიაღწიეს კიდეცა ამ თავიანთ საწადელს, მაგრამ ქართველ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის წრიდან მომდინარე ნაკადულს მაინც იქითკენ ჰქონდა პირი მიმართული, სადაც ეგულებოდა ის ნანატრი, ერთხელ დასახული, ხოლო სადღაც მიმალული კეთილგონიერება მფარველ ძალისა.

მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ თავად-აზნაურული ლოიალიზმი ვორონცოვის ხანამდეც უკვე ცხოველყოფილი გრძნობა იყო. ცნობილ ამბოხების დამხობის შემდეგ ეს გრძნობა უკვე ცოცხალი იყო იმ საზოგადოებაში, რომელსაც თავისუფალ თვითგამორკვევის სურვილი ასე სწრაფად დაეხშო გულში. **სიჩუმე, მორჩილება, გაღმერთება და თავყანისცემა ძლიერის პოლიტიკურის ძალისა, - ამ გრძნობებით სცოცხლობდა მაშინდელი ქართველი საზოგადოება.** ხელთა მაქვს ფრიად საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ნათელს ჰფენს ქართველ თავად-აზნაურულ წრეების იმ დროინდელ ფსიხიკას. მკითხველმა იცის, რომ 1832 წლის „ამბოხებაში“ მონაწილეობის მიღებისთვის დიმიტრი ყიფიანი იყო გაგზავნილი ქალაქ ვოლოგდაში საცხოვრებლად. აქ იგი ორი წლის ყოფნის შემდეგ სამსახურში შევიდა. რიგინად ასრულებდა თავის მოვალეობას და მას წარმატებაც მისცეს, უკეთესი ადგილი მისცეს, დააწინაურეს. აი რასა სწერს ამის გამო მისი დედა. (მოგვყავს სიტყვა სიტყვით და შეუმოკლებლად).

*ჩუწნო სიცოცხლევ და სასურველო
შვილო დიმიტრი ყიფიანო*

*შენს უვნებლად ცხოვრებასა და მალე ნახვას ტკბილ იესოს და იმის საყვარელის დედას ვთხოვ
შვილო და მოგილოცავთ ღვთისა და ყოვლად მოწყალისა ხელმწიფის მოწყალებასა და ჩინსა
ღმერთმა ნუ მოგაკლოს თავისი მოწყალება და ხელმწიფისაგან ბედნიერება იფიქრე ბატკანო
ჩუწნთვის რა სასიხარულო დღე იქნებოდა როდესაც შენი ბედნიერების გაზეთი გამოგვეცხადა
დეკემბრის თექვსმეტს გამოსული იანვრის იე ვნახეთ ღმერთმა ისე შენის ნახვით გაგვახაროს
როგორც იმითი ჩუწნ გავიხარეთ აგრეთვე მამამ თითქმის სული მიაბრუნა და არღანოსაც
ხშირად უკრავს და ველით ხელმწიფის მოწყალებასა რომ ჩუწნი სასოება ღვთის მშობლის
მეოხებით მალე გვაჩვენოს შენი ბედნიერი თავი ბატონო და ბატკანო სხვებს ჩუწნს ამბავს
ინებებ გახლავართ ყველანი შენი კეთილის მყოფნი მშვიდობით გახარებულნი ქაიხოსრო აქ არ
არის და იმასაც ვახარე წიგნით ახლა სიცოცხლეო ჩუწნო გენაცვალოს მშობელი დედა წიგნს
ნუ დაგვაკლებ ჩუწნ ღვთის წინაშე მლოცველი ვართ ორი დედა⁵ ხელმწიფის
განძლიერებისათვის რომ ჩვენზე მოწყალება მიიღო შენც ილოცე ნახვაც მალე გვეღირსოს*

⁵ ერთი დედობილი

მარიამ და იმისმა მეუღლემ გაბრიელმა ტრფიალებით გაიღერსა და სიხარულით მოგილოცა ეს ბედნიერება იმისმა სახლობამაც მოგილოცა, ბიძა-შენმა ღვდელმა ლოცვა-კურთხევით მოგიკითხა და მხიარულებით მოგილოცა იოსებ მესხმაცა დავით და სოლომან ჯარში აპირებენ წასვლას ჯერ კი არ წასულან ჩემო სიცოცხლე და თვალის ჩინო პატარა ბატკანო კაპიტანო კაპიტანის დედებმა როგორღა დაგვკოცნოს და დაგვკონოს პაწაწა ულვაშებზე გაკოცოს ლამაზ თვალებზე გაკოცოს ლამაზ ტუჩებზე გაკოცოს და ფუნჩულა ხელებზედაც დაგვკოცონ ორმა დედამა ივანოვნამა და ბარბარე ქაიხოსროვნამა მამაც ტრფიალებით გაკოცა სოსია მოგვიკითხე და როგორ შენ გუნებათ გემსახურება მოგვწერე როგორ მიგიღესო ან რა სამსახურში განგაწესესო და ან რა უბანში გაქვს სახლიო ან როგორ მოგწონს ყველა წვრილმანებით მოგვწერეო

შენმა მოსამსახურებმა ხელს გაკოცეს
თებერლის 7-სა წელსა ჩყლდ. ⁶

ამ წერილში ყოველივეა საყურადღებო. ეს დედის წერილია, ქართველი ქალის წერილია. ქალმა ინსტინქტით იცის რეალურ პოლიტიკის ალღოს აღება და ეს მშობლიური ალერსი, მისაღმება და მილოცვა „ჩინის“ მიღების გამო, წერილი, თითქოს ასე დაშორებული პოლიტიკას, თავიდან ბოლომდე იმ დროინდელ „რეალურ პოლიტიკის“ მისწრაფებით არის გამსჭვალული, „პატარა ბატკანო, კაპიტანო“. აი იმ დროინდელ წარჩინებულ საზოგადოების მისწრაფებათა დამახასიათებელი რამდენიმე სიტყვა „კაპიტანის დედებმა როგორღა დაგვკოცნონ“. დ. ყიფიანის „კაპიტნობა“ ხომ ფანტაზიაა, მაგრამ იგი დედის ნატვრაცაა, ისეთი ნატვრა, რომ მის თვალში სინამდვილედ იქცევა. თუ გინდათ შეისწავლოთ ამა თუ იმ ეპოქის აზრი და ხასიათი, ქალების წერილებს მიჰმართეთ. იქ ალერსის ფორმით ამოიკითხავთ დროის პრაქტიკულ ფილოსოფიას და შესაფერ პრაქტიკულსავე დარიგებას!

ამგვრად, თ. ვორონცოვის მოსვლამდე უკვე ვითარდებოდა ქართულ საზოგადოების ის სულიერი განწყობილება, რომელიც მოსვლისთანავე ოსტატურად გამოიყენა ვორონცოვმა თავის პოლიტიკურ გეგმის განხორციელების საქმეში. და ადვილად ასახსნელია ქართველ თავად-აზნაურულ წრეების აღფრთოვანებაც, გამოწვეული დროის და მოთხოვნილების შესაფერი მოქმედებით მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლების მხრივ.

⁶ წერილის თავში დ. ყიფიანის ხელით დაწერილია რუსულად: Получилъ 24 марта 1834 (მივიღე 24 მარტს 1834). კონვერტზე, რომელშიაც იდო ეს წერილი, მისივე ხელით აწერია: Моя святыня (ჩემო წმინდაო). ხოლო ფოშტის ქაღალდს უკვე გაყვითლებულ ერთ-ერთ გვერდზე ლაქის კვალი მოსჩანს და წარწერა რუსულად

Его благородію
Милостивному государю
Дмитрію Ивановичю Кипіанову
Въ Вологдѣ

ეს დოკუმენტი გადმომცა დიმიტრი ყიფიასის შვილის-შვილმა ვეტანოლოზის ასულმა, სულხანიშვილის ცოლმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუთვლი. ავტ.

მართლაც „ცისკრის“ დაარსება დიდი მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ამ მოვლენამ თავისი ნაყოფი მხოლოდ თანდათან გამოიღო. ჟურნალი ჯერ კიდევ მოკლებული იყო ცოცხალ სულს, საზოგადოების აზრი მასში არ ისახებოდა. მძიმე ენა და ცოცხალი წერილების უქონლობა საქმეს ძლიერ აფერხებდა. რის ვაი-ვაგლახით მხოლოდ ორი წელიწადი იცოცხლა ჟურნალმა. 1854 წლიდან მოკიდებული 1857 წლამდე იგი აღარ გამოდიოდა. გ. ერისთავიც ჩამოეცალა მას და 1857 წელს „ცისკარი“ განახლდა ივ. კერესელიძის რედაქტორობით.

2.

1857 წელს „ცისკარი“ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დგას, თუმცა მის წინაშე ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა დასაძლევია. ივანე კერესელიძე შრომას არ ჰზოგავს და ჰპატრონობს ქართულ სალიტერატურო ჟურნალს. პირველსავე ნომერში ვკითხულობთ:

„რედაქცია სალიტერატურო ჟურნალისა „ცისკარი“ წარმკითხველთაგან მოითხოვს მოტევენასა, „უკეთუ ჰპოებენ რასმე ნაკლულევანებასა პირვუჭლს გამოცემულს წიგნში. რაც რამ შეძლება ჰქონდა რედაქციას, არ დაუზოგავს ტიპოგრაფიის გამართვისათვის. ლექსებში ნაცვლად უ⁷ხმარებულია ვ, რადგან იმ ზომის ასო ვერ მოხერხდა ტიპოგრაფიაში, და არცა თავი ასოები არიან თავ-თავის ალაგას ნახმარნი და ამავე მიზეზით. მაგრამ ეს კი უნდა განუცხადო საყუარელთა წამკითხველთა, რომ რედაქცია დიდს ღონისძიებას მოიხმარებს, ამ ჟურნალის წარმატებათის“.⁷

თავდაბლად და დაყვავებით ეპყრობა რედაქცია თავის მკითხველებს. მაგრამ მეცადინეობას არ ზოგავს. საკუთარ ტიპოგრაფიის მოწყობა უკვე დიდი საქმეა, თვითმოქმედების დასაწყისია. ახალი ჟურნალი მეტად მგრძნობიერია და ძალიან ეშინიან, ცუდი რამ არა სთქვან რა მის შესახებ, მას არ უყვარს კრიტიკა, რადგან ჯერ არ იცის არც იმისი ფასი, არც მისი მნიშვნელობა.

გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა ბერძენოვის წერილი, სადაც ავტორმა დამშვიდებულის კილოთი „ცისკრის“ ავ-კარგიანობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. „ცისკარს“ არ ესიამოვნა, აიმრიზა, მაგრამ პასუხი არ გაჰბედა და ვინმე ა. სავანელი „მკითხველთადმი“ სწერს წერილს, სადაც, სხვათა შორის, ამბობს:

„ვის არა ჰსურს გამოხატოს თავისი აზრი და გრძნობა სასიამოვნოდ, ცხადად და ენა-მჭევრობით? ვინ არა გრძნობს და არ იცის, რომ ყველასა ამასა მოგვცემს ჩუჭნ „ცისკარი“, - ქართული სალიტერატურო ჟურნალი? რასაკვირველია სრულებით ესენი ამ პირველს შემთხვევაში არ შეგვიძლიან მას მოვთხოვოთ, შემდეგ ესრეთის დავიწყებისა ჩუჭნის ენისა ჩუჭგან. მამულის სიყვარული, ესე ბუნებითი ნიჭი ყოველ კაცშორის და ზემოხსენებულნი წინადადებანი, ვალდებულ გვყოფენ ჩუჭნ ყოველთა მივიდოთ გულადი მონაწილეობა ამ სასარგებლო შრომაში და ვეცადოთ განგრძნობისათვის ამ ჟურნალისა, და არ ვუგდოთ ყური რომელიმე კრიტიკოსთა. ამაოდ კალმით აღჭურვილთა, განსახილველად ჩუჭნის ახალ

⁷ „ცისკარი“ № 1. 1857 წ.

დადგენილ ჟურნალისა, რომელიც, ვიტყვი, არ უნდა იყოს ჯერედ საგნად კრიტიკისა და უმეტესად კრიტიკისა არა მართლისა”.⁸

ჟურნალი მართალია, როდესაც „გულად შრომას” იხსენიებს - „ცისკრის” შრომა დიდი გულადობა იყო იმ ხანებში - მაგრამ მისი გულადობა ჯერ მაინც იმ ხასიათისა არ იყო, რომ კრიტიკის არ შეჰშინებოდა. თანდათან, როდესაც თვითონაც უფრო გაბედულად დაიწყებს ლაპარაკს, იგი შეეჩვევა კრიტიკასაც და თავისუფალ მსჯელობასაც, ხოლო ამისათვის საჭირო იყო დრო. მაგრამ „ცისკრის” შიში კრიტიკისა იმ მხრივ არის გასამართლებელი, რომ მან დაიწყო მოქმედება ნახევრად მცონარე საზოგადოებაში, რომელსაც თითქმის უკვე დაჰკარგოდა ეროვნული ფიზიონომია. აი რას ეუბნება რედაქცია ამის შესახებ თავის მკითხველებს:

„ზოგნი ერთნი ითხოვენ რედაქციისაგან იმ გვარს რასმეს, რომელიც ჯერ არ მოეთხოვება. რისთვის? მე ვიცი მკითხვეთ, საყვარელნო მკითხველნო, რომელთათვისაც ყოველთვის მზათა ვარ რაც რამ შეეხება ჩუჴნს ენას. ჩემი გულწრფელობითი ეს თქმა იქნება მიაწეროთ თავის მოყვარეობას? არა თავის მოყვარეობა ჩემი მდგომარეობს მასში, რომ მამული ჩემი, ჩემი ენა, რომლისათვისაც სისხლი უღვრიათ ჩუჴნთა განსვენებულთა წინაპართა, იყოს იმ მდგომარეობაში, როგორც შეშვენი ახლანდელს განათლებულს და ამასთან მშვიდობიან დროსა, რომელიც მოგვცემია წყალობად ჩუჴნის დიდის რუსეთის იმპერატორისაგან, მაგრამ როგორც ვხედავთ... მგონია ამაზედ ყოველნი თანახმანი გახდეთ, რომ ყოველი ხალხის მამულის აყვავებაში ყოფნა და ენის სიმდიდრის საფუძველი იყოს ჟურნალი. მაშასადამე, ვინც არის წინააღმდეგი ამ უკანასკნელისა. ესე იგი ჟურნალისა, ის არის მტერი მამულისა და თავის ენისა; რომელიც კაცი მტრობს თავის ენას, ის სრულებით .. სჯობია სწორეთ ვაღიაროთ, ის როგორც იტყვიან უგრძნობელია და არ არის ღირსი ქართველად წოდებისა. ზოგნი ერთნი არიან წინააღმდეგნი ჩუჴნის ჟურნალისა, ეს კი არ იციან აქამომდენ, ამ მტრობას მე მომაწერენ, თავიანთს თავსა, თუ საზოგადოებას? თუ მე მომაწერენ, ძალიანსა ცდებიან ის უფალნი, ამისათვის რომ, როგორცა სწერენ ერთ რუსულს გაზეთში, ჟურნალი არის ხმა საზოგადოებისა, თვით ის მტერიც ბოროტი კაცი მგონია ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას, მაშასადამე ის პატიოსანი კაცი მტრობს არა მე, არამედ თავის თავს. რომელი ქართველი იტყვის ამას: „ჯერაც არ მოგიყენებიათ კარზე ეგ თქვენი რაღაც ჩიხიბიხოვო”. მერე რომელი ქართველი? ის ქართველი, რომელიც თითქმის წარმომადგენელია კერძოობითის საზოგადოებისა, კარგს ხარისხზედაც იმყოფება და დიდი ხმაც აქვს. ის რომ ამას ამბობს, იმის მიხედვით სხვანი რას მოგახსენებენ ?”

ციხე შიგნიდან ტყდებაო. ქართულ კულტურას მის აღორძინების ხანაშივე გაუჩნდნენ შინაური მტრები. ფრიად საყურადღებოა დასაწყისი ამ ბრძოლისა. ეს იყო პირდაპირი მოვალეობა ახალ ჟურნალისა და მან არ აიღო ხელი ამ მოვალეობაზე და იკისრა კიდევაც პასუხისმგებლობა, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ივანე კერესელიძეს აკლდა საჭირო გამბედაობა. სანამ საკითხი ენის გარშემო ტრიალებს, იგი მხნედ არის, ხოლო წარმოსდგა თუ არა ჟურნალის წინაშე სურათი ჩვენი ცხოვრების სრულის უკუღმართობისა, აქ მისი

⁸ № 4.

⁹ № 6

გაბედულება სცხრება. „ცისკარს“ დიდი სამსახური გაუწია მისმა თანამშრომელმა მოლაყბემ. მოლაყბე იყო ფსევდონიმი თ-დ მიხეილ თუმანიშვილისა¹⁰, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჟურნალში, გამოაცოცხლა იგი და თავის „სალაყბოს ფურცელში“ (შინაური მიმოხილვის დაგვარ განყოფილებაში) მოურიდებლად ჰკიცხავდა საზოგადოებას, რომელიც გაკვირვებული ახლად მოვლენილ მართლმსაჯულის „კადნიერებით“ პირველ ხანში გარინდებული ყურს უგდებს და უთმენს, ხოლო შემდეგში კი აუჯანყდა და სდევნის ამ მოუსვენარ მოლაყბეს.

„საყვარელო მკითხველო! გთხოვთ მიცნობდე, მე გახლავარ მოლაყბე, ასე დაიწყო თავისი „სალაყბოს ფურცელი“ ჩვენმა ფელეტონისტმა, რა ვქნა, დიად დიდი სათაკილო სახელია, მაგრამ რა გაეწყობა. ის საზოგადოება, რომელსაც მე ვეკუთვნი და რომელშიაცა ვიმყოფები, მოლაყბეს მეძახის... ეს ქვეყანა ასეთია, მართალი რომ არ გადის ჩვენს წყეულს საზოგადოებაში... ახლა ხან ეშმაკად და ქაჯად ერთი სიტყვა წამომცდა: მართლად თუ ტყვილად, ეგ თქუწნ იცით, როგორც გინდათ იფიქრეთ, მეკი მართლად მიმაჩნდა და იმ ერთის სიტყვისათვის, ცოტა გაწყდა წმინდის სტეფანესავით. ქვით არ ჩამქოლეს! განა ტყვილია, რომ ქართველების უბედურებით მდგომარეობაში ყოფნის მიზეზნი ისევ თვითონ ქართველები არიან ? არა, ღვთის გულისათვის მიპასუხეთ, ტყვილია? ამ თქმისათვის ჩასაქოლი ვარ ? ამ თქმისათვის და ამაზედ ხანგრძლივ და გრძნობით საუბრისთვის, მოლაყბე ვარ ? მაგრამ ვის ვკითხავ !“¹¹

როგორც ხედავთ სრულიად ახალი წერის მანერა, ცოცხალი და მარტივი საუბარი გაჩნდა ჩვენს ჟურნალში. მოლაყბემ გაბედული ნაბიჯი გადასდგა, გასაგები ენით საზოგადოების ჭირ-ვარამზე დაიწყო ლაპარაკი, ეხლა ჩვენ ყოველივე ეს არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ იმ ხანში ეს იყო ნამდვილი პუბლიცისტური შემოქმედება, რომელიც სწყვეტს კავშირს არა მარტო ენის გადაბირებულ ფორმებთან, არამედ თვით მოწიწების და რევერანსების ჩვეულებასთან. მოლაყბე საზოგადოებას არ ერიდება. იგი მხოლოდ მთავრობას ეპყრობა პატივისცემით. ამ მხრივ მოლაყბე ვორონცოვის ეპოქის ნამდვილი შვილია. მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ჩვენი ავტორი:

„ . . . მტერი ვერა ჰბედავს ჩუწნს შვეიწროვებასა, ვინაიდან გვიცამს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა, სწავლა ჰყვავის უსიტკბოესის ნაყოფითა, გარნა თანდათან მიეცემის სისუსტესა, ჩუწნის დაუდევნელობით ჩუწნი ენა, რომლისთვისაც ცდოლობს უმაღლესი ჩუწნი მთავრობა, გვაძლევს ყოველსავე შემწეობასა და არარას ზოგავს ჩუწნთვის, ჩუწნის კეთილ-მდგომარეობისათვის. ამისთანას მყუდრო მდგომარეობაში, კაცს არ შეეძლოს თავისი სამშობლო ენის მოხმარება! უბედურება არ არის? მე უბედურება მგონია ესა და არა თუ უბედურება, უბედურებაზე უბედურებაა!! მაგრამ რა, ვის ველაპარაკები უბედურებაზედ, განა იმდენი მხურვალეობა გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურება?“¹²

¹⁰ ქალბ. ანასტასია წერეთლის და გიორგი თუმანიშვილის მამაა. ავტ.

¹¹ № 11 1857 წ.

¹² № 12. 1857 წ.

მართლაც, საგულისხმო მდგომარეობაა. მთავრობა ხელს უწყობს ქართულ ჟურნალის არსებობას. საზოგადოება კი გულგრილად ეპყრობა ამ გარემოებას.

„ჩუჭუნს ცისკარს, ამბობს მოლაყბე, უმეტეს ნაწილად კითხულობენ ბუზები, რა რომ თავისუფლად განისვენებენ ფანჯარებში, მოსამსახურეების ოთახში. იმისი ადგილი იქ არის, კაბინეტში შეტანა როგორ იქნება - ქართულს ენაზედ არის დაბეჭდილი. სხუათა ენაზედ რომ იყო, აი ის სხვა არის. ჩუჭუნ ენას ახლა არავინა ხმარობს, წამხდარი ენა არის, გასწორება რათ უნდა. სახლის პატრონმა, თავს რომ ჭერი ექცეოდეს, როდი უნდა გამოიცვალოს და გაიახლოს.“¹³

მოლაყბეს ყოველივე ეს დიდ უბედურებად მიაჩნდა, განსაკუთრებით იმიტომ, ფართო საზოგადოებაში არც იყო შეგნება ამ უბედურებისა. განა იმდენი მხურვალეა გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურებაო. ეს უკვე ღრმა ჩახედვაა ჩვენს გულში. ერს, თვით მოქმედებას მოკლებულს, დენაციონალიზაციის ბრწყალებში ჩავარდნილს, „გულს მხურვალეა“ აკლდება და ამიტომ იგი თავის უკუღმართობასაც კი ველარ გრძნობს. რამდენად მოსწრებული სიტყვაა თვით დღევანდელ ქართველთა ფსიხიკის დამახასიათებელი!

მოლაყბეს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ შემდეგი საყურადღებო მოვლენა, რომელმაც სრულიად ბუნებრივად იჩინა თავი ქართველ მწიგნობართა წრეებში. რაკი ჟურნალი დაარსდა, სხვა და სხვა საგანზე წერა დაიწყეს, ზოგმა გასაგები ენით, ზოგმა ბუნდოვანად და თავისთავად აღიმრა საკითხი ქართულ მართლ წერის შესახებ. ეს საგანი მით არის ყურადღების ღირსი, რომ დღემდე გადაწყვეტილი დარჩა ჩვენს მწერლობაში. ხომ დღესაც არ ვიცით, ვწეროთ თბილისი, თფლისი თუ ტფილისი? ყური დაუგდოთ „ცისკრის“ მწერლებს. ალ. სავანელი ამბობს:

„აქამოდენ ზოგნი ჰსწერენ: ტფილისი, ზოგნი თფილისი, რომელი ტყუის და რომელი მართალია? ნამდვილი წოდება ჩუჭუნის ქალაქისა ვგონებ უნდა იყოს **თბილისი** და არა **ტფილისი**, თბილისის ქალაქი და არა ტფილისის ქალაქი, ვინაითგან წოდება ესე მიუღია მას, როგორათაც მოგვითხრობენ მწერალნი, **თბილის წყლიდამ**¹⁴ (და არა ტფილის წყლიდამ), აბანოებიდამ, რომელნიც მრავალნი არიან აქ... “ მოჰყავს რა ავტორს კიდევ რამდენიმე ამ ხასიათის მოსაზრება, იგი დასძენს: „დასასრულ უმორჩილესად გთხოვთ დამირღვიოთ ეს ჩემი ჰაზრი, უკეთუ ვარ შემცდარი. მე არ მეწყინება მსგზავსად რომელიმე მწერალთა, რომელთათვის კრიტიკა არის სასიკვდილო ნივთი. ამ შემთხვევაში სრულებით განვყოფ აზრსა უ. კარამზინისა, რომელსაც უთქვამს; „Никто не предприметъ законовъ публикъ, она властна судить и книги и сочинителей“ .¹⁵

ეგეც გამარჯვება. კრიტიკისა აღარ ეშინიათ, აღარ ეწყინებათ, რომ აზრი დაურღვიოთ. და აგერ პასუხიც მზად არის. ვინმე ნოტა-ბენე სწერს:

„თქუჭნ ბრძანეთ, რომ „აქამდინ არავინ არ მიიღო შრომა განმარტებისათვის ჩვენი ქალაქის სახელისა და მართლ-მწერლობისათვის მასისაო“. ამაზედ მოგახსენებთ: იმიტომ არავის არ

¹³ იქვე

¹⁴ კურსივი ყველგან ავტორისაა.

¹⁵ № 2 1858 წ.

მიუღია ეს ამაო შრომა, რომ დიდი ხანია გადაუწყვეტიათ და დაუწესებიათ ჩუწნა ჰკვიან კაცთა, რომ ჩუწნი ქალაქი ნამდვილ ტფილისად უნდა იწერებოდეს... თბილი არის სიტყვა გარყვნილი საზოგადო სახალხო ხმარებაში. ესევე ლექსი საღმრთო წერილში, ესე იგი ძველის ქართულის ენით გამოითქიმს: ტფილი. თუ არა გჯერათ, აიღეთ სახარება, იპოვნეთ იოანესაგან თავი 18 მუხლი 18 და წაიკითხეთ: ნაკუწრცხალი აღევნა, რამე თუ ყინული იყო და **ტფებოდეს**, ჰსდგა მათ თანა პეტრეცა და **ტფებოდა**“. მერე საქმე მოციქულთაში ნახეთ თავი 28 მუხლი 3: „ვითარ შეჰკრებდა პავლე ქარქვეტსა და დაასხმიდა ცეცხლსა მას ზედა „იქედნე **სიტფოღსა** მისგან გამოხდა“. და სხვ... დასასრულ ბოდიშები: .. იმედი გვაქუს, რომ ავტორი საკიცხავად არ მიიღებს ჩუწნ მცირე პასუხსა, რომლითაც ვასრულებთ მისსავე საკუთარსა უუმორჩილესს თხოვნასა. ხოლო ჩუწნის მხრით ცისკარსა უმდაბლესად ვჰთხოვთ, პირველ შემთხვევაში ამ მცირედსა ზედა სარწმუნო იქმნას და შემდეგისთვის ვეცდებით, შეძლებისამებრო...“¹⁶

სალიტერატურო წრეებში თავაზიანობაა გამეფებული, დჟენტლმენური სიტყვა-პასუხი. ხოლო გულუბრყვილობის დაღი აკრავს ამ ბოდიშებს. მაგრამ შიგ რომ ჩაუკვირდეთ, ჰნახავთ, რომ ამ „ბოდიშების“ წყალობით ფეხს იდგამდა თავისუფალი მსჯელობა. კრიტიკის შეწყნარება საზოგადოებრივ აზროვნებას მოკლებულ წრეში ადვილი საქმე არ არის. „თავაზიანობის“ და კეთილშობილ „მიხვრა-მოხვრის სახით იგი ნელ-ნელა სადგურს იკეთებდა სალიტერატურო ჟურნალში. მაგრამ ხანგრძლივი რა არის ამ ქვეყნად, რომ ამ გვარი ჩვეულება სამუდამოდ დამყარებულიყო ლიტერატურაში. მოლაყბე თავის მკაცრი გაკიცხვით სხვა გვარ მსჯელობასაც აჩვევდა საზოგადოებას და მისი დამსახურება ამ მხრივ დაუფასებელია. თავაზიანობა კარგი რამაა მწერლობაში, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ აზრი და მსჯელობა არ იყოს შებოჭილი. მოლაყბის პირდაპირობა პატრიარქალურ მოწიწებას არ ეგუებოდა და მისი თანაგრძნობა ხალხისადმი, თავად-აზნაურთა წრეების იქით მყოფ ხალხისადმი თანდათან „საწყენ“ ატმოსფერას ჰქმნიდა „ცისკრის“ მკითხველთა შორის, რომელნიც უმთავრესად „კეთილშობილთა“ წევრებისაგან შესდგებოდნენ. ყოველივე ეს თანდათან გამოაშკარავდება ჩვენთვის, ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენს მოლაყბეს. ძალიან შეაწუხეს ფიქრებმა საწყალი მწერალი, ერთ დღეს თავის მოკვლაც კი განიზრახა.

„რა მექნა ? - ამბობს იგი. მტკვარზედ წავსულიყავი, შორს იყო მტკვარი, დამბაჩა მეშოვნა, ვინ მომცემდა, თოფი ვაჲ თუ გამსქდარიყო და ნახევარ მკვდარი შევქმნილიყავი, ამაზედ მეტიც აღარ გინდოდა! ისევ, მეტი გზა არ იყო, მტკვრისაკენ გავმგზავრდი, სწორეთ იმ აზრით, რომ გადავარდნილიყავი, მოთმინებისაგან გამოსული! მოთმინებიდგან გამოსული როგორ არ ვიყო, რომ გულგრილად უყურებთ ქართველნი ჩვენს ნათქვამს, მაშასადამე ერთი ოდენ მტკვრისაგან მქონდა იმედი ამ საშინელის მდგომარეობიდან განთავისუფლებისა. მაგრამ ოხ!.. ოხ განგება! კურთხეულ არს სახელი შენი! თურმე მტკვრისაკენ კი არ წავსულვარ, გზაზედაც ფიქრს გავუტაცნივარ! ვინ შემხვდა გზაზედ არც კი მახსოვს; რომლის დუქნისკენ გავიარე, არც ის - ერთის სიტყვით სრულებით არა გამიგიარა ამ სიარულში. ბოლოს... ოხ! რას ვხედავ!.. რა ჩემის გულის სასიამოვნოს საქმე შევეფეთე! ვნახე უცებ, ზის ერთის დუქნის

¹⁶ № 3. 1858 წ

მარზედ ხაბაზი, უბრალო ხაბაზი, უძევს მუხლზედ ცისკარი მეთერთმეტე ნომერი, კითხულობს სალაყბოს ფურცელს მაღალის ხმით, თანახმა უხდება ყველაში მოლაყბეს და წინააღმდეგ სიტყვებით ლაპარაკობს ქართველებზე, თან იმას იძახის: „ახ ნეტავ შეძლება მქონდეს, ვიყილო ამისთანა წიგნებო“. ეს არაფერი, შემოეხვივნენ გარშემო დუქნის მეზობელნი და უნდა ნახოთ რა სასოებით უგდებენ ყურსა: რიგი სჯის, რიგი თავის აზრს ამბობს, რიგი ყვირის და იმეორებს წაკითხულს! რამწამს ეს ვნახე, წაცდენით მომივიდა, თუ მეტის სიხარულით, ისე დავიყვირე, რომ გამვლელ-გამომვლენი შედგნენ „მადლობა შენთვის ღმერთო, თავი არ დამირჩვია მეთქი“. მართლაც რო მადლობა ღმერთსა ახლა კი იმედი მაქვს, რომ თავის დროზედ ჩუცწნი ლიტერატურაც შეიქნება ღირსი ყურადღებისა!... აღარ დავირჩობ თავსა, მიინდა სიცოცხლე, დიდი ხნით სიცოცხლე, მხოლოდ იმისთვის, რომ ვნახო ქართველნი, იმ გონების მექონენი, რომელთაც ესმოდეოთ ღირსება თავიანთი მამულისა, ესმოდეოთ ყოველივე კეთილი განზრახვა ჩუცწნის დიდის ხელმწიფისა; გარდუხდიდეოთ მადლობასა ყოველი კეთილზედ, რომლებითაც დავალებულნი ვართ ჩუცწ ქართველნი. არასა დავზოგვიდეოთ კეთილზედ კეთილს საზოგადო მამისათვის, არც დავიშურებდეოთ არცა გონებასა, არც მუშაკობასა და თუ იქამდინ მიდგა საქმე - ნურცა თუ სისხლსა. სიკეთეს გარდახდა უნდა. თუ გვესმის რამე, გარდაუხდით, შესმენაც წარმოსდგება გონების გახსნისაგან, ხოლო გონების გახსნა ლიტერატურისაგანო“.¹⁷

საგულისხმო, წმინდა ქართველურ შეზავებას ერთმანეთში ეროვნულის გრძნობის, დემოკრატიულ მისწრაფებისა და პატრიარქალურ-მონარქიულ პრინციპების აღიარებისას აქ ჰპოვებთ. არა ერთხელ აღგვინიშნავს სხვა წერილებში, რომ სწორეთ ამ ელემენტებისაგან შესდგებოდა პოლიტიკური აზროვნება ქართველ თავად-აზნაურთა ინტელიგენციისა. დააკვირდით, რა ბუნებრივობის დაღი აკრავს მოლაყბის პოლიტიკურ ფილოსოფიას - ვორონცოვის ხანაში იგი თითქოს სინამდვილის გამოსახულება იყო. და რა ყალბი ელფერი მიეცა მას შემდეგში!.. მაგრამ დღეს ჩვენ გვაინტერესებს ისტორია და არა დაფასება, ამიტომ გავყვეთ ისევ ფაქტებს. საქმე ის არის, ამა თუ იმ სახით საზოგადოებრივ ჟურნალში გაიხსენეს ხალხი, გაიხსენეს სიყვარულით. და ეს ხალხი იმ დროს ბატონ-ყმობის უღელში იყო ჩაბმული. ხალხში წიგნების გავრცელება სასიამოვნო საქმე ყოფილა, მაგრამ ეს ხალხი რომ დამონებული და შებოჭილია? უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ხანში რუსეთის მწერლობაში ცხარე ლაპარაკი იყო ამ საგანზე. რუს გლეხთა შორის მოძრაობაც გაჩნდა. გლეხთა განთავისუფლების საკითხი თავად-აზნაურულ კომიტეტში ირკვეოდა. მოძრაობის ზეგავლენით იმპერატორმა ალექსანდრე II უკვე წარმოსთქვა თავისი სიტყვა მოსკოვის თავად-აზნაურთა წინაშე. და ნუ თუ ყოველივე ეს საქართველომდე არ აღწევდა? და თუ აღწევდა, უნდა ვიცოდეთ, როგორ ისახებოდა ეს ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა ჩვენს პატარა „ცისკარში“.

3.

მოლაყბის ლაყბობა, თანდათან, სატირად ხდება. ყველაფერს დასცინის, გარდა ერთად-ერთ სათაყვანებელ საგნისა - უმაღლესი მთავრობისა. მას უკმევს გუნდრუკს, დანარჩენს კი

¹⁷ №3. 1858 წ.

არაფერს ერიდება. მისი, ასე ვსთქვათ, მონარქიული ხალხოსნობა გულუბრყვილოა, მაგრამ გულწრფელი. ხოლო მისი დევნა საზოგადოებრივ ბოროტებისა, გაკიცხვა დიდკაცთა უგვანობისა, მისი მხურვალე ეროვნული გრძნობა და მუდმივი ჩიჩინი იმის გამო, რომ ჩვენს საზოგადოებას დიდი განსაცდელი მოეღოს ეროვნულ ფიზიონომიის დაკარგვისა გამო - ყოველივე ეს სერიოზული მოტივებია „სალაყბოს ფურცლის“ პუბლიცისტიკისა. და ამ სერიოზულ მოტივებს უნდა მიუმატოთ ისიც, რომ ბუნებრივად, საზოგადოებრივ ბოროტების გაკიცხვის დროს იგი ბატონ-ყმობის საკითხსაც მიადგა. მაგრამ ნუ ავჩქარდებით და ისევ მოლაყბე ვალაპარაკოთ და მას ვაძებნინოთ საზოგადოებრივ აზროვნების განვითარების გზა.

„წარსულს კვირეს, - ამბობს ჩვენი ავტორი, - მთელი ტფილისი მოვიარე... და ერთი ნამდვილი ქართველი ვერ ვიპოვნე. ეს, როგორც სჩანს, ეზოპსავით მომივიდა, როდესაც რომ ის, წარჩინებული ზღაპრით მწერალი, ხედავდა რა ოთხკუთხივ თავის ქვეყანაში ბოროტებასა, იტვირთა ხელში ანთებული ფარანი და შუადღისას ბაზარ-ბაზარ, ქუჩა-ქუჩა სიარულით კაცს დაეძებდა. რა დაბრუნდა შინ, დაახეთქა ფარანი და დაიყვირა: „აჰ ქვეყნის უბედურება! მთელი დღე ვიარე ქალაქში, ყურადღებით კაცს დავეძებდი და ვერცა ერთი ნამდვილი კაცი ვერა ვპოვე“. იყო ორშაბათი, საათის მეცხრე, თუ მეათე, როდესაც წარმომიდგა ეს ჰაზრი. ეზოპს კაცი უძებნია და მოდი მე ქართველს დაუწყებ მეზნას მეთქი. ავდექი წყნარად, ქართველურად, ზღაზვნით, ზმორებით ფეხზე და გავწიე კუკიის ხიდისკენ, საიდანაც მინდოდა მოგზაურობის დაწყება: ყაბახზე ვიფიქრე, მოდი ერთი შევალ წარუდგები ქართველთა ფენომენს მეთქი“. მოლაყბეს უნდოდა ერთ დიდ თავადიშვილის ნახვა, რომელსაც „ფენომენს“ ეძახის, მაგრამ ფენომენს თურმე სძინებია და ცდა მოუხდა. მოლაყბის ყურადღებას აქცევს ფრაქში გამოწყობილი მოსამსახურე, რომელიც თუმცა ქართველია, ქართულს არა კადრულობდა. მაგრამ აი გამოვიდა ოთახიდან ხმა „ეი!“ მე ფიცხლავ მივხვდი, - განაგრძობს ჩვენი მწერალი, - უთუოდ ბატონმა გაიღვიძა მეთქი. მე გარწმუნებთ, რომ საწყალი მეფე ირაკლიც არ იქცეოდა ასე ამპარტავნებით, როგორც ეს ჩუჭნი ბატონი. . . ბიჭს დავაბარე, მოახსენე, რომ საწყალი თქუჭნი ლაზღანდარა გახლავსთ სალაყბოდან ეს-ეს არის მოსულა მეთქი და ლაყბობა მოსდომნია კეთილს საქმეზედან მეთქი; პატარა ხანს უკან ბიჭი გამოვიდა და მითხრა: ბატონმა ბრძანა, ეხლა არა მცალიან იმ კეთილის საქმისათვის, რისათვისაც მოსულაო. ის სალაყბო მეიდან დიდი ხანია მოიშალა, იქაურნი მოქმედნი პირნი ჯამბაზებათაც აღარ ვარგიან და იმათი ტაკი მასხარა რა იქნებაო. მე აჲ მივხვდი, რომ თუ ლაყბობის სახელის წოდებამ ტაკი მასხარაც გამხადა, ვიფიქრე ისევე ჩამოვეცალო წავიდე ჩემს გზაზე თორემ, თუ აუხირდი, უთუოდ ძალად გამაგდებენ მეთქი. ავდექი და ბუტბუტით გამოველი, კარი ფიცხლავე მომაკეთეს, ისე მომაკეთეს, რომ ჩემმა ზურგმა როგორღაც ტკივილი იგრძნო! . . აჰ საფუძველი ქართველობისა, აჰ ნუგეში, აჰ საიდან წარმოსდგება წარმატება საწყალის ენისა, რომლისათვისაც ზრუნავს უმაღლესი მთავრობა, მწუხარებით ვფიქრობდი ამას და მოვდიოდი ყაბახზე“¹⁸...

ამ სახუმარო ნაწყვეტში ღრმა ეროვნული სევდა მოსჩანს. „ის სალაყბო მოედანი დიდი ხანია მოიშალა, იქაურნი მოქმედნი პირნი ჯამბაზებათაც აღარ ვარგიანო“ - ამ სიტყვებში კარგად ისახებოდა ჩვენი მწერლის გულის თქმა. სალაყბო მოედანი ძველს დროში ხომ

¹⁸ XII 1858 წ.

მართლაც არსებობდა ტფილისში ანჩისხატის უბანის, არქიელის სახლის წინ რომ მოედანია, იქ, სადაც ძველ დროში ქართველ მეფეების სასახლე იყო. იგი იყო რომაელების მსგავსი ფორუმი, სადაც იკრიბებოდნენ, ახალ ამბებს უზიარებდნენ ერთმანეთს და მსჯელობდნენ სხვა და სხვა საგანზე. ძველად ეს სერიოზული საქმე იყო, ახლა კი ჯამბაზობად გადაიქცა. ყოველივე სახუმარო და დაცინვის ენით ნაამბობი, პოლიტიკურ პამფლეტის მსგავს რასმეს მოგაგონებდათ. მაგრამ გავყვეთ ნაწყენ მოლაყბეს:

„უცებ შევეფეთე ერთს ტიკსავით გაბერილს სომეხს ... დავუწყე ლაპარაკი. პარუნ მინასჯან, ერთი ქუ მატად მამეხმარე მეთქი! .. ის გაოცდა, რა გასჭირვებია ასეთიო, პირი დააღო და მიპასუხა: ვა! ახარ ემე რა გინდა ჩემგანაო! არაფერი არ მინდა შენგან, დღეს გამოვსულვარ იმ ჰაზრით, რომ ქართველებს დავეძებ მეთქი და თუ ვიპოვნე სადმე რომელიმე ქართველი, ამაღამ ვეჩერში უნდა დავპატიჟო მეთქი. არა ქუ მაღალ, ოღონდ ქართველებში ნუ გამრევ და სხუა ემე რაც გინდა მთხოვეო. ქართველებისაგან დიდი ხანია გული დაჩაგრული მაქვსო. მე აქ ვიპოვნე კარგი შემთხვევა თხოვნისა და ვუთხარი: ეს მაინც მიყავი პარუნჯან, ჩუჴნს „ცისკარზე“ ხელი მოაწერე მეთქი. აჲ, დააღო აქ მეორეთ პირი და მითხრა: ვა! ახარ შემწეობაჲ, ჩუჴნს ემე კაზეთს შევეწიოვო... ამ სიტყვაზე ისე გამაჩუმა, რომ... სომხები არიან, ქართველები არსად, ვიტყოდი და ამოვემართე კლუბს... პირველადვე ჩუჴნს „ცისკარს“ მოვაველე თვალი. ამდროებით „ცისკარი“ შექმნილიყო თავგებისა საზრდოდ.. ეს კიდეც არაფერი, ერთს ალაგას ვნახე დაეშალათ და ფანჯრებზე გაეკრათ. ამის ნახვაზე, დავდექი, უყურე და შევნიშნე, რომ ლოყები დამსველებოდა ცრემლით. არ იყო კიდეც, რომ გული როგორღაც მეწოდა. საწყალობელნი: რუსთველი, ჩახრუხაძე და სხვა. განა ამისათვის ცდილობდნენ ენის აღყვავებისათვის, რომ ამისთანა ხვედრი დასცემოდა იმათ შვილის-შვილთაგან"... (იქვე) გაჯავრებულ გულზე რუსულ გაზეთებისთვის დაუვლია ხელი ჩვენს მოლაყბეს და კითხვა დაუწყია „კავკასიის“ იმ ნომრისა (№ 58, 1858 წ.), სადაც დაბეჭდილი იყო ხელმწიფის ალექსანდრე II სიტყვა, წარმოთქმული მოსკოველ თავად-აზნაურთა დარბაზში. ეს სიტყვა ისე მოსწონებია მოლაყბეს, გადაუთარგმნია და გაუგზავნია დასაბეჭდათ „ცისკარში“. მართლაც, იგი დაბეჭდილია ჟურნალის იმავე XII ნომერში.

მოკლედ რომ გავახსენოთ მკითხველს შინაარსი მეფის სიტყვისა, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი უმთავრესი დებულებანი მის აზრისა. ხელმწიფე უკმაყოფილო იყო მოსკოვის თავადაზნაურობის საქციელით. თავად-აზნაურობა თითქმის მტრულად და გულგრილად მოეკიდა გლეხთა განთავისუფლების საკითხს. იმპერატორი აფრთხილებდა თავად-აზნაურობას, საჭიროა გლეხთა რეფორმა მთავრობამ იკისროს, სანამ ხალხი თვითონ არ მოახდენს ამ რეფორმასო (სჯობს ზემოდან დავიწყოთ და ნუ მოუცდით სანამ ქვემოდან გაჩნდება მოძრაობა). თავად-აზნაურობა მიყვარს და დავეხმარები კიდეცაო, მაგრამ საჭიროა იცოდნენ, რომ გლეხთა განთავისუფლება უნდა მოხდეს არა მარტო სახლ-კარიანად, არამედ სახნავ-სათესი მიწის მიზომვით.

„ამ სტატიის წაკითხვაზე, განაგრძობს მოლაყბე თავის საუბარს, ყოველი ჩემი გონება, სული, გული და თვითოეული ასო გარდაიქცა გრძნობად და ვიძახდი: რად არ შემიძლიან სიცოცხლე ჩემი შევწირო მას, რომელსაც ჩემის შეწირვით შეეძლოს აღსრულებაში მოყანა კეთილისა იმ განზრახვისა, რომლისათვისაც დაუცხრომელად ზრუნავს მეთქი ...

ქართველნო! თუ ხართ სადმე. ჯერ კი ვერ მიპოვნიახართ და თუ გიპოვნეთ, თქუწნი ძველად ხასიათი იყო, არა თუ ქონებას მეფისათვის, სიცოცხლეს შესწირავდით, არა თუ თავსა, აკვნის ყმაწვილსა გამოიყვანდით და მეფის ჰაზრს არ უარჰყოფდითო. სად არის ძველებური ესე ხასიათი. ჩუწნი დიდი მეფე შესდგომია იმისთანა საზოგადოს კეთილს აზრს, რომელზედაც ჰკვირობს მთელი ევროპა. რას მოგვიკეცნია, რატო შეძლებისამებრ არ მოგვიხსენებია: „დიდო იმპერატორო! ჩუწნო მფარველო, ჩუწნო უსჯულოთ მაჰმადთან დამსხნელო! გვიბრძანე და მზადა ვართ ერთგულნი შვილნი ივერიელნი“!.. „თუ იტყვით გვიყვარსო, მაშ დავამტკიცოთ და ნუ მივიყვანთ იქამდინ, რო იმ აზრით ბრძანდებოდეს, რა აზრითაც მიუღია მოსკოვის კეთილშობილნი, ღმერთმან დაგვიფაროს!“¹⁹ ..

ამ ფორმით და სახით დაიწყო ლაპარაკი მოლაყბემ ბატონ-ყმობის შესახებ. როგორც ხედავთ, მისი რადიკალიზმი მაინცა და მაინც არავისთვის საშიში არ იყო. მის თვალში თავი და თავი აღსრულება იყო ხელმწიფის სურვილისა. რაკი ხელმწიფეს სწადდა ყმების განთავისუფლება და რაკი იგივე ხელმწიფე ქართველთა მფარველი იყო, თ. - აზნაურობის მოვალეობა იყო ხელმწიფისთვის მხარის დაჭერა. „მეფობის“ იდეალიზაცია საშუალებას არ აძლევდა მოლაყბეს საგანი სხვა საზომით განეზომა. ისტორიისთვის დღეს უტყუარი ფაქტია ის, რომ მთავრობამ იკისრა ინიციატივა ამ საქმეში რევოლუციის შიშით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არც არსებობდა ჩვენი მწერლისათვის - ამგვარი შეხედულება არ ეგუებოდა იმ ხალხოსნურ-მონარქიულ პრინციპებს, რომელსაც აღიარებდა და იზიარებდა მოლაყბე. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, „ცისკრის“ ფურცლებზე მოლაყბემ პირველმა აღძრა ბატონ-ყმობის საკითხი. და საყურადღებო ის არის, რომ ამ თავის გაბედვისათვის დასჯილიც იყო იმ დროინდელ საზოგადოების მიერ. მისი წერილი დაიბეჭდა დეკემბრის ნომერში 1858 წელს. ხოლო 1859 წელს იანვრის წიგნიდან ვიგებთ, რომ „ცისკრის“ თანამშრომელთა რიცხვიდან ჩვენი პუბლიცისტი გაძევებული იქმნა. ივ. კერესელიძემ ამის გამო სარედაქციო წერილიც დასტამბა, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობდა:

„მოვეყვით სალაყბოს ფურცლის გამოცემასა იმ აზრით, რომ ვგონებდით საზოგადოება აღტაცებით მიიღებდა ამ საგრძნობელ სტატიას. მაგრამ, რას იტყვით, თითქმის ოთხკუთხივ აღვიდგენენ! რა ვპოვეთ ამ სტატიაში წინააღმდეგი? გარწმუნებთ, რომ რასაცა სწერდა უ. მოლაყბე, ყოველივე იყო გამოსული კეთილის გულითგან, გულმტკიცეულობით. რა გაეწყობა, ეს ჩვენი ჟურნალი არის საზოგადო, მაშასადამე არის ხმა საზოგადოებისა. ჩვენი ჟურნალი გამოდის კმაყოფილებისათვის და სიამოვნებისათვის საზოგადოებისა, მაშასადამე უკეთუ მცირედი რამ ვპოვეთ საწყენად მკითხველთა, მაშინვე მოვიხმარებთ ყოველისვე ღონისძიებას მიზეზის მოსპობისათვის. - ამასთანავე ვუბრუნეთ უ. მოლაყბეს ბოდიშით თავის „სალაყბოს ფურცლებს“, დღეიდან ესალმებიან ჩვენდა სამწუხაროდ „ცისკარს“. თუმცა ის მაგდენს არ ინალვლის! მაგრამ გონია როგორც გვიჩურჩულა ერთმა ყურში, (ჩუწნში დარჩეს) უთხოვნია მთავრობისთვის ნების დართვა, გაზეთის გამოცემისა, რომლისათვისაც უწოდებია სახელად „სალაყბოს ფურცელი“. ბევრნი ხელის მომწერნი კი ეყოლებიან!“²⁰ ...

¹⁹ № იქვე.

²⁰ № 1 1859 წ.

ამ წერილში ივ. კერესელიძის ფიზიონომიაც კარგად მოსჩანს. აშკარაა, იგი ხელშეკრული იყო და „დიდებულთა“ გავლენას ემორჩილებოდა. „ცისკრის“ მკითხველთა შორის დიდი უმრავლესობა ქართველი თავად-აზნაურნი იყვნენ, გავლენიანი ძველი გვარების წარმომადგენელნი. ივ. კერესელიძეს რომ ეთქვა ჟურნალი თავად-აზნაურთობისაა და იქ უნდა იბეჭდებოდეს ის, რაც ესამოვნება თავად-აზნაურობას, უფრო მართალი იქნებოდა. ჟურნალი კმაყოფილებისათვის და სიამოვნებისათვის გამოდისო. სჩანს ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო პრესის მნიშვნელობა, ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ პრესა არის მებრძოლი იარაღი და არა დროს გამტარებელი სათამაშო და გასართობი საგანი. მაგრამ „ცისკარი“ წოდებრივ აღერსში აღზრდილი, „დიდებულთა“ თანაგრძნობით იბრუნებდა სულსა და ამიტომ უნებლიედ კლასიური ელფერიც მიითვისა და ვეღარ შეიწყნარა იმგვარი მწერალიც კი, რომელსაც მხოლოდ მეტი გაბედვა ჰქონდა ვიდრე ივ. კერესელიძეს, თორემ არც ის იყო საშიში და მავნებელი ნილილისტი. საყურადღებო კიდევ ის არის, რომ თითქოს ესარჩლება კიდევ, თან კი ემინიან, მართლაც არ დაარსოს მეორე ჟურნალი. „ბევრნი ხელის მომწერნი კი ეყოლებიანო“, ამბობს დაცინვით „ცისკრის“ ხელმძღვანელი.

ბატონ-ყმობის შესახებ თავის დროზედ ვრცლად გვექნება საუბარი, ეხლა კი ისევ „ცისკარს“ მიუბრუნდეთ. მოლაყბის გასტუმრება რედაქციიდან არც ისეთი უმნიშვნელო საგანი იყო იმ ხანებში, რომ ცხარე ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია საზოგადოებაში. ამ მითქმა-მოთქმის კვალს ჟურნალშიაც ვპოვებთ. მოლაყბის უკანასკნელი წერილი, სადაც აღწერს თავის მოგზაურობას ტფილისში და მისვლას „ფენომენტან“, განსაკუთრებით არ მოეწონათ ზოგიერთ თავადიშვილთ. ამბობენ, ვითომ ალექსანდრე ორბელიანი ჰქონდა მხედველობაშიო.²¹ მაგრამ არა გვგონია, რადგან ალ. ორბელიანი, თუმცა ძველი დროის კაცი იყო, ძლიერ სასიამოვნო და სიმპატიურ ადამიანად მოსჩანს იმ დროინდელ წყაროებიდან. ალ. ორბელიანი, ერთი თანამშრომელთაგანი იყო ჟურნალისა, მხურვალედ უყვარდა ლიტერატურა და თვით მანვე დაჰგმო საზოგადოება მოლაყბის დევნისთვის. თავის წერილში, სადაც სალაყბოს ფურცელს ეხება, იგი ამბობს:

„რადა ვჯავრობთ, როდესაც ჩუწნს ნაკლულევანებას გვეტყვიან რასმე ? იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე დაბრმავებულია ყოველთვის და თავის ნაკლულებას ვერას ხედავს ? ეს თქმა დიდიხანია დამტკიცებულია საქმით, რომ რაც უნდა შეცდომილებაში იყოს ადამიანი, ვერ დაინახავს თავის თავს არას დროს.. თუ გნებავთ პირველათ ჩემგნით დაიწყეთ: მე დამგმეთ, მე გამლანძღეთ და რაც უარესია დაწერეთ ჩემზე, დიდად მიაძებ, ვინ იცის, იქნება მეც ბრმა ვიყო ჩემს თავზედა... აბა როგორ არ ითქვას აქ ? როდესაც თავადის გიორგი დავითის ძის ერისთავის გაყრილობის კამედია ითამაშეს, ის ზნეობითი კამედია და ჩუწნი დიდი საგრძნობელი, რა ყოფა იყო, ანუ რა ძახილი? სწორეთ ვიტყვით, უფროსი ერთმა ვერ იგრძნო ის კარგი ზნეობითი კამედია და სასაცილოდ მიიღეს, ვითომ: გაცივნისთვის დაუწერიანო. მე ამას რასაც ვამბობ, მართალია; საზოგადოების აზრი გამოვიკითხე მაშინ ამაზე“²². აქ. ალ. ორბელიანი ერთ ფრიად საყურადღებო ნაკვთს აღნიშნავს, თავად-აზნაურულ ფსიხოლოგიის ნაკვთს. იმ ყრილობაში, რომელსაც დაესწრო ჩვენი მწერალი და სადაც ჰგმობდნენ კერესელიძეს, ერთმა გავლენიანმა კაცმა სთქვა: „არა, მაგ

²¹ ალექსანდრე ორბელიანი ვახტანგ ორბელიანის ძმად. ავტ.

²² № 1 1859 წ.

სალაყბოს ფურცელს კერესელიძე ხომ არა სწერს - სხუაზედ თქუა - ეს და ეს თავადისშვილი სწერს და არა კერესელიძეო. ამ სიტყვაზე, დასძენს ალ. ორბელიანი, ცეცხლს რომ წყალი დაასხან, ისე განელდნენ და ერთმანეთს ცქერა დაუწყეს დამშვიდებულის სახით და ბოლოს ერთმა თქუა სიამოვნებით: - ჰო, ეგ კი! იმან რო დასწეროს, შეეფერება და ამას იქით კიდევ მოვიწონებთ მაგ სალაყბოს ფურცელსაო. ჰა ჩემო ხელმწიფენო! ამაზედ მე აღარ ვიტყვი აქ.“²³

აღსანიშნავი სულის განწყობილებაა. თავადს აქვს უფლება გაჰკიცხოს თავადი. „მას შეეფერება“ ამგვარი განზრახვა. ხოლო გარეშე წრის კაცს, თუნდ აზნაურ კერესელიძეს ამგვარი უფლება აღარ ენიჭება. მეცხრამეტე საუკუნეში ცოცხალია კიდევ ის, რაც აღბეჭდილია ბექა და აღბუღას სამართალში, თავადისშვილის სისხლს ერთი ფასი აქვს, აზნაურის სისხლს მეორე, ხოლო გლეხის სისხლს კიდევ მესამე. ფეოდალური საქართველო ჯერ არ მომკვდარა. და საზოგადოებრივ ჟურნალს, რომელსაც ამ წრეში ეღირსა სიცოცხლის ხილვა, მძიმე ტვირთად აწვებოდა საუკუნოებით შეზდილნი და გადმოცემული მაღალ წოდების გრძნობა-სურვილნი.

მაგრამ „ცისკარი“ ერთ ხაზზე მაინც ვერ დადგა. დრო ისეთი იყო, რომ მის წინააღმდეგ ვერავინ აღსდგებოდა. საიდანღაც მოჰბერავდა თავისუფლების სიო და რაც უნდა ჩაეკეტა კარ-ფანჯარა ჩვენს რედაქციას, ამ სიოს ქროლვა მასაც ხვდებოდა. გამევებულმა მოლაყბემ ფართო წრეებშიაც ჰპოვა თანაგრძნობა. ჟურნალში დაიბეჭდა წერილი „გამოსარჩლება“, რომელსაც ხელს აწერს თერთმეტი მებუკე.

„ზოგიერთნო პატივცემულნო ქართველნო, ასე იწყება გამოსარჩლება, - გთხოვთ გვიცნობდეთ ჩვენ თერთმეტთა ბუკის მცემელთ: ჯერ მე მყვირალას, 2. გადარეულს, 3. თავხედს, 4. ყბედს, 5. ავციას, 6. გიჟ-მაჟს, 7. ავგულს, 8. ბრაზიანს, 9. დაუფერებელს, 10. რეტიანს და 11. მოლაყბეს. აქამდისინ საჭიროდ არა ვრაცხდით, ჩვენი ვინაობა შეგეტყვით, ახლა გვიცნობებია, რადგანაც მიზეზი რამ გამხდარა უკმაყოფილებისა!“ „ვინც ილანძღებია, განაგრძნობენ თერთმეტი მებუკე, იქნება იმათა ჰგონიათ, მხოლოდ ისინი იყვნენ ქართველები და სხვა არავინ არის საქართველოში? - არა ბატონებო, ნება მოგვეცით რომ პირდაპირ გითხრათ, თუ თქვენ ქართველები იყვნეთ, არამც თუ სალანძღველს იტყვით, არამედ წინამორბედნი იქნებით და დიდად შეეწევით თქვენს ქართულს ენას. მაშ თუ არ დაგიშლიათ, ერთს რასმეს გთხოვთ, ვისაც გნებავთ, მობრძანდით თქვენი ჭირინე, ეგ თქუწნი დიდრონი პტყელი პესები და ესე ჩვენი მცირედი მოლაყბე: მოგცემთ ხელში და ღმერთი გადღეგრძელებსთ, ბევრი ეცით, ასე ჩათათხეთ, რომ ფარდაგით წაიღონ. მაგრამ ამას კი ვიტყვით, ამ მოლაყბეს რომ მოჰკლავთ, მასუკან გადარეული დასწერს უფრო უარესად და გარკვევით, ამასაც რომ მოჰკლავთ მერე თავხედი და ბოლომდისინ ასე ვივლით, მანამდისინ სულ ერთიანად არ გაგვწყვეტთ“²⁴.

მაშ საქართველო თავად-აზნაურობა არ ყოფილა. აქ თითქოს ამ მეორე საქართველოს ჰსურს თავის ამოყოფვა. აქ თითქოს ორ ბანაკთა შეტაკების გეგმა დახაზული. და ეს უფრო ნათლად სჩანს შემდეგ სიტყვებში:

²³ იქვე.

²⁴ № 2. 1859 წ.

„მოდით ერთს რჩევას მოგცემთ იმ ზოგიერთებს. ეს ჩვენი ცისკარი ხომ ვითომც „ცისკარია“ თქუწნის მოწყალებით, ახლა თქვენ თორმეტი მზე გამოეცით, მეორე ქართული ჟურნალი და ეს ორნი მხარნი შევიჭიდნეთ. თქუწნ თორმეტი მზის დასნი და ჩვენ მცირედი ცისკრისა. ხედავთ ? ცხადია, რომ მზის დასნი ბევრით ძლიერნი იქნებით ცისკრის დასზე. მაგრამ არ დაგერიდებით: ვწეროთ და ვბეჭდოთ ერთმანეთზედ: ღმერთი და ზედი, ვინ უფრო გავიმარჯვებთ“²⁵.

საიდანღაც მოჰქრის თავისუფლების სიო! ასე უცნაურად ალაპარაკდნენ და ივ. კერესელიძემ აღარას ამბობს საზოგადოების კმაყოფილების და სიამოვნების შესახებ. ეს უკვე მომავალ საზოგადოებრივ ჯგუფთა ბრძოლის წინაგრძნობაა, ეს უკვე დასაწყისია განთიადისა. მაგრამ აასრულებს კი თავის მოვალეობას ჩვენი „ცისკარი“ ? ყოველივე ამას ქვემოდ გავიგებთ. ახლა კი ისევ კვალ და კვალ გავყვით ჩვენ ჟურნალს და ვეცადოთ არ გამოგვეპაროს იმისთანა რამ, რასაც ჰქონდა მნიშვნელობა ქართველთა გათვითცნობიერების საქმისათვის.

4.

საზოგადოებრივი ჟურნალი ან უნდა მოკვდეს, ან უნდა ჰქონდეს რაიმე კავშირი საზოგადოების მოთხოვნილებასთან. „ცისკარმა“ ვერ გაჰბედა და ვერ დაიჭირა ხელში პროგრესული დროშა. იგი მეტბრძოლი არ იყო. „მებუკეები“ და „მოლაყბეები“ არღვევდნენ მის მყუდროებას. მაგრამ ესენი მიუხედავად ათასგვარ პროტესტისა, დროებით მაინც ჩამოშორდნენ ჟურნალს. საზოგადოებაში, მერე იმისთანაში, როგორიც იყო იმ დროინდელი საქართველო, ყოველთვის იზადება მთელი სერია იმგვარ საკითხებისა, რომელთა გარკვევის დროს უსათუდ შეილახება ვისიმე თავმოყვარეობა და უსათუდ რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი ნაწყენი და დამდურებული დარჩებოდა.

დროებით თავანებოთ თავი „პროტესტანტებს“ და განვაგრძოთ „ცისკრის“ განხილვა. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული წინა წერილში ის გარემოება, რომ „ცისკარში“ აღიძრა საკითხი ქართულ ენის შესახებ. ახლა ეს საკითხი ხელმეორედ გამოცოცხლდა და მის გარშემო ატეხილი კამათი არ არის მოკლებული ინტერესს. „ცისკარში“ დაიწყეს კრიტიკული წერილების წერა. თუმცა ცოტად თუ ბევრად უკვე მიჩვეული იყო საზოგადოება მსჯელობას, მაგრამ ეს რაღაც „კრიტიკა“ მაინც აშინებდა ზოგიერთებს. კნ. ბარბარე ჯორჯაძეს, მაგალითად, ამშვიდებდა ივ. კერესელიძე: „ნუ ერიდებით გარკვევას, რომელიც შემოვიტანეთ ჩუწნს ჟურნალში (კრიტიკას), - ყვედრებას, როგორც უწოდებთ თქვენ. ჭეშმარიტი ნიჭი თავის გზაზედ მივალს. ნათქვამია ქართულად: სამთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსო. მოგეხსენებათ, რომ გარკვევა (კრიტიკა) არის პატივი ლიტერატურის ხნულისათვისო“²⁶.

²⁵ იქვე.

²⁶ № 12. 1859 წ.

როგორ უნდა სწერონ, რა წესს მისდევდნენ ქართველი მწერლები? ახლად ფეხზედ ადგმულ პრესისათვის ეს იყო დიდი საკითხი. ლავრენტი არდაზიანის აზრით „ქართული პოეზია უფრო განვითარებულია, მანამ პროზა. ლექსებს სწერენ მსუბუქად, მარტივად, ცხოველად; ყოველი სიტყვა ხტის, თამაშობს. პროზაა ჩუწნი არის მძიმე მიუდრეკელი, მნელი, უძლური, სიცოცხლე მოღებული, ცივი, მაშინ როდესაც ქართული ენა მერხვეი და საამოაო“²⁷. არდაზიანის აზრით ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენში ვითამ ორგვარი ფორმა იყო წერისა, საღმთო წერილის და საერთო (სახალხო). პირველი მძიმეა, მეორე მსუბუქი. მოლექსენი უფრო მეორე ენის გავლენით არიან აღზრდილნი. და ამიტომაც პოეზიის ენა სხართული და მსუბუქია, პროზის ენა კი, რომელსაც უფრო მეტი კავშირი აქვს სამღვთო წერილის ენასთან, მძიმე და მოუხეშავიაო. „ეხლანდელი ყმაწვილი კაცები ორ წყალ შუა არიან, ამბობს იგი, იმათ არ იციან, რომლის ენით სწერონ: სამღვთო წიგნურის ფორმით, თუ შეჰქმნან პროზა საერთო ენაზე. ჰგრძნობენ საღმთო წიგნურის ენის სიმძიმესა და ურგებობას და ამასთანავე შიშობენ წერას საერთო ენის ფორმით“²⁸ მაგრამ ლ. არდაზიანი მტკიცედ ვერა სდგას თავის პოზიციას. საეკლესიო ენა თან მძიმე ენად მიაჩნია, თან კიდევ, ჩამოაგდებს-რა ბაას წარსულის შესახებ, ამტკიცებს, ქრისტიანობის წინა ხანაში იქნებოდა საქართველოში ლიტერატურა. რომ არ ყოფილიყო, „ვერც ასე მშვენიერის, დაწმენდილის, ნასწავლის ენით გადმოიღებდნენ თავისს ენაზე სამღვთო წერილსაო“. ამაზე პასუხს აძლევს ნიკოლოზ ბერძენოვი, რომელიც სწავლულ კაცად ითვლებოდა იმ ხანებში. „სამღვთო წერილის გადმოღებაში სწარმოებდა არა კაცობრივი სწავლა, არამედ უპირატესად უზენაესი მადლი, რომელიცა შეიქმს არა რამსაგან და გამოცხადდების საკვირველებათა მიერ. მოიგონეთ, რომ ჩვენ ენაზე სამღვთო წერილი გადმოუთაგმნიათ წმინდათა მამათა, სახელდობ: გიორგი და ევთიმე მთაწმინდელთა“²⁹. ენის განვითარების საქმისათვის სწავლას, კანონებს და ამა თუ ის ფორმების გამოთქმისას ნიკოლოზ ბერძენოვი დიდ მნიშვნელობას არ აძლევს. „მერწმუნეთ, ამბობს იგი, ვისთვისაა ღმერთსა მიუნიჭებია ნამდვილი შრომის მოყვარეობა, სწავლის მიდრეკილება და ნიჭიერება, ის უაკადემიოდაც წავა იოლათო“³⁰. ამ თეოლოგიურ აზროვნებას არ ეკამათებოდნენ, ხოლო ღვთის ანაბარა საქმის მიტოვებას მაინც ჰბედავდნენ. კიდევ და კიდევ გაისმა ხმა ერთგვარ ენის შემოღების საჭიროებაზედ. უპირატესობას საერთო ენას აძლევდნენ და საეკლესიოს მძიმე ენად სთვლიან. თ. ალექსანდრე ორბელიანი მომხრეა იმ ენისა, რომლითაც უწერიათ რუსუდანია, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი და „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ ამასთან ორბელიანის აზრით საჭიროა შესწავლილი იქნას კანონები ქართულ ენისა „შემოკლებული სწორე ქართული გრამატიკა“ უნდა იქმნეს შედგენილი. „ვინც გამოჩენით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნენ ქართულის სიტყვიერების განსჯისა და იმის წარმატებისათვის. ეს იქნება კარგი შექცევა და სასარგებლო ჩუწნი ცისკრისაო.“³¹ ოღონდაც კარგი „შექცევა“ იქნებოდა. მაგრამ ამგვარ „შექცევითვის“ დღესაც ვერ მოუცლიათ ჩვენებურ მწიგნობარ ინტელიგენტებს. მეცნიერ ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემაც სთქვა თავისი სიტყვა ამ საგნის შესახებ. ეს სიტყვა, ცოტა არ იყოს,

²⁷ იქვე.

²⁸ № 9 1859 წ.

²⁹ № 10. 1859.

³⁰ იქვე

³¹ № 4 1860 წ.

უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მაინც საინტერესოა. დიმიტრი ბაქრაძე წინააღმდეგია გრამატიკისა. „მე არა მწამს ესა: გრამატიკის კანონებით ენის სწავლა შეუძლებელია, როგორც ლოლიკის კანონებით - მსჯელობა... მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში, აგრეთვე შემდეგში ქართველთ არა ჰქონიათ დაწერილი გრამატიკა, მაშ რუსთველმა და ჩახრუხაძემ, ვახუშტმა და საბა ორბელიანმა რომლის კანონებით ისწავლეს სამშობლო ენა? რასაკვირველია არც თქუწნ იფიქრებთ და არც სხვანი იფიქრებენ, რომ ამ მწერალთა თხზულებებში ენისა და მის კანონების წინააღმდეგი იყოს რამეო³²... „მაშ რა უნდა ვქნათ? ვალი გაქვთ გვკითხოთ, ამბობს ბაქრაძე... ამ საგნისათვის ჩვენ გვაქვს ორი წყარო, ანუ ორი ღონისძიება: პირველი - თვით ცხოველი საზოგადო თუ დარბაისრული ენა, მეორე - ყურადღებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცავენ უკეთეს საზოგადო საუბარსაო“³³. დიმიტრი ბაქრაძის, როგორც მეცნიერ კაცის აზრი დიდის მოწიწებით იყო მოსმენილი. ალ. ორბელიანი, რომელიც გრამატიკას და კანონებს ითხოვდა, სავსებით იყო დაკმაყოფილებული. „მხოლოდ იმ ერთმა ღმერთმა იცის, სწერს იგი დ. ბაქრაძის წერილის გამო, ამ ჩემის გულის ამბავი, როგორ კმაყოფილებაში ვარ ეხლა მე... სხუჭზრ ვინატრებ მრავალს წლების სიცოცხლესა თქუწნსა კარგო დიმიტრი და ამასთანავე მიგულავთ მარადის თქვენადო“³⁴.

რომ გადავავლოთ თვალი ზემონათქვამს, უნდა იქმნას აღნიშნული „ცისკრის“ თანამშრომელთა მოუშაადებლობა ამ საკითხის გადაწყვეტაში. განა უცნაური არ არის, მეცნიერმა სთქვას ენის კანონების შესწავლა არ არის საჭიროო? რუსთველს არ შეუსწავლია და ნახეთ რა ენით სწერსო! ჯერ ერთი არ ვიცით, შეუსწავლია თუ არ შეუსწავლია. იმ ხანაში განათლება საქართველოში სხვა ხარისხისა იყო. შოთას ბიოგრაფია გამოკვლეული არ არის და ამის შესახებ გადაჭრით არა ითქმის რა. მაგრამ თუნდაც შესწავლილი რომ არა ჰქონოდა, განა აქედან გამომდინარეობს გრამატიკის შედგენის ურგებლობა? არა გვგონია. მართალია, ლოლიკური მსჯელობა ლოლიკის კანონების ცოდნისაგან არ გამომდინარეობს, მაგრამ განა საჭმელების მონელების პროცესი გამომდინარეობს სტომაქის ორგანიზაციის კანონის ცოდნისაგან! მაშ მოდით, ნურც ანატომიას და ფიზიოლოგიას ვისწავლით! რაც შეეხება საეკლესიო და საერთო ენებს, აქაც ნამდვილი წარმოდგენა არ ჰქონდათ ერთისა და მეორის ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. ფრიად საყურადღებო მასალას ვპოვებთ ახლად გამოცემულ აკადემიკის მარის „Житіє св. Григорія Хандзійскаго“ - ში (შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუწნისა გრიგოლისა არქიმანდრიტისა ჩუწნისა ხანძთისა და სხვა). ეს ნაწარმოები მეათე საუკუნის სასულიერო მწერლობას ეკუთვნის. ნ. მარი ამბობს ამ ნაწარმოების ენის შესახებ: „ლიტერატურულ ღირსების მხრივ იგი ნაწარმოები სპეციალისტთა თვალში სწორედ რომ საკვირველებაა (მხილება). გაოცებთ არა წინა საუკუნეებში შემუშავებული სისრულე მწიგნობრულის ენისა, არამედ ცოცხალი თავისუფლება ქართულ ენისა, სიადვილე სტილისა და მისი ტენდენცია ცოცხალ ენასთან დაახლოვებისა. ეს იმგვარი თვისებებია, რომელთა შესახებ მეცნიერებაში

³² № 8 1860 წ.

³³ № 8 1860 წ.

³⁴ № 9 1860 წ.

გამეფებული იყო აზრი, ვითომ იგი შემოტანილი იყო საერო მწერლების მეოხებით, ორი საუკუნით უფრო გვიან;

სასულიერო და საერო ლიტერატურათა შორის განსხვავება თუმცა თვალსაჩინოა, მაგრამ მათ შორის ისეთი ღრმა უფსკრული და განხეთქილება არ ყოფილა, როგორადაც ჩვეულებრივად ჰგონიათ. აკადემიკოსი მარი იმ გამოკვლევაში, რომელიც საშუალო საუკუნის საგმირო პოეზიას ეხება, სხვათა შორის ამბობს: „ყურადსაღები საგანია გამოკვლევა იმ მსგავსებისა, რომელიც საერო და სასულიერო პოეზიათა შორის არსებობდა საქართველოში. სასულიერო პოეზიამ, ამკარაა, ბიზანტიიდან და საზოგადო საქრისტიანო აღმოსავლეთიდან შეითვისა სახე და მანერა სამწერლო შემოქმედებისა. ხოლო საერო პოეტები თავიანთ ნიჭს ავარჯიშებდნენ მუსულმან-ირანის ლიტერატურის ნიმუშებზე. ეს ორი ნაკადული ქართულ მწერლობისა თამარ მეფის აყვავებულ ხანაში ერთ დიდ ნაკადად არ ქცეულა, იმ გაშლილ მდინარედ, რომელიც ხალხურ კულტურის მთლიანობის მაჩვენებელი იქნებოდა. ერთ ნაკადში ისახებოდა გემოვნება გმირულად განწყობილ ფეოდალებისა და იმ ხანის ფაქიზად განათლებულ ქართველ საზოგადოებისა. მეორე ნაკადში ისახებოდა განწყობილება მონოზნურ ქრისტიანობისა. შემდეგში, ქართულ ისტორიის უბედურების ხანაში, საერო პოეტებმა დაახლოვებით შეითვისეს მოტივები და იდეალები მონოზნურ-ქრისტიანობისა. მაგრამ საკითხავია, იქნებ ძველ დროშიაც იყო ურთიერთობა საერო და სასულიერო და პოეზიათა შორის? ამ აზრს ჰბადებს ერთი ლექსი, სინაში ნაპოვნი, პერგამენტის ხელნაწერი. იგია შობის დღის გამო ღვთისშობლის ქებათა-ქება. ლექსის აკროსტიხი ფილიპე ბეთლემია. არ ვიცით, ვინ იყო პოეტი ფილიპე. საყუადღებო მხოლოდ ის არის, რომ ქებათა-ქებაში რითმიან ლექს ვპოვებთ. რითმა მართალია ღარიბია, ო-ს დაბოლობევით. ხოლო ქებათა-ქების ლექსთა წყობა ცნობილი ლექსთა-წყობაა საერო პოეზიისა, 16 მარცვლიანი, თუმცა ოთხ სტრიქონიან ტაქტთა არ არის დაყოფილი. თუ დაახლოვებით მეათე საუკუნეს ეკუთვნის ეს ხელნაწერი, ჩვენს წინ ნაწარმოებია, რომელშიაც შოთა რუსთველის ეპოქაზე ადრე ხმარებულა ქართულ ხალხური ლექსთა-წყობა. ყოველ შემთხვევაში ეს ნაწარმოები ერთი ნიმუშთაგანია, რომელშიც სასულიერო და საერო ხასიათი გაერთიანებულია“³⁵. აქედან, რასაკვირველია, მხოლოდ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ვისაც ქართულ ენის შესწავლა ჰსურს, ერთნაირი ყურადღებით უნდა მოეკიდოს, როგორც საერო, ისე სასულიერო ძველ მწერლობას.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ „ცისკრის“ მიერ აღძრულ საგანს საამდროვო ხასიათი არ დაუკარგავს. დღეს ამ საკითხში ამერ-იმერლობის კილოების საკითხებიც ჩაექსოვა და მით იგი უფრო გართულდა. ამას წინად იგივე მოწოდება გაისმა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ნეტავი ვიცოდეთ, შევძლებთ თუ არა დღეს მაინც ამ ნახევარი საუკუნის წინად გამოთქმულ ნატვრის განხორციელებას?

მეორე ყურადსაღები საგანი, რომელიც აღიბეჭდა თუმცა ოდნავად „ცისკრის“ ფურცლებზე „საქართველოს (უფრო კი თავად-აზნაურობის) ეკონომიური გაღარიბებაა. 1850 წელს ვორონცოვის თაოსნობით ტფილისში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება დაარსდა. ამ საზოგადოების დაარსების აზრი იყო აღდგენა მატერიალური კულტურისა და ხელის შეწყობა

³⁵ Н. Марр. Тексты и Разыскания, Кн. XII, стр. X.

სასოფლო მეურნეობისათვის. საზოგადოება კი დაარსდა, 1855 წლიდან მან შრომებიც გამოსცა, მაგრამ, როგორც აღნიშნავს „ცისკარი“, გაუმჯობესობა მეურნეობისა ისევ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ალ. სავანელს, რომელიც შეეხო ამ საგანს, ეგონა, თავი და თავი მიზეზი საზოგადოების უნაყოფოებისა ის იყო, რომ იგი დაახლოვებული არ იყო ქართველ საზოგადოებასთან. „შრომა ამ საზოგადოებისა იბეჭდება რუსულ ენაზედ, რომლის ცოდნას ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან, არამცთუ მცხოვრებნი გლეხკაცნი, არამედ თვით ჩუჭნნი მებატონენიც და ამისთვის შრომა საზოგადოებისა... იბეჭდება თვით საზოგადოებისათვისო... შრომა და განზრახვა კავკასიის საზოგადოებისა სოფლურის სახლოსნობისა არ მიიწევის ყურთამდი კავკასიის მცხოვრებთა, რომლისთვისაც დადგენილ არს საზოგადოება ესა და რომელთაზედ უნდა აქმდეს განსაკუთრებითი თვისი ყურადღებაო“³⁶. მართალი თქმაა. ეს ჭეშმარიტება მხოლოდ სამოცი წლის შემდეგ შევიგენით და მხოლოდ ეხლა დავიარსეთ ქართული სამეურნეო საზოგადოება. მაგრამ საქმე მარტოოდენ საზოგადოების დაარსებაში არ არის. ქართულადაც რომ გამოეცა იმ დროინდელ საზოგადოებას თავისი ნაშრომი, ნაყოფი მოქმედებისა მაინც მცირე იქნებოდა. ჩვენ იმ ხანაში დიდ ეკონომიურ ცვლილებას განვიცდიდით, საჭირო იყო ჩახედვა ამ ცვლილების სიღრმეში; ალ. ორბელიანს ერთს თავის წერილში „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“, თითქოს ჰქონდა წადილი ამგვარის ჩახედვისა. ზოგი რამ მის მიერ აღნიშნული მართალი იყო, მაგრამ მის ძალღონეს აღემატებოდა საგნის გათვალისწინება ისტორიული სინამდვილის მიხედვით. „ისე გავდარიბდებით, ამბობს იგი თავად-აზნაურობის შესახებ, რომ ღარიბ გლეხ კაცებზედ უფრო მომატებით, თუ ვაჭრობისთვის არას ვიფიქრებთ და სხვას შესამატს კარგსაო“³⁷. „აღარც თოფი, აღარც ხმალი, - ვმადლობ ღმერთსა, განაგრძობს იგი, მაშასადამე, რაღაც მნიშვნელობაა, იქ რა არის საჭირო?- სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი, გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა ჰქონდეს ეხლა“-ო“³⁸. მაგრამ ვინ იყო გამგონი? ქართველ თავად-აზნაურობას სხვაგვარი ინტერესები გაუჩნდა იმ ხანაში, იგი შეპყრობილი და გატაცებული იყო სხვა რამეთი. ამ საგნის გათვალისწინებისათვის საჭიროა დავსვათ ერთი საკითხი: რა იყო თ. ვორონცოვის პოლიტიკა, ეკონომიურ-სოციალურის მხრივ შევხედოთ ამ საგანს?

თ-დ ვორონცოვს განსაზღვრული ხასიათის სახელმწიფოებრივი აზროვნება ჰქონდა. ეკონომიური აღორძინება ქვეყნისა, მისი აზრით, განათლების დაუხმარებლივ, შეუძლებელია. თავი და თავი განათლებაა. მაგრამ ხალხის გულამდე განათლება ასე ადვილად ვერ აღწევს. საჭიროა შუამავალი. ამ შუამავლად უნდა იყოს თავად-აზნაურობა. და ვორონცოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა აღემაღლებინა და გაემაგრებინა სოციალური მდგომარეობა თავად-აზნაურობისა. არ შეუშინდა ეროვნულ განსხვავებასაც. ხელი შეუწყო ეროვნულ კულტურის აღორძინებას. ამ მხრივ მისი ცდა მართლაც ნაყოფიერი გამოდგა, ხოლო რაც შეეხება თავად-აზნაურობის სოციალურად გამაგრებას, შედეგი აღმოჩნდა სრულიად წინააღმდეგი.

³⁶ № 7. 1859.

³⁷ № 10 1859.

³⁸ იქვე

წინად ასე თუ ისე, თავიანთ ბუდეებში ისხდნენ მებატონეები და სჯერდებოდნენ იმას, რასაც აძლევდა მათ მუქთი ბატონ-ყმური შრომა. ახლა ტფილისში გაჩაღდა სხვა გვარი ცხოვრება. სასახლე ის ცენტრი იყო, რომელსაც მიესია თავად-აზნაურობა. ყოველი წყალობა, ყოველი სიკეთე აქედან გამოდიოდა. თ-დ. ვორონცოვი უხვად ამწესებდა ქართველებს სამხედრო თუ სამოქალაქო უწყებებებში. ყოველ-გვარი სამსახურის კარი ღია იყო თავად-აზნაურობისთვის და იგი დაეწაფა კიდევაც ამ სამსახურს. შემოსავლიანი ადგილები, მხიარული დროს ტარება, ნადიმები და დღესასწაულები - ყოველივე ეს სოფლიდან იზიდავდა მებატონეს ქალაქისაკენ. თ-დ. ვორონცოვის გეგმა გარეგნულად მომხიბლავი იყო იმ წოდებისთვის, რომელიც გაება მის მახეში. საქმე ის არის, რომ ყველა ამასთან ტფილისში დაარსდა ნამესტნიკის თაოსნობითვე ერთგვარი საადგილ-მამულო ბანკი „პრიკაზი“. (Приказъ Общественнаго Призрѣнія). ამ ბანკის დაარსების აზრი ის იყო, რომ მემამულეს სესხის აღება შესძლებოდა და ეს სესხი მამულის კულტურისთვის მოეხმარა. როგორც ფუტკარი თავლს, ისე დაეხვივნენ ჩვენი მემამულენი ამ „პრიკაზს“. სესხი მამულის გაუმჯობესებას რასაკვირველია, არ მოხმარდა. იმ დიდკაცურ ცხოვრებას, რომელიც გაჩაღდა ტფილისში, ცოტა ხარჯი კი არ უნდებოდა. მაგრამ მამულების დაგირავების დროს არც „პრიკაზმა“ ნახა ხეირი. უმეტეს შემთხვევაში მამულები გამიჯნულნი არ იყვნენ. „პრიკაზი“ იგირავებდა და დანამდვილებით არც კი იცოდა, რას იგირავებს. სარგებელი არავის შეჰქონდა. ბევრს თავად-აზნაურს ეპატია კიდევაც ეს ვალი. შედეგი ამისი ის იყო, რომ მემამულეს მადა გაეხსნა და თავის მამულს იმ დროიდან ვაჭრულის თვალით დაუწყო ცქერა. სანამ ვაჭარი გაუჩნდებოდა, იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ენახა მისგან. და საგულისხმო გარემოებაა, ბატონყმური უღელი ბატონყმობის განთავისუფლების წინა წლებში, მაშინ, როდესაც უკვე მოლოდინი იყო თავისუფლებისა, კიდევ მეტად დამძიმდა და აუტანელი გახდა ხალხისათვის. ასე რომ სოციალ-ეკონომიურის მხრივ თ-დ. ვორონცოვის ეპოქა დამღუპველი იყო თავად-აზნაურობისთვის.³⁹ შემდეგში თ-დ. ბარიატინსკის და დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის მის ხანაში საბოლოოდ გადასწყდა ბედი ჩვენი მოწინავე წოდებისა. და ახლა თავად-აზნაურული წრის ქალი თუ კაცი დაემებს ჩვენში გაშმაგებულად „სამსახურს“. ეს ქალი და კაცი თავად-აზნაურულ ბუდეებიდან აყრილი მონაშენია და ახლა თუ ვინმე წყალობის და შეწყალების მოლოდინშია კიდევ ჩვენში, - ისევ ის ვორონცოვის მიერ გამოჩეკილი კეთილშობილთა უსაქმო რაზმებია.

მართალია, ამ გარემოებას, ე.ი. თავად-აზნაურთა წოდების დაცემას და მიწის მობილიზაციას სხვა შედეგებიც მოჰყვა; სხვა ელემენტები გამოდიან ასპარეზზე : წვრილი მესაკუთრე ქართველებში, მსხვილი ბურჟუაზია სომხებში. და თუ პირველ სანამესტნიკოში სასახლეს გარს ერტყნენ ქართველები, ეხლა სომხების ჯერი მოდგა. თუ წინად პატივი „კეთილშობილებას“ ჰქონდა, ახლა იგივე პატივი სქელ ჯიბეს მიენიჭა. მოხდა დიდი და ღრმა ცვლილება. და ჩვენთვის ახლა უფრო გასაგები იქნება, თუ რატომ იჩინა თავი თავად-აზნაურობაში შიშმა სწორედ იმ დროს, როდესაც გლეხთა განთავისუფლების საქმის შემუშავება და გამორკვევა დაავალეს და დააკისრეს მას.

³⁹ Кавказъ и Кавказскіе намѣстникиб, Вѣстникъ Европы 1906 г. №2. Н. Г. Макіевскаго Зубка.

1859 წლის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო რამ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. ერთი იყო წერილი ალ. ორბელიანისა „უწინდელ დროს ბატონ-ყმობა“ და მეორე - დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ პირველი ნაწილი. ამ ორ სხვა და სხვა მიმართულების ნაწარმოების გამოქვეყნება იმას გვეუბნება, რომ ქართველ საზოგადოებაში უკვე იყო ორი მიმდინარეობა, აზროვნების ორგვარი მიდრეკილება. ბატონყმობა, სხვათა შორის, ის საკითხი იყო, რომლის გარშემო აღმოჩნდა აზროვნების დიფერენციაცია და თუმცა „ცისკარს“ გაფრთხილებით ეჭირა თავი, მაგრამ რადგან იგი იყო ერთად-ერთი საჯარო ტრიბუნა, სადაც ასე თუ ისე ქართველ ინტელიგენციის აზრი ისმოდა, მასშიაც აღიბეჭდა ზემოაღნიშნული აზრთა სხვადასხვაობა.

ალ. ორბელიანის აზრით, „უწინდელ დროს გარეშე კაცი იმას ეძებდა, მეზატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისათვის რომ მეზატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისთვისო⁴⁰... მართალია, ისტორიული ფაქტები არ ეგუებიან ამ აზრს, მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორ განმარტავთ ამ ფაქტებს. ვახტანგის სჯულში სწერია, „სულს გარდა მეზატონისა არის ყმაო“. თითქმის ეჭვიც არ უნდა იბადებოდეს, რომ ამ ფორმულაში მონობაა დაკანონებული, მაგრამ თუ არ გვინდა დავინახოთ ის, რაც ყველასათვის ცხადია, შესაძლებელია იმგვარად განვმარტოთ ვახტანგ სჯულ-მდებლის აზრი, ვითომც მას ზემოდ მოყვანილი სიტყვებით ადამიანის თავისუფლების აღიარება სწადდა და სხვა არაფერი. ალ. ორბელიანი, ადამიანი გულკეთილი და სათნოიანი, ვერ სძლევს თავადურ ფსიხიკას და თითქმის შეუმცნობლად კლასიურ ნიადაგზე დგება. ვამბობ შეუმცნობლად, რადგან სიტყვით იგი ერთობას და თავისუფლებას აღიარებს. ვახტანგის კანონის შესახებ იგი ამბობს: „ამ მეფე ვახტანგის კანონს სხვა გვარად ნუ გავიგებთ. ეს იმას ნიშნავს, როგორათაც შვილი მშობელს ეკუთვნის და შვილი სრულებით მშობლისა არის, ისე იმის მსგავსად მეზატონეს ეკუთვნოდა ყმა. დაუნაშავებელი კაცი ხომ არ იქნებოდა, სრულებით უმანკოება ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში, ამისთვის ეს მეფის კანონი იმას ნიშნავს როგორათაც დამნაშავეს შვილსა მამამ წკეპლა დაანახოს და იმითი შეაშინოს, ისე ის კანონი ჩვენი გლეხების საჩვენებლად და მეზატონის შესაკავშირებლად იყო, უფრო და უფრო ერთნი ყოფილიყვნენ, რომ ამით განშორება არაფრით არ მომხდარიყო, როგორც მამა-შვილისა, თორემ თუ ეს ასე არ ყოფილიყო, იმისთანა ბრძენი და მოწყალე კაცი, ვითარცა მეფე ვახტანგ იმისთანა უწყალოს კანონს დასდებდაო“⁴¹

და აი, ამავე დროს „ცისკრის“ შემდეგ ნომერში გაცემული მკითხველი წააწყდება „სურამის ციხის“ ამბავს. ვინც წინ იყურებოდა, აღფრთოვანებული დარჩა, ვისაც ამის ძალა არ შესწევდა განრისხებული და შეურაცხყოფილი. აქ ყოველივე იყო მოულოდნელი - მარტივი, ბუნებრივი კილო მოთხრობისა, რომელშიაც იყო ერთგვარი სადა სიმშვენიერე და ამასთან ისეთი გულწრფელი, ისეთი ძლიერი პროტესტი მონობის წინააღმდეგ, რომლის მსგავსი იმ დრომდე ქართულ ლიტერატურაში არავის გაუგონია.

⁴⁰ № XI. 1859 წ.

⁴¹ იქვე

სოფლური ცხოვრების ფერადები და კოლორიტი სხვა გვარად ამეტყველდნენ. თავისუფლების ძახილზე თითქმის მიძინებული ბუნებაც წამოიჭიმა, თვალეზი მოიფშვნიტა და სიხარულით დაუწყო მზერა ადამიანს. „აი მშვენიერი ყანა, რომელიც ქარს ეთამაშებოდა, როგორც მორცხვი პატარძალი თავის დანიშნულს. ქარი ეხვევა, უჟუჟუნებს სიყვარულის სიტყვითა, მაგრამ ყანა, - ეს კეკლუცი პატარძალი, - ვითომც მორცხვობს და აშორებს თავს. აი ცხვარი, მოგროებული შუადღეს ერთს ხის ქვეშ. შეხედეთ მეცხვარეს, როგორ სრული კმაყოფილებით უკრავს სტვირს და ეუბნება ქებას თავის მურიას. უყურეთ მურიას, როგორი გულის ხმის გადევნით უგდებს ყურს თავის პატრონს, ვითომ უნდა რომ არც ერთი სიტყვა არ დაივიწყოს და ყოველივე სიტყვა აკრიფოს მარცვლებივით. აი გუთანა ათ უღელა, თავის მოუშორებელი ორველათი. შეხედეთ გუთანის დედას. კრეზი თავის სიმდიდრით არ იყო ისე კმაყოფილი, როგორც არის ხოლმე ის მაშინ, როცა უბმანებს მეხრეებს ხარების გარეკას. ხარები! შეხედეთ როგორ აუყოლებიათ ოროველასთვის ფეხები, როგორც კარგს მოთამაშეს ცეკვაში მუსიკისთვის. ჩვენი კამეჩი! შეხედეთ რანაირ ბრძენივით ჩაფიქრებული მიდის, თითქო სწყვეტდეს პითაგორის ერთ ტეორემას. გესმით შორიდან ბულბულის სტვენა? კაცი უნდა იყოს ყრუ, რომ იმ სტვენაში არ გაიგონოს ხმა სიყვარულისა. უნდა ედვას ქვა გულის მაგიერ, რომ ამას არ მოაგონდეს თავისი ახალგაზდობა, თუ მოხუცებულია და ჭაბუკს თავისი სიყვარული, იმიტომ რომ არ შეიძლება ახალგაზდა ყმაწვილს არავინ უყვარდეს“....

ასეთი მომხიბლავი სურათი იშლებოდა მკითხველის წინაშე. და ამ სურათის და პეიზაჟის ჩარჩოებში გამოჩნდნენ უნახავი მომქმედნი პირნი, რომელნიც ჯერ არ გაგონილ რასმეს ამბობდნენ.

„ - ... ქვეყანაზედ შეუძლებელი არა არის რა, გულოჯან, სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება. უთხარი შენს ქალბატონს, რომ თუ შენი ბედნიერება უნდა და გწყალობს, მე გამათავისუფლოს, უთხარი უიმისოდ ჯვარს არ იწერს-თქო.

- ... ეს იყო პირველი პურის ჭამა დურმიშხანისა, რომელიც არ იყო ბატონის ნასუფრალი და უნდა გენახათ, რა გემრიელი იყო ის პური!...

- ... ბატონი შემირიგდა, ვგონებ იმიტომ, რომ ჰპოვა ჩემში სასარგებლო ნივთი და რა უნდა მომახსენო? ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებულიც იყო, რომ მე ვიყავი მისი ერთგული. ხა, ხა, ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში. საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, მაგ გვარნი კაცნი!..

- ... რას მიჰქარავ ბიჭო? ჯვარის დაწერა კი არა, მამა გიცხონდა!

- შენი ჭირიმე, ბატონო!

- ვისზედ უნდა დაიწერო ჯვარი?

- იმას არა გთხოვ, შენი ჭირიმე, ქალბატონის გოგოზე.

- ქალბატონის გოგოზე?

- დიახ.

- დიახ, - გამაჯავრა მე ბატონმა, - დიახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რომ შინაური არ მომეზნო?
- რავექნა, შენი ჭირიმე, ეს მომეწონა და.
- რაო? მოგეწონა? მომეწონა! თითქო ბატონის შვილი იყოს? სხვა არა მოგეწონა რა, მამა გიცხონდა? .. “

ასეთის არაჩვეულებრივი ენით და ასეთის კილოთი დაიწყეს ლაპარაკი. და რა მოულოდნელი ნათელი მოეფინა ძველს თქმას: სულს გარდა მეზატონისა არის ყმაო, იგი თქმა სრული არ არის. სულიც მეზატონისა ყოფილა. რადგან ადამიანი განუყოფელი არსებაა და თუ ხორციტ იტანჯება, სულიც დაღვრემილია!

ეს უკვე სხვა, ახალი ჰანგი იყო. ამ ჰანგს არ იყო ჩვეული თვით დევნილი მოლაყბე და მეზუკე. მოლაყბეს დანაშაულებას მრისხანე ხასიათი ჩამოერთვა. მრისხანების ხმა სულ სხვა მხრიდამ ისმოდა.

დანიელ ჭონქაძემ დიდხანს აღარ იცოცხლა, იგი გარდაიცვალა 1861 წელს. მაგრამ, ამკარაა, რომ ეცოცხლა „ცისკარი“ მას ვეღარ გაუმასპინძლდებოდა. საუბედუროდ იმ „ცისკრის“ ნომერში, რომელიც ხელში მიჭირავს, ზოგი რამ ამოხეულია და სწორედ ის არ არის, თუ როგორ გასცა პასუხი ივ. კერესელიძემ აღშფოთებულ თავად-აზნაურობას. ა. ხახანაშვილის „ქართულ სიტყვიერების ისტორიიდან“ ვტყობილობთ მხოლოდ, რომ ივ. კერესელიძე ბოდიშს ითხოვდა, რომ გრიგოლ ორბელიანი ძლიერ გაჯავრებული იყო და რომ ჭონქაძის სიკვდილის გამო მან მხოლოდ ორიოდ სიტყვა სთქვა თავის ჟურნალში.⁴²

ასე იყო თუ ისე საზოგადოება შეუმჩნევლად და ნელ-ნელა მარცხნივ იხრებოდა. ყური შეეჩვია მკაცრს სიტყვებს და ის დიდი მუშაობა, როგორც იყო გაჩარხული რუსეთში ბატონ-ყმობის გაუქმების ირგვლივ, დიდზე და პატარაზე შთაბეჭდილებას ახდენდა. გრძნობა ასეთი იყო, თითქოს რაღაც გვიახლოვდება, უცნობი და საიდუმლო, ახალი და უჩვეულო და შიშთან ერთად აქ თითქოს ბედის წინაშე მორჩილების გრძნობაც იყო.

და საკვირველი არ არის, რომ ერთი წლის გამეცების შემდეგ, ისევ ვხედავთ მოლაყბეს „ცისკრის“ რედაქციაში. ალ. ორბელიანი, რომელიც დამწყები იყო ყოველგვარის შუამდგომლობისა, სწერს ივ. კერესელიძეს: „მოწყალეო ხელმწიფე ივ. კერესელიძე! ჩემი შუამდგომლობით ბევრნი სთხოვენ, ის ვიღაც მოლაყბეა - კიდეც განაახლოს თავისი ლაყბობა და დაგვავალოსო, თუ ქვეყანაზედ იყოს კიდევაო, თუ არა და მეზუკეებს მაინც ვთხოვოთო, თუ ისინიც არ დახოცილანო“⁴³. აქვე შენიშვნაში რედაქციაც გულს მოდგინეობით სთხოვს უფ. მოლაყბეს... თუმცა რედაქციამ ცოტა აწყენინა, მაგრამ მოიმედენი ვართ სულგრძელობით მოგვიტყვებსო“. მოლაყბეც დათანხმდა, ხოლო სთხოვა საზოგადოებას - „უკეთუ დამიპირეს კიდეც ადრინდელივით ჩემის პირდაპირ და სიმართლის წერისათვის ხიდიდგან გადავდება,

⁴² Очерки по Историю Груз. Словесности, стр. 104.

⁴³ № 5. 1860 წ.

გაეცით პასუხი თქვენ, რომელთაც გიჭირავთ ჩემი სიმართლის მხარე. მაგრამ ვაითუ თქვენც იმ მოწინააღმდეგეების მხარე დაიჭიროთო“⁴⁴. ერთმა მეზუკეთაგანმაც გამოიხმაურა: „მე ერთ მეზუკეთაგან, ავყიას, აქამდინ მეძინა, სიზმრებში ვიყავ, სიზმარსაც თავისი სამეფო აქვს, იქაც ჩვენსავით ხალხია. მზე დგას და მთვარე. ბევრი შესანიშნავი ვნახე, თუ მიბრძანებთ, ვეცდები ყველა გიამბოთ. ვის რა დავა აქვს? ნურვინ მიიღებს თავის თავზე! მე რა, ან თქვენ რაო?“⁴⁵

ერთის სიტყვით, „სალაყბოს ფურცელი“ გამოცოცხლდა. ივ. კერესელიძე უბეჭდავდა თითქმის ყველაფერს, თუმცა „დიდებულების“ შიში მაინცა ჰქონდა გულში. ერთ წერილის გამო, სადაც მოლაყბე ჰკიცხავდა თავად-აზნაურულ „კენჭობას“, სადილ-ვახშმების მნიშვნელობას არკვევდა ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევის საქმეში, კერესელიძემ ვერ გაჰყვდა მისი დაბეჭდვა, მაგრამ, როგორც თვითონვე გვიხსნის შენიშვნაში, დაკითხვის შემდეგ გაუბედნია დაბეჭდვა.

„თუმცა ამ სტატიის დაბეჭდვა, ამბობს იგი, არ გვინდოდა, მაგრამ იმგვარმა პირმა გვიბრძანა, რომ ვეღარ უარყავითო“⁴⁶. აწუხებდა კერესელიძეს მოლაყბის მუდმივი თანამშრომლობა, მაგრამ ითმენდა. ორი-სამი წლის განმავლობაში ცოტა არ იყოს, მომწიფდა საზოგადოებრივი აზროვნება ჩვენს ინტელიგენციაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ უკვე მესამოციან წლებში შევდგით ფეხი და უკვე ჩვენშიაც, უმაღლესს მთავრობის განკარგულებით, მომავალ რეფორმის მზადებასა და გამორკვევაში იყვნენ. თ-დ ვორონცოვის წასვლის შემდეგ 1855 წელს, მის ადგილზე დანიშნული იყო თ-დი ბარიატინსკი. როდესაც გამოქვეყნდა რუსეთში 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტი, ბარიატინსკის მოუვიდა ბრძანება, თავად-აზნაურთა წრეებში მოემზადებინა ნიადაგი რეფორმის განსახორციელებლად. საკითხი უნდა გარკვეულიყო თ. -აზნაურთა სამაზრო და საგუბერნიო კრებებში. ამ კრებებზე უნდა შეემუშავებინათ საჭირო პირობები გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ კრების მთავარი ხელმძღვანელი იყო „ამიერ-კავკასიის“ მებატონეთა მდგომარეობის მომწყობი კომიტეტი (Закавказский Комитетъ по устройству помѣщичьихъ крестьянъ). ამ კომიტეტის მოვალეობა იყო ედევნებინა თვალყური იმისათვის, რათა ადგილობრივი კრებების და კომიტეტების მუშაობის აზრი შეთანხმებული ყოფილიყო 19 თებერვლის დებულებასთან. 29 მარტს 1861 წელს ტფილისის გუბერნატორს ორლოვსკის მოწერილობა მოუვიდა, რათა გაეხსნა თავ.-აზნაურთა კრებები საკითხის შესამუშავებლად და შესასწავლად. 1861 წლის ბოლოში ცენტრალურ ამიერ-კავკასიის კომიტეტს უკვე ხელში ჰქონდა გორის მაზრის თავად-აზნაურთა პროექტი. მაგრამ 1862 წელს ავადმყოფობის გამო კავკასიიდან წავიდა თ. ბარიატინსკი და მის თანამდებობას ასრულებდა გენ.-ად. თ-გრ. ორბელიანი. ამ ხანში თავ.-აზნაურთა კრებებში მუშაობა თითქოს შეფერხდა და ისე ფიცხლად აღარ წარმოებდა. ამას ამბობს ცენტრალურ კომიტეტის

⁴⁴ № 6 1860 წ.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ № 12. 1860 წ.

თავმჯდომარე ბარ. ნიკოლაი⁴⁷. ასე თუ ისე ამ საკითხის გასარკვევად 20 აპრილს 1862 წელს საგუბერნიო კრება შეიკრიბა. ბ. ავალიანის აზრით, თავად-აზნაურთა წრეებში აშკარა მოწინააღმდეგე ბატონ-ყმობის გაუქმებისა არავინ იყო. ხოლო ეს თავად-აზნაურობის ლიბერალიზმით და მის პოლიტიკურ სიმწიფით კი არ აიხსნებოდა, არამედ იმით, რომ ყველანი გრძნობდნენ უსაფუძვლოებას წინააღმდეგობის გაწევისა. ამიტომ თავისი ძალღონე თავად-აზნაურობამ პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლაში კი არ დახარჯა, არამედ რეფორმის გაყვანის დროს მემამულეთა ინტერესების დაცვაში.⁴⁸ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა პროექტებსა და სიტყვებში გამოსჭვრეტდა იმგვარი მიდრეკილება, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა განზრახულ რეფორმის დედა-აზრს. გორის პროექტში გატარებულია ის აზრი, რომ ბატონ-ყმობა იყო საფუძველი ძველ საქართველოსა და რომ ამ საფუძველის ძალით დაიცვეს ქართველებმა თავიანთი ვინაობა საუკუნოების განმავლობაში⁴⁹. პროექტის აზრით, მებატონეთა და ყმათა შორის დამოკიდებულება ჩვენში იყო მამა-შვილური და ძმური. თავად-აზნაურობამ თავის სამსახურით სახელმწიფოს წინაშე დაიმსახურა ბატონობის უფლება. ერთ გვარსაც ვერ ნახავთ, რომლის წინაპრებს არ ჰქონდეთ ღვაწლი სარწმუნოებისა და სამშობლოს წინაშე. სამშობლო და სარწმუნოება იყო დევიზი თავად-აზნაურობისა. და გლეხებიც კმაყოფილნი იყვნენ. ამაყობდნენ კიდევაც თავის ბატონით, უპატრონო კი ნუ გგონივარ, მე ამა და ამისი ვარო. და ეხლა ყოველივე ეს უნდა დაირღვეს. რეფორმამ უნდა მოსპოს მამა-შვილური დამოკიდებულება გლეხთა და მებატონეთა შორის, „შვილები“ „მამებს“ უნდა გაეყარნენ. და ეს რომ მსხვერპლია, დიდი მსხვერპლი. თავად-აზნაურობა აასრულებს თავის უქვეშევრდომილეს მოვალეობას, მეფესთან ერთად იტყვის, დაე, განთავისუფლდნენ ჩვენი ყმები. დიახ, იგი მზად არის შესწიროს ეს მსხვერპლი, მაგრამ იმედი აქვს, რომ რაკი ხელმწიფეს განუზრახავს ერთ წოდების მდგომარეობის გაუმჯობესება, უყურადღებოდ არ დასტოვებს მეორე წოდებას, მაღალ წოდებას, რომელიც ასეთ ზარალში შედის და თითქმის უარარაოდ რჩება. ერთის სიტყვით, თავად-აზნაურობა დათმობის გზაზეა, მხოლოდ ელის საზღაურს, პირად თავისუფლებისათვის ელის საზღაურს. მუქთ შრომას დაჰკარგავს და ამის ნაცვლად ელის კომპენსაციას. აქ მიწის მიზომვის საკითხი არც-კი არის აღმრული. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა შორის აღმოჩნდა ერთად-ერთი კაცი თავ. ზაალ ჭავჭავაძე, რომელიც იყო მომხრე რეალურ განთავისუფლებისა, ე. ი. ნადელების მიზომვით. დიდი უმრავლესობა კი ანთავისუფლებდა გლეხებს უმიწოდ და ამისათვის საზღაურს ითხოვდა. პირადად განთავისუფლებული გლეხები კი ხიზანთა მსგავსს მოიჯარადრეებათ უნდა გამხდარიყვნენ ე. ი. იმგვარ მოიჯარადრეებათ მებატონეთა მიწებისა, რომელთაც არავითარი საიჯარო ხელშეკრულება არ ეძლეოდათ ხელში მებატონის მხრივ. ერთი სიტყვით, თავად-აზნაურობის სურვილი არამც თუ სამართლიანობის მოთხოვნას არ ეგუებოდა, თვით მთავრობის პროექტის სურვილებს ჩამოუვარდებოდა. ცენტრალურმა კომიტეტმა გადააკეთა და შეასწორა თავად-აზნაურთა პროექტები, თუმცა პირად განთავისუფლებისთვის 2

⁴⁷ С. Л. Авалиани Крестьянская реформа в Закавказье. ეს მონოგრაფია თ.-აზნაურთა საკრებულოს არქივის მიხედვით არის შედგენილი. აქ და ქვემოთ ვსარგებლობთ ამ საყურადღებო წიგნაკით.

⁴⁸ იქვე გვ. 14.

⁴⁹ საყურადღებოა, რომ სლავიანოფილების ფორმულა მართლ-მადიდებლობა, თვით-მპყრობელობა და ხალხოსნობა პირველ ხანებში სხვაგვარად გამოითქმოდა: მართლ-მადიდებლობა, თვით-მპყრობელობა და ბატონ-ყმობა. ავტ.

მილიონის მოთხოვნა შეუწყნარა მემამულეებს. ამ საკითხს ამუშავებდნენ ჩვენში 2 1/2 წლის განმავლობაში. 1863 წელს ყოველი მასალა ცენტრალურ კომიტეტის ხელში იყო. განთავისუფლების მანიფესტი გამოვიდა 1864 წელს.

ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის უფრო გასაგები გახდება, თუ რატომ აკლდა „ცისკარს“ მოქალაქობრივი გაბედულება და ამასთან როგორ მოხდა, რომ თითქმის სტიქიურად, რედაქტორის უძღურების წყალობით, ჟურნალში მაინც შეიპარა თავისუფლების ღაღადიც. რედაქცია და თვით ჩვენი საზოგადოებრივობა გარემოცული იყო დიადის ამბებით. რედაქციასაც და ამ საზოგადოებრივობასაც, მართალია, ჯერ კიდევ მაგარი ციხე-გალავანი იცავდა, მაგრამ აღელვებული ზღვის გრგვინვა მაინც მოისმოდა, ტალღები კედლებს აწევბოდნენ, ღრიალით ეხლებოდნენ და ამ ციხე-გალავანში თავმოყრილნი ზოგნი თავის გადარჩენის გულისათვის, ზოგნი ბედის საცდელად და ზოგნიც აღფრთოვანებულნი დიადის სანახობით, თითქოს მზად იყვნენ ნავებით გასულიყვნენ აღშფოთებულ ზღვაში.

6.

უხეირო და გაუბედავი იყო „ცისკარი“, მაგრამ მის დაარსების დღიდან საზოგადოებრივი აზრი მაინც შესამჩნევად მომწიფდა. ეს მომწიფება მარტოდენ ჟურნალის გავლენას არ მიეწერება, თუმცა ჟურნალსაც ჰქონდა აღმზრდელი მნიშვნელობა. უფრო კი დრომ და გარემომამ გამოიწვია აზრის მოძრაობა. როგორც წინა წერილში ვნახეთ 1861 წლიდან მოყოლებული სამაზრო და საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებებზე უკვე იყო ლაპარაკი „გლეხთა რეფორმის“ შესახებ. საზოგადოება სერიოზულ პრობლემის წინაშე იდგა. ეკონომიურ ცხოვრების ახალ ფორმების მოახლოვებას ჰგრძნობდა, ჰგრძნობდა ცხოვრების ძირითად ცვლილების აუცილებლობას და ამიტომ თავისდა უნებურად გაურკვევლობის და ძიების ხანაში ბევრი რამ ახალიც შეიძინა და ბევრი რამ ახალს შეეთვისა. და ეს სჩანს თვით „ცისკრის“ შინაარსიდანაც. წინანდელი „მაფრთხოებელა“, მოუსვენარი მოლაყბე აღარავის აშინებს, არავის აღელვებს. მასაც თითქოს ძველებური ხალისი დაეკარგა. ისე ხშირად აღარსა სწერს. და აქ რედაქტორი არაფერ შუაში იყო. მოლაყბეს რედაქციის გარეშეც ჰქონდა საქმეები. მოლაყბე, როგორც ეხსომება მკითხველს, ხომ თ-დი მიხეილ თუმანიშვილია და თუმანიშვილი საქმის მწარმოებელი იყო იმ მთავარ კომიტეტისა, რომელიც შესდგა მთავრობის ინიციატივით ბატონ-ყმობის საკითხის შესამუშავებლად და მოსაწესრიგებლად. მაგრამ საგულისხმო გარემოება ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ საჯარო კრებებზე უკვე ლაპარაკი იყო ბატონ-ყმობაზე, ჟურნალამდე საზოგადოების ხმა არ აღწევდა. ამ ლაპარაკის ანგარიშებიც კი არ იბეჭდებოდა. ეს აიხსნება, რასაკვირველია, ცენზურულ პირობებით. აშკარაა ამ საგანზე ლაპარაკის ნებას არ აძლევდნენ. ერთ თავის მიმოხილვაში წერილის ბოლოში მოლაყბემ სთქვა: „კიდენ რომ ვერ მოგახსენეთ, რაც დამავიწყდა. ვსთქუა? ნებას მიბოძებთ? არ გამირიხსდებით? როგორღაც ვერიდები თქვენს წყენას. ეჰ! ადრეა თუ გვიან ხომ უნდა მოხდეს, დარწმუნებულნი ბრძანდებით, ამას გარდა ჩემის თქმით, თუ უთქმელობით რა იქნება, მაშ მოგახსენებთ:

ბატონყმობა! დიად, ბატონყმობა! უმთავრესი და უპირველესი საგანი ჩუწნთვის და ჩუწნის შვილთათვის. შემგდომში ამაზედაც მოგელაპარაკებით და მოგახსენებთ იმ ბატონ-ყმობის პროექტის ღირსებაზე, რომელზედაც დიდის ყურადღებით ლაპარაკობენ ხალხში. მაშ ნახუამდინ“.⁵⁰ მაგრამ თავისი დაპირება მოლაყბემ ვერ ასრულა. რედაქტორი რომ ყოფილიყო ამის მიზეზი, გავიგებდით, რადგან შინაურ საქმეებს რედაქცია იმ ხანაში გულახდილად აცნობდა საზოგადოებას. თვით მოლაყბეც შესჩივლებდა მას. მაგრამ, ვიმეორებ, ამის ნიშნებს ვერა ვხედავთ. ასე რომ უნდა ვიფიქროთ სრულიად აღკრძალული იყო იმ ხანაში ამ საგანზე ლაპარაკი.

რათა სრული იყოს იმ დროის ინტელიგენციის აზროვნების ფიზიონომია, საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ ერთი საგულისხმო მოვლენა, რომელსაც ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე შესამჩნევი ზეგავლენა ჰქონდა. 1861 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა ლავ. არდაზიანის „სოლომონ მეჯღანუაშვილი“. ეს თხზულება ბევრი რამეთია საყურადღებო. არდაზიანმა აღნიშნა ახალი სოციალური კლასის გამოსვლა. ესენი არიან მოქალაქენი (мещане). მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოქალაქენი ჯერ კიდევ არავითარ ძალას არ წარმოადგენენ. ოცდა ათიან წლებში გარემოება იცვლება. თავად-აზნაურბა უკვე ღარიბდება და ნელის ნაბიჯით იზრდება ახალი ელემენტი - მოქალაქე. ეს მოქალაქე, უმეტეს შემთხვევაში სომეხია, თუმცა იმ ხანაში ქართველ და სომეხ მოქალაქეთა შორის დიდი გარჩევა არ იყო. არდაზიანის გმირი თუმცა ქართველია, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი ტფილისელი მოქალაქეა, რომელიც ძალიან ადვილად შეიძლება სომეხიც იყოს. ეს თხზულება ყურადსაღებია იმ მხრივ, რომ ახალ მოქმედ ტიპთა გამოხატვის გარდა იგი დაწერილია რეალისტურის ფორმით. იმ ხანაში აგრე რიგად შემჩნეული არ იყო არდაზიანის მოთხრობა, მაგრამ შემდეგ წლებში, სამოცდა ათიანში და უფრო გვიან, მას მიაქცია ყურადღება კრიტიკამაც და მწერლებმაც. ეგრედწოდებული ყოფა-ცხოვრების კომედია ავქსენტი ცაგარელის წერისა გაგრძელებაა არდაზიანის სალიტერატურო ტრადიციებისა.

მაგრამ „ცისკრის“ ცხოვრებაში სხვაფრივ ხდება ცვლილება. ბატონ-ყმობის საკითხიც რომ არ ყოფილიყო, ახალი მაინც ბევრი რამ იყო სათქმელი და ითქვა კიდევ, ითქვა სრულიად ახალი მწერლების და პირების მიერ.

უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რო იმ ხანაში პეტერბურგში უკვე არსებობდა ქართველ სტუდენტთა წრე. ილია ჭავჭავაძე, ნ.ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და სხვანი წასულნი იყვნენ რუსეთში უმაღლეს სწავლის მისაღებად. ჯერ კიდევ 1857 წლის „ცისკარში“ ვპოვებთ აკაკისა და ილიას ლექსებს. მესამოციანებში ლექსების წერას მოუხშირეს. ეტყობოდა, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე ყურადღებით და მხურვლე გულით ადევნებდა ყოველივეს, რაც იწერებოდა ერთად-ერთ ქართულ ჟურნალში. აშკარაა, ბელინკის, დობროლუბოვის და ჩერნიშევსკის წერილებზე აღზდილი ყმაწვილკაცობას ვერ დააკმაყოფილებდა უბადრუკი „ცისკარი“, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფებულიყო

⁵⁰ N 1. 1862 წ.

სქოლასტიურ და მიკიბულ-მოკიბულ მსჯელობისგან. და ჩვენ მოწმენი ვხდებით ფრიად საინტერესო საზოგადოებრივ მოვლენისა. ჩვენს წინ ნელ-ნელა იშლება სურათი ძველის და ახლის შეტაკებისა: „შვილების“ და „მამების“ ერთმანეთის გაუგებრობისა.⁵¹ საყურადღებოა, რომ პირველად ეს შეუთანხმებლობა აღმოჩნდება წმინდა ლიტერატურულ ნიადაგზე, ერთმანეთს ენის უვარგისობას უწუნებენ. მაგრამ თანდათან გამოირკვევა ღრმა და გაუვალე უფსკრული ორ მსოფლმხედველობათა შორის. ძველ საქართველოს წინაშე ჩნდება ახალი ძალა, რომელსაც შეაქვს არა თუ ახალი ენა, ახალი აზრიც, ახალი გრძნობა და ახალი იდეალები.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენში „ცისკრის“ გარდა სხვა ორგანო არ არსებობდა. და ახალგაზრდობაც „ცისკრისკენ“ გაემურა. „ცისკარს“ წინადაც ჰქონდა ჩვეულება, სხვა და სხვა ხასიათის წერილებს ჰბეჭდავდა. წერილების კრიტიკაც იქვე ისტამბებოდა, რედაქტორისადმი მოწერილი აუარებელი წერილიც, სადაც ზოგი რას ედავებოდა რედაქციას, ზოგი რას, ზოგი ამტყუნებდა, ზოგი აქეზებდა, ზოგი აშინებდა, „ცისკარზე“ ხელს აღარ მოვაწერო თუ კიდევ დაგიბეჭდიათ ამა და ამ ხასათს წერილიო. საყურადღებოა ამ მხრივ, კახეთიდან მოწერილი საყვედური. ანუკა ბატონისშვილი, იმას წინად დაბეჭდილი, თვალში არ მოუვიდათ კახელ თავად-აზნაურებს. იმ წამსვე საყვედურის წერილი გამოაცხეს და გამოუგზავნეს რედაქტორს. საპასუხოდ რედაქციამ გამოაცხადა: „რედაქცია მოახსენებს პასუხად, როგორც ამ სტატიის ავტორს, ისე პატივცემულ კახელებს, რომ ზოგჯერ რედაქციაში იმგვარი თხზულება მიიღების ხოლმე, რომელიც დაგვაფიქრებს, ასე რომ, თუ დავბეჭდავთ ზოგიერთი მკითხველი დაგვემდურება და თუ არა, მთხზველის მცნობნი და ამხანაგნი და ეს ორნი მოპარტიენიც, ერთიც და მეორეც გვემდურებიან ცისკარზედ ხელის მოწერის აღებაზედ, თითქოს ეს ჟურნალი გამოდიოდეს მხოლოდ ჩემთვის და ჩემი სარგებლობისათვის. ახლა ვთხოვ, უფალს ავტორს, ერთი ამგვარი რჩევა მოსცეს რედაქციას, რომლის საშუალებით არც ერთი მხრის დამდურება მოხდესო“.⁵² მართლაც გასაჭირ მდგომარეობაში იყო ივ.კერესელიძე. ხელის მომწერთა დაკარგვის შიშით ყველას უთმობდა და ეს კი ჟურნალს ავნებდა, რადგან მეტის-მეტად აჭრელებდა უმნიშვნელო და უთავბოლო წერილების მოთავსებით. თუმცა, ისიც კი მართალია, რომ იმ ხანში სხვაგვარი ჟურნალის გამოცემისთვის იმ ხასიათის უნარი და მომზადება იყო საჭირო, რომელიც აკლდა ივ. კერესელიძეს. საზოგადოებრე აზრის გაზიარების მნიშვნელობა არავის ესმოდა. ჟურნალს ისე უყურებდნენ, თითქოს მოკითხვის თუ გმობის პირად ბარათების კრებული ყოფილიყო. რედაქცია სულ იმის ცდაში იყო, რომ არა ეწყეინებინა-რა იმ წოდებისათვის, რომელთანაც იყო დამოკიდებული მატერიალურად, მეორეც - არ ეწყეინებინა კერძო პირებისთვისაც. ასე რომ, როდესაც ახალი მწერლები გაჩნდნენ და „ცისკარში“ მოინდომეს წერა, ჟურნალმა უარი ვერ უთხრა იმავ მოსაზრებით. მაგრამ ახლა სხვა რამეც იყო, აქ მოსჩანდა უკვე ახალი ჯგუფი. ახალი რაზმი „ცისკრის“ ვიწრო ჩარჩოებში ძვლივს ეტეოდა. ჟურნალი უნებლიეთ ითმენდა მათ შემოსევას, იქვე პასუხსაც აძლევდა, ცხარედ ეკამათებოდა და ბოლოს ერთსა და იგივე ორგანოში ორმა, მკაფიოდ განსაზღვრულმა

⁵¹ როგორც ვნახეთ, წინა წლებშიაც ჰქონდა ადგილი ამ მოვლენას ჩვენს ლიტერატურაში, ხოლო მაშინ მას კერძოობითი ხასიათი ჰქონდა, ახლა კი მივევს ჯგუფობრივი. ავტ.

⁵² N 3, 1861 წ.

და სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივმა ნაკადულმა იჩინა თავი. ეს ორი მიმართულება 1861 და 1862 წელს ჯერ კიდევ განუყრელნი იყვნენ, ჩხუბსა და ვაივაგლახში სცხოვრობდნენ ერთ ჭერ ქვეშ, ხოლო 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ დაარსებიდან გაიყარნენ, განშორდნენ ერთმანეთს, უკვე დარაზმდნენ და შეიქმნა „თაობათა“ ბრძოლა, პირველი საზოგადოებრივი-კულტურული ნაბიჯი ქართულ აზროვნებისა. ყოველივე ამას ჩვენ დაწვრილებით მოუთხრობთ მკითხველს, ეხლა კი დავუბრუნდეთ 1861 წელს და გადავსინჯოთ ამ წლის „ცისკრის“ ნომრები.

1861 წლის აპრილის „ცისკარში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი, „ორიოდე სიტყვა თ.რევაზ მალვას მის ერისთავის კოზლოვიდან „შემლილის“ თარგმანზედა“. წერილის დასაწყისშივე ავტორი ამბობს სხოლიოში: „უ⁵³, უ⁵⁴, დ, ჯ, ჯ-ეს ასოები სულ არ გვიხმარია ჩვენს სტატიებში; თუ ვინიცობაა ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“.⁵³ თავის წერილში ილია ჭავჭავაძე იმას ამბობს, რომ კოზლოვის პოეზია და მისი „შემლილი“ დიდი ღირსებისა არ არის, რომ ამ პოეტის ნაწარმოებს, ორი-სამ ლექსის გარდა ცრუ-კლასიკური ლიტერატურის ბეჭედი, ატყვია. ხოლო ცრუ -კლასიციზმი იმგვარი მიმართულებაა, უკვე დრო მოჰყოლია, რომლის შემოტანა ქართულს ლიტერატურაში სასურველი არ არისო.

„იქნება ფიქრობენ, ამბობს ავტორი, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღზდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცდომილება, თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წიპართა ცდომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვას, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, - ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის, თუ მაგას მივყევით ჩვენც ჩინებსავით შევზდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ველარ წავზდგამთო“ .⁵⁴

ჩვენი ავტორი „შემლილის“ თარგმანს ენას უწუნებს. „ხან გვეცინებოდა, რომ ეგრედ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენაო“. „ცისკარს“ უსაყვედურებს, ამგვარი ნაწარმოები არ უნდა იბეჭდებოდეს ჟურნალში. მაგრამ ისიც კარგია, რომ „ორიოდე თ. აღ. ჭავჭავაძის, თ. ნ. ბარათაშვილის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს რა. ახალი პროზაიკები და მოლექსები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს. პუშკინისა არ იყოს, ამათი ცოდვები ისე მალე დაივიწყოს, როგორც იმათი ლექსები დაბეჭდვის უმაღლე დაივიწყებიენ ხოლმე. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ახალ რითმების მორახუნებლებს არავის ისეთი ენა არა ჰქონია, როგორც თ. ერისთავს აქვსო“⁵⁵. თავის წერილის ბოლოში ავტორი დასძენს: „სამი ღვთაებრივი

⁵³ N 12, 1861 წ.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე

საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო⁵⁶.

ზემოდ მოყვანილი წერილი, დღევანდელის თვალთ რომ შევხედოთ, არაფერს თვალსაჩინოს არ წარმოადგენს. მაგრამ იმ ხანაში ამ წერილს ისეთი გახმაურება ჰქონდა ქართველ მწერალთა წერებში, თითქოს კარგად გატენილი ყუმბარა გასქდაო, ჯერ გააქცია, მერე შეაჯგუფა ხალხი ყუმბარის მსროლელის დასაჭერად და მის დასასჯელად. შემდეგსავე ნომრებში ზედი-ზედ სამი წერილი დაიბეჭდა ჭავჭავაძის წინააღმდეგ - წერილები თ.დ. გიორგი ბარათაშვილისა, თ. დ. რევაზ ერისთავისა და კნენა ბარბარე ჯორჯაძისა, ფრიად საყურადღებოა ამ მწერალ-ქალის წერილი. იგი იყო ტიპიური წარმომადგენელი ძველ ქართულ მწიგნობრობისა. რუსული თითქმის არც კი იცოდა. აღზრდილი ანტონ კათალიკოსის „კატილორიებზე“, მცოდნე ძველ მწერლობისა, უმეტესად ღვთის მეტყველ მწერლობისა, იგი სრულიად ჩამორჩენილი იყო თანამედროვე ცხოვრებას.⁵⁷ და ბედმაც თითქოს ისეთი საქმე მიუსაჯა კნ.ბარბარე ჯორჯაძეს, რომელშიაც მას, თავისდა სურვილის წინააღმდეგ უნდა გამოეშვარავებინა უძლურება ძველის აზროვნებისა. იგი გამოვიდა ჭავჭავაძის წინააღმდეგ და ამ კამათის დროიდან შეგვიძლიან ნათლად დავინახოთ საზღვარი. ორი მხარე ჩვენის ცხოვრებისა - ერთი ის, რომელიც წარსულში იყურება, მეორე კი ის, რომელსაც მომავლისაკენ უჭირავს თვალები.

კნ. ჯორჯაძის საპასუხო წერილში „თ-დ იალია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“ სამღვთო წერილიდან ამოღებული ეპიგრაფი აქვს: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთო“. მაგრამ ამ მცნებას პატივცემული კნენა წერის დროს არ მისდევს, რადგან ყოველი ღონისძიებას ხმარობს დაამციროს თავისი მოპირდაპირე. ჩვენი მწერალი-ქალი პირადადაც იყო ნაწყენი ჭავჭავაძის წერილით: ისიც ჰბეჭდავდა ლექსებს. ამკარაა, „ახალ რითმების მორახუნეები“ რომ გაიხსენა ჭავჭავაძემ ჩვენი პოეტსაც ჰყავდა მხედველობაში.

„თუ ლიტერატურობაზედ თავს ჰსდებს, ამბობს ჩვენი მწერალი ქალი, რატომ არ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას. ის გვიწერს, რომ ვითომც ჩუწნ ვახდენთ ენას, არამც თუ ვაკეთებდეთ თუ უკაცრავოთ არ ვიქნებით, მგონია თითონ უფრო ახდენს. წახდენა არ არის, თქუწნი ჭირიმეთ, პირუცლის შესავალის გვერდზედ სხოლიოში რომ იძახის: უ[^], უ^ფ, ე, ჯ, ჯ სულ არ გვიხმარიაო და თუ ვინიცოდა არის ეს ენის წინააღმდეგაო მიაჩნდეს ვისმეს, ჩუწნ ყოველთვის მზათა ვართ გავცეთ პასუხიო. ჩვენ როგორც შეგვიტყვია, განაგრძობს დაცინვის კილოთი ჩვენი ავტორი, ილია ჭავჭავაძე, ბატონებო, გაზდილი გახლავსთ უნუვერსიტეტში, სადაც ასწავლიან მრავალს საგანს და რასაკვირველია სწავლას მიიღებდა, მაგრამ აჲ საკვირველი! უპირუწლესი საგანი არ

⁵⁶ იქვე

⁵⁷ *) იქვე **) იქვე.

შეუძინებია და ლიტერატორობს კი! თუ ნებას მოგვცემს მოვახსენებთ, თუმცა კი მაღალ სასწავლებელში არა ვყოფილვართ, და არათუ მაღალ სასწავლებელში, შინადამაც გარეთ არ გავსულვართ, რომ ყოველთვის მწერალისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა. ეს რომ ყურადღებით წაეკითხა, უეჭველი არ იტყოდა უ⁵⁸, უ⁵⁹, ჯ და ჯ-ის ხმარება საჭირო არ არისო“.⁵⁸

ზურგ გამაგრებული „თეორეტიკის“ ცოდნით, პატივცემული კნენა საყვედურს ეუბნება თავის მოპირდაპირეს, იმისთანა სიტყვებს ხმარობ, რომ არ გვესმისოთ.

„ვსთხოვთ შეასმინოს, ამბობს იგი, ჩემს გაუნათლებელ გონებას, მაგ განათლებულმა პატივცემულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქვს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხუანი-ხომ იცის რომ ჩუწნ ცისკარის მკითხულები, უფრო მეტნი ეგულებიან სოფლებში, სადაც ესტეტიკური, იქნება საჭმელათაც მივიღოთ. განა ყველა მაგასავით განათლებულნი ვართ. მაშ თვთონ რაღათ დაიცინება, „ცისკარში“ შეგვხუჭდრია გარმონიული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრამ ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითო... ენა საღმრთო რამ არისო... თუ ენას სახავს საღმრთოდ, როგორს შემოურევს ამ უშვერს, გარყვნილს და ბიჭუჭების სიტყუწბს: წრიპლიანი მორახუნები აგანგალა განგალაი და სხუა. აჲ კიდევ ეს სიტყვები ისე ნაირად ჭრიჭინებენ თავად ერისთავის ლექსები როგორც... მე მრცხუწნიან ამ საძაგელ ლექსების განმეორება. ლიტერატორი და ამ ჩუწნს მშუწნიერს რომელზედაც იძახის არავის დაუთმოთ შეურაცხებასაო“⁵⁹.

აღმრულ კამათის დასახასიათებლად აღვნიშნოთ აგრეთე რამდენიმე მოსაზრება თ. გიორგი ბარათაშვილისა (ან. ბარათოვისა, როგორც თვითონ აწერს ხელს).

„გაჲაღე განჯინა. უჰ! რა საზარელი ნოტიო სუნი მეცა! მაგრამ შევეძელ როგორც იყო და ამოვალაგე დაობებული ცისკრები. მრავალი მათგანი იყო შეჭმული თავუწბისაგან და აჲ რა საკვირველება! შემდეგ 3 დღისა, რომელიც მოუნდა ცისკრების გაშრობას, ვნახე რომ არც თუ ერთი ლექსი უფ. ილია ჭავჭავაძისა არ იყო თავუწბისგან კბილ ნახლები ალ. ჭავჭავაძისა, ნიკ. ბარათაშვილისა და სხუათა მწერალთა სჩანდა მხოლოდ გვარი და დაწყება ლექსებისა; დანაშთენი იყო მთლად დახრული. დიდად გაჲკვირდი ესრეთის სანახაობით ვიფიქრე: თავგები მუზიკის დიდი პატივისმცემლები არიან და ეტყობა, რომ უფ. ჭავჭავაძის ლექსები უნდა იყვნენ, უეჭველათ, სხუა ღირსებათა გარდა, დიდი კეთილ ხმოვანნი“.⁶⁰

და ამ ოხუნჯობის შემდეგ თ. ბარათაშვილი არჩევს ჭავჭავაძის ლექსებს და სცდილობს მათ ღირსება დაუკარგოს. ხოლო გზა და გზა პოეტურ შემოქმედების საკითხს ეხება და ამბობს: „პოეტუკურ თხზულებაში აზრი გამოიხატება საგნებითა, რომელიც მხოლოდ გვესმის და ვერ კი წარმოგვიდგენს მის ფორმასო“. ხოლო ჭავჭავაძის შესახებ ამბობს:

⁵⁸N 5 1861 წ.

⁵⁹ იქვე

⁶⁰ N6. 1861 წ.

„უფ. ჭავჭავაძე ნაცულად მადლობისა, რომ იმის ლექსებს ყური არავინ არ ათხოვდა, შეემზადა პეტერბურღში, როგორათაც დონკიხოთი, მარცხენა ხელში ეპყრა ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესეთ დაიარაღებული, გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ-და-ძალ აედო დაფნის გვირგვინიო“.⁶¹ რაც შეეხება კრიტიკას: ზოგნი პოულობენ უფ. ჭავჭავაძეს კრიტიკაში ნამდვილს ქართულ ენას და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ უგუანი სიტყვა აზრს ძალას არ უკარგავსო. ამის დასარღვევად ვიტყვ, რომ ვის იამება ჭკვინ კაცთან ლაპარაკი თუ მას ამოზდის ნივრისა და არაყის სუნი. რაც შეეხება ნამდვილ ქართულ ენას მას ბაზარში და ჩორჩო ბაზარში კი ნუ დაუწყებთ ძებნასო“.⁶²

ასე ახმაურდნენ ყველა ისინი, ვინც შეგნებულად, თუ ინსტიქტიურად ილია ჭავჭავაძის სახით იგრძნეს და დაინახეს მოახლოვება დიდ ცვლილებისა, რომელიც უნდა მომხდარიყო ქართულს აზოვნებაში და რომლის წინაშე ასე აშკარად შეკრთნენ და შეშინდნენ ძველ საქართველოს წარმომადგენელნი. ჩვენთვის თანდათან ნათელი გახდება, რომ „ძველებს“ არ ესმოდათ ის, თუ რა უნდა მომხდარიყო ქართულ აზროვნებაში ამ აზროვნების გამოცოცხლებისათვის. მათ ესმოდათ მხოლოდ, რომ დადგა განკითხვის დრო და თუ რომ დათმობის გზაზე დადგნენ, მათ არსებობას და ბატონობას ბოლო მოეღებოდა, მათ აშინებდა ახალი სიტყვების შემოტანა რადგან არ ესმოდათ არც სიტყვების მნიშვნელობა, არც ის, რომ ახალ აზროვნებას ახალი ფორმა უნდა გამოეთქმისა, მაგრამ ამასთან გადამახინჯებულ რუსულ სიტყვებს თავისუფლად ხმარობდნენ ქართულ მწერლობაში და ეს გარემოება ენის „გადამახინჯებად“ არ მიაჩნდად. ერთის სიტყვით, ჩვენს წინაშე იშლება სურათი ორ მსოფლმხედველობათა შეტაკებისა. სქოლასტიკა და თავისუფალი მსჯელობა შეეზნენ ერთმანეთს. ეს იყო პატარა მასშტაბით, ქართველთა ცხოვრების პირობებთან შეგუებით, რეფორმაციის დროშის აფრიალება ახალ საქართველოს სახის და ვინაობის გამოსარკვევად. რომ ეს ასეა, ამას ჩვენ აშკარად დავინახავთ, განვაგრძობთ რა საჭირო მასალის შესწავლას.

7

ილია ჭავჭავაძემ უპასუხოდ არ დასტოვა თავისი მოპირდაპირენი. ივ. კერესელიძემ დაუბეჭდა პასუხი, მაგრამ ეს პასუხი ააჭრელა თავის კრიტიკულის შენიშვნებით. იგი აშკარად მიემხრო ძველებს და ამაში მოულოდნელი არაფერია. თავის პასუხს ჭავჭავაძე უკეთებს საყურადღებო ეპიგრაფს, ბელინსკის ნაწერებიდან ამოწერილს. ეპიგრაფი ამგვარია:

„Из нашей литературы хотя́ть устроить балную залу, и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотя́ть сделать светских людей в модных фраках и белых перчатках; энергию хотя́ть заминить вежливостью, чувство – приличием, мысль модною фразою, изящество –

⁶¹ იქვე

⁶² იქვე

щеголеватостью, критику комплиментами.“⁶³ და ამ ეპიგრაფის შემდეგ ჩვენი ავტორი ამბობს: „ბარაქალა, ჩემო სტატია, ბარაქალა. ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინა, ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართალის თქმით გული აუმღვრიე. ვისაც შინიდან ფეხი კარში არ გამოუდგამს და რაღაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს რა, ისიც კი ავალაპარაკე თეორეტიკის გარე საგანზე. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთს სტატიაზედ რა ამბავია“?..⁶⁴ ამ შესავალის შემდეგ ჩვენი ავტორი განსაკუთრებულს სიმკაცრით არჩევს კნ. ბარბარე ჯორჯადის მისდამი მიმართულ კრიტიკულ წერილს.

„სწორედ მოგახსენოთ, ამბობს იგი, ეგ თეორეტიკა არ ვიცოდი რა არის, მაგრამ თეორეტიკით დახელოვნებული ჩემი მოპირდაპირე ისეთი კეთილი გულისა ყოფილა, რომ განსაზღვრავს იმ თეორეტიკას ანუ სწავლას ხელოვნებითის სიტყვიერებისას ამ რიგად: თეორეტიკა გვასწავლისო ა, ბ, გ, დ, და სხვანი, რა რიგად იხმარებიან სიტყვებშიაო, რა რიგად შეადგენენ მარცვალსაო,- და ამ სწავლასა ხელოვნებითის სიტყვიერების სწავლას ეძახის ჩვენი მწერალი ქალი!!! აი რა მნელი ყოფილა შინიდან გამოუსვლელი და უნივერსიტეტის დაცინება, აქედანა სჩანს, რომ არც ხელოვნება ესმის ჩვენს მწერალს ქალს და არც სიტყვიერება. ასოს ხმარების გამსაზღვრელი საგანი ტყუილადა სჩემობს ხელოვნების სწავლის სახელსა. ასოს ხმარებას სწავლა არ უნდა. თითონ სიტყვა გვასწავლის, სად რომელი ასო უნდა ვიხმაროთ, მერე თვით ასოს ხმარება გარეგანი საგანია,- ეგ მექანიკური მიკერძოებაა... ეგ ხელოსნობაა და არა ხელოვნება. ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია- ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავისი იდეის გამომთქმელად სხვა და სხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა ხმასა, მხატვრობა - ხაზსა, პოეზია - სიტყვასა. სიტყვიერებით ხელოვნება პოეზიასა ჰქვია, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა. მაშასადამე, ან-ბანის განსაზღვრა ხელოვნება არ არის, მაშასადამე კნ. ჯორჯადისას არ უნებებია გაგება იმისი, რაც წაუკითხავს და რაც თავის გულწრფელობით უხმარია. მოგვილოცნია! ხელოვნების სწავლისათვის საკვირველი წიგნების ამორჩევა სცოდნია! თითონ თეორეტიკა - ეგ სხოლასტიკობის ნაშთი - რა არის რო, მასზე აშენებული განვითარება რა იყოს? ყოვლის მწერლისათვის საჭირო და აუცილებელიაო იცოდეს თეორეტიკა, ანუ სწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა, ესე იგი ანბანის განსაზღვრაო, ბრძანებს ჩვენი მწერალი ქალი. იქნება ეგ საჭირო იყოს, როგორც მწერლისათვის მელანი და კალამი საჭიროა, ანუ მათემატიკისათვის ნუმერაცია: ვისაც წერა უნდა, ანბანი უსათუოდ უნდა იცოდეს, მაგას თქმა არ უნდა, რომ, როგორც მარტო ნუმერაციის ცოდნა არ შეიქმს მათემატიკას, ისე მარტო ანბანის ცოდნა არ შეიქმს მწერალსა ...“⁶⁵ უბედურება ჩვენი ის არის, განაგრძობს ჭავჭავაძე, რომ შევბეჭდავთ თუ

⁶³ ჩვენი ლიტერატურა საცეკვაო დარბაზად უნდა გადაკეთონ. და უკვე ქალებსაც ეპატივებიან. ჩვენი ლიტერატურები ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილ მოდის კაცებად უნდა აქციონ. ენერგიის ნაცვლად მოწიწებას ეთაყვანებიან, გრძნობის ნაცვლად ზრდილობიანობას. აზრი მოდის ფრაზებით უნდა შესცვალონ. მოხდენილობა-გადამეტებულ პრანჭობით და კრიტიკის ნაცვლად კომპლიმენტები იხმარონ.

⁶⁴ N 6. 1861 წ.

⁶⁵ იქვე.

არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შეეძინეთო, იმიტომა გვგონია, რომ ჩვენს ლექსში „ა“ თავის ალაგას ხმარებულია, „ბ“ თვის ალაგასა. თუ „ცისკარი“ უარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითა!“⁶⁶

ჭავჭავაძემ გაბედვით დაუწყო დევნა „ცრუ ხელოვნებას“ და „რითმებით მორახუნე“ პოეტებს. ამას, ცრუ პოეტები, რომელთა რიცხვი დიდი იყო, ვერ აპატიებდნენ ახლად მოვლენილ კრიტიკოსს. შურის-საძიებლად დაესივნენ ჭავჭავაძის ლექსებს და მათ მიძგნა დაუწყეს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, იმ დროინდელ „კრიტიკულ“ ნიმუშებისა. ცნობილი ლექსი „მამულო საყვარელო შენ როსლა აყვავდები?“ თ-დ გ.ბარათაშვილს სასაცილოდ აუგდია. ამის გამო ილია ამბობს: „ჩემ ამ ორ ლექსში მწვანე ბალახის ნატვრა დაუნახავს (ბარათოვს) თავის სამ განსაცვიფრებელ ნიშნებითა. იქნება მკითხველი საერთოდ არ იჯერებდეს ამგვარ ამ ლექსის გაგებას, რადგანაც მართლა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ აი, უფ. ბარათოვის სიტყვები: „გაზაფხულში პოეტი გულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას. ნეტავი დაანახვა ეხლა საქართველო როგორ მწვანე ხავერდით ბიბინებს!!!“ „უფ. ბარათოვი, განაგდობს ჭავჭავაძე, სწორედ იმ მოკრივესა ჰგავს, რომელსაც ერთი ხელი მოკლე აქვს და ერთი გრძელი, ისიც მარცხენა; გრძელის ხელით მტერსა სცემს და მეორე მოკლე ხელით თავს თავსა“. (იქვე, გვ.201, 203). კნ. ჯორჯაძემ, თავის მხვრივ, სასაცილოდ აიგდო ჭავჭავაძის შემდეგი ლექსი „მისი ლექსი სუბუქ ფრთითა ხან მეჯლისში შეჰფრინდება“, ამის გამო ილიას მოჰყავს კნ.ჯორჯაძის შემდეგი სიტყვები: „თვალ-დაკვირვებით“, რომ გაგსინჯოთ, ვერ გავიგებთ ამ ლექსში რის თქმა უნდაო?“ სიტყვა ესე „სუბუქ“ ქართული არ არიო, „სუბუქი“-კი არის ქართულიო... მაშ აი თქვენი ნაქები ჩახრუხაძეც, განაგრძობს ილია: „თამარ წყნარი, პირ მცინარი“. თქვენის აზრით „პირ“ ქართული არ არი? აი რუსთაველიც: „მოდგა თეთრ ტაიჭოსანი“. თეთრ ქართული არ არის? აი თ. ორბელიანიც: „უმწედ, უნუგეშ“, ქართული არ არის განა?..(იქვე 226) მერე ჩვენი მწერალი ბრძანებს, ერთის ფრთითა ვინა ფრინავსო? თქვენ, თქვენ თითონ, ჩემო ბატონო. ესე იგი, მარტო ანბანის თეორეტიკით დაფრინავთ ჩვენ სალიტერატურო ჟურნალში. როცა ამბობენ: ჩემის თვალთ ვნახეო, ჩემის ფეხით მოვედიო, თუ მართლა ერთის „ფეხით“ მიხტოდნენ და ერთის „თვალთ“ ხედავდნენ. სულაც არა, მაგრამ ამბობენ კი. მაშასადამე, ჯერ ხალხს მოაშლევიანეთ ეგრედ ულოლიკო ლაპარაკი და მერე მე. წინათვე მოგახსენებთ, ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა (იქვე,227)... მთელს სტატიაში ერთი ნამდვილი შენიშვნა აქვს ჩვენ მწერალ ქალს, განაგრძობს ავტორი ეგ მერცხლის ჭყვილზედ. მართლაც არის, უხერხოდ არის ეგ ზმნა ხმარებული. მაგ ლექსს ღორი გამოუხატავს ჩემს კრიტიკოსების მოგონებაში. თუმცა სწორედ რომ თქვას კაცმა, მარტო ღორი არ მოაგონდება მაგ ზმნით კაცს, რამდენჯერ გაგვიგია, ფრინველი ჭყვივისო, ყმაწვილს ნუ აჭყვივლებთო (იქვე 229).

როგორც ვიცით აყვედრებდნენ ჭავჭავაძეს, გაუგებარ სიტყვებს ხმარობ და ქართულ ენას ყრვნიო, „მწერალი ქალი მთხოვს, ამბობს ჩვენი ავტორი, „შევასმინო მის გაუნათლებელ

⁶⁶ იქვე.

გონებას განათლებულმა სტუდენტმა“ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი, ეს სიტყვები საქმელათ მიუღია ამ მწერალ ქალსა. მე აქ არა მეთქმის რა იმის გარდა, რომ ეგ სიტყვები სუსტ არსებისათვის ძალიან ძნელი მოსანელებელიაო...“(იქვე, 230).

ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა ისეთი „საცოდავი: იყო, რომ ამგვარის ოხუნჯობით აძლევდა პასუხს თავის მსაჯულებს. მაგრამ სერიოზულ სჯა-ბაას, იგი არ გაურბოდა, საჭირო იყო განმარტება, თუ რა არის კრიტიკა და როგორი უნდა იყოს იგი. „კრიტიკა, აზობს ავტორი, ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართლს ენაზე და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა რომ ყოფილიყო, რადგან ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი ცოტა ოდენათ განათლებული ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე არც ჩვენთვის არის დასაძრახი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსაღმე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჯერ მის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი შინჯავს შიგნიდან და გარედან საგანსა, ყოველ მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ. (იქნება აქ პურის მოედნის სასწორი მოაგონდეს უფ. გ. ბარათოვს, ეგ ჩვენი ბრალი არ იქნება). ამ ორგვარ თვისებებს საგნისას ზოგიერთი კრიტიკოსი რა განარჩევს ცუდს და კარგსა, სასწორს დაუთმობს ხოლმე თითონ მკითხველს, ზოგიერთიც თვითონვე ასწონავს ხოლმე. მეც ამ მეორე გვარ განმხილავებს მივმართე ჩემს აპრილის სტატიაში, რომელსაც კიდევ მაინც ვერ გაუბედე კრიტიკის დარქმევაო“, (იქვე, 204).

რაც შეეხება ასოებს - უ, ზ, ჯ, ჰ, დ, ჭ -ს ილია ჭავჭავაძე იმ აზრისაა, რომ ქართული ენა არ დაკარგავს, თუ ენის განსამარტივებლად სრულიად გამოვრიცხეთ ისინი. უ - ს მაგიერ ვ. კარგია. „სრულიად არ მესმის, რა განსხვავება არის ამ ასოთა შორის: „ზ“ და „იე“, „დ“ და „ი“ „ჯ“ და „ივი“, „ჟ“ და „ჰოი“. იქნება ჩვენს უწინდელ ენაში იყო განსხვავება მაგ ასოთა შორის (და სწორედაც უნდა ყოფილიყო, რადგან შემოუღლიათ), მაგრამ ეხლანდელ ჩვენს ენაში არა ვხედამო“(იქვე 222). ერთის სიტყვით, საჭიროა ანბანის და მართლწერის განმარტივება და გაადვილება. ყველანი ამის ცდაში არიან და ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ ამ მხრივ. ენა არ არის უმოძრავი და გაყინებული იარაღი აზრის გამოთქმისა“..

„ენა კერძობით პირსავით, ამბობს ჩვენი ავტორი, იზრდება და ვითარდება, ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. ხშირად იქნება, რომ კანონები ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე, იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა. მაშასადამე, თუ მიზრძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულია, იმიტომ, ეხლაც უნდა ვხმაროთ ეგ ასო, - ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება, როგორც უსაფუძვლოა თქვენი რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა უნდა ისწავლოთო ხელოვნებისთვისაო“. (იქვე,221).

ძველი კამათი ენის შესახებ ისევ გაჩაღებულია და ჭავჭავაძეს ამ კამათში შეაქვს ახალი შუქი, მაგრამ ახლა ეს კამათი გაფართოებულა. ჭავჭავაძის მოპირდაპირენი აბრალებდნენ იმასაც, რომ ძველ მწერლებისადმი არავითარი პატივისცემა არ აქვსო. რა თქმა უნდა, ეს იყო სიცრუე. რუსთველისადმი სიყვარული არა ერთხელ გამოუთქვამს ილიას თავის წერილში, მაგრამ მას მოუვიდა ერთი მარცხი. ჩვენის აზრით, ეს იყო მიზეზი, საიდანაც წარმოსდგა ბრალდება. ახალგაზრდობაში ჭავჭავაძე დიდ ფასს არ აძლევდა ჩახრუხადის პოეზიას. თავის „კრიტიკაში“ გამოსთქვა შემდეგი მოსაზრება: „აი, მაგლითად, ჩვენში, ქართველებში დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხადესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედ შესრულით დაიწყება და თითქმის ზედშესრულით მთავრდება. რა ვაი ვაგლახით და კისრის მტკრევით მოგოგამს დავარდნილ ცხენსავით მისი ოცმარცვლიანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა. აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს მაგ თითქმის გენიას ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხადესაც, რომელსაც, გვეგონია ფიქრადაც არ ჰქონია ამისთანა დიდების იმედიო“.⁶⁷ ჭავჭავაძის მსჯელობას ჩახრუხადის შესახებ აჩქარების ხასიათი აქვს. ქართულ ლიტერატურის ისტორიაში, აკად. მარის აზრით, შავთელს და ჩახრუხადეს განსაკუთრებული ადგილი უჭრავთ. მათ ნაწარმოებს სპარსეთის გავლენა აღარ ატყვიათ, ორიგინალური ხასიათი აქვთ. „თამარიანის“ ავტორის შესახებ მარი ამბობს: „სიმშვენიერე თამარიანისა ისახება მისს საკვირველ მხატრულ ფორმაში, მის მუსიკისებრ მომხიბლავ ენაში და მშვენიერ და მდიდარ რითმაში, საგანგებო და განსაცვიფრებელ რითმაში, რომელიც გვავიწყებინებს ამა თუ იმ ლექსის არა-ბუნებრივობას. მართალია, ღრმა შინაარსისა არ არის, არ იპყრობს ყურადღებას აზრის გაბედულებით და სიღრმით. მიუხედავად ამისა, ამ შესხმის მნიშვნელობა სწორედ მის შინაარსში ისახება“. მარის აზრით, ამ სალიტერატურო ნაწარმოებში საუკეთესოდ მოსჩანს ქართული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება, უკიდურესობამდე განვითარებული. ჩახრუხადე ამ აზროვნების გამომსახველი იყო. აკად. მარის განმარტებით, ადვილად მისაღებია ის ჰიპოტეზა, რომლის ძალით ჩახრუხადე და რუსთაველ ერთპიროვნებად მოსჩანან.⁶⁸

ეს შეცდომა, რომელიც ჩაიდინა ჭავჭავაძემ ჩახრუხადის დაფასებაში, გასაგები ხდება ჩვენთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, იმ დროინდელი ვითარება თუ მივიღეთ მხედველობაში. ძველი და ახალი ერთმანეთს შეეხნენ. „ძველის“ დასამარცხებლად „ახლები“ „ძველის“ გავლენისაგან განთავისუფლებას სცდილობენ. მაგრამ ძველიც არის და ძველიც. ხოლო ამისი გარჩევა გაჩაღებულ ბრძოლის დროს ისე ადვილი არ არის, აქედან შეცდომები, იმგვარი, როგორიც მოუვდა ჭავჭავაძეს. რომ ჭავჭავაძე წარსულს და წარსულ მწიგნობრობას პატივისცემით ეპყრობოდა, ეს სჩანს თვით მის პირველ წერილებშივე. მაგრამ ამ წარსულს კრიტიკულად უყურებდა და იმ დროისთვის ეს იყო დიდი დამსახურება თავისუფალ აზროვნების უფლების მოპოვების საქმისათვის. ჩვენი ავტორი ამბობს: „ნურავინ ნუ

⁶⁷ N4 1861წ.

⁶⁸ Март. Тексты и Разыскания IV Древно-грузинские одописцы, გვ.49 და ქვემოთ

გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა. მაგრამ ეხლა, რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვინდომოთ, ძალიან შევეცდებითო“.⁶⁹

დღე ყოველივე ეს ანბანის ჭეშმარიტებაა, მაგრამ იმ ხანაში ეს ასე არ იყო. აზრი ტყვეობაში იყო და ყოველი დამოუკიდებელი მსჯელობა თავხედობად და უზრდელობად მიაჩნდათ. საჭირო იყო თავის დადწევა აღმოსავლეთის ტყვეობიდან. აღმოსავლეთმა, რიგ რიგად ბიზანტიამაც, სპარსეთმაც, არა მარტო გარეგნულად გადააკეთეს ჩვენი ბუნება, გაჰბერეს და გაართულეს იგი შეუფერებელ მანერებით და დამახინჯებულ პტყელ-პტყელ ლაპარაკის ჩვეულებით. ამ ჩვეულებამ ტვინიც შეგვიბოჭა. „ყიზილბაშობა არც მყვარებია, არც მიყვარს, ამბობს ჭავჭავაძე, მე როგორც მესმის, ისე ვლაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცს: „ეს ცუდია და ეს კარგია მეთქი“ (იქვე, გვ. 235) როგორ? პირდაპირ თქმა, ეს ცუდია და ეს კარგია! და ამასთან არც ბოდიშები, არც რევერანსები, არც კომპლიმენტები! ღმერთო ჩემო! რას იტყვიან ბრწყინვალე ლიტერატორები, ჯერ კიდევ თავიდან-ფეხებამდე ძველს ატმოსფერაში აღზდილები, რას ტყვიან ბრწყინვალე კნეინები, სამწერლო ასპარეზზე გამოსულნი ყარაბადინით შეიარაღებულნი! რაცა სთქვეს უკვე ვიცით და რაც არ ვიცით, ქვემოდ გვეცოდინება. და ილია ჭავჭავაძეს სწორედ იმათი პასუხი ჰქონდა მხედველობაში, როდესაც გაცეცხლებულ გულზე ამბობდა:

„ნუ თუ მართლა რაც „ცისკარში“ იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუ თუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუ თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩვივი და ვსტირი რომ, არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინ დაუხედავად ბლაჯნის, აღარ ბლაჯნოს, რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ აგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოჯახიდან ფეხს ნუ გამოსდგამენ გარეთ, ლიტერატურაში. ამას გთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისთვისო!..“ (იქვე, 210).

ჭავჭავაძის გამოლაშქრების შემდეგ ჩვენებური სამწერლო ატმოსფერა აღარ დამშვიდებულა. კამათს კამათი მოჰყვა, თავდასხმას თავდაცვა. ყველანი, ვინც კი იყვნენ გულნატკენნი ერთს ბანაკში შეჯგუფდნენ. გაჩაღდა პროტესტი ჭავჭავაძის და ახალთაობის წინააღმდეგ. მეტი არ იქნება აღვნიშნოთ ამ პროტესტის ზოგიერთი ტიპური მომენტი.

სარდიონ ალექსიევ-მესხიევი, რომელსაც ქართულ ენის მცოდნის სახელი ჰქონდა საზოგადოებაში, ჰბეჭდავს „ცისკარ“ - ში „უსტარს ანტიკრიტიკულს“, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს: „წრფელით გულით მოგახსენებ, თავადო ილია, როგორც გვამსა ასე გულწრფელად მოსაუბრე საანჯაბმოდ, რომ გულმტკივნეულად წავიკითხე მე ქართველმა,

⁶⁹ N6. 1861წ. 238გვ.

ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისაო.“ შემდეგ ამისა პტყელ-პტყელის ენით ესაუბრება ქართულ ენის თვისებაზე და ბოლოს სურვილს გამოსთქვამს, რომ ჩვენი ავტორი გავარჯიშდეს „როგორც წყობილ სიტყვაობაში, ისე სადაგ სიტყვაობაში.“⁷⁰ შემდეგ ამისა ვინმე ბირათვისელი სურვილს აცხადებს, რომ მოისპოს ეს კამათი. „დრო არის მოსპოთ უფ. ჭავჭავაძეზე სიტყვა, სწერს იგი რედაქტორს, და შეუდგეთ სხუა უფრო სასარგებლო საქმესო.“⁷¹ მას მოჰყვება კნ. ჯორჯაძის „პასუხის პასუხი“. „ერთი კაცი დასცინის ათას, ათი ათას, ერთის სიტყვით, მთელს საზოგადოებას, გამწარებულად უსაყვედურებს ნაწყენი კნენა თავის „უზრდელ“ მოპირდაპირეს. მჭერ-მეტყულობით და მაღალის ხმითა ბრძანებთ, თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითაო. საკვრველია კი, რომ მერცხალი კი დაგვიწყებიათ და არ გითქუამთ: მერცხალნო ღორებთ ჭყივილითა, გესლიანათ გადაჰკრავს სიტყვას ჩვენი კნენა, და იგრძნობს რა, რომ ამ „ჭყივილის“ მოგონებით ცოტა არ იყოს სჩხვლეს მოპირდაპირეს, იგი განაგრძობს: „შეიძლება ვსთქუათ: ჩუწნი სახალხო პოეტი თ-დ ილია ჭავჭავაძე თავის უკვდავ ჩანგზად ჭიხვინებს, ანუ ღმუის. მითომ რატომაო!.. ბოლოს კი სტუქსავს: „მიხედეთ სარდიონ მესხიევს, როგორიც ზრდილობიანის კალმით გამხილებთ თქუწნს შეცდომებს, აი ძველი კაცი, არა გვანებია...“⁷²

იმერეთიდანაც გაისმა პროტესტის ხმა ერთს წერილში, რომელსაც ხელს აწერს „ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთიმე, (ექვთიმე წერეთელი, გიორგი წერეთლის მამა. ავტ)“ კკითხულობთ: „უფალო რედაქტორო! ოთხის დღის წინად ქუთაისშიდ ერთი პატივცემული მოხუცის სახლშიდ შევედი. იქ მისმა ნიჭიერმა მეუღლემ და იმის უნიჭიერესმა ძმისწულმა ყმაწვილმა ქალმა თქუწს, რომ განვლილის წლის „ცისკარში“ კაცს აღარ ჩაეხედებოდა და წელს ამისთვის აღარ ვაწერთ ხელსაო. და საწუხარია ჩუწნთვის, რომ ჩუწნი სამშობლო ენა ლამის დაეცესო, ვილაც ჭავჭავაძე აუტყდა და არა ცილდება იმ კახელს ჯორჯაძის კნენას, შეუსაბამოს სიტყუწბით იხსებიებს, რისთვს? სიმართლისთვს და მშუწნიერების ლექსების წერისათვის? რომლითაც გაბედვით შემიძლია ვსთქუა, სასმენელს ატყობდნენ და გუღს ალხენდნენ“... ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთიმე ძლიერ აღშფოთებული იყო ამ გარემოებით. იგი შეურაცხყოფილია აგრედვე როგორც ძველს ლიტერატურაში ნაკითხი ადამიანი: „ჰო ღმერთო, რა მესმის! განაგრძობს ჩვენი ეფთიმე. ქართუწლი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცუალოს რომ ანტონ კათალიკოსის მაღალ ნიჭიერს სიტყუობას სწუნობდეს და რას სახელდობ: მის წყობილ სიტყვაობას, მის აკრისტიხულებას და მის იამბიკოებასო...“⁷³ მართლაც აღშფოთებულნი უნდა ყოფილიყვნენ „აკრისტიხულების“ და „იამბიკოების“ ტრადიციების მცველნი და წამკითხველნი „დიდი ვასილის ითიკისა, დამასკელის განმარტებით!“ ქუთაისიდან იწერებოდნენ კიდევ, რა დროსაც უნდა გაგვევლოთ ბულვარში, უეჭველია რომ გაიგონებდით: ჩვენი ეფთიმეს სტატია

⁷⁰ N 6. 1861 წ.

⁷¹ N8. 1861წ.

⁷² N9. 1861წ.

⁷³ N2 1862წ.

წაიკითხო! თქუწნც ნუ მომიკვდებით ძალიან კარგი სტატიაო, ძალიან კარგა დაუწერა თავ. ჭავჭავაძესო.“⁷⁴

ყველა ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს „ცისკარში“ წერის ნება აღარ მისცეს. თუმც ერთ-ერთ წიგნში რედაქტორი აცხადებდა⁷⁵, ჭავჭავაძის წერილი „ანტიკრიტიკული უსტარის“ პასუხად მალე დაიბეჭდებაო“, მაგრამ ამ წერილს დაბეჭდვა აღარ ელირსა „ცისკარში“. სამაგიეროდ, დროგამოშვებით ახალ თაობის ზოგიერთ წევრებს „თერგ დალეულებს“ ორიოდ სიტყვას ათქმევინებდნენ ჟურნალში.

ჩუწნ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნიც თერგ დალეულთაგანი.
მე გახლავართ გორისელო,
ერთი ამ სამ ძმათაგანი.⁷⁶

მერმე თერგ დალეული იწერებოდა: „უფალს ზემოურ იმერელს, წერეთელს ეფთიმეს არ ესმის პოეზია. სამდთო სიტყვა და პოეზია იმ დალოცვილს ერთი გონია. ერთი ალილუია, ერთი პოეზია ჰგონია, ორი ალილუია, ორი პოეზია, სამი სამი და ამგვართო.“⁷⁷ მესამე თერგდალეული ისიც პეტერბურგიდან, „ცისკრის“ მიმართულებას ეხება: „ამბობენ ქართველები ზრდილი და თავდაბალი კაცები ვართო, თუ ვინმემ გვიბძანა, ერთი ან ორი ვერსი გაიარეო, ჩვენ ათს გავიჩანჩალებთ. ასე და ამ ჩვეულების აღმასრულებელი ჩვენი „ცისკარიც“ ერთი ღვდლის მაგიერად ეუბნებოდა აღსარებას ათსო“.⁷⁸

მოლაყბე? იკითხავს მკითხველი, მოლაყბე რაღა იქნა, ვისი მხარე დაიჭირა? მოლაყბე როგორღაც აღარ ისმის, იშვიათად სწერს. გაცხარებულ პოლემიკის დროს იგი არა სჩანს. ბოლოს გამოჩნდება. რედაქცა მას შეჰყურებს და მისი იმედით არის. მოლაყბე კი გადაჭრით არას ამბობს, უფრო კი თითქოს ძველებს ემხრობა, მომეტებულად კი „თანხმობის საჭიროებაზე მეტყველობს. განათლებაზე მაღლა სდგას თანხმობაო“⁷⁹. მკითხველს ეხსომება, რომ წინა წლებში თანხმობის ჩამოგდებას აგრე რიგად არ დაგიდევდათ ჩვენი მოლაყბე. ახლა დრონი იცვალნენ, საქმის გამწვავება არ უნდოდა, თუ სხვა უფრო დიდი შრომა იპყრობდა მის ყურადღებას (ეს მეორე მოსაზრება უფრო მიუახლოვდება სიმართლეს), - ერთის სიტყვით, მოლაყბემ მეომარი პოზიცია არ დაიჭირა და სხვას დაუთმო ბურთი და მოედანი.

მაგრამ 1862 წ. ბოლოში გარემოება იცვლება. „ცისკარში“ დაიბეჭდა განცხადება: „მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდან გამოიცემა ტფლისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. პროგრამის შესახებ განცხადებაში ბევრი არაფერია. „ჩვენ ვირჩევთ,

⁷⁴ N6 1862წ.

⁷⁵ N9-10 1861წ.

⁷⁶ N4. 1862წ.

⁷⁷ N 5. 1862წ.

⁷⁸ N 9. 1862წ.

⁷⁹ N 9. 1862წ.

ვკითხულობთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა“-ო. ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე, რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“.⁸⁰

ამ გვარად გვიარსდება მეორე ჟურნალი. ახალი ორგანო გვპირდება, განსაზღვრული მიმართულება მექნება და არჩეული გზაო. ხდება პირველი რეალური დიფერენციაცია ქართველ ინტელიგენციის წრეში: საზოგადოება ორ ჯგუფად იყოფა. განვითარება გართულებაშიაო, ეს სოციალური კანონი, სხვათა შორის, დადასტურებულია ქართველ ინტელიგენციის დასაწყისის ისტორიითაც.

8

როგორც ვნახეთ, ნიშნები თაობათა უთანხმოებისა და შეტაკებისა აღმოჩნდნენ ჩვენში 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“. 1863 წელს კი ორი ბანაკი თავ თავის ორგანოებშია უკვე დარაზმული. აქ უნდა გაჩაღებულიყო ბრძოლა, გაჩაღდა კიდეცა, თუმცა ბევრ მიზეზთა გამო ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. ქვემოთ გვექნება საუბარი ამის შესახებ. ეხლა კი საჭიროა გამოვიძიოთ ერთი რამ. მოგეხსენებათ, ჩვენი ახალი თაობა რუსეთში იზრდებოდა. მან შეითვისა რუს საზოგადოების „მესამოცე წლების“ საუკეთესო იდეალები. „მამათა“ და „შვილთა“ შეტაკება იყო რუსულ საზოგადოებრივ და სამწერლო ნიადაგზე აღმოცენილი მოვლენა. რუსის საზოგადოების გავლენით იგი ჩვენშიაც გადმოიჭრა და ფესვი მოიმაგრა. საგულისხმოა იმის გამორკვევა, თუ რამდენად განსხვავდებოდა და რამდენად ემსგავსებოდა „მამათა“ და „შვილთა“ შორის ატეხილი დავა ჩვენს ცხოვრებაში რუს მოწინავე საზოგადოებაში ატეხილ დავას? ამ საკითხის გარკვევისთვის საჭიროა გადავიხედოთ რუსეთისაკენ და ვნახოთ, რა ხასიათის თვისებით გამოიყურება რუს-საზოგადოების მესამოცე წლების მოძრაობა.

მესამოცე წლების მოძრაობა რუსეთში ლოდიკურად არის დაკავშირებული მეორმოცე წლების მოძრაობასთან. ეს კავშირი იმაში კი არ გამოიხატება, რომ მესამოცე წლები იდეური გაგრძელება ყოფილიყოს მეორმოცე წლებისა; პირ-იქით ამ ორ ეპოქას შუა გაჩაღდა ბრძოლა და მეორმოციანებმა, ასე ვსთქვათ, მისცეს საბრძოლველი მასალა მესამოციანებს, რა იყო დამახასიათებელი თვისება მეორმოციანებისა? თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რომ მეორმოციანნი, უმეტეს შემთხვევაში, თავად-აზნაურულ წრიდამ გამოსული მოღვაწენი ყვნენ. „რაზნოჩინცები“ (სხვა წრეებიდან გამოსული ხალხი) მაშინაც სჩანდნენ (ბელინსკი, მაგალითად), მაგრამ უმრავლესობა აზნაურები იყვნენ და აზნაური ინტელიგენტები ჰქმნიდნენ საზოგადოებრივ ატმოსფერას. ეს დრო იყო მკაცრი და სასტიკი მეფობა ნიკოლოზ I-ისა. რუსეთი წყვდიადით იყო მოცული, ხალხი დამონებული და კულტურა შეხიზნული სატახტო ქალაქების სალიტერატურო პატარ-პატარა ჯგუფებში. მეორმოციანნი გულწრფელად თანაურძნობდნენ ხალხს, სწადდათ მისი განთავისუფლება, მაგრამ უღონონი იყვნენ და

⁸⁰ *) N 10. 1862წ.

უილაჯონი. ამ უილაჯობამ და იძულებითი დაშორებამ ხალხთან და საზოგადოდ, პრაქტიკულ ცხოვრების სკითხვებთან, თავისებური ბეჭედი დაასვეს იმ დროინდელ ინტელიგენციას. დაიბადა ინტელიგენტი, რომელიც ოცნებაში ატარებდა დროს, უზომოთ ბევრს ლაპარაკობდა და საქმით კი, არაფერს აკეთებდა. რეზონიურობამ იჩინა თავი. მეორეს მხრივ, ოცნებას მიჩვეულმა აზროვნებამ სწრაფად შეითვისა გერმანიიდან გადმოტანილი მეტაფიზიკური ფილოსოფია. გეგელი გახდა საფუძვლად ინტელიგენციის აზროვნებისა. გეგელის ამა თუ იმ დებულების გამო კამათობდნენ რიჟაჟამდე, თითქოს ამ კამათით უნდა გადაწყვეტილიყო ყოველივე მწუხარება და უკმაყოფილება, რომელიც გულს უსიებდა იმ დროინდელ ინტელიგენტს. ამასთან, სამწერლო წრეებში დიდი გასავალი ჰქონდა ეგრედ წოდებულ „წმინდა ხელოვნებას“. ხელოვნება ხელოვნებისთვის - ეს იყო ლოზუნგი იმ დროინდელ იდეალისტებისა. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ამ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის წრეებში, გარემოების ზედგავლენით უკვე ისახებოდა ტიპი ეგრედ წოდებული „მონაწიებით შეპყრობილ აზნაურისა“ (кающаяся дворянина). აზნაური ინტელიგენტი კარგად ჰგრძნობდა, რომ მიუხედავად მისი ლიბერალობისა და მოწინავეობისა, იგი მაინც პრივილეგიით აღჭურვილი ბატონია. მას სცხვენოდა თავის ბატონობისა, ხოლო ძალა არ შესწევდა ამ ბატონობის უკუგდებისა. იგი ჰგრძნობდა სინანულს იმის გამო, რომ წინააღმდეგ სინდისისა მჩაგვრელთა წრეს ეკუთვნოდა. და სწორედ ამ ელემენტებისაგან გამოირკვა და განსახიერდა ტიპი მონაწიებით შეპყრობილ აზნაურსა - ტიპი, რომლის ზრდა განვითარება შემდეგს ეპოქებში (60-70-80) სავსებით დამთავრდა. ასეთი იყო ფსიხოლოგიური ფიზიონომია მეორმოციანებისა.

მესამოცე წლებში იბადება ახალი თაობა და მოძრაობასაც ახალი ელფერი დაეცყო, სამოქმედოთ ახალი ელემენტები გამოდიან, უმეტეს შემთხვევაში სასულიერო წოდებიდან გამოსული მოღვაწენი (ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი). მათ შეიტანეს საზოგადოებრივ წრეებში თავისებური ფსიხიკა თანშეზდილ დემოკრატიზმისა, რომელიც იმით იყო ძლიერი, რომ იყო დამყარებული ფსიხოლოგიურ და ბუნებრივ ფესვებზე. ესენი არავითარ სინანულს არავის წინაშე რა ჰგრძნობდნენ, რადგან თითონ იყვნენ გადმოსული დაჩაგრულთა წრიდან. ისინი დაცინვით შეჰყურებდნენ ლიბერალ-აზნაურებს, და მათ სძულდათ ამ აზნაურების „იდეალიზმი“, „ესტეტიზმი“, „რომანტიზმი“ და თვით ის, რაც ღირსებად ჩათვლებოდათ, სძულდათ მათ გულში აღძრული მონაწიების გრძნობა და სურვილი ხალხის სამსახურისა. პროფ. ავსიანიკოვ-კულიკოვსკი ამბობს: „ისტორიულად და ფსიხოლოგიურად ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და პისარევის მიერ გამოცხადებული პროტესტი მეორმოციანების „ესთეტიზმის“ წინააღმდეგ სრულიად ბუნებრივი და ნაყოფიერი იყო. „წმინდა ხელოვნების“ უარ-ყოფა, არსებითად რომ შეეხედოთ საგანს, იყო უარყოფა „სიბარიტობისა“ (ფუფუნებისა) ხელოვნების დარგში. და ჩვენი სრული თანაგრძნობა, როგორც ამ შემთხვევაში, ისე ბევრ სხვაგვარ შემთხვევაშიაც პროტესტანტების მხარეზეა. მათ პროტესტს, აშკარაა, საღი მორალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ მნიშვნელობის გულისათვის შეგვიძლიან ვაპატიოთ პისარეს მისი შეცდომანი, პუშკინის გაუგებრობა და სხვა. ბაზაროვს არ ვეთანხმებით, ვითომ „რაფაელი ერთ გროზად არ ღირდეს“, მაგრამ სავსებით ვიზიარებთ

მის აზრს რომ „ბუნება ტადარი კი არ არის, არამედ სახელოსნოა და ადამიანი მასში მომუშავეა“.

⁸¹ ჩვენი ავტორი ბაზაროვს იხსენიებს. მართლაც იგი ცენტრალური პიროვნებაა მესამოცე წლებისა. ტურგენევმა შეჰქმნა ბაზაროვის ტიპი და „ნიჰილიზმის“ გამომსახველად დასახა იგი. ვინ არის ბაზაროვი? რა არის ნიჰილიზმი?

ბაზაროვი ეუბნება თავის ამხანაგს არკადის: „შენ ჩვენს ეკლიან, მწარე და ობოლ ცხოვრებისათვის არა ხარ გაჩენილი. შენსში არც თავხედობაა, არც მძულვარება, შენი თვისება ახალგაზრდული გამბედაობა და ყოყლოჩინობა მხოლოდ, შენისთანა აზნაური მივა ან კეთილშობილურ სათნოებამდე, ან კეთილშობილ გაცეცხლებამდე და ამას კი რა მნიშვნელობა აქვს. თქვენისთანები არ ჩხუბობენ, თქვენი თავი კი ყოჩაღებად მიგაჩნიათ. ჩვენ კი ჩხუბი გვინდა, ჰე! რაღა ვსთქვა: ჩვენი მტვერი თვალებს ამოგიჭამს, ჩვენი ბინძურობა გაგსვრის. შენ ჩვენამდე ვერ მოუწევ, შენ თავს ღმობიერად შეჰყურებ, სიამოვნებას ჰგრძნობ, როცა ლანძღავ შენ თავს. ჩვენ კი მოწყენილი გვაქვს ეგ. სხვა გვარი ხალხი გვესაჭიროება. ხომ ბრძოლისთვის ვემზადებით. კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ მაინც ჩვილი ლიბერალი ბატონი ხარ (Мягеньский либеральный баричь)“.⁸² აქ მოსჩანს მაგარი და მტკიცე ხასიათის ადამიანი, დემოკრატი „უკანასკნელ ფეხილებამდე“, დემოკრატი არა მწიგნობრული და პარტიული, არამედ სტიქიურად, ფსიხოლოგიურად, მთელი თავის სისხლით და ინსტიტუტებით დემოკრატი ადამიანი. ამ ახალი კაცის თვისებაა ყველაფრის გმობა და უარ-ყოფა. აქედამ წარმოსდგება მისი მეორე თვისება - ნიჰილიზმი. იმავე კულიკოვის აზრით, „ბაზაროვის ნიჰილიზმის იდეა, რომელიც თითქოს უპრიციპობას წარმოადგენს, ამგვარად უნდა გესმოდეს: „რუსს“ თავდაპირველად ესაჭიროება შრომა, ცოდნა, ენერგია, კრიტიკა და ყველა ძველ ცრუმორწმუნოებათა დახვეწებულ აზრების უარყოფა, მან უნდა დასძლიოს აპატია, სიზარმაცე, ნების სისუსტე - უნდა განიკურნოს, უნდა გათავისუფლდეს „ობლომოვშიჩინის“ ზედგავლენიდან... ბაზაროვი არ ჰქადაგებს უარჰყოფას უარჰყოფისათვის, იგი სარგებლობის კრიტერიით ხელმძღვანელობს... თუ ეს ასეა, გერცენი მართალი არ იყო, როდესაც ამბობდა, ვითომ „ნიჰილიზმმა“ არაფერი ახალი პრინციპი არ შემოიტანა. განა ბაზაროვის კულტი „შრომისა“, პოზიტივურ მეცნიერებისა, კრიტიკისა ახალი რამ არ არის ობლომოვების კლასიკურ ქვეყანაში? განა დემოკრატიზმი და შრომის ეთიკა (трудовая этика) ბაზაროვისა პრინციპი არ არის? ეს ხომ სრულიად ახალი და საჭირო რამ იყო არისტოკრატულ და ბატომყმურ რუსეთში რეფორმების წინა ხანაში? განა რიგორიზმი, შრომის უნარი, სულიერი თავისუფლება ბაზაროვისა მაშინ და ეხლაც იმისთანა რამ არ არის, რაც საზოგადოების გამკურნებელ და მმოდრავ ძალად არ ჩაითვლება?“.⁸³

ახლა დაუბრუნდეთ ჩვენ სამშობლოს. იყო რამ ჩვენში მსგავსი ამგვარ მოძრაობისა თუ არა? საქართველოში განსხვავებული პირობები იყო და ამის მიხედვით განსხვავებული ხასიათის მოძრაობაც გაჩნდა ჩვენში. თუმცა რომ დავაკვირდეთ ამ მოძრაობას, ბევრ მსგავს

⁸¹ Овсяненко-Куликовсктий. Собр. сочинений т. III. История русской интеллигенции ст. 66

⁸² *) იქვე გვ. 76

⁸³ *) იქვე ,83.

ნაკვეთებს გამოვძებნით. „ცისკრის“ ფიზიონომიის შესწავლამ დაგვანახა აშკარად, რომ ჩვენში ადგილი არა ჰქონდა რუს-მეორმოციანების მსგავს მოძრაობას. პირველი გუნდი განათლებულ მოღვაწეების გამოდის ჩვენში სამოქმედოთ მესამოცე წლებში. ამ გუნდს დაჰხვდა სხვა გუნდი, უკვე გამოსული სამოქმედოთ. ხოლო ესენი არ იყვნენ არც „ესთეტიკი“, არც „იდეალისტები“, რუს მოღვაწეების მსგავსნი; ესენი იყვნენ ქართველი მოღვაწენი, ვის გულში და აზროვნებაშიაც ჯერ კიდევ არ წაშლილა კვალი წარსულ ცხოვრებისა და მეთვრამეტე საუკუნის ქართველ კულტურისა. მართალია ესენიც იყვნენ თავად-აზნაურნი, ხოლო არავითარ მონანიების გრძნობას მათ გულში ადგილი არა ჰქონდა. მამასადამე, ჩვენში, სხვაგვარ სოციალ-პოლიტიკური კონიუნქტურის წყალობით, ძალთა განწყობილება და მიმართულებაც სხვა გვარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ განსხვავებასთან ერთად მსგავსებაც იყო. მესამოცე წლების წინ თუ იყო ჩვენში ლიტერატურა, იგი იყო. მესამოცე წლების წინ თუ იყო ჩვენში ლიტერატურა, იგი იყო რომანტიკული ხასიათისა. „რომანტიზმი“ ჩვენში არ იყო არც სისტემა, არც დოქტრინა, არ არსებობდა მისი მქადაგებელი ჯგუფი. იყვნენ მხოლოდ ობოლი პოეტები. რომელნიც 1852 წლამდე თავიანთ ნაწარმოების დაბეჭდვის საშუალებას იყვნენ მოკლებულნი. ეს პოეტები იყვნენ ჩვენი რომანტიკოსები. მათი რომანტიზმი არ იყო ის, რასაც ესთეტიზმს უწოდებდნენ. ისინი არ იყვნენ „წმინდა ხელოვნებისა“ და ფორმის მოტრფიალენი, მათ პოეზიის შინაარსი რეალურად განცდილი იყო მათ მიერ, თუმცა საგანი მათის შემოქმედებისა ხშირად არ იყო დაკავშირებული კონკრეტულ პირობებთან. მესამოცე წლებში ჩნდება ჩვენში რეალურ ხასიათის ლიტერატურა. და აქ თითქოს მსგავსება არის რუსეთსა და ჩვენს შორის. უკეთესი კი იქნება ამ საგნის გამორკვევისთვის მივმართო „საქართველოს მოამბეს“. ამ ჟურნალის გაცნობა მოგვცემს საკმარის მასალას აღნიშნულ საკითხის გადასაწყვეტად. პირველსავე წიგნში არის სარედაქციო წერილი, საიდანაც ვიგებთ ორგანოს განზრახვასა და მისწრაფებასა.

„მაცხოვრებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, ვკითხულობთ ჟურნალში, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი ერთმანეთს შეხარიან. უფრო მაცხოვრებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა - ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა... გული სხვაგვარად სცემს, როცა დედამიწაზე ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქამს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა რიგათა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზე ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა...“⁸⁴ „ჩვენ ასე არ გავბრიყვდებით, საკუთარ წესზე მოვინდომოთ ცხოვრების გატარება, თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა - მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა. გამოფენა საქვეყნოთ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... ჩვენ წინადადე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის-ამოძახნა, მისის ვითარების ცნებაში მოყვანა. მოძრაობისთვის გზის გახსნა... აწინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღესო მოსავალია, განაგრძობს

⁸⁴ „საქართველოს მოამბე“ N1 1863წ.გვ.112

ჟურნალი, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვის თესლი ურევია (კურსივი ჩვენია), როგორც წარსულში ერია მომავლისათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰყრიფოს ხვალისათვის⁸⁵.

მატერიალურ-პოზიტივური მიმართულება ახალი ორგანოსი აქ ნათლად მოსჩანს. ეს უკვე ისტორიის ფილოსოფიაა და ამგვარი ცდა ცნობაში მოყვანისა გარეშე ცხოვრებისა პირველი ცდაა ქართულს ლიტერატურაში. ამ განმარტებით ცხოვრება განვითარების კანონს ემორჩილება, იგი მმოდრავი და ცვალებადია, „მასში ურევია თესლი მომავალისთვის“. უკეთესად ევოლუციონურ თეორიის გამოსახვა არ იქნებოდა. და საგულისხმო ის არის, რომ სწორედ ამ თესლის ჯავრი ჰქონდა ჩვენს ჟურნალს, მისი გამოკრეფვა უნდოდა ხვალისთვის. და დღეს შეგვიძლიან სრულის დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ამ ჩვენს პირველ ჟურნალს მართლაც გამოუკრეფია თესლი, რადგან ამ თესლის ნაყოფს დღეს აშკარად ვხედავთ.

ჟურნალი მეცნიერულ საფუძველზე მყარდება. ჩვენ აქ ამ ჟამად არ გვაინტერესებს გამოკვლევა ამ მეცნიერების ღირსება-ნაკლულევანებისა. შევიარაღდეთ ისტორიულს პერსპექტივით; ეს პერსპექტივა აშკარად ხდის იმ გარემოებას, რომ ჩვენი ახალი თაობა რუსეთის იმ დროინდელ მოძრაობის დიდ ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ლოზუნგი მესამოცე წლებისა, სარგებლობა და რეალიზმი, გახდა ჩვენი ჟურნალის ლოზუნგად. მართალია, მან სავსებით ვერ გაატარა ცხოვრებაში ეს ლოზუნგი, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს მოუვიდა იმიტომ, რომ თვით ლოზუნგი იყო ცალმხრივი. ჯერ ხნობით კი იგი მტკიცე დამცველია რეალისტურ მეცნიერებისა და რეალისტურ ხელოვნებისა. ჟურნალი ამბობს:

„ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა. ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება, მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმები ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება, ცხოვრებისათვის - ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცხოვრებაში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფადრათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“. მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხერის კვამლი“ თვალეხსა სწვავს და ცრემლს ადენსო: დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალეხის სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო, დროა წავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ

⁸⁵ „საქართველოს მოამბე“ N1 1863წ.გვ.112

სურათებისათვის. იქ ცხოვრების ძირში ის იპოვნის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა.⁸⁶

ამგვარია პროგრამა ჟურნალისა. ამ პროგრამაში შიგა და შიგ რედაქცია იმ აზრსაც აღიარებს, რომ მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფით უნდა სარგებლობდეს არა მარტო პრივილეგიით აღჭურვილი საზოგადოება, არამედ ხალხიც. და ლიტერატურამაც ამ ხალხთან თუ არა მის უმრავლესობის ნაწილთან მაინც უნდა დაიჭიროს საქმე.⁸⁷ სოციალური მოტივების უფრო მკაფიოდ გამოთქმა იმ ხანებში ადვილი საქმე არ იყო. თუ ეს არ მივიღეთ მხედველობაში, უცნაურად გვეჩვენება ის გარემოება, რომ საპროგრამო წერილში ბატონყმობის საკითხი არ არის ნახსენები. და არამც თუ საპროგრამო წერილში არ ვპოვებთ ამ მთავარ-საგანს, ჟურნალის სხვა წიგნებშიაც არ არის არც ერთი წერილი, რომელიც პირდაპირ ეხებოდეს ამ საგანს. ეს იყო სასტიკ ცენზურის ნაყოფი. მაგრამ შეუძლებელი იყო გაჩუმება. რამე გზით საჭირო იყო ლაპარაკი ამ საგნის თაობაზე. და სწორედ აქ გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ თავისი თეორია ხელოვნების სამსახურისა და დანიშნულების შესახებ. მან დაიწყო ლაპარაკი ბატონყმობის შესახებ მოთხრობის სახით. საქართველოს მოამბეში დაიბეჭდა ერთი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“ და სრული დამთავრებული „კაცია-ადამიანი“. ამაზე ნათლად, ამაზე მკაფიოდ, ამაზე აშკარად გმოვა ძველი წესისა და ადამიანის დამონებისა შეუძლებელი იყო.

ამგვარად პოზიტიური და ხალხოსნური მოტივებით იწყობს მოღვაწეობას ჩვენი ჟურნალი. „ხალხი“ და მისდამი ინტერესი და თანაგრძნობა რუსეთიდან გადმოტანილი იდეაა, მაგრამ ამ იდეას საჭირო ნიადაგი აღმოუჩნდა ჩვენში, რადგან ჩვენშიაც აუცილებელივ საჭირო იყო ძველი წყობილების დანგრევა, ახალის აგება, ხალხის განთავისუფლება და მისდამი მოვალეობის გადახდა. „ხალხის კულტი“ რუსეთში პლატონიური ოცნება იყო მეორმოციანთა შორის. მონანიებაში ჩავარდნილი თავად-აზნაურული ინტელიგენცია სულ იმის ფიქრში იყო, რომ როგორმე „ვალი გადაეხადა“ ხალხისთვის. გრიგოროვიჩის მოთხრობები მესამოციანებში სწორედ ამ ვალის გადახდის მოტივებით იყვნენ გამოწვეულნი. შემდეგში, სამოციანში, როდესაც გამოჩნდა „რაზნოჩინცების“ ინტელიგენცია და დემოკრატიული ლოზუნგი გახდა ბუნებრივ ლოზუნგად, ამ მოძრაობას მიეკედლა აზნაურული ინტელიგენციაც, რომელიც შეძლების-დაგვარად ითვისებს ფსიხიკას „რაზნოჩინცებისას“ და ამგვარად ჩნდება და ირკვევა ფიზიონომია კლასებ შუა მდგარი ინტელიგენციისა, (Межклассовая интеллигенция), რომელიც ხალხის სამსახურის მძიმე ტვირთს იღებს თავის მხრებზე და დამძიმებული ამ ტვირთით აპირებს ცხოვრებაში სიარულს. ამ ტვირთის ზიდვაში ღრმა ტანჯვა გამოუვლია რუსის ინტელიგენციას და ეს ტანჯვა დღესაც არის მისი ხვედრი.

ჩვენში ამ მოძრაობას სხვა ელფერი ჰქონდა. თავი და თავი ის არის, რომ ჩვენში როგორც რომანტიკოსი პოეტები იყვნენ თავად-აზნაურნი, ისე მესამოცე წლების მოღვაწენიც იგივე

⁸⁶ იქვე, 124

⁸⁷ იქვე, 118, 119

თავად-აზნაურები იყვნენ. იმ ხანაში ჩვენში არ იყო შეხლა „რაზნოჩინცებისა“ თავად-აზნაურულ ინტელიგენციასთან. (ჭონქაძეები გამონაკლისის შეადგენენ.)

ეს შეხლა მოხდება ოცი წლის შემდეგ, როდესაც ჩვენს ინტელიგენციის წრეებს თანდათან შეემატება სხვა წოდებიდან გამოსული მოღვაწენი. ჩემს წერილში „ოთხმოციანნი და ოთხმოც-და-ათიანნი“ უკვე შევეხე ვრცლად ამ საგანს. და აქ უნდა ვსთქა მხოლოდ, რომ რაკი რუსეთთან შედარებით ჩვენმა ინტელიგენციამ მოიგვიანა თავის განვითარების პროცესში, ამიტომ მესამოცე წლების ჩვენებურ მოძრაობას არც სირთულე, არც სიძლიერე რუსეთის მოძრაობისა არ ჰქონდა. ხალხის სამსახური იმ თავითვე თავად-აზნაურულ ინტელიგენციას დააწვა ვალად. ამ ინტელიგენციამ იკისრა ეს ვალი. მესამოცე წლებში შეწყვეტილი ახალი თაობის მუშაობა გრძელდება სამოც-და-ათ წლებში. და საერთოდ რომ გადავხედოთ ამ მუშაობას, აშკარად დავინახავთ, თუ რამდენად მეტად ნაყოფიერი იქნებოდა ეს მოძრაობა, ჩვენშიაც რომ გამოსული ყოფილიყვნენ სამოქმედოთ სხვა წოდებათა წარმომადგენელნი, ნერვებისა და აგებულების სიმტკიცე ფსიხიკას აფოლადებს. „რაზნოჩინცების“ დახმარება უებარი იქნებოდა ქართულ კულტურის გაფოლადებისთვის. მაგრამ ისტორია ნახტომებს არ აკეთებს და ნუ მოვსთხოვთ იმას, რაც არ მოეთხოვება.

როგორცა ვსთქვი, „საქართველოს მოამბე“-მ მიჰმართა მხატვრულ ფორმას ბატონ-ყმობის დასაგმობად. „გლახის ნაამბობი“, პირველსავე წიგნში დაბეჭდილი, მოგვაგონებს გრიგოროვიჩის მოთხრობებს, რომელნიც იმავე განზრახვით იყვნენ დაწერილნი. სიყვარული და თანაგრძნობა დავრდომილთადმი, გმობა მონობისა და დაჩვევისა, -აი მოტივები ამგვარის ნაწარმოებისა. გავიხსენოთ ზოგიერთი ადგილები „გლახის ნაამბობისა“.

„ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, კვითხულობთ მოთხრობაში, ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაჰხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და ადრეულად დააჰკნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომეც ბოლო მომიღო... ბატონთან განებივრებული ვიყავი ბატონის შვილსავით, დათიკოს უყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი, სულელმა, რომ უფროს-უნცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედ, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს! ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამაპაპის სალოცავსა, გულში ნაღველას ჩავიწურებდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავატარებდი. მაშინ რა ვიცოდი?“ ...⁸⁸

ან წაიკითხეთ სხვა ადგილი, სადაც სოფლის ბიჭმა, ქალაქში ჩამოსულმა, პირველად თავის სიცოცხლეში წიგნს მიუგდო ყური და გაოცებულმა ნაცნობი რამ ამოიკითხა.

„ყური მიუგდე, და ის კი რასაც კითხულობდა, თითქო მეცნო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოსო. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ

⁸⁸ იქვე:გვ.20

სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სიხარულით გადამიტრიალდა, „დალაზვრა ღმერთმა, წამოვიძახე უვე, ჩვენი გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?“, დიახ, ჩვენი მდაბიო ზღაპარი გახლდათ“⁸⁹

ან კიდევ ეს, სათნოიან მღვდელს რომ შეხვდება პატარა გაბრო: „ბატონი რომ სადილიდამ ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კონწის კვრით წამაბარბაცებდნენ. ამან კი ობოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმობა, ყმასთანა, რომელსაც საცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაკ ძაღლზედაც გასცვლის, მოდი და ნუ მოიდრეკთ ამის წინ მუხლსა. მე მახსოვს დიდი ბატონი ხომ კაი კაცი იყო, მაგრამ გულ მოეფხანებოდა, როცა მე მუხლზედ ვაკოცებდი ხოლმე, მე მეგონა ამასაც ამითი ვაამებ, ის კი არა თუ მიწყინა და ჩემს რეგვენობას აპატივა“⁹⁰

მოთხრობაში აქა-იქ სენტიმენტალური დიდაქტიკაა შეპარებული, იგი არ არის ნიმუში ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებისა, მაგრამ თუ დღეს გემოვნების გაგების ხანაში გვეჩოთიერება სენტიმენტალიზმი და დიდაქტიკა, მხატვრულ ნაწარმოებში, ბნელ წარსულში, როდესაც სამარისებული სიჩუმე ჰსუფევდა გარშემო, ამ ნაკლს ნაკლის ბეჭედი არა ჰქონდა და მთავარი განზრახვა მოთხრობისა - შებრალება დაჩაგრულისადმი და გმობა მონობის ნათელი და უტყუარი იყო ყველასთვის და ამაშია დიდი დამსახურება „გლახის ნაამბობისა“.

ეხლა ჩვენთვის უფრო ნათად სჩანს ის გზა, რომლიდაც ჰსურს სიარული „საქართველოს მოამბეს“. ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს გზა ეკლიანი გზა იყო და ახალ აზრს და ახალი მიმართულებას ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდა.

9

ჩვენი წარმოდგენა „საქართველოს მოამბისა“ სრული არ იქნება, თუ უფრო ახლო არ გავაცანით მკითხველს ჟურნალში დაბეჭდილ წერილების ხასიათი. აქ შეგხვდებათ დობროლუბოვის და ბელინსკის ზოგიერთ წერილების თარგმანი. ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. წერილები მონობის შესახებ ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიქტორ ჰიუგოს წერილი სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ, პრუდონის „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“. ისტორიული და საპოლემიკო წერილებში, შინაური ცხოვრების მიმოხილვა, მოთხრობები (კაცია ადამიანი), ლექსები და სხვა. მწერალთა შორის მონაწილეობას იღებდნენ: ილია ჭავჭავაძე, ვახტანგ თულაშვილი, გ. წერეთელი (გ. თელის ფსევდონიმით, ჯერ კიდევ სტუდენტი) თერგდალეული,⁹¹ გიორგი ჩიქოვანი, დავით ყიფიანი (დიმიტრის ძმის წული), პეტრე ნაკაშიძე, ლევან ჯანდიერი, პეტრე უმიკაშვილი(კორექტორი) და სხვანი.

⁸⁹ „საქართველოს მოამბე“

⁹⁰ იქვე. გვ.33.

⁹¹ ფსევდონიმის ვინაობა ვერ გავიგეთ.

გარდა სარედაქციო წერილებისა, ჟურნალის მიმართულება ისახება შინაურ ცხოვრების მატრიანში. საუბედუროდ საცენზურო პირობების გამო ამ ხასიათის წერილებს ბევრს ვერა ვხედავთ ჟურნალში, ხოლო, რაც დაწერილია დიდი ყურადღების ღირსია. ამგვარს ყურადღებას იპყრობს ვახტანგ თულაშვილის წერილი. აქ ამ წერილის ცნობაშია მოყვანილი იმ დროში არსებული საზოგადოებრივი განხეთქილება. აშკარად მოსჩანს ორი ნაკადული-ერთი უმრავლესობისა, რომელსაც პირადი კეთილდღეობა გაუხდია სიცოცხლის საგნად, საზოგადოების უმრავლესობისა, რომლის იდეალი სამსახური და კარიერა იყო; მეორე ნაკადული - უმცირესობისა, საზოგადოებრივ იდეალებით აღჭურვილისა.

რეალური, სოციალური საფუძველი მამათა და შვილთა ერთმანეთში მოურიგებლობისა აქ უნდა ვეძებოთ, ამ მხრივ ამდროინდელი ჩვენებური „მამა“ არ ჰგავდა იმ „მამას“, რომელსაც რუსეთში ებრძოდნენ „შვილები“. ამ „მამას“ უმეტეს შემთხვევაში არავითარი კავშირი არა ჰქონდა ლიტერატურასთან და კულტურასთან. იგი იყო მემამულე თავად-აზნაური, სამსახურის და პირად და ოჯახურ კეთილდღეობის მაძიებელი. იმ დროინდელ ჩვენებურ „შვილების“ წინაშედაც განსაკუთრებული პრობლემა იყო წამოყენებული. საჭირო იყო გზის ჩვენება და ახლნა იმ გარემოებისა, რომ ბატონ-ყმურ მემამულეობის და მექრთამე-მოხელეობისა გზა არ არის ის გზა, რომელიც კეთილდღეობას შესძენს საზოგადოებას. ვახტანგ თულაშვილი თავის წერილში იკვლევს ამ საგანს და, სხვათა შორის, აღნიშნავს ორ მიზეზს, რომლის ძალდატანებით იმ დროინდელი საზოგადოება მოხელეობის ძებნაში იყო. პირველი მიზეზი ის იყო, რომ „ჩინს“ მოკლებული კაცი უფლებრივობას გარეშე რჩებოდა. „ვის არ ახსოვს, ამბობს ავტორი, და არ გაუგონია განთქმული პოლიციემისტერი ერმილოვის დროს, რომელიც გაბედვით სცემდა არამც თუ სამსახურს გარედ მყოფ მოქალაქეებსა, თითონ მღვდლებსაცა...“⁹² უჩინოდ ძველი ჩამომავლობა, პატიოსნება და სხვა რომელიმე ღირსება თითქმის სულ ფუჭი იყო. ამ მიზეზით დაიწყეს სამსახური ყველამა: იმათაც, ვისაც ეჭირებოდა სამსახური ლუკმა პურისათვის, იმათაც, ვისაც ეგა არ ეჭირებოდა, მაგრამ პატივის შოვნისთვის მსახურებდნენ; იმათაც, ვისაც პურიცა ჰქონდა, შთამომავლობის ხარისხიცა, მაგრამ არ იყვნენ ისე ძლიერნი, როგორიცაა ნის მექონენი...“⁹³

მაგრამ ვერც მოხელეობამ უშველა ჩვენს თავად-აზნაურობას. ამის შესახებ ზემოდ უკვე გვექონდა ლაპარაკი. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ამ მოხელეობის წყალობით ზნეობრივად გაიხრწნა დიდი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა. ვ. თულაშვილი ამბობს: „ხალხმა რამდენიც თან და თან შეტოპა სამსახურში, იმდენი ეგონა, რომ სამსახური ლუკმა პურისთვის არისო და არა ქვეყნის და საზოგადო სარგებლობისათვის...აბა საყვარელნო მკითხველნო, რა უნდა გაერიგებინა იმ საზოგადოებას ხალხისათვის, რომელსაც ეგონა, რომ იყო დაბადებული სამსახურისათვის და უიმისოდ ვერ გასძლებდა...“⁹⁴ საყურადღებო ის არის, რომ უმაღლესს სასწავლებლებშიაც ოჯახურის ინტერესების ძალდატანებით ჰგზავნიდნენ შვილებს. „აქაც

⁹² „საქართველოს მოამბე“, N1, გვ.142

⁹³ იქვე, 144

⁹⁴ იქვე, 146.

მაინც კიდევ ის ძველებური ფიქრი რომ უკან წასულს ოჯახს წამოაყენებს, მაინც კიდევ ცხადად, თუ დაფარულად ეს ფიქრი გამოჰსცემდა და ისმოდა იმათ ლოდინში და იმედშია; აქაც კი ფულის ანგარიშს, ფულის შოვნას შეურევდნენ ხოლმე.⁹⁵ და დედ-მამის გავლენამ ნაყოფი მოიტანა. ახალგაზრდობის ერთ ნაწილს, რუსეთში სასწავლებლად წასულს, არავითარი სარგებლობა მოუტანია საზოგადოებისთვის. „ისინი, ამბობს თულაშვილი, რომელზედაც უფრო დიდი იმედი უნდა გვქონოდა, და რომელთაც, რაც უნდა იყოს მაინც შეეძლოთ ცოტა საზოგადოების სიკეთე, ისინიც მოედვნენ საზოგადოებისაგან მოგონილს ჩანგალსა და პირი მოგვარიდეს ჩვენო.“⁹⁶

ამგვარად, „საქართველოს მოამბის“ ჯგუფის პოზიცია განმარტოვებული პოზიცია იყო ჩვენს საზოგადოებაში. გლეხობას იგი ვერა სწვდებოდა, ადმინისტრაცია აღმაცერად დაჰყურებდა. თავად-აზნაურობის თანაგრძნობის იმედი არ ჰქონდა. და საინტერესოა ვიკითხოთ ახლა, როგორ დაუხვდა „მოამბეს“ „ცისკარი“ და რა ურთიერთობა გაიმართა იმ ხანაში ამ ორ ორგანოთა შორის?

ჩვენ აქ მივადექით ფრიად საყურადღებო მომენტს ჩვენი ჟურნალისტიკის ცხოვრებაში. ყოველივე, რაც ვიცით უკვე წარსულ წლების „ცისკარის“ მიმართულებაზე, საკმარისად მოამზადებდა მკითხველს და იგი ალბათ დარწმუნებულია, რომ დაწყებული კამათი ეხლაც იქნება გაგრძელებული და პოზიციებიც დაახლოვებით იმ ხასიათისა დარჩებიან, რა ხასიათისაც იყვნენ ახლო წარსულში. მაგრამ მკითხველის მოლოდინი რამდენიმეთ გაცრუვდება. კამათი მართლაც გაგრძელდა, მაგრამ ახლა თქვენ ვეღარ იცნობთ ბებრუცუნა „ცისკარს“. ეხლა, იგი სულ სხვა სამოსელში გიდგებათ თვალწინ. ხომ გახსოვთ მისი ყურთმაჯებიანნი კაბა, მისი განიერი შალვარი მაღალ ყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში ჩაკეცილი! ახლა კი ყოველივე ეს უარუყვია. პიდჯაკი ჩაუცვამს, თავზე განიერ კალთებიანი ქუდი წამოუხურავს, მხრებზე პლედიც წამოუსახავს და ხელშიც კეტის ოდენა ჯოხი დაუჭერია, სწორეთ ისეთი როგორსაც იმ დროინდელი ნიჰილისტები ატარებდნენ. ეხლა, ბატონო, „ცისკარში“ პოლიტიკო-ეკონომიურ წერილების დაბეჭდვას ჰპირდებიან. ახლა მას კრიტიკული განყოფილება დაუარსებია, მსგავსად „სოვრემენიკისა“ და „რუსკოე სლოვოსი“. და ჟურნალის ბელადადაც ახალი კაცი გამოუყვანია. ეს ახალი კაცი გახლავთ ანტონ ფურცელაძე. დიაღ, ასეთი გარეგნული ევოლუცია მოხდა „ცისკრის“ რედაქციაში. ვამბობ, გარეგნული, რადგან ჟურნალის პირველსავე ფეხის გადადგმაზე გარეშე მეთვალყურე გაკვირვებული რჩება. თუ „ცისკარს“ „ნიჰილისტობა“ დაუწყვია, იმ ახალს თაობას რას ერჩის, რატომ მასთან ერთად არ არის? და თუ იგი არსებითად წინააღმდეგია იმ პროგრესულ მიმართულებისა, რომელიც „მოამბემ“ შემოიტანა ჩვენში, რას ნიშნავს ტანსაცმელის უცნაური ტრანსფორმაცია? ამგვარი საკითხები იზადება იმ დროინდელ „ცისკარს“ რომ აკვირდებით. ფრიად საინტერესოა ამ მოვლენის სამართლიანად განმარტება.

⁹⁵ იქვე გვ.149.

⁹⁶ იქვე, გვ.151.

ანტონ ფურცელაძე ხან თავის გვარით, ხან სხვა და სხვა ფსევდონიმებით გამოდის „ცისკარში“. (ულოდიკო, თავხედი) უმთავრესი მისი ფსევდონიმი კი ქერელი ბექაა. ქერელი ბექა ახალი წესების და მიმართულების შემტანი ჟურნალში. იგი რადიკალზე რადიკალია. წარსულ წლების პუბლიცისტის, მოლაყბის ნაწერები ჩხირკედელაობად ეჩვენება ქერელ ბექას. „რასაკვირველია, ამბობს იგი, გეხსომებათ ის დრო, როდესაც ჩუჭნი გულდამწვარი ზოგიერთა პირნი მოლაყბის მართლის ლაპარაკითა უპირებდნენ იმას ხიდიდან გადაგდებასა და გეხსომებათ კიდევაც, რა რიგი აღრეულობა მოახდინა ამის „სალაყბოს ფურცელმა“...გავიდა დრო და როგორც სხვანიც მრავალნი, რომელნიც ხმა მალლა ჰქადაგებდნენ სიახლეს და ვერ შენიშნეს, რომ დრომ იმისი ნაქადაგები დიდი ხანია შემოიტანა და კიდევ დაძველდა და ისინი კი ისევ მას გაიძახდნენ ის გვინდაო, რაც დიდი ხანია დაძველებულია. დროს უკან დარჩა ჩუჭნი მოლაყბეცა და ახლა ხალხს უქადაგებს ისევ იმასა, რაც მის დროს ახალი იყო“.⁹⁷ ასე უბრუნებს ზურგს „ცისკარი თავის წარსულს. ვამბობ „ცისკარი“, რადგან ქერელ ბექას წერილებს არსად არ აქვს სარედაქციო შენიშვნა. რედაქციაც იზიარებდა მის იზრებს. კეთილი, იფიქრებს მკითხველი, ათის წლის განმავლობაში ასეთ ევოლუციას აზროვნებაში - ეს ხომ დიდი შეძენაა ქართული კულტურისათვის. ნეტავი ასე იყოს. მაგრამ რაღაც ეჭვი გვეპარება და ეს ეჭვი უფრო იზრდება, რაც უფრო მეტად და მეტად უმატებს რადიკალობას „ცისკარი“ თავის ახალ ბელადის წინამძღოლობით. ჩვენი კრიტიკოსი ქართულ ლიტერატურის განხილვაშია, ხოლო გზა და გზა პუბლიცისტისკაცსაც ეტანება. ჰგმობს ძველ წესს, მჩაგვრელებს, გიმნს უმღერის თავისუფლებას. „სურამის ციხემ“, კვითხულობთ მის წერილში, „სურამის ციხემ“, დასცა ზარი, დაუბერა ტანშე ჟრუანტელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებსა, აუშღვრია სისხლი დაასია ესენი დაწინაურებულ აზრების პატრონებზე. პატარა ხანს შეშინებული კონსერვატორები გამოვიდნენ ისევ ასპარეზზე და დასცეს თავისი საყვირი; აშაღეს თავის თანამომძე და მომხრე ხალხი! მიაგებეს დაფნის გვირგვინი ფუ.სულ... ქვემოულ ეფთიმე წერეთელს, ბერიძეს, რჩეულოვს და სხვა ამგვარ უნიჭოს და კონსერვატულს მწერლებს“.⁹⁸ ძველი რედაქციის თანამშრომლები ათვალისწინებულნი არიან; მოლაყბეს მოჰყვა ეფთიმე და სხვები. მაგრამ ვის ებრძოდნენ იმ ხანებში ბატონი ეფთიმესთანა მწერლები? ილია ჭავჭავაძეს. დღეს ილია ჭავჭავაძეს თავისი პროგრესიული ორგანო დაუარსებია. განა იქ არ უნდა დაბეჭდილიყო ქერელის რეტროსპექტიული განხილვა? კი, იქ უნდა დაბეჭდილიყო, ხოლო უკეთესი არ არის განა, რომ საქართველოში ერთის მაგიერ ორი პროგრესიული ჟურნალი იყოს? რატომ, ეგევ კარგია. და გარეშე მეთვალყურე დროებით გულს ამ მოსაზრებით იმშვიდებს.

მაგრამ „ცისკრის“ მარტის წიგნიდან გარემოება უფრო რთულდება. ქერელი ბექა „მოამბის“ ღირსების განხილვაშია. წაიკითხავთ ამ განხილვას და დარწმუნდებით, რომ ქერელ ბექას არ მოსწონს „მოამბე“, განსაკუთრებით არ მოსწონს ჟურნალში დაბეჭდილი ლექსები. ქერელი ბექა ხომ დიდი თაყვანის მცემელია დობროლიუბოვისა და პისარევისა. თუმცა „მოამბეც“ მათი წინააღმდეგი არ არის, მაგრამ იგი ჰბეჭდავს იმგვარ ლექსებს, საიდანაც კაცი

⁹⁷ „ცისკარი“ 1863წ. N1, გვ.112,

⁹⁸ იქვე 116.

არავითარ სარგებლობას არ ხედავს. კრიტიკოსს არ მოსწონს ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“. ვის არ ახსოვს:

„ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდა, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი...“

ან კიდევ:

„მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
„კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
„და წყნარს საღამოს, ვით მეგოვარს შემოვეტრფოდი,
„რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი...

ან კიდევ

“მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან სევდიანო,
„ვინ მოგეახლოს, რომ მყისვე თვისთ ფიქრთა შვება
„არ იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება,
„გულ დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო?...“

ჩვენს კრიტიკოსს ეს ლექსი გადაჭრით არ მოსწონს. ?მკითველი რაღაცა მომზადებით შეუდგება ამ ლექსის კითხვას, ამბობს იგი, და როდესაც გაათავებს, რჩება ხახა-მშრალი, გულ-ცარიელი. ეს იმიტომ, რომ აქედან არ ამოგაქვთ გონების მასაზრდოებელი ლუკმა და როგორც მშიერის გონებით შესდგომიხართ ამის კითხვას, ისეთივე და უფროც მშიერი რჩებით, რადგანაც ეს იმ საჭმელსა ჰგავს, რომ კაცს მადას უხსნის და კუჭს კი არ ეცხობა, რამდენიც გინდა სჭამო“.⁹⁹

ილია ჭავჭავაძის პოეზია ხომ ჩალის ფასად არა ღირს კრიტიკოსის თვალში, მისი „მუშა“ ნაძალადევი ნაწარმოებიაო. რაც შეეხება ლექსს „მას აქეთ რაკი შემდამი ვსცან მე სიყვარული ჰოი, მამულო“, აქ ჩვენი კრიტიკოსი ულმოებული ხდება. განსაკუთრებით ჰგმობს იგი შემდეგ ადგილს:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი;
„ის არი მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
„რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
„რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზარო!..“

„ერთი ჰკითხეთ უფ. ჭავჭავაძესა, ამბობს კრიტიკოსი, მაშ ვისთვის უკრთება ასე უწყალოდ ძილი, ვისთვის იკლავს თავს, თუ კი მთელს საქართველოში იმისთანა კაცი არ არის, რომ ღირსი იყვეს მაგის აზრის „განზიარებისა“?.. ბრავო, ბრავო, ბრავო, უფ. ჭავჭავაძე! ეგ ძალიან მოგივიდათ... ჯერ ათამაშა, ათამაშა, ეძახა შენთვის ვარ გაჩენილიო და მერე კი უცებ

⁹⁹ „ცისკარი“ N3 გვ.436.

ჩემი ღირსი არავინა ხართო!.. აი რასა ნიშნავს ნიჭის დამალადება და ნაწერის მოუსაზრელობა... ერთის ხათრის გულისათვის მაინც გვითხარით: რა გაქვს აგრეთი მძიმე ფიქრი და რასა ჰგრძნობთ იმისთანასა, რომ მთელს საქართველოში ერთი არავინ არის ღირსი მაგის გაგონებისა; ერთი, ღმერთი გადღეგრძელებს, არ ეშვება კრიტიკოსი, თუ ჩუწ უღირსთათვის არა-შთამომავლობისათვის მაინც წარმოსთქვით ეგ თქვენი მაღალი აზრი“...¹⁰⁰

ერთი სიტყვით, ქერელ ბექას არ მოსწონს „მომამბის“ პოეზია. მაგრამ მას არ მოსწონს არც „მომამბე“, არც ის ჯგუფი, რომელიც იქ შეჯგუფებულა. „ჩვენი იმედი იყო მოსწრებული ნასწავლი ყმაწვილი კაცობა. მაგრამ სწავლის მაგივრად ამათ მოიტანეს გაბერილი ფრაზები, წახალისების მაგივრად - პედანტობა; ერთობისა და სიყვარულის მაგივრად - ამაყობა ერთის სიტყვით, შრომის მაგივრად ლაპარაკობენ, საქმის მაგივრად ჰყვირიანო...“¹⁰¹ ერთად ერთი ვახტანგ თულაშვილია, რომელსაც სწყალობს ჩვენი კრიტიკოსი. „მისი შინაური მიმოხილვა ჭეშმარიტად უცხო მოვლინებაა ჩუწნს ლიტერატურაშიო.“ მაგრამ იგი ხომ მთელი ჯგუფის აზრებს ჰსახავდა? კერძო ბარათს ხომ არ ჰბეჭდავდა, ახალ თაობის სახელით ლაპარაკობდა და მათ აზრებს უზიარებდა მკითხველს. ამას ჩვენი კრიტიკოსი ანგარიშს არ უწევს, რადგან იგი მოწადინებულია სახელი გაუტეხოს „მომამბეს“ და მის თანამშრომლებს. ექვები თავში რომ გებადებოდათ, თან და თან ცხოველდებიან!.. აქ რაღაც ამბავია, ან პირადი მტრობაა, ან მოულოდნელი, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული თავისებური „ნიჰილიზმი“, რომელიც განმათავისუფლებელის მისიას ჰკისრულობს: ასე კია?.. მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ და უფრო ახლო გაგვეცნოთ ქერელ ბექას აზროვნებას.

„საქ. მოამბეს“ და მის რედაქტორის ნაკლი თურმე ის ყოფილა, რომ ისინი დროს ვერ მისდევდნენ. ჩვენ გვეგონაო, ამბობს კრიტიკოსი, „ჟურნალი შეუდგებოდა ხალხის ნაკლულევანების გამოკვლევასა და იმის მიზეზების ჩუწნებას; გვეგონა, რომ ის გაბედვით გადაეღობებოდა ყოველს უგვანობასა, როგორც შეჰფერის ყმაწვილ თაობასა, მაგრამ, ჩემო მკითხველო, ახლა ჩუწნდა სამწუხაროთ, ამას ვერ ვიტყვითო“.¹⁰² მამ მართლა არ შეჰხებია ჟურნალი რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო იმ დროში, „ხალხის ნაკლულევანების გამოკვლევასა?“ ამის მტკიცება ხომ აშკარა უსამართლობაა. სულ რომ არაფერი ყოფილიყო ჟურნალში, რატომ წაიშალა კრიტიკოსის მეხსიერებიდან ის გარემოება, რომ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა „კაცია-ადამიანი“, რეალისტურ ხასიანით მოთხრობა, რომლის მსგავსი შემოქმედის მხრივ ქართულ ლიტერატურას დღემდე არ უნახავს რა, - მოთხრობა - სარკე, სადაც ასე მოულოდნელად, ასე ზედმიწევნით, ასეთის გასაშტერებელის ჭეშმარიტებით გამოჩნდა მთელი ჩვენი იმ დროინდელი წეს-წყობილება, თავის უმსგავსობით, სიმახინჯით და სიბნელით? „ცისკარი“ ერთის სიტყვითაც არ აღნიშნავს ამ დიდებულ ნაწარმოების გამოსხვლას. ასეთი დაყრუება იმგვარ მოვლენის წინაშე, რომელმაც შეჰქმნა ეპოქა მთელს ლიტერატურაში, რას ნიშნავს თუ არა პირად მიკერძოებას და სრულ გულგრილობას ხალხის

¹⁰⁰ იქვე, 404

¹⁰¹ იქვე 444.

¹⁰² N7, გვ. 353

საჭიროებისადმი? მაგრამ ქერელი ბექა დარწმუნებულია, რომ იგია ახალი დროშის მატარებელი, „მოამბე“-ს კი მარტო „ტრაბახობა შერჩა ხელშიო“. ან როგორ უნდა მოსწონებოდა „მოამბე“, როდესაც მისი ხელმძღვანელი თურმე „ავტორიტეტების“ მოტრფიალეა. ავტორიტეტების უარყოფა ხომ იმ დროის მოწინავე საზოგადოების ლოზუნგი იყო. და აი ქერელი ბექაც დაებლაუჭა ამ აზრსაც, აცა არავინ დამასწროს, ჩემზე უფრო დიდი ნიჰილისტი არ გამოჩნდესო. „რაკი კაცი ავტორიტეტებს თავს დაამონებს(?), ამბობს იგი ილია ჭავჭავაძის შესახებ, რაკი კაცი ემონება მოუსაზრებლათ ძველსა(?), ახალს იჩოთირებს (?) და ყველა ახალი მხოლოს „მოდის“ გულისათვის და არა ჭეშმარიტებისათვის აქვს მიღებული, ის ავტორი აღარ არის სარწმუნო და უნდა სთქვა ბაზაროვის ეს სიტყვები; „Его песня отпела“ –ო¹⁰³. აკი მოგახსენეთ ბაზაროვის როლი ჰიბლავს ქერელ ბექას და იმას აღარ ჰხედავს, რომ ბაზაროვისებური კრიტიკა, მიმართული ახალ თაობას წინააღმდეგ, იმ თაობისა, რომელიც თითომ აღიზარდა ამ სკოლაში, მეტის მეტად კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს, მეტი რომ არა ვთქვათ რა. მაგრამ ვალაპარაკოთ „მოამბეს“ თანამშრომლები და მაშინ უფრო გამოჩნება, რომ მისი მოპირდაპირენი ცუდს სამსახურს უწევდნენ ქართულ კულტურის საქმეს. „როგორცა ვთქვით და ქვემოდა საბუთსაც მოგიყვანთ, „მოამბეს“ ადმინისტრაცია სასტიკად ადევნებდა თვალყურს და ამიტომ მან ვერც ფრთები გაშალა და ნახევარიც არა სთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა. მაგრამ მაინც სულ იმის ცდაში იყო, რომ ახალი აზროვნებისთვის გზაკვალი გაეკვლია.

დავით ყიფიანი თავის მიმოხილვაში ცდილობს ბატონყმობის შესახებ ჩამოაგდოს ლაპარაკი. „საზოგადოებაში ერთი ნაწილი რომ სულ არ შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავსა და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთ-ერთ ნებაყოფლობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისთვის ცუდია თუ არა? ამ კითხვაზე, შენა მკითხველო, რასაკვირველია, შედეგები, იქნებ შეჰკრთე კიდეცა, პასუხს კი ვერას მომიგებ ჯერა. ვიცი, ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისთვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისთვის, სენია. აი რათა. ჯერა, მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა. ამას გარდა სხვა ვინ შეიტყობს, მე ვითარ შრომის ნიჭი მაქვს? რასაკვირველია, არავინ, ჩემი გუნებისა და სურვილის მეტი. ჩემი ნებაყოფლობის წინააღმდეგობით ბატონმა კალოზე პურის გამწვავებელი რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ. ჩემი ბატონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომ სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია, უფრო იმხნევებდა და თავისუფალ შრომას გასწევდა. რა გამოვიდა აქედამა? ჯერ ისა, რომ თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია. მერე ისა, რომ მთელს საზოგადოებაში ყოველი კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა და მამასადამე ნაყოფიერათაცა. და თუ საზოგადოებაში ყოველი იმის წევრი ნაყოფიერათა შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევაო“.¹⁰⁴ დღეს ჩვენ ამგვარ აზრებს ბურჟუაზიულ აზრებათ ვნათლავთ, რადგან შრომის თავისუფლების აღიარება არ აუქმებს ადამიანთა შორის დამონებას, თუ ამავე დროს საზოგადოებრივი ხასიათი არ მიეცა წარმოებასაც. მაგრამ იმ ხანაში, როდესაც ადამიანის

¹⁰³ იქვე, გვ.358

¹⁰⁴ „საქართველოს მოამბე“ N4, გვ.109

პიროვნება საგნად არის გადაქცეული, საზოგადოებრივ წარმოებაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, უგუნურობა იქნებოდა. და ამიტომ დიდი ფასი ეძლევა „მოამბის“ პოზიციას, რომელმაც შეიგნო დროის საჭიროება და თავისუფალ შრომის პრინციპი წამოაყენა საზოგადოებრივ პრინციპად. იმ ხანაში, როგორც ვიცით, თავად-აზნაურთა კრებებში ბატონ-ყმობის გაუქმების რეფორმას ამზადებდნენ. გაკვრით ამასაც ეხება დავით ყიფიანი: „თავისუფალი შრომის მოკვეთა ჩვენს საზოგადოებაში ასი ათას გლეხს მოსდიოდა და იმათ მებატონეებსა მრავალ თავადსა დ აზნაურსა. ამას უთუოთა ჰგრძნობს ქართველების კეთილ-შობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ. დროების დედააზრი, როგორც მოქმედობს ამ მაგალითში, მკითხველო. იმას ეხლა შენც მიხვდებიო“¹⁰⁵. საუბედუროდ, ამ საგანზე პრესაში ლაპარაკი აკრძალული იყო. ეს რომ არ ყოფილიყო, უფრო ზედ მიწევნით გვეცოდინებოდა, თუ როგორ ესმოდა საგლეხო რეფორმა იმგვარ მოწინავე ორგანოს, როგორიც იყო „საქართველოს მოამბე“.

ახლა ვნახოთ, რა პასუხს აძლევს ჩვენი ჟურნალი „ცისკრის“ კრიტიკულ შენიშვნებზე. გიორგი წერეთელი სწერს: „ჩვენ საზოგადოებაში დაიდრა ცხოველი სული, იმას უნდა ცხოველი სიტყვა. მაშასადამე, „ცისკარს“ თუ თავის სიკვდილი არ უნდა, უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მიდიოდა, გააგდოს მიშურა, გარეგან სიბრკვიალეს და ჩაღრმავდეს სიცოცხლის მორევში მარგალიტების მოსაბოჭად... გარიბალდის ცხოვრებით და სხვა ამგვარებით თავს ვერ შევიხვევ იმიტომ, რომ მის გვერდში ვხედავთ იმგვარ თხზულებებს, როგორიც არის „მამისაგან შვილის დარიგება“, ქერელი ბექას ბაქაობა და სხვა. ამგვარად „ცისკრის“ გზის გამოცვლა კიდევაც უფრო მავნებელია, რადგანაც ამგვარებით შეიძლება მკითხველის თვალისაგან დაიფაროს შინაგანი ეშმაკობაო“. „ცისკრის“ ეშმაკობა თურმე მაშინაც კარგად მოსჩანდა. და თავისი აზრი „ცისკრის“ შესახებ „საქართველოს მოამბე“-მ მშვენივრად გამოჰსახა ერთ სახუმარო წერილში, „სხარტულაში“, რომლის ნაწყვეტი მოგვყავს ქვემოთ. წერილს ხელს აწერს ვინმე თ.ტ.გ.ჩ. საუბარია რედაქტორსა და მის თანამშრომლის „ბაქიას“ შორის.

რედაქტორი. რას იტყვი ახალსა, ჩემო უკანასკნელო ნუგეშო?

ბაქია. თქვენს სიცოცხლეს და ამ წყეული „მოამბის“ დამიწებასა.

რედ. ეგ სალამი ხომ ჩვენში ჩვეულებაცაა, შენ ახალი სთქვი რამ.

ბაქ. (გასწორდება და დოინჯს შემოიყრის) „საქართველოს მოამბე“-ზე იერიში მივიტანე მარტში და ივნისში, რუსულ ჟურნალს „ისკრა“-ს რომ ყუმბარები მოვპარე, პატარა ზოგიერთგან გადავაკეთე და ივაყარე „მოამბეს“.

რედ. (ღიმილით) მერე?

ბაქ. „მოამბის“ მცველები ჯერ მაინც და მაინც ხმას არ იღებენ.

¹⁰⁵ იქვე, 100.

რედ. მე ძალიან მეფიქრება, ჩემო ბაქია! რა ვიცი? ის წყეული თერგ-დალეულები, შენ არ იცი, რა ხალხია! თუ ერთი ხელი შემოგვიბრუნეს, კუდიტ ქვას გვასროლინებენ.

ბაქ. (თავმოწონებით) ისე ბრძანებთ, თითქო არ მიცნობთ, რა კაცი ვარ. ჩემისთანა კაცს-ჩემისთანა კაცს, - მოდი ისე გააბრიყვე „მოამბის“ მცველები, რომ თავი გაუყადრონ და ხმა გასცენ! თქვენგან არ მიკვირს!

რედ. მაშ, ჩემო ერთგულო ბოძო, დაჩუმდი, თუ ეგეც იცი, რას წასწვდები ხოლმე იმათ, ხომ ხედამ, ზედაც არ გიყურებენ.

ბაქ. კიდეც ეს გახლავ კარგი და! რად დავჩუმდე? ისინი ჩემთან ბრძოლას თაკილობენ და ხმას არ იღებენ და ჩვენ საყვარელ ჟურნალის მკითხველს კი ჰგონიათ, რომ მე ისინი შევაშინე, ხმა გავაკმენდინე და ჩვენ მკითხველების თვალში გამარჯვებული ვრჩებით ამრიგად. ცუდია თუ?

რედ. (დაღონებით) კარგია, მაგრამ მე ერთისა მეშინიან; ვაი თუ თერგდალეულებს გაუწრეთ ღმერთი, ერთი თავზედ ხალი აიღონ და შენთან ლაპარაკი არ ითაკილონ. მერე შენთან ხომ მეც თან გამატანენ.

ბაქ. როგორ, ბატონო!

რედ. აი ისა, რომ მე და შენ, ძმაო, ცოდვები ჩაგვიდენია, მოგვაკრეფენ და სულ შხამად ამოგვადენენ! შენ არ იცი რა დაუნდობელი ხალხია ეს თერგელები!

ბაქია. რა ცოდვები, მე არ მახსოვს!

რედ. აბა ჩვენი ცოდვები შენ რად გეხსომება! თუნდა გახსოვდეს, შენ ისეთ ერთგული ხარ, რომ ძალად დაივიწყებ. აი როგორც ის დაივიწყე. რომ მანამ მოამბე გამოვიდოდა, სულ ვლანძღამდით მოამბესა და შენ კი წაყვედრე მოამბესა: აბა როდის ვლანძღავდითო, აკი თავის მკითხველებს ვახარეთო, ერთხელ, რომ მოამბე გამოდისო. ის კი არა თუ ეგ ერთხელ ცბიერებით ვახარეთ და წინა თვეებში კი მრავალჯერა გულწრფელობითა ვლანძღეთ. აი თუნდა გაშინჯე ჩვენი ნომრები აპრილიდან ოქტომბრამდინ, თუ ნოემბრამდინ 1862 წლისა, ეს, რასაკვირველია, როგორც შეჭფერის შენს ერთგულებას, დაივიწყე. ეგრეთი უნდა კაცი, ჩემო ბაქია! მე არ უნდა გამცე! მაგრამ ის წყეული თერგდალეულები შენსავით ერთგულნიო ხომ არ არიან, რომ ჩვენი გული დაივიწყონ. სულ ერთი ერთმანეთზე ზედ შეგვიკეცენ!

ბაქია (ქებით დაამაყებული). აბა რა ცოდვები, გვიბძანეთ.

რედ. განა ერთი და ორია, ათასია, ჩვენ საუბედუროდ, აი თუნდა 1859წ. ოქტომბრის თუ ნოემბრის ჟურნალში, -ეს ოხერი, მიწოდდა კრიტიკის მნიშვნელობა ისე ამეხსნა, რომ ქვა გამეხეთქა - მაშინ ხომ პოეტი ვიყავ? მაგრამ აი რა წამოვრომე: „კრიტიკა არის პატივი ლიტერატურულ ხელოსანთათვის მეთქი“.

ბაქია. ეგ პლატონის მჭერ-მეტყველობაა სწორედ. მანდ ცუდი რა არის.

რედ. შენ ეგრე გგონია, ჩემო ერთგულო ბაქია, იმიტომ რომ გიყვარვარ. თორემ აქ კარგი არა არის რა, პატივი, ჩემო ძმაო, ამ შემთხვევაში ნახვსა ჰქვია მდაბიურად. აბა კრიტიკა ნახვია? „ხნული“ რომ არ წამომცდენოდა, მაშინ იქნება ვერ მიხვედრილიყვნენ, რომ მე კრიტიკა და ნახვი ერთი და იგივე მგონია. მართალია, შენ ჩემის მეგობრობის გამო, შენის კრიტიკებით გულ-მოდგინეთ მეხმარები, რომ საქმითაც კრიტიკა ნახვად ვაჩვენოთ, მაგრამ იქნება ჩვენი მოყვარული ხალხი კი მოტყუვდეს ამით, თორემ ის შეჩვენებული თერგდალეულები არ მოტყუვდებიან.

ბაქია. მაგისტანები იმათ კი ცოტა აქვთ!..

.

რედ. მე მაინც გირჩევ ფრთხილად იყო. შენ უფრო ბუნდათა სწერე. საცა გონება არ მიგიწვდეს, წერტილები დასვი, იტყვიან ლიბერალიაო, თორემ გაგპენტავენ, ღმერთი-რჯული გაგპენტავენ.

ბაქია. (თავმოწონებით) მე ჯერ ყოჩაღათა ვარ.

რედ. რაღა ყოჩაღათა ხარ, რომ მარტის კრიტიკაში ნ. ბარათაშვილის ლექსსა მშვიერი მივარდი. გეგონა ლობიოს შეჭამანდი დაგხვდებოდა იმის მაგიერ რომ მშვენიერი ლექსი დაგხვდა - აბა მშვიერს რა გელექსებოდა-გაკაპასდი და დაიწყე ყვირილი, რომ მადა გამიღვიძაო და კუჭი კი ვერ გამიძღაო. პოეზია ლობიოს შეჭამანდის ქოთანს ხომ არ არის, რომ ლობიო გასვლიპოს, მითამ, შენი ლექსი, ჩემო ბაქია, ბაირონიდამ რომ გადმომიღია იმაზედ უკეთესია? შენ ცოტა ენა შეიკავე, თორემ მე ხეირს ამ დამაყრი.

.

ბაქია. მარტის კრიტიკაში ის მართლა და მშვენიერი ნ. ბარათაშვილის ლექსი მე ცუდად დავანახვე მკითხველსა, გამოგილანძღეთ - ლობიო არ მოგვიხარშა მეთქი. მაგრამ გამოგილანძღეთ ილ. ჭავჭავაძე - კაცის შებრალებაზედ რათა სწერს მეთქი. თუ უნდა ჩვენ შეგვიბრალოს, კაცს რა შებრალება უნდა? მეორედაც გამოგილანძღე ილ. ჭავჭავაძე, ის რაღაც რომ თქვა, კაცი არავინ არისო, რომ ფიქრი ვანდოვო, გრძნობა განვუზიაროვო - ამაზე კარგად მივარტყი. მაშ? რად ამაყობს! მე კაცი არა ვარ, თქვენ, ძლევა მოსილო რედაქტორო, კაცი არ ბრძანდებით, მა რა ეშმაკი ხართ. მითამ და იმის მეტი პატრიოტი არავინ არის! თქვენ განა პატრიოტი არა ხართ? მაშ რა იყო, რომ თქვენ ჟურნალში იმდენჯერ ეფიცებოდით მკითხველებს, რომ პატრიოტი ვარო! აი მტრობა ეს არის და რომ ჩვენს სიკეთეს ვერა ხედავენ.¹⁰⁶

ასე ოხუნჯობდა „მოამბე“ და ამ ოხუნჯობაში ხელოვნურის კალმის გასმით ფარდა აეხადა „ცისკრის“ რადიკალობას და მის ნამდვილ გულთა სწრაფვას. სწორედ რომ საკვირველმა მოვლენამ იჩინა თავი ჩვენს ცხოვრებაში, პროგრესულ და ჰუმანიურ

¹⁰⁶ „საქართველოს მოამბე“ N6.

მიმართულებასთან ბრძოლის გულისათვის ძველი ორგანო უეცრად კანს იცვლის, თითონაც ხდება პროგრესიული და რადიკალური, რათა ამ თავის რადიკალობით გზა აუბნოს საზოგადოებას და მით უფრო მოხერხებულად ორმო გაუთხაროს თავის მოპირდაპირეს. საკვირველია ყოველივე ეს და საკვირველია ისიც, რომ ამ საქმის მეთაური იყო ანტონ ფურცელაძე!

10.

„საქართველოს მოამბის“ და მის ხელმძღვანელის, ილია ჭავჭავაძის, ფიზიონომიის დახასიათება სრული არ იქნება, ცოტა რამ რომ არა ვთქვათ რა „კაცია ადამიანის“ შესახებ. ამ თხზულების სტრუქტურასა, შინაარსსა და შემოქმედებით პროცესში სავსებით გამოისახა ჭავჭავაძის თეორია ხელოვნებისა. ჩვენ უკვე ვიცით რომ იგი რეალისტიკა. ხოლო ეს რეალიზმი არ მიდის არც ბაზაროვისებურ უარყოფამდე ესთეტიკისა და არც ბარათაშვილის ლექსების შეუწყნარებლობამდე. პოეტი რომ არ ყოფილიყო ილია ჭავჭავაძე, ადვილად შესაძლებელია ისიც მისულიყო ქერელი ბექას აზრამდე და „ლობიო შეჭამადის“ ძებნა დაეწყო პოეზიაში. მაგრამ პოეტურმა გრძნობამ გადაარჩინა ჩვენი პოზიტივისტი და რეალისტი ილია. და ამიტომ იყო, რომ მან შესძლო თავის შემოქმედებაში ერთს მხრივ ესთეტიკის და მხატვრობის კანონიც დაეცვა, რეალიზმის მოთხოვნილებაც დაეკმაყოფილებინა. „კაცია ადამიანი“ ერთი იმგვარ თხზულებათაგანია, სადაც ეს ორი თვისება ნამდვილ ხელოვნებისა ჰარმონიულად და სინტეტიურად არის ერთმანეთში შედუღებული. ამიტომ იგი არის და იქნება შედეგრი ჩვენი სიტყვა-კაზმულ მწერლობისა. და ამ ხასიათის ხელოვნური ნაწარმოების დიდი ძალაა თვით საზოგადოებრივ აზრის ევოლუციისა. „მეცნიერება და ხელოვნება, ამბობს ჭავჭავაძე, არ არიან მოგონილნი კაცის ჭკუის და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის, იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის. იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება, რაც მაგათაგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა.¹⁰⁷ ხელოვნების მნიშვნელობა და ძლიერება სწორედ აქ არის, რომ იგი შემოქმედებაა და ამიტომ ცნობაში მოჰყავს ხშირად ის, რაც ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მომწიფებული ცხოვრების ზედაპირზე. ამ შემთხვევაში იგი მმოდრავი ძალაა საზოგადოებრივ განვითარებისა.

„კაცია ადამიანი“ მის ესთეტიკურ ღირსებასთან ერთად სწორედ რომ ამ ხასიათის მმოდრავი ძალა იყო იმ ხანაში, როდესაც დაიბეჭდა. და რასაკვირველია, იმავე საგანზე რომ დაწერილიყო ათი და თხუთმეტი პუბლიცისტური წერილი, ამ წერილის გავლენა საზოგადოებაზე არ შეედრებოდა „კაცია ადამიანის“ გავლენას. მეტი არ იქნება, რომ ამოვწეროთ რამდენიმე ადგილი და ამ თვალსაზრისით დღეს შევხედოთ ამ თხზულებას.

¹⁰⁷ *) N1, გვ.126

საუბარი ლუარსაბსა, დარეჯანსა და მათ რძალ ელისაბედს შორის არის. ელისაბედი, სადამო ხანს სტუმრად მოსული თათქარიძიანთსა, ათასგვარ ამბავს და ჭორს უამბობს ლუარსაბსა და დარეჯანსა

-...აი ერთი კიდეც რა შევიტყვე, გოგო და ბიჭი დაითხოვეთ, მოგახსენებ, თქვა ელისაბედმა.

გოგო და ბიჭი დაითხოვეს. ელისაბედმა შემოავლო თვალი გარეშემოსა და ნახა, რომ არავინ არ არის, მიჯდა ახლო. ლუარსაბმა ყურები დაცქვიტა და ახლო მოიწია, დარეჯანმაც ყურთან ლეჩაქი გადაიკეცა, რომ კარგად გაიგოს.

ელისაბედმა დაბალი ხმით დაიწყო:

- ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა ხომ გახსოვთ?
- დიახ, მიუგეს ერთი ხმით ცოლ-ქმარმა.
- იმ დღეს თურმე გველეშაპი გადმოსდგომოდა მზესა, ისიც ხომ გაიგეთ?
- დიახ, დიახ, გავიგეთ! წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმაც.
- იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქომთ, რომ - აქ უფრო ხმა დაიდაბლა - და უთქომთ, რომ თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო.

- ვაი შენს ლუარსაბსა! წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა: ეგ რა თქვი, რა? აკი მოგახსენეთ ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს მეთქი. აი ღვთის წყრომა სულ ჩვენივე ცოდვებისაგან მოგვევლინა. მამა ჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ წავალ ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლ ქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. ქვეყანას შევეყრი და სახლკარიანად ამოვბუგავ. კიდე ატარონ ქირაზედ ურმები.¹⁰⁸

- რაზედ გაცხარდი, შენ გეთაყვანე! მიატანა ლუარსაბსა ცოლმა; სომხების კარაბადინს როგორ უჯერებ. შარშანწინ არა თქვეს, რომ დედა-მიწა რომ ხარის რქაზედა დგას, იმ ხარს ერთი რქა მოსტეხია და ქვეყანა უნდა გადმოზრუნდესო, მაგრამ ტყუილი კი გამოდგა. გარეჯელ მკითხავს ეთქო, რომ არც რქა მოსტეხია და არც არაფერიო.

- მართლა, ეგ კი აღარ მომაგონდა, თქვა ეხლა კი დამშვიდებულმა ლუარსაბმა, ჭორები იქნება. აბა გეთაყვა, მეფის ნაბობებს სომხის კარაბადინის სიტყვით, ვინ წამართმევს. თუნდ ეგ არ იყოს, რიღას თავადიშვილი ვიქნებით თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ, ან რა დასაჯერია?

-რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა - ეგ ცუდია, თქვენმა მზემ! თქვა ელისაბედმა.

¹⁰⁸ ურმების ქირაზე ტარება ლუარსაბს დიდ სირცხვილად მიაჩნია თავადიშვილისათვის.

- ხმა გავარდნნილა, მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ, შარშან კი არ იმახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებათ შეიცვლებიანო, ყმები ბატონებათო. ვენაცვალე ღვთის მადლს, იქაც ისე არიანო, ბატონი ბატონათა, ყმა ყმათაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო. მეც და ჩემ დიდ-კაცებსაცო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მანამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“.

- რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონყმობა ღმერთს დაუწესებია და თვითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! თქვა დარეჯანმა.

.

ელისაბედი ეთხოვება, მიდის და ურჩევს, გლეხები მაინც დაარიგეთ, რომ ტყუილიაო.

-...ღმერთო, რა მეჭორეა!.. რა ენა ჭარტალა!.. ქმარს უთხრა დარეჯანმა ელისაბედზედ.

- ის რა მოიგონა, თქვენი ჭირიმეთ, ყმები უნდა ჩამოგვერთოსო! დაჰკრა კვერი ლუარსაბმა.

- შენ რომ მაშინვე დაიჯერე!

-კარაბადინმა თქვაო, მოდი და ნუ დაიჯერებ, ის კი, ღვთის წინაშე არ მომაგონდა,რომ გარეჯელ მკითხავსა ბევრჯელ გაუცრუებია სომხური კარაბადინი.

.

ამ ლაპარაკის შემდეგ ცოლ-ქმარნი მაინც ვერ დამშვიდნენ. სიფრთხილის გულისათვის გადასწყვიტეს გლეხებში ხმის დაგდება, რომ ყოველივე ეს ტყუილია.

-...ეხლავ დავუმახებ დათოსა და ვეტყვი. დათო! დათო! დაიყვირა ბატონმა.

- ბატონო! სადღაც შორიდან მოისმა დათოს ხმა; ეხლავ გაიხლებით.

ცოტა ხანს უკან დათოც მოვიდა და ჰკითხა ბატონსა.

- რას გვიბრძანებთ?

- იმასა რომ ყმები ჩამოგვერთმევაო, რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავახრჩობო, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო, გაიგე?

- გავიგე, შენი ჭირიმე! უპასუხა დათომ. განა მაგას ვინა ფიქრობს? აი რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილ-ფეხობის სიტყვა რა დასაჯერია, იყბედებენ, იყბედებენ და დაჩუმდებიან.

- ეგრე თქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგიი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენა არა გვეყვანდეთ.

- შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმე !
- რაც უნდა იყოს მამასავით გატრონობთ.
- დიახ, შენი ჭირიმე, სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ - ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისთვის არის ხოლმე განა მამა შვილს არ გაუწყრება?
- ოღონდაც რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.
- მართალი ბრძანებაა. სხვას არა აქვს მაგის მიგნება, ამბობს, რომ რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოსო, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს სულ იმათ სიკეთისთვის ართმევს, ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგვენია.
- ოღონდაც რეგვენია, ჩაერივა დარეჯანი, მაშ ბატონი რისა არის, თუ არ დაჰტუქსავს, თუნდ ეგ არ იყოს, უცხო ხომ არ არის, ისევ თავისივე ბატონია.
- მართალი ბრძანებაა; მამაა, უცხო რად იქნება! დაუმატა ეშმაკობით დათომ.
- დიდი და პატარაობა სად არ არის? თქვა ლუარსაბმა. აი თუნდა თითებზე დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? იმისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა დაიხედე.
- განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის პატარაც, მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან, თქვა ცბიერმა დათომ.
- მაშა! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ანდა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს, ან რა დასაჯერია? გააგრძელა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.
- ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე. ვინც უტვინოა, ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.
- როგორი მართალია? დაატანა დარეჯანმა: ხელმწიფისათვის ან ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვართოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაგააზატონ. ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?
- მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, ტყუილი უნდა იყოს.

- ტყუილია, მაშ რ არის? დაყვირა ლუარსაბმა: აბა რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგასა, თუ არ იუდას კერძი?
 - აი მეხიკი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! მიაყარა ქოქოლა დარეჯანმა.
 - თუ ეგ მართალია, გარეგელ მკითხავს იცი რა უთქვამს? - ჰკითხა ლუარსაბმა.
 - არა, შენი ჭირიმე, რა მოგახსენათ?
 - ისა, რომ ტყუილიაო.
 - აბა იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ, დაუმატა დარეჯანმა.
 - მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ ტყუილია, აბა უბატონოთ რა ხეირი დაგვემართება? უპატრონო საყდარსა ეშმაკები დაეპატრონებიანო, გლეხები იტყვიან ხოლმე, ჩვენც ეგრე მოგვივა. ახლა ამითი გვატყუებენ, თავადებსაც და გლეხებსაც, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნება, თორემ რა დასაჯერია?
 - თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა. თუნდა ბოდბელისა არ იყოს, ქვა ქვაზედ ნუ იქნება, თქვა ლუარსაბმა, ქვეყნისთვის კარგი იქნებაო? თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანიმც გავარდნია. არა დათო?
 - დიახ შენი ჭირიმე! სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქვამს, რომ ტყუილია და როდი მიჯერებენ.
 - შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით მიბრძანა თქო, მაშინაც არ დაიჯერებენ? უბრძანა ლუარსაბმა.
 - მაშინ კი რაღა ეთქმით, შენი ჭირიმე!
 - ეგრე, ჩემო დათო! ყველას უთხარი.
 - ბატონნი ხარ, მაშ გიახლოთ?
 - წადი.
- დათო წავიდა; ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმას?
- არა. გული დააჯერა, რომ ტყუილია, უთხრა დარეჯანმა როცა დათო წავიდა.

- ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა, უპასუხა ლუარსაბმა.

.

მოთხრობის დასასრულში ავტორი ეუბნება მკითხველს: „ეს მოთხრობა სარკე იყო და მე, თუნგიანდ, მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმაღავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ნახოს რამე. მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი - სარკე მოგიტანე. ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგა და შიგა და შიგ ლაქებიანიც? რაცა მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემემლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინც და მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან, მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შენშია მოვტყუვდი, რომ შენ ის არ ყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ ხელდაკრეფილს ესლა დამრჩენია სათქმელად: მე მიყვილია და გათენდება თუ არა-ეგ ღმერთმა იცის, წყრომა კი, რომ არ ყოფილიყო ეგ გათენება ჩვენც კარგად გვეცოდინება, როდესაც იქნებოდა“!..

მართლაც, უკმაყოფილება თავად-აზნაურობაში დიდი იყო. და როგორ არ უნდა ყოფილიყო ამ საშინელ და საკვირველ სარკეში რომ ჩაახედეს. კაცს თავი მოსწონდეს, მშვენიერების და სამართლიანობის განსახიერებად მიაჩნდეს თავისი კეთილშობილი გვამი და ამ დროს აჩვენებენ მის ნამდვილ სურათს, საიდანაც უფრო პირუტყული და არა ადამიანური სახე გამოიყურება. მოდი და ნუ გაწყრები! საუკუნოებით შეზდილი ილუზია დაიმსხვრა, გაქარწყლდა თავმომწონეობა, გრძნობა უპირატესობისა და პირველობისა და ნაცვლად ამისა რჩება საცოდავი, უბადრუკი ზარდაცემული არსება, სიკვდილის შიშით შეპყრობილი. სიკვდილი მართლაც მოადგა და შთანთქა იგი თავის ბნელ უფსკრულში. სამაგიეროდ ისინი ვინც დარჩნენ, თავისუფლად ამოისუნთქეს. გაზაფხულის სიომ მართლაც დაჰბერა და აქა-იქ მწვანე ბალახიც აბიბინდა. სიცოცხლე თავის უფლებას არავის უთმობს. ამ უფლების დატყვევება შეიძლება, მისი განადგურება კი არასოდეს. „კაცია ადამიანი“ ამ სიცოცხლის და ბედნიერების უფლების აღმადგენელი შიკრიკია ჩვენში.

მაგრამ „საქართველოს მოამბეს“ ბოროტი სულნი უდარაჯებდნენ. რედაქცია პირველ ხანში გულს არ იტეხდა. მისი მტკიცე სუვილი იყო გაგრძელება ჟურნალის გამოცემისა შემდეგ წელშიაც. ხოლო აშკარა კი იყო, რომ რედაქციისთვის საჭირო გახდა ზოგიერთ დაბრკოლებათა დაძლევა. ნოემბრის წიგნში ვკითხულობთ ამ შინაარსის განცხადებას: „დიდი ხანია უნდა გამოცხადებულიყო კიდევ მომავალი წლისთვის ჩვენს ჟურნალზედ ხელის მოწერა, მაგრამ ჯერ ხანად კიდევაც ვაგვიანებთ; იმიტომ რომ ჟურნალის პროგრამა, მისი გამოსვლის დროს რიგი და თითონ ფორმატი გვინდა გამოუცვალოთ. ამის ნების დართვა ვითხოვეთ მთავრობისაგან და მანამ ნება არ მოგვეცემა, ხელის მოწერის გამოცხადებას ვერ გავბედავთ.¹⁰⁹ როგორც შემდეგ გამოირკვა, მთავრობას არ შეუწყნარებია ილია ჭავჭავაძის თხოვნა. დეკემბრის წიგნში შემდეგ სარედაქციო ხასიათის აღსარებას ვკითხულობთ: „ჟურნალის საქმეში ზოგი

¹⁰⁹ IX, 88

იმისთანა დაბრკოლებათა, რომელიც უნდა სძლიოს რედაქციამ და რომლის ძლევაც შეუძლებელია; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავ გამოდება უქმია. „დრონი მეფობენო“ ნათქვამია, - ჩვენც ნებით თუ უნებლიეთ გულზედ ხელი უნდა დაგვეკრიფნა. ხოლო თუმცა გზა გახიდილი გვქონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით გეტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხოვდა - ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ასე მოგექცევით - თუნდა რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღს. ნაკლულევანება ჩვენს ჟურნალს, რასაკვირველია, ბევრი ჰქონდა... ყველზე დიდი ნაკლულევანება ის იყო, რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არა ჰქონდა, - ეგ ინტერესია ყოველი ჟურნალის სული, ეგ აცხოვრებს, ეგ აბრუნებს მის სულსა. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომლებიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ აღსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერაც სცადა, კიდევ იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენი“. ამის გამო ჩვენ ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბე“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდ გასასინჯავი იყო“¹¹⁰ მიუხედავად ყველა ამისა ჟურნალი მაინც უნდა გამოსულიყო. „ჟურნალი ისევ თვე და თვე გამოვა იმავე პროგრამით, სივრცით შვიდ თაბახზე არა ნაკლებით“. ვკითხულობთ რედაქციის განცხადებაში. მაგრამ შემდეგ წელში იგი აღარა სჩანს, მოდით და გაჰკიცხეთ, ვერ აასრულეთ დაპირებაო?..

ზემოთ მოყვანილი განცხადება მეტად საყურადღებოა, თავდაბლობა რედაქციისა, რომელიც გულწრფელად სწუხს იმის გამო, რომ სავსებით ვერ აასრულა თავისი ვალდებულება, მაჩვენებელია მის ზნეობრივ სიმტკიცისა და ძალისა. ბევრნი ჰკიცხავდნენ, „ცისკარი“ სულ იმას გაიძახოდა ცხოვრებას გაურბისო, მაგრამ „მოამბე“ არ შეუშინდა ამ გაკიცხვას, რაც მართალი იყო არ დამალა, თუმცა, აშკარაა, გადააჭარბა თავს ჟურნალის ნაკლულოვანებათა ჩამოთვლაში. აშკარაა, ის რომ ბატონყმობის შესახებ ხმის ამაღლება არ შეეძლო და იმდროინდელი თავად-აზნაურულ კრებებში აღძრული საკითხი ჟურნალის ფურცელზე გამოეტანა, ისეთ დიდ ნაკლულევანებად მიაჩნია რედაქციას, რომ აღარ კმაყოფილდება იმითი, რის თქმა მაინც მოახერხა იმ შავბნელ დროში. ვიმეორებ, ასეთი აღსარება სულიერ ძალის მაჩვენებელია.

მეორეს მხრივ, რა საგულისხმოა ეს „დრონი მეფობენ“, დასურათბატებული სიმბოლო, სადაც იმ დროინდელი უუფლებობა და ადმინისტრატიული თვითნებობა ისახება. ამასთან ისიც არს საგულისხმო, რომ სულ რაღაც ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციის უმაღლესმა წარმომადგენელმა არა მარტო ხელი შეუწყო პირველ ქართულ ჟურნალის დაარსებას, თითონაც გახდა მისი ხელის-მომწერი, სადღა არის ის მეცენატობა, ის სურვილი ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა! ათი წლის განმავლობაში

¹¹⁰ N12, 1-2

ყოველივე განქრა სიზმარსავით. და ამ ათის წლის ისტორიამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისამ დაგვანახა და გამოაშკარავა უნიადაგობა თავად-აზნაურულ ინტელიგენციის ილუზიებისა, მეორეს მხრივ ისიც, რომ ჩვენ საზოგადოებას განვითარების უნარი ჰქონია და რომ ის „ბავშვი“, რომელსაც ეფერებოდნენ და ეალერსებოდნენ ჟამსა მის ფეხის ადგმისა, ახლა, როდესაც იგი დავაჟკაცდა და თითონ მოინდომა ცხოვრების გზის გაკვლევა, რომ ის „ბავშვი“ მეხსიერებიდან ამოიღეს მისმა მფარველებმა და იმ დავაჟკაცებულ საზოგადოებრივ აზროვნებას კი აქეთ-იქედან მუჯლუგუნებს სთავაზებდნენ და წყრომით თვალებს უბრიალებდნენ. „საქართველოს მოამბე“ იყო პირველი მსხვერპლი ჰუმანურ იდეალებისადმი შეწირული.

რაც შეეხება „ცისკარს“, მისი ნამდვილი სახე დაიფარა ახლად ჩამოფარებულ ნიღაბის წყალობით. მაგრამ ჩვენი პროგნოზი მის ნამდვილ ფიზიონომიის შესახებ გამართლდება სავსებით. 1866წ. იზადება „დროება“, ხოლო 1871 წელს „კრებული“. ამ ორგანოებში ხელ-ახლად იყრის თავს ახალგაზრდობა, რომელიც ანვითარებს, აგრძელებს და აღრმავებს „საქართველოს მოამბეს“ მიერ გადმოცემულ იდეურ ანდერძს. კულტურულ და პროგრესიულ აზრის შეუწყვეტელობის ღარი გადებულ იქმნა „საქართველოს მოამბისა“ და აღნიშნულ ორგანოებს შორის. „ცისკარი“ კი რჩება ამ ნაკადულის გარედ. მაგრამ საჭიროა დავუმატოთ, რომ ყველა ამითი „ცისკარის“ მნიშვნელობა ჩვენი აზროვნების ისტორიისათვის სრულიადაც არა ქარწყლდება. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ერთ დროს „ცისკარში“-აც გაისმოდა იმგვარი ლაპარაკი, რომელიც თითქოს ეჩოთირებოდა იმ დროინდელ საზოგადოებას. არ უნდა გვავიწყდებოდეს მოლაყბის, ჭონქაძის და ლავრ. არდაზიანის დამსახურება. თუ 1861 წლიდან „ცისკრის“ მიმართულების ნაკლულევენება და უვარგისობა აშკარა ხდება, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს გამორიცხული ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიიდან.

ჟურნალისტიკის ისტორიაში აუცილებელია ისტორიული თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისით კი რომ შევხვით საგანს, აშკარად დავრწმუნდებით, „ცისკარმა“ დააჩქარა ახალ ძალთა მომწიფება და მათ სამოქმედოთ გამოსვლა; იმათ კი არ დააშურა, რომ ხეირიან საზრდოს აძლევდა ახალგაზრდობას, არამედ სწორედ იმითი, რომ გონებრივ შიმშილით შეპყრობილ ახალგაზრდობას ვერ აკმაყოფილებდა, საღერღელს უშლიდა და მოქმედებისთვის აქეზებდა. ისტორიაში ყურადღების ღირსი მარტო ცხოვრების დადებითი მხარე არ არის, საჭიროა გათვალისწინება მიზეზთა და შედეგთა სინტეზისა. და ხშირად მნიშვნელობა ამა თუ იმ უარყოფითი მოვლენისა ის არის, რომ იგი ჰქმნის და ჰბედავს მის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას. ამ თვალსაზრისით შეიარაღებულთ, მივაკუთნოთ „ცისკარს“ ის ადგილი ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც ეკუთვნის.

ნაწილი მეორე

„მესამოციანნი:

(„დროება 1866 – 1876 წ., „მნათობი“ 1869-1872 და „კრებული“ 1871 -1873წ.)

„საქართველოს მოამბის „მოსპობის შემდეგ (1863 წ.) ახალ თაობას ორი წლის განმავლობაში საკუთარი ორგანო აღარ ქონდა. „ცისკარსაც“, რაკი მოპირდაპირე აღარ ჰყავდა, საომარი იერი დაეკარაგა. და ამ ჟურნალს, მცირედის განსხვავებით, თითქოს ძველებური ელფერი დაედო. ცნობილმა ბექამაც (ანტონ ფურცელაძემ) ბაირალტრობას თავი მიანება. პატარა ხნის ახმაურების შემდეგ ჩვენს მწერლობაში სიჩუმე ჩამოვარდა და გულშემზარავი დუმილი. მხოლოდ 1866 წელს გ.წერეთლის რედაქტორობით გამოდის ახალი საკვირაო გაზეთი „დროება“. სრულიად მართალს ამბობდა რედაქტორი ამ ახალი გაზეთისა, რომ „ჩვენს აზრში ეს წელიწადი (1866) დარჩება შესანიშნავ დროთ: ქართულს ენაზედ გაზეთი სრულიად ახალი საქმეა და ყოველივე ამგავარი საქმე ნაბიჯის წინ გადადგომაა“ (N1). მართლაც, ამხანიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთობის გამოცემა არ შეწყვეტილა და მუდმივ, ჩვეულებრივ კულტურულ-საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა.

მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სწორედ 1866 წლიდან რუსეთში უკვე იწყებოდა მეორე, დაკნინების ხანა მესამოცე წლებისა, რუს-ინტელიგენციის აღორძინების, აღფრთოვანების და დიადი იმედების ხანაში (1855-1861წწ) ჯერ კიდევ ნორჩი იყო ჩვენი ახალი თაობა. მან ჯერ კიდევ ფესვი ვერ მოიმარა საზოგადოებრივ ასპარეზზე: „საქართველოს მოამბეს“ ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა. ხოლო შემდეგ ხანაში ამ თაობას გასაქანი ადგილი აღარ ჰქონდა. „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ წამოაყენა ჰუმანიტარულ-პროგრესული პრინციპები. ამ პრინციპების გაღრმავება და განვითარება ვალად დაედო „დროებას“. ისიც შეუდგა ამ საქმის განხორციელებას. მაგრამ პირველსავე ნაბიჯზე შეზღუდული და შევიწროებული იყო პოლიტიკური პირობების მიერ. ყოველივე ეს ჩვენვის უფრო გასაგები გახდება ზოგიერთი იმ დროს მომხდარი ამბავი რომ გავიხსენოთ მოკლედ.

როდესაც რუსეთის მესამოცე წლებზეა ლაპარაკი, ჩვეულებრივად ჰგულისხმობენ ხანას 1856 წლიდან დაწყებულს 1866-68 წლამდე. 1861 წლამდე იყო იმედებისა და ილუზიების ხანა, ის დრო იყო, როდესაც გერცენმაც კი აღფრთოვანებულად დაუწერა იმპერტორ ალექსანდრეს თავის საზღვარ-გარეთელ „კოლოკოლში“: შენ გაიმარჯვე, გალილეველო! მაგრამ ილუზიები რუსეთის ინტელიგენციისა მალე განელდნენ. 1861 წელს არსდება „მიწა და თავისუფლების“ ორგანიზაცია. მთავრობა და ინტელიგენცია ორ ბანაკად დარაზმდნენ. ამავე დროს მოხდა პოლონეთის რევოლუციის დამხობა. გამარჯვებული მთავრობა მეტის სისასტიკით და ენერგიით ეძგერა თავის შინაურ მტრებს „ნაროდოვოლცებს“. ბრძოლა გამწვავებულია. 4 აპრილს 1866 წელს კარაკოზოვი საზაფხულო ბაღის კარებში ხელმწიფეს ესვრის დამბაჩას, ხოლო ააცდენს. და ამ პირველ ტერორისტულ აქტის შემდეგ მთელს რუსეთში გამეფდება ეგრედ წოდებული „თეთრი ტერორი“.

და აი ამ დროს ჩნდება „დროება“. ადვილად წარმოიდგენს მკითხველი, რომ თავის გაჩენის დღიდანვე იყო იგი შეზღუდული. წერტილებით აჭრელებული წერილები ჰმოწმობენ, რომ ცენზორის მაკრატელს ამ ხანებში ბეჯითად უმუშავნია და მოუკვეცნია ყოველივე ის, რაშიც კი ცოცხალი სული იყო. თავის სარედაქციო განცხადებაში, რომელიც წლის ბოლო თვეებში დაიბეჭდა „დროება“ ამბობს, სხვათა შორის: „ჩვენ თვითონვე ვაღიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ ვერ ავასრულებთ, რაც დავპირდით მკითხველებს. მაგრამ იმით ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლილებანი მოხდნენ, რომელთაც დაგვიშალეს ჩვენი პროგრამის სრულად ასრულება „(N36. 1866წ)

ამგვარად, რუსეთის მესამოცე წლები და ჩვენებური მესამოცე წლები გარეგნული პირობების მიხედვითაც განსხვავდებიან. ჩვენმა მწერლობამ ვერ გაინავარდა თავისუფლად დასაწყისში (1855-1866წ.) და მისი სამოციანი წლები სამოცდაათიანებში გადაიდო. ჩვენ მხოლოდ მესამოცდაათიანებში ვცდილობთ კრძალვით და გაუბედავად იმის თქმას, რაც გაბედულად და თამამად ითქვა რუსეთში ათი წლის წინად. ასე დავიწყეთ დაგვიანებით და ასევე დაგვიანებით განვაგრძობთ მსვლელობას დღესაც. და ეს საკვირველიც არ არის. მესამოცე წლებში რუსის ინტელიგენციას უკვე ასის წლის ისტორია ჰქონდა (ნოვიკოვ-რადიშჩევიდამ). ჩვენ კი მხოლოდ მაშინ ავიდგით ფეხი. მართალია ზურგს უკან, შორეულ წარსულში, უძველესი კულტურა გვქონდა, მაგრამ ამ კულტურის ფასი და მნიშვნელობა დღესაც ხომ საცილობელი საგანია ჩვენში.

ვიკითხოთ ახლა, აქვს თუ არა ჩვენებურ მესამოცე წლებს განსაკუთრებული ფიზიონომია? რაგვარის იდეიური მიმართულებით დახასიათდება იგი? და რა უნდა ჩაითვალოს ამ ეპოქის ნიშანდობლივ თვისებად? და მოვისურვებთ თუ არა ამ საკითხზე პასუხის გაცემას, ისევ რუსეთისაკენ უნდა მივიბრუნოთ თვალები და გავიხსენოთ გონებაში რუს ინტელიგენციის იმდროინდელი იდეიური მიმართულება. მესამოცე წლებიდან იწყება მკვიდრი და თითქმის განუყრელი კავშირი რუს და ქართველი ინტელიგენციებისა. ეს კავშირი არ არის თანასწორი. ჩვენ შეგირდები ვართ, ისინი მასწავლებლები. და კარგი ის არის მხოლოდ, რომ ამ უფროსს-უმცროსობას ძალდატანებითი ხასიათი არა ჰქონდა. მაშ ვიკითხოთ ჯერ, რა ახასიათებს მესამოცე წლის რუს ინტელიგენციას?

რუსეთში იყო ეს ეპოქა გლეხთა განთავისუფლებისა, ახალ სასამართლოს და იურიდიულ ინსტიტუტების შემოღებისა. და ამიტომ თავდაპირველად ეს იყო ხანა დემოკრატიზმისა. დედემოკრატიულ წყობილებას ჩაეყარა საფუძველი და თუმცა ჯერ კიდევ არ ჩანს დემოკრატია, როგორც კლასი, სამაგიეროდ რუსის ინტელიგენცია თავის შემადგენლობით შესამჩნევად გადემოკრატდა. „Разночинец пришёл“ ამბობდნენ იმ ხანებში. ეს იყო ეპოქა პოზიტიურ ფილოსოფიის გავრცელებისა, მატერიალიზმის გამეფებისა, ბიოლოგიური მეცნიერების აყვავებისა. ბიოლოგიური პრინციპები შეიჭრნენ სოციოლოგიაში. სპენსერის სოციოლოგია ჰმეფობდა იმ დრომდე, სანამ მიხაილოვსკი გაილაშქრებდა მის წინააღმდეგ (სამოცდა ათიანებში). ბუნების მეტყველების ზეგავლენით დიდი პატივი მიეცა რაციონალურ მსჯელობას, უტილიტარისტულ ეთიკას და „სასარგებლო“ ხელოვნებას. რაც შეეხება ეკონომიურ ცხოვრებას, აქ სათემო მიწის მფლობელობას აძლევენ პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას. ხოლო სათემო მიწის მფლობელობის საკითხთან დაკავშირებული იყო ჯერ

კიდევ სლავიანოფილების მიერ წამოწყებული საკითხი რუსეთის ისტორიულ მსვლელობის და განვითარებისთვის თავისებურობის შესახებ. ამ პრობლემით ღრმად იყვნენ დაინტერესებულნი - მართალია, სხვა და სხვანაირად, სლავიანოფილების შემდეგ, გერცენი, ჩერნიშევსკი. ხოლო მესამოცდაათიანებში - ლავროვი და მიხაილოვსკი. სათემო მიწის მფლობელობის მცნება და მასთან დაკავშირებული ისტორიულ ფილოსოფიური პრინციპები რუსეთის განსაკუთრებულის გზით მსვლელობისა დაედვნენ თეორიულ საფუძვლად „ნაროდნიკულ“ მიმართულებას, რომლითაც ხასიათდება რუსეთის ინტელიგენცია ოთხმოცდაათიან წლების დამკვიდრებამდე.

აი ყოველივე ეს აისახება ჩვენს ჟურნალისტიკაში. მართალია, თეორიული მსჯელობა, პრინციპიალური დასაბუთება სუსტობს. მზად დამზადებული ფორმულები კი ზედმიწევნით არიან გამოტანილი ჩვენს პრესაში. ჩვენში არავითარი თეორიული ტრადიციები არ არსებობდნენ, ამიტომ ახალი აზრების შეთვისებაც დოგმატიური უნდა ყოფილიყო. რუსის ინტელიგენციამ განვლო გზა აზრის გავარჯიშებისა. ოცდაათიან და ორმოციან წლებში ბეჯითად ეწაფებოდნენ შელინგის, ფიხტეს და გეგელის ფილოსოფიას. სამოციანებში, ბუნების მეტყველების გამეფების ხანაში, აღიმართა რეაქცია მეტაფიზიკურ სისტემების წინააღმდეგ. დადგა ეპოქა პრაქტიკულ მუშაობისა, პრაქტიკულ იდეალების დასმისა და მეცნიერებასა და ხელოვნებასაც ამგვარი პრაქტიკული სამსახური მოთხოვდა. მართებულია თუ ეს არა სხვა საკითხია, ხოლო ამ მოვლენის ბუნებრივობა და თითქმის ისტორიული აუცილებლობა ეჭვს გარეშეა. ჩვენში არავითარი ამ ხასიათის ტრადიციები არ იყო. როგორც ვიცით, ჩვენი პირველი მწერლები (ცისკრის ხანის) ანტონ კათალიკოზის „თეორეტიკებით და კათილორიებით“ იყვნენ შეიარაღებულნი. მესამოციანებს ჟურნალისტიკაში საშუალო საუკუნოების სხოლასტიკა დახვდათ. ეს სხოლასტიკა, მართალია მალე იყო აღგვილი. და რუსეთის ჟურნალისტიკა მესამოცე წლებისა შეიქმნა იმ წყაროდ, საიდანაც მესამოციანნი იკრეფდნენ გონებრივ საზრდოს, ამიტომ აზრის სამეფოში აქ ჩვენ არავითარ ორიგინალობას არა ვხედავთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ხანა ამიტომ მნიშვნელობას იყოს მოკლებული. პირ-იქით ახალ საქართველოს სამირკველი სწორედ ამ დროს იყო ჩაყრილი. სწორედ ამ ხანიდან უნდა დაწყებულიყო და ნელ-ნელა დაიწყო კიდევ ეროვნული შენობის აგების საქმე ევროპულ პრინციპების მიხედვით

„დროება“ როგორც ვიცით ოთხი წლის განმავლობაში (1866-1870) გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოდის. გადაავლეთ თვალი ამ პერიოდის „დროებას“ და ყოველ ნაბიჯზედ ჰნახავთ ზემოდაღნიშნულ აზრებს. რაციონალიზმი, უტილიტარიზმი, ბიოლოგიის წინაშე თავყანისმცემლობა, სათემო მფლობელობა, არტელი, ასოციაციები, ამხანაგობანი და სხვა ამისთანა დედა-აზრია ყოველი თეორიული წერილისა. რამდენიმე მაგალითი ნათელს ჰფენს ამ საგანს.

„წავიდა ის დრო, ვკითხულობთ გაზეთში, როცა ხალხი მარტოკა გრძნობით და აღტაცებით სცხოვრობდა. დიდი ხანია, რაც ამას გამჭრიახი გონება შეაშველეს. შენც რომ ასე გექნა, ჩემო ქართველო, საქმე კარგად წავიდოდა“ (No 21 1866). შემდეგსავე ნომერში სწერია: „ღარიბი იმიტომ ხარ, რომ ჭკუას არა ხმარობ და ჭკუით არა სცხოვრობ“ (No 22). ჭკუა და გონება ყოვლად შემძლე ძალად ისახება. რაციონალიზმი იდგამს ფეხს ჩვენს ჟურნალისტიკაში

და უნდა სთქვას კაცმა, რომ ჩვენს პირობებში და აზროვნებას გადაჩვეულ საზოგადოებაში აპელაცია გონებისადმი და მსჯელობისადმი უქმი საქმე არ იყო იმ ხანაში. გადაშალეთ კიდეც და თქვენ წაიკითხავთ: „რა დანიშნულებაც ერთს ნაწილს ტანში აქვს, იგივე დანიშნულება ერთ კაცს ხალხში აქვს (უფრო ვრცლად რომ ვსთქვათ) კაცობრიობაში აქვს. როდესაც ყოველი კაცი ნაყოფიერად შრომობს თავის სიცოცხლეში, მაშინ მთელი ხალხიც წარმატებით სცხოვრობს“ (No 2. 1867). ან კიდეც: „ჩვენში იტყვიან, ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ჩემის აზრით ხერხი ისევ ის ღონეა, მაგრამ ბევრად უკეთესი, ვიდრე მკლავის ღონე. ერთმა მეცნიერმა სთქვა: „ცხოვრება არისო ბრძოლა სულდგმულთ შორის საზრდოსთვისაო“.... არ შემოიძლია მეც არა ვსთქვა: ჩვენი ცხოვრება დაუწყნარებელი ბრძოლაა ლუკმა პურისათვის და გამარჯვებული ყოველთვის ის არის, ვინც უფრო ხერხიანიაო (No 43, 1869). არ ასჩქარდეს მკითხველი და არა სთქვას თავ-მოწონებით, რომ ეს ხომ ბიოლოგიური სოციოლოგია და დარვინიზმია, უკუგდებული თანამედროვე მეცნიერების მიერ. მეცნიერულის თვალსაზრისით, მართალია, კანონი უჯრედის ანუ გინდ სხეულის განვითარებისა, არ არის კანონი საზოგადოების განვითარებისა. მართალია ისიცა, რომ ცხოვრება არ არის მხოლოდ და მარტო ბრძოლა ლუკმა პურისათვის. მაგრამ ვინ დაემებს აქ მეცნიერულ ჭეშმარიტებას? ეს მაშინ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ. თუ იგი არ მოსჩანს დღესაც იგივე ჭეშმარიტებად, იფიქრეთ იმაზედ, რაოდენად სასარგებლო იყო ამგვარ აზრების დატრიალება იმ საზოგადოებაში, რომელიც ეს არის ფეოდალურ ქერქიდან იყო გამოსული. დეე, საზოგადოება და უჯრედი ერთი და იგივე იყოს. მაგრამ სოლიდარობის პრინციპის დამყარება რაოდენად სასარგებლო იყო მისაწვდომ და გასაგებ სურათის შემწეობით: სხეულის ნაწილას სოლიდარობა სხეულის საღობას მოასწავებს. ადამიანიც, როგორც ნაწილი დიდ ერთეულისა, იმგვარადვე შექმნილია ადამიანურ სოლიდარობისა. ეს ქადაგება მომენტის შესაფერი პუბლიცისტიკაა და არა მეცნიერება, და ჩვენც სწორეთ ამგვარად უნდა დავაფასოთ აღნიშნული თეორიული დებულებანი. ბრძოლა და თვითმოქმედება - აი აზრი ამ ქადაგებისა. და ჩვენ მაშინ (და დღესაც) სწორეთ ეს გვესაჭიროება. პარაზიტიზმი და მონობა აი, ნიშნობლივი თვისება ჩვენი ძველი საზოგადოებისა. მოწოდება ბრძოლისადმი და თვითმოქმედებისადმი იყო პრაქტიკული მოქმედების ლოზუნგი. მართალია ამ პრაქტიკულ ლოზუნგს შესაფერი თეორიული განმარტება თან არა სდევდა. ამიტომ ჯერ ხნობით ამ ლოზუნგს საპროგრამო ხასიათი არა ჰქონდა. ეს პირველ ხანში, შემდეგში კი ეს საპროგრამო ხასიათიც უფრო ხაზგასმულად მოსჩანს. რაკი ეს ასეა, ამ მოწოდებითვე არკვევდნენ იმ დროს იმგვარ სოციალურ პრობლემას, როგორიც არის ქალთა საკითხი. ნ. სკანდელი (ნიკოლაძე) ამბობს: „მე მარტო ერთ რასმე გეტყვით ხელ-აბლად: როცა თქვენ, ქალები, მიხვდებით რომ დამხმარებელი თქვენ თქვენი თავის მეტი არავინ გყავთ, მაშინ თქვენი ბედი სულ სხვა იქნება. მე თავი მომაბეზრა ქალების კვნესამ, და ნუ გეწყინებათ ჩემი სიტყვების სიმწარე. თქვენი ბედი საბრალოა, ამიტომ რომ თქვენ არა იცით რა ჯდომისა, ღიმისა და ნემსის ხმარების მეტი. თქვენ მუდამ პირდაღებული ზიხართ და მოელით საქმროს, რომელიც დაგეხმარებათ და გაგაბედნიერებთ. რა გამოსადეგნი ხართ თქვენ ან იმისთვის, ან თქვენი თავისთვის?.. გაჭირვებული კაცის მეტი, თქვენ ვინ ოხერი შეგიყვარებს, ვინ სულელი შეგიერთავს? მოკლე დროისთვის, მართალია თქვენ არავინ გიწუნებს, მაგრამ ვაი იმისთანა შეერთებას.... იმნაირი რამე ისწავლეთ, რომ თქვენი თავის ხეირიანად რჩენა, თქვენი თავის მოვლა შეგეძლოსთ. დაანახვეთ ხალხს, რომ მარტო სათამაშოდ არა ხართ შექმნილი და ცოტა ხნის სიამოვნების გარდა, სარგებლობის

მოტანაც შეგიძლიანთ. დაამტკიცეთ, რომ თქვენ არავისი დახმარება და შველა გეჭირვებათ, რომ თითონ შეგიძლიანთ სხვებს დაეხმაროთ. მაშინ ქალი აღარ ეგვანება მოსამსახურეს, რომელსაც პატრონი, თავისი მედიდურობით და თავმომწონებით, ლაზათიან ტანისამოსს აცმევს და ხანდისხან სასიამოვნო სიტყვებსაც აღირსებს... მოინდომეთ, ისწავლეთ, ეცადეთ, ერთმანეთს დაეხმარეთ და ბედნიერება თქვენ ხელში იქნებაო. („მოგზაურობა ფეხით და რკინის გზით“ No 38 1869 წ.)

კარგ რჩევას აძლევს ქალებს ნ. სკანდელი, მაგრამ მისი ოპტიმიზმი კი, მგონია, გადამეტებულია. მოინდომეთ, ისწავლეთ, ეცადეთ.... და ბედნიერება თქვენ ხელში იქნებაო; წამახალისებელი სიტყვებია! და რუსეთში ბევრნი იყვნენ წახალისებულნი ამგვარ სიტყვებით. აი ჩვენს წინ ახალგაზრდა ქალი დგას, ვაჟურის მიხვრა-მოხვრით, შეკრეპილი თმით. იგი ერთნაირის თავგამოდებით სწავლასაც ეტანება, ხალხის სამსახურსაც. შრომობს, მეცადინეობს და, როცა საჭიროება მოითხოვს, წარბ-შეუხრელად სიცოცხლესაც სწირავს. მაგრამ.... ბედნიერება ამ ქალს არ უნახავს, ან თუ უნახავს, ამ თავის განწირვის გრძნობაში უნახავს. ნ. სკანდელმა გადააჭარბა, ბედნიერების საკითხი მეტად რთული საკითხია. და თუ ამ ბედნიერების ძებნაში ვიყოთ, იქნებ ვერც ერთი საკითხი ვერ გადავსწყვიტოთ, მით უფრო ქალთა საკითხი. მაგრამ იმ დროში სრულად ბუნებრივი იყო ამგვარი მსჯელობა. „ბედნიერება“ უფრო მოახლოვებული იყო, საჭირო იყო მხოლოდ შესაფერი მოქმედება, ამ „ბედნიერების“ მისაღწევად. რაც შეეხება ქართველ ქალს, იმ დროინდელ ქართველ ქალს, ნ. სკანდელის სიტყვები სწორედ რომ სამოქმედო ღოზუნგად უნდა გაეხადათ.

ნუ დაივიწყებთ, რომ ქართლ-კახეთში სამოციან წლებშიაც ქალები ჩადრებში დადიოდნენ. და არ გეგონოთ, რომ ეს ძველი ისტორიის ანდერძი ყოფილიყო. არა, ეს უკანასკნელ საუკუნოებში შემენილი ჩვეულებაა. დიახ, იმ დროინდელი ქალი ჩადრში იყო გახვეული. და ამიტომაც არის, რომ იმ ხანებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ ქალებს (მიუხედავად მათის განათლებულობისა) დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. და ამიტომაც აღნიშნულ სიტყვებს, ნიკოლაძის წერილსაც, უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევ გავლენა და მნიშვნელობა.

სარგებლობის მცნება იყო მთავარი მცნება მესამოცე წლებისა. იგი იყო საზომი ამა თუ იმ მოვლენის ღირებულებისა. პოეზია და ლიტერატურაც დაექვემდებარა ამ პრინციპს. „დროებაში“ ვკითხულობთ: „რუსების მელექსეებში თითქმის პირველი ნეკრასოვი იყო, რომელმაც მიაპყრა გონება თავის აღმზრდელ, მასაზრდოებელს დაჩაგრულ ხალხს, შეუდგა ამ ხალხის ცხოვრების შესწავლას, დაიწყო ლექსებში წარმოთქმა ხალხის გრძნობისა, იმის მდგომარეობისა, იმის მწუხარებისა და სხვა ვითარებისა. პირველმა თითქმის იმან დაიწყო ლექსებში სასარგებლო აზრების გაყვანა და დაიწყო ცდა, რომ ლექსები არა ყოფილიყო ცარიელი ლექსები - უაზრო და უსაგანო, როგორც მანამდინა სწერდნენ ხოლმე“. პროზაშიაც ამგვარივე მოვლენა გაჩნდა. „ბოლოს მარტო ცარიელი სურათების სახვასაც არ დასჯერდნენ და დაუწყეს ამგვარს თხზულებებში სხვა და სხვა სასარგებლო აზრების ჩასახვაცა, რომელნიც უნდა წარმოდგარიყვნენ გამოსახულის მდგომარეობიდან და რომელიც უნდა მოჰკლებოდა ამ ყოფასა. ამგვარმა წერამ ჩაითრია თვით ისინიცა, რომელნიც მკვიდრად და შეურყევლად ადგნენ იმ აზრსა, რომ ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებასაო და არა ცხოვრებას,-

ესე იგი ხელოვნებას არ უნდა ჰქონდეს არავითარი სასარგებლო სახმარისი აზრი: იმითი მხოლოდ უნდა სტკბებოდნენ და შეექცეოდნენო. ასე რომ თითქმის მთელი რუსული ლიტერატურა დაადგა ამ ზემოთ მოყვანილს სასარგებლო გზასა და ნამეტნავად დაწინაურებული ყმაწვილი თაობის წარმომადგენელი მწერალნი, რადგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელ რუსის მწერლობის სკოლაში, ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ესევე სასარგებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაცაო“ (No 37, 1867 წ.)

ჩვენ კარგად გვესმის ზნეობრივი მოტივები მესამოციანებისა. ხალხის სამსახური, ხალხის წინაშე მოვალეობის გადახდა, ყოველივე ეს წმინდათა-წმინდა იყო იმ ეპოქაში. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მათ მრუდეთ ესმოდათ ხელოვნების თეორია. ამ თეორიაში სხვა და სხვა შეურიგებელი მცნებები იყო ჩართული. ხელოვნება სასარგებლო უნდა იყოსო კარგი დაგემატოთ, ხოლო საკითხავია, რა არის ჩვენს თვალში სასარგებლო და არა სასარგებლო? ჭამა-სმა, მაგალითად, სასარგებლო რამ არის. გონებისა და გრძნობის განსპეტაკება, აზრის გაფართოვება და ადამიანის პიროვნების გაღრმავება, - სასარგებლოა ყოველივე ეს თუ არა? ჩვენთვის აქ საკითხიც არ არსებობს. მაგრამ მესამოციანებისთვის აქ ეჭვი იზადებოდა. მაშინ სასარგებლო მხოლოს ის იყო, რაც მატერიალურ მხარეს ჩაგრულ ხალხისა ემსახურებოდა. რაც ამის გარედ იყო, იგი უბრალო შესაქცევ საგნად მიაჩნდათ. პრაქტიკულად, მოღვაწეობასა და მოქმედებაში, ეს ასე არას დროს არ იყო. მთელ იმ დროინდელ ეპოქას, მიუხედავად მატერიალიზმის გამეფებისა, აშკარა იდეალისტური ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ჩვენ ამას არ ვეხებით ამ ჟამად. სახეში გვაქვს ვიწრო ფორმულა, რომელშიაც უნდოდან ხელოვნების ჩაყენება. შეცდომა ამ ფორმულისა ის არის, რომ ხელოვნებას ტკბობის, სიამოვნების და თვით შექცევის თვისებებს აშორებდნენ. საქმე ის არის, ნამდვილი ხელოვნება, რეალისტურია იგი თუ სიმბოლისტური, ყოველთვის ატკბობს და ასიამოვნებს. სიტკბოების ემოცია ისევე განუშორებელი თვისებაა ნამდვილ ხელოვნებისა (გინდ რეალისტურისა), როგორც კმაყოფილების გრძნობა არის თვისება ზნეობრივ მოქმედებისა. ნეკრასოვის ზოგიერთი ლექსიც სწორედ რომ იმიტომ ახდენდა შთაბეჭდილებას, რომ მასში იყო დაცული ეს მოთხოვნა პოეტურ შემოქმედებისა და ხელოვნება, რომელიც აღძრავს ადამიანში ესთეტიურ ემოციას, ხელოვნებად არ ჩაითვლება, თუ გინდ შიგ იყოს ჩაყოლილი ბევრი ჭკვიანი და სასარგებლო აზრი. ჩერნიშევსკის ბუნებრივი ხე უფრო მოსწონდა, ვიდრე დახატული, პირველი უფრო ლამაზიაო. ეს გემოვნების საქმეა, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ჩერნიშევსკი მაინც სილამაზის მცნებაზე დგას. იგი არ ამბობს ბუნებრივი ხე უფრო სასარგებლოა, არამედ უფრო ლამაზიაო. მის ცნობილ დისერტაციაში „Эстетическое отношение искусства къ действительности“ ესთეტიკა საკვებით არ არის უარყოფილი. მაგრამ ეს საქმე დაასრულეს დობროლუბოვმა და პისარევმა. დობროლუბოვმა ამოჰკვეცა თავის ლექსიკონიდან იმგვარი სიტყვები, როგორიც არის „სილამაზე“, „ხელოვნება“. მის თვალში მნიშვნელობას, მოკლებულია ის თუ როგორ არის აღსრულებული ნაწარმოები, თავი და თავი აზრი და მიზანია ამ ნაწარმოებისა. პისარევი უფრო შორს მიდის. მის თვალში ესთეტიკა მხოლოდ ის არის, თუ როგორ და რითი უნდა ისიამოვნოს ადამიანმა. „ძირს ესთეტიკა, ამბობდა იგი. ძირს კულტურის და პროგრესის ის მხარენი, რომელნიც პასუხს არ გვაძლევენ მთავარ საკითხზედ, თუ როგორ გავაძლოთ დამშეულნი და როგორ უზრუნველყოთ ყველანი? პისარევის თვალში უბრალო სიმღერა „ვანკა - სტანკა“ ბეთხოვენის სიმფონიას არ

ჩამოუვარდებოდა. ბეთხოვენი, რაფაელი და დახელოვნებული მზარეული ერთი და იგივე იყო და პოეზია ხომ „თოხლოდ მოხარშული წაღებია“ (Сапоги вь смятку).

უნდა ვსთქვათ, რომ ნამდვილი ხელოვანი სიტყვისა ამ აზრებს ვერ გაიაზრებდა და პოეტურ შემოქმედების პროცესს არ შეზღუდავდა ამ ვიწრო ფორმულებით. თავი და თავი შეცდომა უტილიტარისტების ის არის, რომ ისინი არ ხედვენ ესთეტიურ შემოქმედების სრულ დამოუკიდებლობის ხასიათს, ე.ი. არ ხედვენ იმას, რომ სურათებით და სახეებით აზროვნება ერთი ფსიხიური პროცესია, ხოლო სილოგიზმებით აზროვნება მეორე ხასიათის პროცესია. ამ ორ პროცესს ერთმანეთში ურევვენ, უკეთ ვთქვათ, ესთეტიურ შემოქმედების პროცესს უქვემდებარებენ რაციონალურ აზროვნებას. ხელოვნებაში ორი მომენტია მისაღები მხედველობაში: ერთი ესთეტიური შემოქმედება, მეორე სილოგისტური აზროვნება. ჩემი აზრი სწევეტს ამას, თუ რას შევხები ჩემს ნაწარმოებში, ხალხის დაბეჩავების მდგომარეობას, ვარდ-ბულბულის თუ ბუნების საიდუმლოების საგანს. ჩემი ესთეტიური შემოქმედების პროცესის შემწეობით სწყდება მეორე საკითხი, ის თუ როგორ იქნება აღსრულებული და გამოსახული ჩემი აზრის მიერ არჩეული საგანი. ორივე პროცესი ფსიხიურის სიცოცხლისა უნდა იყოს ბუნებრივად გადაბმული, გაერთიანებული ერთმანეთში. და თუ მე სურათიან აზროვნებაში მოვინდომე ჩაქსოვა სილოგისტურის აზროვნებისა, ხელოვნება ზიანდება და ჰკრება. აი სწორედ ამიტომაც არის. რომ ნამდვილი პოეტი და ხელოვანი ის კი არ არის, ვინც, ვსთქვათ, მარტო მოქალაქეობრივ მოტივებს, ან მარტო მეტაფიზიკურ საკითხებს ჰსახავს თავის ნაწარმოებში, არამედ ის, ვინც აღვიძებს ადამიანში ინტელექტუალურ ემოციასთან ერთად ესთეტიურ ემოციას. სწორედ ამიტომ, სიმეოლისტობა და რიალისტობა კი არა ჰქმნის პოეტს პოეტად, არამეს ის შემოქმედებითი, ასე ვსთქვათ, სინტეტიური აზროვნების ნიჭი, რომლითაც დაჯილდოვებულია ადამიანი. ვინც ამ შემოქმედებით ნიჭს მოკლებულია, არც თქვენი კეთილი აზრები და მაღალი იდეალები, არც თქვენი სურვილი ხალხის სამსახურისა, სამყოფი არ იქნება ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოების შექმნისათვის.

სხვა მორიგ საკითხთა შორის მესამოციანებმა წამოაყენეს საკითხი მიწის საერთო მფლობელობის შესახებ. ამ საგნის გამო ჩვენს მწერლობაში იყო მქრთალი გახმაურება, მაგრამ რადგან ეს საგანი შემდეგშიაც (მეოცე საუკუნის დასაწყისში) გახდა ჩვენს მწერლობაში საკამათო საგნად, ამიტომ საჭიროა უფრო ვრცლად გავეცნოთ იმას, თუ როგორ იყო დაყენებული იგი რუსეთის ლიტერატურაში.

2

ჯერ კიდევ, მესამოცე წლებამდე რუს-ინტელიგენციას დიდად აინტერესებდა საერთო მიწის მფლობელობის საკითხი და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოსოფიური პრობლემა რუსეთის განსაკუთრებულის გზით მსვლელობის შესახებ. ამ მხრივ „ნაროდნიკულ“ მოძრაობის წინამორბედად ჩაითვლება ჩაადაევის ისტორიულ-ფილოსოფიური აზრები (ოც-და-ათიანებში). მისი აზრით, რუსეთს მსვლელობის განსაკუთრებული გზა აქვს გასავლელი. რუსეთი გადასწყვეტს იმ საკამათო საგნებს, რომელნიც დღეს ევროპას ალელვებენ. „მე მგონია, ამბობს ჩაადაევი, რომ ჩვენ, რაკი სხვებზე

უფრო გვიან გამოველით სამოქმედოთ, სხვებზე უფრო კარგადაც ვიმოქმედებთო“. (იხ. Иванов-Разумникъ. История Русской общественной мысли ტ. 1, გვ. 338). ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ რუსებს შეუძლიათ ევროპის გამოცდილებით ისარგებლონ და გამოიყენონ ის, რაც მათთვის გამოსაყენებელიაო. „ნაროდნიკები“ ოცდა-ათის წლის შემდეგ დაახლოვებით ამასვე ამბობდნენ. ჩაადაევს მოჰყვნენ სლავიანოფილები. ესენი, მართალია, სხვა ნიადაგზე იდგნენ, ხოლო რუსეთის განსაკუთრებული მისიის აზრი მათი მთავარი აზრი იყო. საერთო მიწის მფლობელობის შესახებაც მათ დაიწყეს სჯა-ბაასი. რაკი ამგვარი ფორმა მიწის მფლობელობისა არსებობდა რუსეთში, ხოლო დასავლეთ ევროპაში ინდივიდუალური საკუთრება იყო გამეფებული, ეს გარემოება საკმარისი იყო სლავიანოფილობისათვის რუსეთი და დასავლეთი ევროპა ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ. ამასთან უნდა ავღნიშნოთ, რომ საერთო მიწის მფლობელობა მათს თვალში განსაზღვრულ ეთიკურ ნორმის გამომხატველი იყო და არა ეკონომიური კონცეპცია. ევროპას ინდივიდუალიზმი შთანთქცავს, რუსეთს კი თემობა გადაარჩენსო. ეს იყო მათი აბსოლუტური რწმენა და მით განირჩევიან ისინი, როგორც ჩაადაევისაგან, ევროპის დიდი თაყვანისმცემლისაგან, ისე „ნაროდნიკებისაგან“, რომელნიც იდგნენ შესაძლებლობის და არა აუცილებლობის კატეგორიაზე. პირველი უტყუარი მქადაგებელი ხალხოსნობის პრინციპებისა, გერცენი, სწორედ ამ შესაძლებლობის ნიადაგს ემყარებოდა. გერცენი, მოწამე იყო 1848 წ. რევოლუციის დამხობისა და სოციალისტურ მისწრაფებათა გაცრუებისა. აქედან იწყება მისი პესიმისტური აზრი ევროპის შესახებ. გერცენის აზრით 1848 წელს „მესჩანობამ“ საბოლოოდ გაიმარჯვა ევროპაში და ევროპის გახრწნილობის მეტი არა მოელის რა. „დროა თავდაბლად და დამშვიდებულად შევიგნოთ, ამბობს გერცენი, რომ „მეშჩანობა“ არის საბოლოო ფორმა დასავლეთის ცივილიზაციისა, მისი სრულწლოვანება“ (იქვე, გვ. 382). რას ვხედავთ ევროპაში? „ერთის მხრივ მესაკუთრე მეშჩანები, რომელნიც ჯიუტად იცავენ თავიანთ პრივილეგიებს, მეორეს მხრივ, უსახსრო მეშჩანები, რომელთაც ჰსურთ მესაკუთრე-მეშჩანების ქონების ხელში ჩაგდება, ხოლო ამისთვის ღონე არა აქვთო (იქვე). ამიტომ ევროპა უნდა დაიღუპოსო. სხვა გზა არ აქვს, რადგან მეშჩანობა, როგორც განსაზღვრულ ზნეობის მცნება, სიკვდილია საზოგადოებისა. ერთად ერთ იმედს რუსეთი იძლევა. მსოფლიო ისტორიის საღაროში, ამბობს გერცენი, „ჩვენ გლახს მარტო დიოგტის სუნი კი არ შეაქვს, არამედ კიდევ ერთი ძველებური აზრი, რომელიც ამბობს, ყოველ მუშას აქვს უფლება მუქთად ჰქონდეს სამუშაო მიწა. როგორ მოგწონთ ეს? გსმენია, უფლება სამუშაო მოწყობისა, მაგრამ უფლება მიწის სარგებლობისა?..

რუს გლეხთა თემს, გერცენის აზრით, სამი მოთხოვნა აქვს წამოწყებული: ყველას აქვს სარგებლობის უფლება, მიწის მფლობელთა სათემო უნდა იყოს, სათემოვე უნდა იყოს მართვა. გამგებლობა (управление). ამ ნიადაგზე და მხოლოდ ამაზედ შესაძლებელია მომავალი რუსეთის აღორძინება. (იქვე, 385). ამგვარად გერცენიც შესაძლებლობაზე ლაპარაკობს და არა აუცილებლობაზე. რუსეთს შეუძლია მეშჩანობის ხანა აიცდინოს თავიდან, რუსეთს შეუძლია სიარული თავის განსაკუთრებულის გზით - ამ ორ აზრშია „ნაროდნიკულ“ კონცეპციის დედა აზრი. და ეს ფორმულა პირველად აღიარებული იყო გერცენის მიერ. გერცენის რწმენა შემდეგში, ცოტა არ იყოს, შერყეული იყო. მაგრამ ჩვენ ამას ახლა არ გამოუდგებით, რადგან ჩვენთვის საჭიროა ამ ჟამად ნაროდნიკულ აზრის მთავარ ეტაპების გათვალისწინება. გერცენს მოჰყვა ჩერნიშევსკი. ჩერნიშევსკიც „ნაროდნიკი“ იყო, მაგრამ არ იწყნარებდა გერცენის აზრს დასავლეთ ევროპის აუცილებელ სიკვდილისას. მეშჩანობა არამც და არამც არ უნდა

ჩაითვალოს საბოლოო ფორმად ევროპის ცივილიზაციისა. ევროპაში ჯერ ხნობით საშუალო წოდება (ბურჟუაზია) მოღვაწეობს, ხალხს ჯერ თავისი ძალ-ღონე რიგიანად არც გამოუცდია, არც დაუხარჯავსო. არც კაპიტალისტური განვითარების წინააღმდეგი იყო ჩერნიშევსკი. ზოგიერთი მომენტები ამ განვითარებისა ხალხს კეთილდღეობას უმატებსო. კარგად ხედავდა, რომ რუსეთიც იმ განვითარების გზით მიდიოდა. მისთვის მხოლოდ სავალდებულო და აუცილებელი არ იყო ამ განვითარების ეტაპების ყველა ხალხებისათვის აუცილებლათ გავლა. თავის ცნობილ „Критика философских предубеждений против обштинного владения“-ში ავტორი აღიარებს ლოდიკურ შესაძლებლობას კაპიტალისტურ საშუალო ეტაპების განვითარების თავიდან აცილებისა¹¹¹. ჩერნიშევსკის აზრით რუსეთი განვითარების განსაკუთრებულ ტიპს არ წარმოადგენს. მიწის საერთო მფლობელობა მსოფლიო მოვლენაა. ევროპამ უკვე დაახწია თავი ამ მოვლენას. რუსეთი ჩამორჩა. და საქმე ის არის რომ დღეს ევროპას სწადია იმგვარივე კოლექტიური პრინციპის დამყარება, როგორც ისახება საერთო მიწის მფლობელობაში. ასე რომ თუმცა ეკონომიურ-სოციალურის მხრივ, განვითარების ხარისხის მხრივ, რუსეთი ჩამორჩენილია, მაგრამ ტიპი რუსეთის ეკონომიურ აგებულობისა იგივეა, რაც სურს დღეს მოწინავე ევროპას. და ჩერნიშევსკის თვალში შესაძლებელია, რომ ევროპა სოციალისტურ წყობილობამდე იმაზე უფრო ადრე მივიდეს, სანამ რუსეთში მოხდებოდა გლეხთა პროლეტარიზაცია, და მაშინ სათემო მფლობელობა საფუძველი გახდებოდა სოციალისტურ წყობილების დამკვიდრებისა რუსეთშიც (ის, რომ სოციალიზმი მეოცე საუკუნის წინ უნდა დამყარებულიყო სჯეროდა მარქსაც და ენგელსსაც). ამგვარად, როდესაც ჩერნიშევსკი რუსეთის განვითარების „განსაკუთრებულის გზის“ შესახებ ლაპარაკობს, ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთს შეეძლო მხარი აეყცია ზოგიერთი მომენტისთვის ევროპის განვითარებისა. ეს არ არის განსაკუთრებული ტიპი განვითარებისა (ქვ. ტ. II, გვ. 29). შემდეგში „ნაროდნიკულმა აზროვნებამ“ ამ გზით იწყო მსვლელობა, ხოლო კიდევ მეტი კრიტიკული ელემენტი შეიტანა თავის კონცეფციაში. ლავროვი და მიხაილოვსკი უკვე დამთავრებულ და მწყობრ ხასიათს აძლევენ ამ ორიგინალურ სისტემას, რომელსაც ზოგიერთის შესწორებით ითვისებს უკანასკნელ ხანში (XX საუკუნეში) მომქმედი ნაროდნიკული ჯგუფი. მაგრამ ჩვენ ყველა ამას ახლა არ გავყვებით. ჩვენთვის საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ რა გვარი აზრი არსებობდა აღნიშნულ საკითხის გამო იმ ხანაში, როდესაც იწყებენ მოქმედებას ჩვენებური მესამოციანნი და ახლა, რაკი ეს გათვალისწინებული გვაქვს, დაუბრუნდეთ ისევ „დროებას“.

ჩემს წერილში „მეოთხმოციანი და მეოთხმოც-და-ათიანში“ გვქონდა გათვალისწინებული ის ხანა ჩვენის ჟორნალისტიკისა, რომელსაც „ტეტიათა მოტრფიალეთა“ ხანას უწოდებენ და იმ აზრზედ დავდექით, რომ ნაროდნიკულ მსოფლმხედველობას ჩვენში ძლიერ სუსტი დასაბუთება ჰქონდა. ხოლო საყურადღებო გარემოება ის არის, რომ ჩვენებურ მესამოციანებს, რომელთაც ფართო საზოგადოება ლიბერალებად იცნობს, გაცილებით მეტი სიახლოვე ჰქონდათ (პირველ ხანაში მაინც) რუს-ნაროდნიკულ სისტემასთან, ვიდრე ჩვენებურ „ტეტიათა მოტრფიალეთ“, რომელთაც თავიანთ მიმართულების გამომსახველი ჟურნალიც კი

¹¹¹ უფრო ვრცლად ეს საგანი გარკვეული მაქვს ერთ ჩემს ბროშურაში „როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში მიწის მფლობელობის საკითხი“.

ჰქონდათ (იმედი). მიწის მფლობელობის პრობლემა თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც არის წამოყენებული „დროების“ ფურცლებზე. საქართველოს იმ ხანაში იმდენად გამოურკვეველი სახე ჰქონდა, რომ ისტორიულ-ფილოსოფიური საკითხის აღძვრა, ცოტა არ იყოს, ნაადრევი და უხერხული უნდა ყოფილიყო. და მაინც და მაინც არც ლაპარაკობენ ამის შესახებ, ხოლო რაკი სათემო მფლობელობის საკითხი აღძრული იყო, ისტორიულ-ფილოსოფიურ კონცეპციის თესლიც ჩაიყარა. და ამ თესლმა ნაყოფი გამოიღო ჩვენს მწერლობაში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულებში და მეოცე საუკუნის დასაწყისში.

მაშ რაში გამოისახა გავლენა თანამედროვე რუს-ნაროდნიკულ ლიტერატურისა? ეს გავლენა იმდენად ისტორიულ-ფილოსოფიურ კონცეპციის შემუშავებაში არ გამოსახულა, რამდენად განსაზღვრულ ხასიათის ეკონომიურ პროგრამის მიღებაში. ასოციაციები, კოოპერაციები, საერთო მიწის მფლობელობა ეს ნაწილი რუს დემოკრატიების პროგრამისა პირველ ხანაში ხელგაშლით იყო მიღებულ-შეთვისებული და ამ ეკონომიურ პროგრამას, იმ სახით როგორადაც იგი ისახებოდა „დროების“ ფურცლებზე, მართლაც საიმდროვო და პრაქტიკული ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა.

სოფელი გახდა იმ თავითვე განსაკუთრებულ მზრუნველობის საგნად. არც გასაკვირველია ეს, რადგან იმ ხანაში განსაკუთრებით სოფელში იყო ძარღვი ჩვენის ცხოვრებისა, იქ სწყდებოდა დიდი სოციალური დრამა, რომელსაც ღრმა ცვლილება უნდა შეეტანა ჩვენს ეკონომიურ და ეროვნულ ცხოვრებაში. ქალაქებში ქართველობა ჯერ ხნობით უმნიშვნელო ძალა იყო. მიწის მუშა და მის წინაშე მოვალეობის მოხდა-აი ის აზროვნების ფარგალი, რომელშიაც ტრიალებდა ქართველ ინტელიგენციის აზრი, „მონანიებაში ჩავარდნილ“ ქართველ ინტელიგენტ-თავად-აზნაურის მისწრაფება. (მონანიების წყურვილმა ჩვენშიაც იჩინა თავი). აი რას ვკითხულობთ „დროებაში“: „რას აძლევენ (ხალხს) ახალგაზრდა მოსწავლენი? სწავლის დროს ხალხის ოფლით და ნაწვავ-ნადაგით იზრდებიან და ბოლოსაც მისივე საპალნები ხდებიან, რადგანაც არავითარი მატერიალური სარგებლობის მოტანა იმათ არ შეუძლიან. აი ახლანდელი მდგომარეობა მიწის მომუშავე კაცისა. როგორც ზემოდაც ვსთქვი, ყველა იმას აწევს კისერზე, იმისი შრომით იკვებება და თითონ კი არავითარ სარგებლობას არ აძლევს. როგორც უნდა ისე არხეინად დასეირნობს იმის გაზელილ ზურგზე. ამის თანამდგომარეობა უეჭველად სიღარიბეს წარმოშობავსო“ (№ 9. 1868). ამ დასკვნას რომ დააკვირდეთ, იქიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ ნასწავლ-ახალგაზრდობას, სხვანაირად რომ მოიქცეს, შეუძლია ისეთი რამ იღონოს, რომ გლეხი სიღარიბეში არ დარჩეს. აქ გამოსჭვრეტს ნაროდნიკული კონცეპცია ინტელიგენციის მნიშვნელობისა-აზრი, რომელიც დღესაც არ დამკვლევებულა. მაშ რა უნდა იღონოს ნასწავლმა ახალგაზრდობამ, რათა იხსნას ხალხი გაჭირვებისაგან? ამისათვის საჭიროა არტელები, ასოციაციები, კოოპერაციები და სხვა ამგვარი კოლექტიური ფორმა მეურნეობის მოქმედებისა. სერგეი მესხი სწერს უშველებელ წერილს რუსეთში დაარსებულ „მეყველეთა ამხანაგობის“ შესახებ (№ 20. 1869) და ამგვარივე არტელების შემოღებას ნატრულობს ჩვენს სამშობლოშიაც. მეთაური წერილები ამხანაგობის დაარსების ცდაში არიან, „გლეხებსაც შეუძლიან... შეერთდნენ და მოჰკიდონ რომელიმე სასარგებლო საქმეს ხელი. ორი სამი სოფელი რო შეერთდეს ერთად, ადვილად გახსნის ქალაქში პურის, ღვინის და სხვა ნამუშევრის მაღაზიას და რაც გასაყიდი დარჩებათ მიიტანენ ამ მაღაზიაში და გაჰყიდიან. ორ-სამს სოფელს, ერთად შეერთებულს, შეუძლია ამ საქმის

მოხდენა და თუ ანგარიშით და თავიანად წაიყვანენ საქმეს, უეჭველია, ბევრი სარგებლობაც ექნებათო“. (№ 35, 1869) ამ საქმეში უნდა მიეშველოს სოფელს ინტელიგენცია. „ჯერ ჩვენ ხალხს არ გამოუცდია პროლეტარიატი, ამბობს გაზეთი, იმედი გვაქვს, არც ჩავარდეს ამ მდგომარეობაში, თუ ის თავის კეთილდღეობისთვის ღონისძიების ღონეს მიიღებსო“. (№ 25. 1868) მაგრამ თავისი ოპტიმიზმი გაზეთს თითქოს არ სჯერა და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ნაღვლიანად ამბობს: „ჩვენში კეთდებიან რამდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით¹¹². ახლა ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზე ვდგევართ და რამდენიმე დროს შემდეგ უეჭველად პროლეტარში ჩავცვივითო“. (იქვე) მით უმეტესად არის საჭირო მხნეობა და გარჯა. დიმიტრი ბაქრაძე თავის წერილებში კვლავ ამხანაგობის აპოლოგიას სწერს. და გაზეთიც მუდამ ჟამს იმეორებს იმ აზრს, რომ „ჩვენში უნდა შესდგეს ამხანაგობა, კოოპერაცია ანუ საზოგადოდ ვთქვათ, ასოციაცია სოფლიო (თუ სოფელის) მეურნეობაში მაინც“. (№ 10. 1867). განსაკუთრებით კი საჭიროა ასოციაციის ნიადაგზე მოწყობა მამულის მფლობელობის საქმისა. „მამული ისევ საკუთრებად დარჩეს პატრონისა, მხოლოდ ეს კია, რომ ერთად შეერთდება და მომუშავედება, მოსავალიც მამულის და შრომის დაგვარად გაიყოფება ერთმანეთში. საზოგადო ხარჯი კი, ვსთქვათ, გამოსაღები სასწავლებლის შესანახავი, სხვა და სხვა იარაღების მოპოვება, ანუ სხვა რამ სასარგებლო საქმის გაკეთება საერთო მოსავლიდან უნდა მოშორდეს. წინდაწინ, საქმის შედგომის დროს, პურის ანუ ფულის გამოღება იქნება შეძლების დაგვარად, რომ საჭირო მიწის სამუშაო იარაღები მოიპოვონ. დანარჩენს საზოგადო გასავალი შეავსებს. მიწები სოფელ-სოფელ შეერთდება და საცა ძალიან დიდი სოფელია (ას კომლზე მეტი) იქ ისინი უზნებად დაიყოფებან და შეადგენენ ცალ-ცალკე ამხანაგობას, რომ იმათ სიმრავლემ მუშაობაში და საქმის გაწილვაში არ დაუშალოს. ეს კია, სამოც კომლზე ნაკლები არ უნდა იყოს ამხანაგობა. ამისთვის პატარ-პატარა ახლო მდებარე სოფლები ერთად შეერთდება (იქვე). „ამგარია პირველ წლებში ეკონომიური პროგრამა „დროებისა“.

ბევრმა წელმა განვლო იმ დროიდან, როდესაც ყოველივე ეს იწერებოდა. ბევრი სიტყვა და მელანი დაიხარჯა რუსეთში და ჩვენშიც იმის დასამტკიცებლად, ვითომ კოოპერაცია, ამხანაგობა, საერთო მიწის მფლობელობა და სხვა ამგვარი რამ მოცლილ ინტელიგენციის ოცნებაა მხოლოდ, და რომ ამ გზით ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას ვერ გაამაგრებს. და აი ბოლოს, მეოცე საუკუნის დასაწყისში უკიდურესი მომხრენი პროლეტარიზაციის თეორიისა და ებლაუჭენ მუნიციპალიზაციის პრინციპს და აი ჩვენს დროში იგივე ხალხი მხურვალე მონაწილეობას იღებს კოოპერატიულ მოძრაობაში. ეს ორი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ „ნაროდნიკულ“ აზროვნებაში ბევრი რამ საღი და მართლაც გამოსადეგი პრინციპი იყო და მეორეც ის, რომ დროებითი დამარცხება ამა თუ იმ საღ პრინციპისა მის საბოლოო დამარცხებას არ ნიშნავს.

შევიხედოთ ახლა ჩვენს სოფელში და ვნახოთ, რა ხდება იქ ბატონ-ყმობის გაუქმების მეორე დღეს. ქართლ-კახეთში ბატონ-ყმობა გაუქმდა 1864 წ. იმერეთში 1865 წ. ხოლო სამეგრელოში 1867 წ. ჯერ გავყვეთ გიორგი წერეთელს მის მოგზაურობაში სამეგრელო-სვანეთში და ვნახოთ რა გუნებაზე იყო ეს ქვეყანა მონობის გაუქმების მოლოდინში.

¹¹² ზოგიერთ ფრაზებში აზრი ქართულად არ არის გამოთქმული. დედნის ციტატებს შეუსწორებლად ვტოვებ. ა.ჯ.

სამეგრელოს ხალხში დიდი აღელვება ჰსუფევდა. თანაც სჯეროდათ, რომ თავისუფლება უნდა მოვიდეს, თანაც იჭვიანობდნენ. გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებში“ (კიკოლიკი, ჩიკოლიკი, კუდაბზიკაში) რამდენიმე საუცხოვო სურათია იმ დროინდელ ვითარების გასაგებად. რას ლაპარაკობდნენ გლეხები? მოვისმინოთ ხონელის და ლეჩხუმელის საუბარი.

- „ჯერ ქვეყანა ისთე არ მონათლულა, რომ ბატონყმობა მასთე ადვილად გადავარდეს. თუ კი თავისუფლება იყოს მაგისტანა კაცებიც არ დეიწყებდენ იმაზე ლაპარაკს. ჩიკოლიკი არ ბრძალებოდა მაგი, რომ ამისტანა წუმში ძალათე წამოგვათრია? არა, ის თავისუფლება ისთეველე მაგენის სასარგებლო იქნება. ხემწიფემ კიდეც რომ მოგვცეს თავისუფლება, მაგენი დაგვიძალავენ. ჩინოვნიკები მებატონები არ არიან, აჰა რა არიან?..“
- „ჩინოვნიკებს უგლეხებოთაც ბრევილი ფული აქვთ. მაგენს ხემწიფე აძლევს ჯამაგირს. რაც ხემწიფეს ჰსურს, მაგენსაც იგი ენდომებათ.
- კი, ისთე გგონია შენ! თუ მაგრეა, აბა რეიზა აქამდინ არ გაათავისუფლეს თავისი ყმები ჩინოვნიკებმა? შენ სუნელი ხარ, ჩემო ბიძია. არაფერი არ გეყურება. რაც მეტი ექნება, ჩინოვნიკსაც იგი ურჩევნია. იგი არ ურჩევნიათ, რომ ჯამაგირსაც ეილებენ და გლეხკაცსაც გამოართმევენ. სუნელს რაუნდა გელაპარაკო?
- სუნელიც ხარ და არც იცი! ხემწიფეს თუ უნდა მაგენი ვერაფერს გაბედავენ, - გაცხარებით მიუგო ლეჩხუმელმა.
- გასწი, იქით! ჩუმათ შეჰყვირა ლეჩხუმელმა და ზურგი შეაქცია ხონელს“. დროება (№ 31. 1867).

ახლა დაუგდეთ ყური აზნაურშიგლების ლაპარაკს.

- შენ აგი მითხარი, აზნაურშიგლი ხარ.
- აზნაურშიგლი ვარ, აჰა რა ვიქნები? აზნაურშიგლი აზნაურშიგლს ჰქვია, მე ძირის აზნაურშიგლი ვარ.
- აჰა, რავა მასხრულად ლაპარაკობ. გლეხების გათავისუფლება ჩემზე უფრო შენ უნდა გწყენოდა.
- არა. გლეხების გათავისუფლება კარგია. ჩიკოლიკმა თქვა იგენიც და ჩვენც ძალიან მოვიგებთო. ჯამაგირი გვექნებაო და ფული სულ ბზესავით მოგვივა.
- საიდან გექნება, რომ გლეხები აღარ გეყოლება?
- ხელმწიფე მოგვცემს და მერე ვაჭრობას დავიწყებთ.
- კაცო, აზნაურობას მერე ვაჭრობაში გაცვლი! კარგი აზნაურშიგლი ყოფილხარ! მომიკვდეს შენისთანა აზნაური.
- მოკვდი და არც იცი. რავა ლაპარაკობ შენ.
- ყაძახები (გლეხები) გყავს თუ არა? -გაოცებით ჰკითხა ბაკურამ, რომელსაც სრულებით არ სჯეროდა იმისი აზნაურობა, როცა კუდაბზიკამ სთქვა, რომ ვაჭრებათ გადავიქცევითო.
- კი მყავს.
- ოჯახი გაქვს?
- კი.

- შენს ოჯახს შენი ყაძახები უვლის? ხომ გემსახურებიან ოჯახში. ბეგარას არ გაძლევენ?
- აბა რას იზმენ! რომ არ მომცენ ძალად გადავახდევინებ. ნეტავი დედა ჩემს, თუ ჩემი ბეგარაც ყაძახებმა შეირჩინეს. მე იმისთანა არ გახლავარ, ზოგიერთს ბატონს რომ გლეხები დეიჯახნებენ და ბეგარას შეირჩენენ. ბეგარა კი არა, საუდიერო ფერდელა ღორიც რომ არ მომიყვანოს, სუნთლად ცხვირში ძმარს წავადენ.
- კაი და პატიოსანი. მეც მაგი მინდოდა, რომ გეთქვა. ახლა წარმოიდგინე, რომ ის შენი გლეხები არც ბეგარას მოგვცემენ, არც შინ გემსახურებიან, თუ ძალა დაატანე, ბრევლს გცემენ. ოჯახის მომვლელი არავინ გეყოლება. ყანაში არავინ გიმუშავებს. სახლში ცეცხლს არავინ დაგინთებს, სულ შენ უნდა ქნა ყოლიფერი; ცეცხლიც შენ უნდა დაანთო, წყალიც შენ უნდა მეიტანო.
- არა, არა, არა. მაგი არ იქნება. წყალს რავა მოვიტან...
- მაცა, მაცა... ყანაც შენ უნდა გათოხნო, შეშაც შენ უნდა მეიტანო.
- აჰ, აჰ, გადირიე თუ? მას რავა მეუბნები. მაგას რავა ვიზავ.
- გლეხები რომ ჩამოგერთმევა, არ იზამ, რა გზა გაქვს.
- ჩიკოლიკმა მე და შენზე უკეთ იცის. იმან თქვა, რომ გლეხებში ფულს მოგვცემენო. შვილებს გავზრდით. გავნათლდებით და ეჰე, ფრანცუცები ხომ მდიდარი არიან, ჩვენც ისე გავზრდებით.
- უი, დევილუპეთ! მთლათ გოუსულებელია ეს საწყალი იმას, ჩიკოლიკი, თუ ვინცხაა! ჰა, ჰა, ჰა, ჰა (იცინის) კაცო ჩემი გლეხები მილიონს მირჩენია. გლეხებში ხემწიფე მილიონს რავა მომცემს. იგი ან მოგვცემს ერთს ან ორ ფარას. ჩახვალ ქუთეისს და იქვე მითესავ; მერე დამრჩები ხელცარიელი. შენ ამბობ შვილებს გავზრდითო. რითი გაზდი, რომ ფარა არ გექნება! ჯამაგირს გაგვიჩენენო. ყველა ხომ სამსახურში არ შევა, ყველა რომ მთავრობის ხალხი შეიქმნეს. მთავრობის ხელქვეითი ვილა დარჩება, ბიძაშვილობამ მაგ ჩიკოლიკს გოუსულებელიხარ“ (№ 39, 1867).

ამ ორ სურათის ნაწყვეტში სწორედ ის ისახება, რაც იმ გარდამავალ ხანას ასე ახასიათებდა: აზნაურობაში შიში მუქი შრომის დაკარგვისა ბუნდოვან მომავლის წინაშე. ხოლო გლეხოებაში მოლოდინი და წყურვილი თავისუფლებისა, წყურვილი, დაჩრდილული საუკუნოებით შეზრდილ უნდობლობით და უჯერობით, უნდობლობით თვით იმ ხალხისადმი, რომელნიც მომხრენი იყვნენ განთავისუფლებისა. მეზატონეთა წრიდან გამოსული ადამიანი, გინდ ნასწავლი, გინდ მოკეთე ჩაგრულისა, ხალხის ნდობას მოკლებული იყო. და ეს ისტორიით შექმნილი უნდობლობა დღესაც კიდევ ცხოველმყოფელია საქართველოს ყველა კუთხეებში, სადაც კი ბატონ-ყმობა იყო.

ქართლ-კახეთის საზოგადოება რაღა გუნებაზედ იყო იმ ხანებში? გლეხების განთავისუფლების შემდეგ, თავდაპირველად მეურნეობის კრიზისმა იჩინა თავი. ამის მიზეზი ბევრი იყო, ხოლო ზოგიერთი მეტად თვალსაჩინო. იმ დროში ცნობილი მემამულე, ივ. სულხანიშვილი სოფ. ტირძნისიდან შემდეგს იწერებოდა: „მამულის მეპატრონეთა დღე-და-დღე უმძიმდებათ მამულის კეთება. ამისი მიზეზი მუშა ხელის სიძვირეა. რამდენიც დრო გადის, იმდენი ძვირდება ხელი და არ იაფდება. მიწის მოსავალი კი თანდათან იაფდება,

ამისთვის, რომ მამულის მეპატრონეებს ფული არა აქვთ. და რადგან მამულის მოვლისათვის ეჭირვებათ მუშა-ხელის დაქირავება, მეტი გზა არა აქვთ წინადაც მოსავალი ნახევარ ფასად უნდა გაჰყიდონ ქარის მისაცემადო“... („დროება“ № 51, 1867). მეორე საყურადღებო მოვლენა ის იყო, რომ იმ ხნებში მამულების გასამიჯნავი კომისიები დაარსდნენ და თითქმის მთელი ეს მამულები გახდნენ სადავოდ. „ეკონომიურ ცხოვრებაზე ამისთანა მიზეზებს ის გავლენა ჰქონდა, ვკითხულობთ გაზეთში, რომ არა კაცი, რომელსაც კი ჰქონდა ცოტაოდენი საკუთრება, არა ჰხედავდა გაეკეთებინა თავისი მამული, რადგანაც იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ, უთუოდ წაედავებოდა ვინმე და შეიძლებოდა სხვის სარგებლობაში გადასულიყო. ამის გამო ჩვენი მიწა, როგორც სახნავი, ისე სათიბი, ტყე უყურადღებოდ იყვნენ დატოვებული. არც ერთს ამ საკუთრებათაგანს არ აპატივებდნენ და ბოლოს იქამდინ მივიყვანეთ ჩვენი მამულები, რომ შემოსავალი მომატების მაგიერ, გვაკლდება, მაშინ, როდესაც საჭიროება გვემატებაო“ (№ 20, 1869 წ.)

ასეთი იყო ეკონომიური სურათი. სულის განწყობილება, გუნება და ხალისი როგორი-ღა იყო? ამ მხრივ წყრომა და ჯიუტობა თავად-აზნაურთა წრეებში, სოფლის მიყრუებულ კუთხეებში დიდი იყო. ბატონობა ისე იყო გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ ახალ პირობებს ვერ ეგუებოდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ განთავისუფლების აქტს. ილია ჭავჭავაძე თავის „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენებში“ მდიდარ მასალას გვაძლევს ამგვარ სულიერ ვითარების გასაცნობად. აი რამდენიმე ნიმუში.

მოქმედება სწარმოებს მომრიგებელ შუამავლის კაცნელარიაში.

ქვრივი. (სხაპა-სხუპით) თქვენმა მზემ, ეს მეორედ-მოსვლის ნიშნებია, ღმერთო დაგვიფარე (იწერს პირჯვარს). რა ამბავი მოხდა, თქვენი ჭირიმეთ! სისხლით ნაშოვი ყმები, მეფე ერეკლის თორმეტის ბეჭდით დამტკიცებული ოქმები თავზე დაგვახიეს კი და! (გლეხებს) გიხარიანთ განა, თქვე უბედურების შვილებო! ჰი! (ქოქოლას აყრის), მეხი კი დავაყარე თქვენ ტილიან თავებს!.. როგორ კისერ-მოღერებულები დგანან გუშინდელი მატლები!.. ფუ, უწინამც დღე გაგქრობიათ!..

შუამავალი. მე გთხოვთ მაგათ თავი დაანებოთ და თქვენს გაუფრთხილებელ სიტყვებსაც ცოტაოდენი პატივი დასდვათ. აქ მოედანი არ არის. თუ რამ საჩივარი გაქვთ, მერე მიბძანეთ, ჯერ ამათ უნდა მოუსმინო, რადგანაც ესენი თქვენზე წინ არიან მოსულნი.

ქვრივი. (ისევ სხაპა-სხუპით) სულაც არა, თქვენმა მზემ! ვინ მოგახსენათ? მაგათ ჩემზე უწინ უნდა ილაპარაკონ, მაგათ? მაშ მე კეთილშობილის ქვრივი აღარ ვყოფილვარ, მაშ მე..

შუამავალი. დამშვიდდით, წესისა და რიგის ასრულებით თქვენ თქვენი კეთილშობილება არ ჩამოგერთმევით. სამართალი ამას ითხოვს, რომ ვინც წინ მოვა, ყველაზე უწინარეს საქმე იმას უნდა გაუთავდეს.

ქვრივი. სულაც არა, თქვენმა მზემ! აზნაურიშვილს, წინ მოვა თუ მერე მოვა, გლეხებთან ყოველთვის პირველი ადგილი აქვს, თავადს კიდევ აზნაურთანა. ჩვენც ვიცით კანონები, აქაო და თორმეტი შკოლა არ გამოგვივლია, ასე გონია, არა ვიცოდეთ-რა. მეფე ვახტანგის კანონი

ჩვენც წავგიკითხავს. თუ ეს კანონებიც შეუცვალაო, გამოგვიცხადეთ მაინც. (გლეხებს). აი თქვე გველის წიწილებო, გიხარიანთ განა!.. („დროება“, №23, 1867).

მოდით და დაუმტკიცეთ ამისთანა მანდილოსანს, რომ ორი და ორი ოთხია. ამას თქვენ ვერას დროს ვერ მოახერხებთ. ვერც შუამავალმა მოახერხა; სანამ არ დაემუქრა და არ დააშინა, ვერ დააჩუმა. დარწმუნებით კი, არაფერში დაარწმუნა. ადვილად წარმოსადგენია, რა ძნელი იყო შეთვისება იმ აზრისა, რომ რაც იყო, გათავდა და ახლა ახალი დრო დადგა. აზნაურის ქვრივს ამის გაგება ვერ ეხერხება და იგი ბატონ-ყმობის გადაგდების შემდეგ „საჩექმეს“ ედავება თავის ნაყმევს. ყური ვათხოვოთ ისევ „სცენებს“.

შუამავალი (გულზე მოსული) მე მაგ უშვერუს და ურიგო ლაპარაკისთვის თქვენ, თქვენო კეთილშობილებავ, ჯარიმას სამს მანეთს გადაგახდევინებთ და თუ კიდევ არ მოიშლით, სამართალში მიგცემთ. მოთმინებიდან გამოგყევართ.

ქვრივი. (მართლა შემქრთალი) რათა, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, მე თქვენთვის ცუდი სიტყვა არ მომიხსენებია. მე ამ პირუტყვს ვეუბნები. ნუ ინებეთ გაჯავრება, ჩემო მაღალო ხელმწიფევ! სამი მანეთი არა ბრძანეთ, აი ამ ჩემს გლეხს ერთი სამად საჩექმე წავართვათ, როგორც დალოცვილი მეფე ვახტანგის კანონი ბრძანებს,- სამი მანეთი კი არა, ექვსი თქვენ ინებეთ, დანარჩენი მე მიბოძეთ. ღმერთმანი, კანონისა მორჩილი არა ვარ და! ეს გლეხი კი საშინელი მურტალი რამ არი. დახე, მე უნდა მეჩვილა და მაგან არ დამასწრო!.. საკვირველია, სად შეიტყობენ ხოლმე. ეს რაც ბატონ ყმობის გადავარდნის ხმა ჩამოვარდა ქვეყანაზე მეხად, ეს წუწკის შვილები სწორედ გულთმისნები შეიქმნენ... იმდღეს აი დიდი წვიმები რომ გახლდა, - მიწურმა ბანმა ველარ დაიჭირა. გამოველ გარედ - ეს ძაღლ... კინაღამ არ წამცდა, ეს გველ-ხოკერა იქავ ჩემთან ახლოს დგას, დაუძახე და ისე ტკბილად, დედა-შვილურად ვუთხარი: შვილო, გიორგი, მეთქი. (გლეხს) გაგიწყრეს წმინდა გიორგი. (შუამავალს) შვილო, გიორგი, თქვენზე მიწა არ მენახოს, სწორედ, ამ სიტყვით: შვილო, გიორგი, მეთქი. თუ ეს ტყუილი იყოს, ამას (გლეხზედ ანიშნებს) გაუწყრეს წმინდა გიორგი. შვილო, გიორგი, მეთქი, ჩემო კარგო და პატიოსანო, მეთქი. თქვენმა მზემ, სწორედ ამ სიტყვებით ერთი მოდი და შენი ლამაზ-ლამაზ მაღლიანი თათებით ნიჩაბი აიღე და ბანი დამიტკეპნე, შენებურათა. მითამ მე დედა ვარ მეთქი და შენ ჩემი შვილი, მეთქი. აგრემც ღმერთი ჩემ დროულათ მოგყრის მეთქი. სწორედ, ამ სიტყვით, თქვენმა მზემ. ახლა რა არის მეთქი (ჩაფიქრდება და ალერსის სიტყვების იგონებს და ვერ მოიგონებს)... ახლა ბევრი რამ ისე ლამაზ-ლამაზ მარგალიტით სიტყვები ვუთხარი, ისე დედა-შვილურათა, როგორც მოგეხსენება ჩემი ამბავი-დაყვავებით და ლოლოებითა. მაგრამ რა? მეგელს სახარება თუნდა წაუკითხე, თუნდა არა. მომყო, ბატონო, პირი-აი ამოვესოს მაგას შავი მიწით პირი-მომყო ბატონო, პირი, ასე გამხადა, რო რაღა მოგახსენოთ. რა ვიცი, რეები არ მაკადრა, თქვენზედ მიწა არ მენახოს. აბა ეგ მოსათმენია, მაგრამ, რაკი სახარებაში (გლეხს) გაგიწყრეს იმის მაღლი (შუამავალს), რაკი სახარებაში სწერია, მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო, მეც მოვითმნე. ავიკარ პირი. აბა ხომ მოგეხსენებათ დარბაისელთ კეთილშობილ დედაკაცის ანბავი, ჩემ თავს რად ვაკადრებდი. რომ ამ ძაღლს... კიდევ კინაღამ არ წამომცდა მაგ ორ ფეხა მუტრუკს სიტყვით შევხებოდი. ავიკარი პირი. ეს კი ვუთხარი: კარგი, შვილო მეთქი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს მეთქი, გაუწყრეს მაგის ღმერთი. როგროც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, ისე დედა-შვილურათ ვუთხარი, მშვიდობიანად. მაგრამ

რა? განა მაგათზე ტკბილი და გულმტკივნეული სიტყვა გასჭრის?!. ესე გახლდათ, ჩემო მოწყალო ხელმწიფე! ეხლა მე ვიცი, თქვენ ამ უბედურუშვილს დააჭერინებთ, ციხეში ჩასომთ, მაგრამ ამას კი გეხვეწებით - ბევრს ნუ აცემინებთ. აზიზადა მყავს გაზდილი, მაგას-ერთი ორმოციოდ სამოციოდ რუსის წკეპლა ჭირათაც და ლხინათაც თავს საყრელად ეყოფა. რავექნა? ჩემი გაზდილია, მაინც მეზრალეა, გთხოვთ უმორჩილესად, მაგაზე მეტს კი ნუ დააკვრევინებთ. რაც უნდა იყოს მე ეგენი, ეგ გველის წიწილები, მაინც ჩემად მეგულებიან, შვილებსავით დაგვიზდია, დიდი სიბრალული მაქვს. ეგრე გეთაყვანე, ბევრს ნუ აცემინებთ. თუ სამოცი გეცოტავთ, ერთი ოციოდე კიდევ მოუმატეთ, არა უშავსრა, მაგაზე მეტს კი - აი მუხლ მოდრეკითა გთხოვ, ნუ გადააჭარბებთ. ეს კი რომ რუსს უნდა დააკვრევინოთ როზგები, თორემ ქართველი, ხომ მოგეხსენებათ, მაგისტანებში ქალაჩუნა არის, ისე ვერ დაჰკრავს, როგორც ზაკონი და კანონია. ამასაც, თქვენმა მზემ, მაგისტვის ვამბობ, თორე ცემა ცემად ჩაითვლება და ეგ კი ისევ ისე ვირად დარჩება. კიდევ მეორეთაც გაბედავს და იტყვის: დაე მცემონო, ხომ არ მეტკინებაო. და ეგრე გული წაუხდება და მაგის წახდენა მე არ მინდა, შვილივით გამიზდია. ჩემი ამაგი ფუჰად ჩაივლის. ახლა არ იქნება, რომ კიდევ ჩვენ მეზატონებმა არ ვიფიქროთ მაგათთვისა. მაგათ ხომ ღმერთმა თავში ჰკუა არ მისცა. (გლესს) აი დაგიდგა თვალი, ხომ ყელს გვაჭრევინებთ ჩვენა, მაგრამ ჩვენ კიდევაც იმოდენა გულის ტკივილი გვაქვს თქვენი, რომ ჩვენს ზრუნვას მაინც არ გაკლებთ. (შუამავალს) ეგრე, თქვენს თავს ვენაცვალე, ოთხმოცი იყოს, მეტი კი არა... (დროება №33, 1867 წ.).

ამ შეუდარებელი მონოლოგის ანალიზი, მგონი, მეტია. ფუქსავატი ამპარტავნობის ფსიხოლოგია ისეთის ძლიერებით არის დახატული, რომ სიტყვის მომატებაც კი შეუძლებელია. ეს ფუქსავატი ამპარტავნობა, ვიწრო წოდებრივ ხეჭოჭში საუკუნოებით აღზრდილი, ერთ უმთავრესს შემფერხებელ ძალად გახდა ჩვენი საზოგადოების განვითარების საქმეში. და ყველა ეს ისახებოდა იმდროინდელ „დროების“ ფურცლებზე. ჩვენი პრესა მკვიდრ ნიადაგზე დამყარდა.

3

1870 წლიდან „დროება“ სერგეი მესხის რედაქტორობით გამოდის. მისი უმთავრესი თანამშრომლებია ნ.სკანდელი (ნიკოლაძე), აკაკი წერეთელი და გიორგი წერეთელი. ამავე ხანაში 1868 წლიდან გ.წერეთლის რედაქტორობით გამოდის „სასოფლო გაზეთი“. 1869 წელს არსდება ჟურნალი „მნათობი“ ნ.ავალიშვილის რედაქტორობით. „ცისკარი“-ც განაგრძობს თავის საქმეს. ხოლო 1871 წლიდან არსდება გ.წერეთლის რედაქტორობით „კრებული“, რომელსაც 1873 წ. ჟურნალის ხასიათი მიეცა. ერთი სიტყვით, არა-ჩვეულებრივი სიმრავლეა ქართულ ჟურნალ- გაზეთებისა. ეს იყო საუკეთესო ხანა მესამოციანების მოღვაწეობისა. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ჯერხნობით ჩვენში კულტურული ნიადაგი იმდენად მომზადებული არ იყო, რომ ამოდენა ორგანოების შენახვა ადვილი საქმე ყოფილიყო. ყველა ორგანოების ხელის-მომწერთა რიცხვი რომ შევაერთოდ, იგი ვერ ავა დღევანდელი რომელიმე ქართულ გაზეთის ხელის-მომწერთა რიცხვის ნახევრამდეც. მძიმე ტვირთად აწევბოდათ რედაქტორ-

გამომცემლებს ქართულ გამოცემის საქმე. და იმთავითვე ქართულ პრესაში სამსახური და შრომა ინტელიგენციისთვის მსხვერპლად შეიქმნა. მაგრამ როდესაც გულში ცეცხლი ღვივის და ფიქრი მუდამ აღფრთოვანებულია, მსხვერპლის ატანა ადვილია. და სანამ ეს ცეცხლი და ეს აღფრთოვანება იყო, ჩვენი პრესაც არაჩვეულებრივად გაიფურჩქნა და აყვავდა.

სერგეი მესხის დროიდან „დროებას“ მეტი ტექნიკური გაუმჯობესებაც ეტყობა. როდესაც პირველად დაარსდა გაზეთი (1866 წ.) ყველა მწერლებს და კორესპოდენტებს ისე აეშალათ წერის საღერდელი, ისე ბევრი რამ ჰქონდათ ყველას სათქმელი, რომ მოკლე, საგაზეთო წერილების წერას ვერავინ ახერხებდა. ერთი და იგივე კორესპოდენცია ხშირად ორ სრულ ნომერს იჭერდა. ამგვარადვე იწერებოდნენ მეთაური წერილები. ახლა კი თითქოს შეეჩვივნენ, აღვირი დაადვეს ლაპარაკის უსაზღვრო წყურვილს. და ამითი გაზეთმა ბევრი რამ მოიგო. სხვა და სხვა განყოფილებათა რიცხვმა იმატა და აჭია-ბაჭია, წყალ-წყალა წერილების ბეჭდვასაც ერიდებოდნენ. იმ ხანებში ევროპაში დიდი ამბები ხდებოდა: საფრანგეთ-გერმანიის ომი, პარიზში კომუნის გამოცხადება. ყველა ამის შესახებ ვრცელი და კარგად მოფიქრებული წერილები იბეჭდებოდა ნ. სკანდელის მიერ, რომელიც წინად დიდხანს სცხოვრობდა საზღვარგარეთ და კარგათ იყო გაცნობილი იქაურ პოლიტიკურ ვითარებასთან. მისი წერილები მშვენიერი პოლიტიკური სკოლა იყო ახლად გამოფხიზლებულ და ჯერ კიდევ ნორჩ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებისათვის. მაგრამ, როგორც ვსთქვით, მძიმე ტვირთი იყო იმ ხანებში ჟურნალის თუ გაზეთის გამოცემა. „დროებაში“ ვპოულობთ ამის შესახებ რამდენიმე ფაქტიურ ცნობას. „მნათობის“ ხელის მომწერლებს „თითქმის მესამედს მუქთად მისდიოდათ, თუმცა ფასი კი უნდა მიეცათ... „დროების“ 330 ხელის მომწერლებთაგანში 189 არ მოუციათ დანიშნული ფასი ჯერ დღევანდლამდინაც 76 პირს. მაშასადამე, „დროებას“ 2,310 მანეთის მაგიერ მიუღია მხოლოდ 1,708 მანეთი და დანარჩენი 602 მანეთი ირიცხება ხელის-მომწერლებზე. მაგრამ 1870 წელს ჩვენ ვხედავთ უფრო გასაოცებელ საქმეს. ამ უკანასკნელს წელს არათუ ნახევარს ხელის მომწერლებთაგანს არ მიუციათ ჯეროვანი ფასი, იკლო აგრეთვე ხელის მომწერლების რიცხვმაც. ასე, მაგალითად, 1870 წელში გამოდიოდა 243 ეგზემპლარი, ამათ სრულად რომ მიეცათ დანიშნული ფასი, მაინც კიდევ შესდგებოდა იმდენი, რაც 1868 წ. მიიღო „დროების“ რედაქციამ. მაგრამ 243 პირის მაგიერ მისცა მხოლოდ 122 პირმა, მაშასადამე, სწორედ ნახევარმა...(N 3, 1871).

ეს ფრიად სამწუხარო ამბავია. მაგრამ რომ ჩაუფიქრდეთ თითქოს აღარ გეუცხოებათ იგი. როდესაც „ცისკარი“ დაარსდა, მისი ავან-ჩავანი და შემნახველი თავად-აზნაურობა იყო. ჩვენებური დიდი გვარის შვილები, აგრეთვე მთავრობაც უწევდნენ მას დახმარებას. მაშინ ჯერ კიდევ ქართველ ინტელიგენციის ფიზიონომია გამოსახული არ იყო. ამ ინტელიგენციის გამოსახვა იწყება 1861 წლიდან. 1863 წელს უკვე გარკვეულად მოსჩანს ახალი, კულტურულ საზოგადოებრივი ჯგუფის სახე. აქედამ იწყება დიფერენციაცია თავად-აზნაურობის, როგორც წოდებათა შუა მდგარ კულტურულ ძალისა. მართალია, ამ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურულ ელემენტისგან შესდგება. ამ გარემოებას თავისი ცუდი და კარგი მხარე ჰქონდა, მაგრამ მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ინტელიგენცია უკვე აღარ არის თავად-აზნაურობა, არც თავისი მოქმედებით, არც თავისი მისწრაფებით. მესამოციანებში და

მესამოცდაათიანებში ეს ნათლად და გარკვეულად სჩანს. შემდეგში თავად-აზნაურობის და ინტელიგენციის ურთიერთობა ცოტათი იცვლება. ინტელიგენცია თითქოს განიცდის გავლენას თავად-აზნაურობისა. ასე რომ ინტელიგენცია და თავად-აზნაურობა სხვა და სხვა მოვლენათა კატეგორიებია. და თუ ეს ასეა, ადვილად წარმოსადგენია, რომ მესამოცდაათიანების ქართული პრესა, რომელმაც დასძლია პრინციპი წოდებრიობისა და მოიწადინა დემოკრატიულ ნიადაგზე დგომა აუცილებლივ დაჰკარგავდა თავად-აზნაურობის თანაგრძნობას. და ეს ასედაც იყო. „ცისკრის“ მკითხველნი მას უნდობლობით და მტრულად ეკიდებოდნენ. სამაგიეროდ ამ პრესას ახალი მკითხველი გაუჩნდა. ეს მკითხველი იყო ნორჩი ქართველი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა და შეგირდები სხვა და სხვა სასწავლებლების (უმეტესად სემინარიელები). ეს თითქმის უსახსრო ნაწილი იყო ჩვენის საზოგადოებისა. და აბა რანაირად შეეძლო ამ ნორჩ და ღარიბ ინტელიგენციას ოთხი და ხუთი ორგანოს შენახვა. და ამიტომაც თან და თან ეცლებოდა სიცოცხლეს ხან ერთი გაზეთი, ხან- მეორე. რა იყო საჭირო საქმის გამობრუნებისათვის? ერთად-ერთი - ხალხში კითხვის სურვილის გაღვიძება და სახალხო სკოლის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება. მხოლოდ ამგვარი რამ გაზეთი დიდ მკითხველ საზოგადოებას და ინტელიგენციის რაზმებსაც გაამაგრებდა. უნდა ვსთქვათ, რომ ამ დიდ საქმესაც იმ ხანაში ჩაეყარა საფუძველი და ამ საქმის წინამძღოლი და ინიციატორი იყო იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა 1867 წელს „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“. შემდეგ წელში „ბუნების კარი“. პრესა დიდი თანაგრძნობით მიეგება ამ წიგნს. და აი ესეც იყო ამგვარი მოვალეობის აღსრულება. ჟურნალ „მნათობის“ მიმომხილველი, ვინმე თორელი ამბობს: „ჩვენ გაგვივსია შკაფები სხვა და სხვა.... დაწერილ წიგნებით და ხალხი კი მოკლებულია ანბანსაც. კარგი თანაგრძნობა, ძმობა გვქონია... დარწმუნებული ვარ და იქნება დარწმუნებული იყვნენ მკითხველები, რომ უფ. გოგებაშვილმა თავის „ანბანით“ და „ბუნების კარით“ უფრო დიდი სარგებლობა მოუტანა ყმაწვილებს და ახალ მოსწავლეებს, ვიდრე ჩვენმა ლიტერატორებმა თავიანთი დაფუძნებულ წრფელი სჯით, („მნათობი“ 1869, მაისი და ივნისი). ხალხს იმ დროს არა ჰქონდა საკითხავი წიგნი. „ბეჟანიანი“, „ქალვაჟიანი“, „ბარამიანი“ - ეს თხზულებანი უფრო შეძლებულთა ოჯახებში ხელნაწერებად ინახებოდნენ. ხალხისთვის გამოიცა იმ ხანებში რამდენიმე სიმღერა „გამო მზეო“, „თვალეზო თვალეზო“, რამდენიმე ნიმუში სახალხო ეპოსისა „ეთერიანი“ (მოთხრობა აბესალომ და ეთერისა), „არსენა“ და სხვ. ამგვარი. ესეც კარგი იყო. და ვინც წერა-კითხვა იცოდა, ამ წიგნებსაც ძალიან ეტანებოდა. მაგრამ ყოველივე ეს არამც თუ ვერ აკმაყოფილებდა ახალ დროის მოთხოვნილებას, ახლოსაც ვერ უდგებოდა მას. საჭირო იყო სისტემატიური, რეგულიარული და საფუძვლიანი გაწვრთნა ხალხის გონებისა სკოლის საშუალებით. სწორედ ამ სატკივარს დაადო მალამო იაკობ გოგებაშვილმა. და დღეს თუ ჩვენებურ დაბა-სოფლებში „დედა-ენას“ 30,000 მკითხველი ჰყავს, შეგვიძლიან დანამდვილებით ვსთქვათ, რომ სწორედ ამ რაზმიდან ივსება თანდათან ქართულ გამოცემათა მკითხველთა რიცხვი და ამ რაზმიდან გამოდის ის ელემენტი, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი და რომლის საასპარეზოდ

გამოსვლა სამუდამოდ მისცა ქართველ ინტელიგენციას მტკიცე ხასიათი დემოკრატიულ ინტელიგენციისა.

დაუბრუნდეთ ისევ „დროებას“. აქ კვლავ განაგრძობენ იმ პრინციპების განმარტებას, რომელნიც იყვნენ წამოყენებულნი პირველ წლების გაზეთში. ეკონომიურ ფარგალში, როგორც ვიცით, თავი და თავი საკითხი ასოციაცია და არტელია. ახლა გაზეთი ცდილობს პრაქტიკული განხორციელების გზა მოუძებნოს ამ პრინციპებს. ხოლო როდესაც იგი უბრუნდება იმ თეორიულ პრობლემას, რუს-ნაროდნიკულ მოძრაობის მიერ ამ წამოყენებულ-მიწის საერთო მფლობელობას, აქ, ამ საკითხის განმარტება- გარკვევაში დიდ ენერგიას და უნარს ვეღარ იჩენს. მაგრამ არის ერთი საყურადღებო წერილი, რომლის აღნიშვნა ფრიად საჭიროა ჩვენი საქმისთვის. „ჩვენი სიღარიბის მიზეზი“, წერილი გრ.თარხან-მოურავისა. ავტორი ამბობს: „თუ მაგალითად, საზოგადოება იმგვარად დაყოფილია რომ პირველი ელემენტი გამდიდრებისა - მიწა და მისი კუთვნილი ნივთი ეკუთვნიან ერთ ნაწილს და შრომა კი მეორეს, მაშინ ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა, ამ ორს ნაწილს შუა აღმოჩნდება ბრძოლა, რომლის შედეგი უნდა იყვეს სიღარიბე საზოგადოების მომეტებული ნაწილისა“ (N7, 1870)... აღნიშნავს რა ავტორი შრომის და კაპიტალის (მიწის) ერთმანეთისგან გათიშვას, ამბობს: „საზოგადოებისთვის საკმარისი არ არის შექმნას კაპიტალისა, თუ კი ეს უკანასკნელი არ აღასრულებს თავის დანიშნულებას. გარდა ამისა, ყოვლად საჭიროა არსებობა შრომისა და კაპიტალის გონივრულად განაწილებისა... შრომა და კაპიტალი შეერთებული უნდა იყვნენ, ე.ი. უნდა სჩანდეს მათ შორის კავშირი, თანაშემწეობა“. (იქვე). როგორც ხედავთ, აქ უკვე ელემენტებია სოციალიზმისა. ვამბობთ, ელემენტები და არა თვით სოციალიზმი, რადგან შრომის და კაპიტალის ორგანიზაციაში კაპიტალის სოციალიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიმდიდრის მოხმარების სოციალიზაციას, ურომლოდაც წარმოდგენილია სოციალიზმი. უნდა ვსთქვათ, რომ საუბედუროდ, სავსებით არ ვიცით ავტორის აზრი ამ საგნის შესახებ, რადგან მისი წერილიდან 5 და 6 თავები სრულიად ამოღებულია ცენზორის მიერ. ასე თუ ისე, მიწის და მიწაზე მომუშავე ხალხის დაკავშირების აზრი კი ნათლად სჩანს აღნიშნულ წერილში. ვკითხულობთ: „მიწის პატრონი იყვეს მუშა და მუშა-მიწის პატრონი“ (N 8, 1870). რა გზით შეიძლება ამისი განხორციელება? „საჭიროა ამბობს ავტორი, ჩვენი კეთილდღეობისთვის ურთიერთის თანაშემწეობა მშრომლებისა და მიწის პატრონებისა“. (იქვე) აქაც ავტორი შორდება სოციალისტურ პრინციპებს. და ეს უფრო ნათლად სჩანს, როდესაც იგი პრაქტიკულად აყენებს საკითხს: (რადგანაც ყოველი საქმის დასაწყობად საჭიროა რომელიმე საშუალება, რომელსაც შეუძლიან აასრულოს ჩვენი განზრახვა, ამის გამო უნდა მოვძებნოთ ამგვარი საშუალება. ეს საშუალება არის - ასოციაცია, ამხანაგობა“. (იქვე) აი სწორედ ამაზე დგას „დროება“ და სოციალიზმს იშვიათად დაუბრუნდება. გაკვრით კი კომუნიზმს „უტოპიურ სწავლათ“ ნათლავს. ფედერალიზმს ხომ სრულიად არ იწყნარებს. „ეს მიმართულება (ფედერალიზმი), როგორც მთელი ისტორია ამტკიცებს, განსაკუთრებით შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის, მეტის მეტად მავნებელია კაცობრიობის წარმატებისთვის და ამ უკანასკნელ საუკუნოებში ყოველი წარმატება, ამ ორ გამოჩენილ რესპუბლიკებში რომ მოხდა, მარტო იმით მოხდა, რომ ცენტრალურმა მმართვემ ცოტ-ცოტათი შეიძინა ძველ დროში დაკარგული ძალა

კერძო მაზრებზე. (დროება N 15, 1871 წ. „რა არის კომუნა“). ერთი სიტყვით „დროების“ სიმპატიები საფრანგეთის მუშების მიერ წამოყენებულ კომუნალურ-ფედერალიზმისაკენ არ იყო მიმართული. კომუნალური პრინციპის უარყოფით, გაზეთი აშკარად დაშორდა რუსეთის რადიკალურ ახალგაზრდობასაც. (გაიხსენეთ გერცენის სათემო მმართველობის პრინციპი). ერთი საფუძველთაგანი მიწის საერთო მფლობელობისა იყო სასოფლო საზოგადოების იურიდიულ პიროვნებად აღიარება. „დროება“ ამ გზას ასცილდა და ამიტომ მისი არტელი და ასოციაცია უნიადაგო დარჩა თეორიულ დასაბუთების მხრივ. ხოლო მისი ცდა „არტელების“ დანერგვის საქმეში მაინც ფრიად საყურადღებოა.

მკითხველს ეხსომება წინა წერილებში აღნიშნულ სერგეი მესხის მიერ მეყველეთა ამხანაგობის შესახებ დაწერილი წერილი (1868). ამ წერილმა თავისი ნაყოფი გამოიღო. ტვერის გუბერნიაში, სადაც ვინმეს ვერეშაგინის ინიციატივით, დაარსდნენ ამგვარი ამხანაგობანი და რამდენიმე ქარხანაც, გაემგზავრა ახალგაზრდა ყმაწვილი ნესტორ ახვლედიანი. მან იქ დაწვრილებით შეისწავლა, როგორც ორგანიზაცია ამ ამხანაგობათა, ისე თვით ხელობაც ყველის გაკეთებისა. იქიდან იწერებოდა ნესტორ ახვლედიანი: „დრომაც მოაწია, რომ ჩვენ ღარიბ საქართველოს გლეხებსაც ეშველოს რამ და იმათშიაც დაარსდეს რამე ამხანაგობა... ნუ დაგვავიწყდება, რომ გლეხების შრომა და ოფლი საზოგადო ბანკია, რომლისგანაც ყველანი სარგებელს იღებს. მაშასადამე, უნდა ვეცადოთ, ეს ბანკი არ დაეცეს, თორემ სარგებელს ვერ მივიღებთ. რაღა გლეხებზე ვილაპარაკო! მგონი, ჩვენი მდიდრულ ცხოვრებას მიჩვეულნი მემამულენიც საჭიროებენ ჩქარ მიშველებას, თორემ ხშირად მათი მიწა-წყალიც ისყიდება სხვა და სხვა გვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. და სხვა (N 11. 1871). სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ახვლედიანი ცდილობს თავისი განზრახვა პრაქტიკულად განახორციელოს. გამგზავრებულა იგი კახეთში. აქ თითქოს მოუგვარებია საქმე მემამულეების დახმარებით. „ამოურჩევიათ საქარხნე ადგილი და გადაუწყვეტიათ მუშაობის დაწყება“. მაგრამ საქმე ჩაფუშულა. (N 18., 1872 წ.). კახეთში რომ არა გაკეთდა, ახლა ქართლში გადავიდა ახვლედიანი. „დროებაში“ ვკითხულობთ: „წელს ქართლში სდგება ყველისა და ერბოს მკეთებელი პატარა საზოგადოება. ქარხნის ხელმძღვანელად უფ.ახვლედიანი იქნება. ბევრის მეცადინეობისა და დაბრკოლების შემდეგ უფ. ახვლედიანმა, როგორც იყო, გაარიგა ეს საქმე. თუმცა ჯერ ყველის ქარხანა არ გაუმართავთ. ამ საქმეს არც კი შედგომიან ჯერ, მაგრამ, როგორც ნამდვილად ვიცით, მკვიდრ საფუძველზედ კი შენდება (N 34, 1872). მკვიდრი საფუძველი იმდენად მკვიდრი ვერ გამომდგარა, რომ ქართველურ საქმიანობის ტვირთის სიმძიმის გამო არ დანგრეულიყო, და საქმე აქაც ჩაიფუშა. ერთი სიტყვით, რაღა გავაგრძელოთ, სურვილი კარგი იყო, რწმენა დიდი, საქმე კი მაინც არ ხეირობდა. აშკარაა, კულტურული ნიადაგი გვაკლდა და ერთმანეთის ნდობა და პატივისცემაც, რომელიც შედეგია ნორმალურად განვითარებული საზოგადოებრივობისა. დღევანდელ კოოპერატიულ მოძრაობის ზრდას რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ ეს კულტურული ნიადაგი ცოტათ თუ ბევრად შემზადდა ჩვენში და დღეს ჩვენს საქმიანობას თითქმის მეტი ნაყოფი უჩანს. და თუ ეს ასეა, მაღლობელნი უნდა ვიყვნეთ იმ პირველ პიონერებისა, რომელნიც, თუმცა დამარცხდნენ, გზა კი გაგვიწალდეს

მოქმედებისათვის. კოოპერატიულ მოძრაობას საქართველოშიაც ჰქონია თავისი პატარა ისტორია.

აღსანიშნავი გარემოება ის არის, რომ, იმ დროინდელი სოციალ-პოლიტიკური მცნებანი რომ ვიგულისხმობთ, „ნაროდნიკულ“ სისტემის ტვირთი დიდხანს ვეღარ ჰზიდა „დროებამ“ და თანდათან დამოუკიდებელ გზაზე დადგომის სურვილს იჩენს. რუსეთში ლიბერალებსა და ნაროდნიკებს მესამოციანებში გაცხარებული შეტაკება ჰქონიათ. თავისუფალი ვაჭრობა, ფულის გამრავლება ბანკებისა და ფინანსიურ ოპერაციების საშუალებით, მიწის სათემო მფლობელობის დარღვევის საჭიროება და სხვა ამგვარი - ამ ნიადაგზე იდგნენ ლიბერალები. თუმცა „დროების“ პოზიცია მსგავსი არ იყო, ხოლო ბანკებს და ფინანსიურ ოპერაციებს იგი მხურვალედ დაეხმარებოდა. და როდესაც ჩვენს საზოგადოებაში აღიმართა საკითხი ბანკის დაარსების საჭიროებისა, ორი საზოგადოებრივი ნაკადული შეხვდა ერთმანეთს. ერთის მხრივ, თავად-აზნაურობა იდგა, რომელმაც განიზრახა საადგილ-მამულო ბანკების დაარსება ყმების განთავისუფლებისათვის მიღებულ თანხის საშუალებით. თავად-აზნაურობას სრული იმედი ჰქონდა, რომ ბანკი იხსნის მას მატერიალურ დაქვეითებიდან და შეუნარჩუნებს მამულ-დედულს. მეორეს მხრივ იყო ინტელიგენციის აზრი, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის ფულის დატრიალებას ჩვენს ქვეყანაში. ამასთან მასაც ეგონა, რომ ბანკების საშუალებით შესაძლებელია მემამულეთა მამულების მათ ხელში შენარჩუნება. მათ უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ ის განსაცდელი, რომელიც მოელოდა ქართველ ხალხს თავად-აზნაურობის მამულების გარეშე ელემენტების ხელში გადასვლით. ასე რომ აქ ისინი წოდებრივი თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობდნენ და აი ეს ორი ნაკადული შეხვდა ერთმანეთს და ისევ თანხმობისებური დამოკიდებულება დამყარდა ინტელიგენციასა და თავად-აზნაურობის შორის. ხოლო ახლა უპირატესობა ინტელიგენციის მხარეზე იყო, რადგან ნიჭი, მომზადება და განათლება მათში იყო. თავად-აზნაურობამ ღრმა გავლენა განიცადა ინტელიგენციის. ხოლო ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ არც ინტელიგენციის ფსიხიკა და აზროვნება დარჩა შეურყეველი და დამოუკიდებელი. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ეხლა კი ბანკის საკითხს დაუბრუნდეთ. „დროებაში“ კვითხულობთ: „დ. ყიფიანი მიხვდა იმას, რომ ვალში ჩაცვივრულ კეთილშობილების საქმის გასწორება შეეძლო მხოლოდ ბანკს და ამის გამოისობით იმან შეადგინა წინადადება ბანკის პროექტი, წაუკითხა რამდენჯერმე მამულების მეპატრონეებს და ბოლოს კეთილშობილებმა გადაწყვიტეს გადაეღება ბანკის დაწესებისათვის მეხუთედი წილი ფულებიდან, რომელიც მიეცათ იმათ დიდებულებისაგან ყმების განთავისუფლებაში. ძლივს ჩვენც დავესწარიტ იმ ბედნიერებას, აცხადებს სიხარულს გაზეთი, რომ ქართველებშიაც აღიმართა ბანკის დაარსების მოთხოვნილება... თუ რიგზე წაიყვანეს საქმე, მაშინ გაბედვით ვიტყვით, რომ ეს ახოვანი ფონდი ადვილად შეიძლება ქართველები მატერიალური მხრით შევიწროებიდან გამოისხნას და გააძლიეროს (N 44. 1870 წ.). ასე ოპტიმისტურად შეჰყურებს მომავალს გაზეთი. 1872 წელს „დროება“ უპირატესობას აძლევს საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას, „რომელიც ყველა განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია გამოცდილია და განსაკუთრებით ჩვენგვარი მემამულეებისათვის არის გამოგონილიო“ (N 39. 1872 წ.). 1873 წელს ამ საკითხის გამოკვლევაში

მხურველე მონაწილეობას იღებს ნ.სკანდელი (ნიკოლაძე). მსგავსად დ.ყიფიანისა ქუთაისში ბესარიონ ლოღობერიძემ იკისრა ბანკის წესების შემუშავება. ამისათვის იგი წავიდა პეტერბურგში და იქ თავის ბანკის წესდებას ორი ბანკის წესდება დაუდო საფუძვლად- ხერსოვის და ხარკოვის ბანკების საფუძველნი. გარდა ამისა რამდენიმე ადგილი არის შეკეთებული ტფილისის ბანკის წესდების მიხედვით. ბესარიონ ლოღობერიძის ბანკის პროექტის ორი მთავარი საფუძველი ამგვარია: 1) „ ჩვენი ქვეყნის გარემოება მოითხოვს, ჩვენ გავმართოთ იმისთანა ბანკი, რომელიც გირაოდ მიწას და საზოგადოდ უძრავ მამულს იღებს. ამ ბანკს ექნება უფლება, გამოსცეს გირაოს ფურცლები. 2) ჩვენი პირველი ზრუნვა უნდა იყოს, გირაოს ფურცლებს კარგი კურსი ანუ მსვლელობა ჰქონდეს. მათს კარგს ფასზე ჰკიდია ბანკის ბედი. ამისათვის ამ ფურცლების მყიდველებს უნდა მივცეთ, რაც შესაძლებელია, ყოველი გარანტია ან იმედები, რომ ბანკი თავის პირობას მათ აუსრულებს. ამის მეტი კი არ შეგვიძლიან, რომ ფურცლების შემოსავლის პასუხისმგებელნი იყვნენ ჯერ დაგირავებული მამული, მერმე ბანკის სიმდიდრე და უკანასკნელად დაგირავებულ მამულით საზოგადო თავდებობა. (ბ. ლოღობერიძის წერილი მოთხრობა ჩემის „ოინობისა“ N 28. 1873). ვინც ამ წესდების წინააღმდეგი იყო, სახეში ჰქონდა უმთავრესად ხაზგასმული სიტყვები. ამგვარი გარანტია გარანტიად არ მიაჩნდათ. ნ. სკანდელი ამბობდა : „ ჩვენი აზნაურობა მარტო იმიტომ აარსებდა ბანკს, რომ ფულის სესხება შესძლებოდა სულის მოსაბრუნებლად და იმ გაჭირვებაში, რომელიც იმას ეხლა ადგია... მაშასადამე, პირველი საჭირო საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ფული გარეშე თანხის პატრონებისაგან ბლომად და იაფად გვემოვნა. ამისთვის საჭირო იყო აუცილებლად საზოგადოებრივი გარანტია და არა მარტო დაწინდებული მამულების ურთიერთი თავდებობა“ (N 29, 1873 წ.) თავი და თავი საკამათო საგანი აქ იყო. „ჩვენი მდგომარეობა და საჭიროება, განაგრძობს სკანდელი, სულ სხვაა და ხერსონისა და ხარკოვის - სულ სხვაა. არც ერთ იმათ ის საჭიროება არ უგვრძნიათ, რომ თავითვე იზრუნონ, ჩვენი მიწა გარეშე პირებს არ ჩაუვარდეთ ხელშიო, გადატაკებული არ დარჩეს ჩვენი ქვეყნის კაციო, პროლეტარებათ არ გადვიქცეთ სხვისი ფულების გამოისობითო. რითი და როგორი საშუალებით აპირებს უფ. ბ. ლოღობერიძის პროექტი ამ მომავლის თავიდან აცილებას? თუ არ შემოიტანა მეპატრონემ დროზე ფული, გაიყიდება მისი მამული. და ის იქნება და ისაო. ვინ არ იცის, რომ ეს შემოტანა გაძნელდება ჩვენში? რითი შველის ამ საქმეში „სააზნაურო ბანკი“ ჩვენს აზნაურობას, ჩვენს საზოგადოებას და ხალხს. რა საშუალებებს სძებნის, როგორ წესს აარსებს ისეთს, რომ ჩვენი ქვეყანა ურიებისა და სხვათა ხელში არ ჩავარდეს ამ ოცი ორმოცდა ათი წლის შემდეგ? არაფრით, სრულიად არაფრით... ეხლა აზნაურობას ვალს ააღებინებს და შემდეგ - მამულებს გაუყიდის, როცა მყიდველი გარეშე კაცის მეტი არავინ იქნება და თქვენ ბრძანებთ: ნურაფერს იტყვითო, აცალეთ, ჯერ ბანკი დამტკიცდეს და მერე უექიმეთო, ჯერ ყელი გამოიჭრას და მერე წამალი დაადევითო“..(იქვე)

სრულიად სამართლიანი საკითხი იყო აღძრული ნ. სკანდელის მიერ. კამათი აქ არა თავდება. 1875 წელს არსდება ტფილისის საადგილ-მამულო ბანკი. ამ კამათში ილია ჭავჭავაძეც გაერევა და საკითხი უფრო ნათლად გამოირკვევა. ქვემოთ ჩვენ ამ კამათსაც გავაცნობთ მკითხველს.

ახლა კი ისევ ცოტა უკან დავბრუნდეთ და ვნახოთ, გამოიღო ფესვი ჩვენი კულტურის ყანაზე მესამოციანების მიერ ჩაყრილმა თესლმა? ხელოვნება, სალიტერატურო კრიტიკა, ქალთა საკითხი და სხვა- ყოველივე ამ საკითხებით იმ თავითვე იყვნენ დაინტერესებულნი ჩვენი მოღვაწენი. საინტერესოა ამ საგნების უფრო ზედმიწევნით განხილვა. მესამოციანთა ეპოქა მით არის მდიდარი, რთული და ჭკვის მასწავლებელი, რომ აქ იკვანძება კვანძი ჩვენი კულტურის აღორძინებისა. საზოგადოებრივი მოღვაწეობის და აზროვნების პირველ ნაბიჯებს, ხელოვნების გაფურჩქვნას და სალიტერატურო კრიტიკის გაჩენას - ყველა ამას აქ, ამ დიდ მაცოცხლებელ წყაროში აქვს სათავე და ისევ ამა სათავეს გადავხედოთ.

4

ქართველ ქალებს მესამოციანებში ჰყავდათ მედგარი და გულწრფელი მოსარჩლე, ახალგაზრდა მწერალი ნ. ინაშვილი. მან 1869 წ. ჟურნალ „მნათობში“ სთარგმნა ჯონ სტიუარტ მილის ცოლის წერილი „ქალების განთავისუფლება“ და ამ თარგმანს წინ წაუძღვარა საკუთარი წერილი, რომელსაც იგივე სახელი აქვს „ქალების განთავისუფლება“. მის წერილს, რა თქმა უნდა, მილის გავლენა ამჩნევია. მიუხედავად ამისა, ორიგინალური და ჭკვიანი პიროვნება ავტორისა გამოსჭვრეტს ყოველ მის სტრიქონიდან და მწყობრად განვითარებულ აზრებიდან. გაკვრით და სხვათა შორის ქალთა საკითხის შესახებ ბევრნი სწერდნენ იმ ხანაში. წინა წერილში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სკანდელის აზრი. მაგრამ ინაშვილის თარგმანი თავის ვრცელი წინასიტყვაობით უკვე სერიოზული შრომაა ჩვენს ნორჩ ლიტერატურაში. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დაახლოვებით გავაცნოთ მკითხველთ აღნიშნული წერილი.

„უკეთუ გვკითხავენ - ამბობს ნ. ინაშვილი - რაში მდგომარეობს „სული ისტორიისა“, ჩვენ მიუგებთ: კაცის პიროვნების განთავისუფლებაში და მისი სულის თავისუფალ და მრავალგვაროვანს გახსნაში. ეს არის კანონი, რომლის გამომხატველიც არის ისტორია“ („მნათობი“, 1867, მაისი, ივნისი). მაშ თუ პიროვნების განთავისუფლებაში ყოფილა ისტორიის მსვლელობის აზრი¹¹³, ქალის დამონება ერთი-ორად ხდება შეუწყნარებელი. იგი აფერხებს ამ განთავისუფლების საქმეს და სრულიად უდანაშაულოდ ხდება მსხვერპლად მამაკაცის ეგოიზმისა. ქალის პიროვნების განთავისუფლება ძნელია, რადგან მას არ აქვს უნარი განვითარებისაო. „ჩვენ ვერ ვიტყვით იმ კაცზედ, განაგრძობს ავტორი, რომელსაც ფეხები შეკრული აქვს, რომ იმას სირბილი არ შეუძლიან. გაუხსენით ფეხები და იქნება სირბილში ის თქვენ არ დაგივარდეთ. აგრეთვე ავარჯიშეთ ქალის ნიჭი ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას და თქვენ დაინახავთ, რის შემძლებელიც არის ქალი. გაუღეთ მას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქნება ისეთივე გონიერი და კეთილ-საიმედო მოქალაქე, როგორც ერთი ჩვენთაგანი (იქვე). მაგრამ, მამაკაცებს როგორღაც არ სჯერათ ყოველივე ეს. ამას ხედავს და

¹¹³ ისტორიულ ტელეოგოიზმის მცნება განმარტებული იყო რუს მესამოც-და-ათიანების მიერ - ლავროვისა და მიხაილოვსკის მიერ. ა.ჯ.

ჰგრძნობს ჩვენი ავტორი და, თითქოს შეურაცხყოფილი ამგვარი გარემოებით, იგი ამბობს გულმხურვალედ: „განა შეუძლია იმას (ქალს) მოგვხიბლოს ჩვენ თვისის მშვენიერებით, თავისის კეკლუცის გრაციით, თავისი ლამაზის სახეთი, თავისი ნელად-მღელვარის მეკრდით, თუკი მის თვალეზში არ ჰხედავთ გონების და სიცოცხლის გამომეტყველებას, თუ მის შუბლზედ არ ატყვია ნიშანი აზრობისა, თუ მისნი ბაგენი არ გაგიღიმებენ სიკეთით, თუკი მისი გული არ ჰფეთქს ჭეშმარიტებისათვის და სიმართლისათვის?“ (იქვე). ეს საბუთი გულწრფელი ჭაბუკის გულიდან არის გამოსული, მაგრამ საბუთად, მგონი, ვერ გამოდგეს. ქვეყანა უფრო მრუდეა, ვიდრე იგი წარმოდგენილი აქვს ახალგაზრდა, ცხოვრებაში გამოუცდელ სტუდენტს. ამასთან ქვეყანა უფრო რთული არის, ადამიანის გულიც უფრო ღრმა და გაუგებარი. ხშირად ქალის შუბლს არ ატყვია არავითარი ნიშანი აზრობისა, მისი გული არ ჰფეთქს ჭეშმარიტებისათვის და სიმართლისათვის, იგი კი აგიჟებს მამაკაცს. ეს გაუგებარია ჭაბუკ მოციქულისათვის, ხოლო ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ცხოვრებაში. რა მიზეზია? გარყვნილობა მამაკაცისა? შეიძლება ეგეც იყოს ზოგ შემთხვევაში. მაგრამ საზოგადო მიზეზი კი უფრო ღრმა უნდა იყოს, ისა რომ ქალ-ვაჟთა ურთიერთობის განმარტება მარტოოდენ სიკეთისადმი მისწრაფების პრინციპით შეუძლებელია. ამბობენ, კაცი ქალში ეძებს სწორეთ იმას, რაც მასში არ არის. ეს გარემოებაც მისაღებია მხედველობაში. უფრო ფართოდაც შეიძლება ამ პრობლემის დაყენება. მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს და დაგვაშორებს ნ. ინაშვილს. ჩვენ კი ახლა გვაინტერესებს ჩვენი ავტორის დაახლოვებით გაცნობა და მასთან დამეგობრება.

მაგრამ თავი და თავი საკითხი ის არის, რომ ქალს ნუ ვაბრკოლებთ მის განვითარებაში, მის ბუნების გაშლაში. მეცხრამეტე საუკუნეში სოციალიზმი ის მოძღვრება იყო, რომელმაც აღიარა პრინციპიალური თანასწორობა კაცისა და ქალისა, „იგი ჰქადაგებს, ამბობს ნ. ინაშვილი, რომ ქალს მიენიჭოს ისეთივე თავისუფლება, როგორც აქვს მინიჭებული მამაკაცს. მთელი მეცხრამეტე საუკუნის მოძრაობა არის აღნიშნული ერთის დედა-აზრით, რომელიც მდგომარეობს **კაცის პიროვნების გახსნაში და განვითარებაში სქესის, ტომის და მდგომარეობის** განურჩევლად (კურსივი ავტორისა). ჩაუკვირდით კარგათ ყოველგვარ მოვლინებას ამ საუკუნის, თუ იგი არ წარმოგიდგენთ ერთ გაშლილ ქსოვილს, რომელიც გადაეფინება ყოველგვარს ისტორიულს ფაქტს ამ საუკუნისას. ეს არის „სასიცოცხლო ნერგი“ (მარღვი, თუ მომცემთ ნებას ასეთის გამოხატვისას) მთელი მისი ისტორიისა. ეს არის თესლი, საიდანაც ამოვა და გაიშლება მთელი მრავალგვაროვნება ჩვენის ცხოვრებისა, ეს არის დედა-ბოძი, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი ეს საუკუნე, ესეთია მუშების მოძრაობა, ესეთია ნეგრების განთავისუფლება, ესეთივეა აგრედვე მოძრაობა ქალებისა. ყველა ამას ერთი სული აქვს ჩასახული და შეადგენს შედეგს ერთის და იგივე მიზეზისა (იქვე). ყველა ამის მიხედვით ძირიანად უნდა შეიცვალოს ქალის აღზდის საქმე. დღეს ხომ ერთი (კაცი) მზადდება პირდაპირ სიცოცხლისათვის, განაგრძობს ჩვენი ავტორი, მეორე (ქალი) კი სხვისი სიცოცხლის „დასამატებლად“. ერთს ასწავლიან, როგორ უნდა გონივრულად და საკეთილოდ თავისთვის და სხვისათვის მოიხმაროს თავისი ნიჭი და ცოდნა, მეორეს სწრთვნიან, როგორ უნდა ეთამაშოს ის სწავლას და მეცნიერებას, რომ უფრო კეკლუცი შეიქმნას და მით ყველას თავი მოაწონოს, შემდეგ ამისა, რა გასაკვირია, რომ თავის გახსნით ქალის გონება დაბლა იდგეს მამა-

კაცისაზე“ (იქვე). ქალის საქმე არის დედობაო. „მართალია, რომ ქალის საქმე არის დედობა იმდენად, რამდენადაც მართალია ის, რომ კაცის საქმე არის მამობა. უმეტესს შემთხვევაში ეს მართალია და არა ყველგან. ყოველი ქალი არ არის უთუოდ დედა, როგორათაც ყოველი კაცი მამა. თუ მამობა არავის უშლის სამოქალაქო თანამდებობის აღსრულებას, მე არ ვიცი მიზეზი, რის გამოც დედობამ **სამუდამოდ** (კურსი ავტორისაა) უნდა დაუშალოს ქალს ამგვარივე თანამდებობის აღსრულება“ ... (იქვე) არის აუარებელი რიცხვი ქალებისა, რომელთაც ცოლობა და დედობა არა სურთ. „აქვთ თუ არა ნება ამგვარს ქალებს ქვეყანაზე ცხოვრებისა, უკეთუ არ მოინდომეს ცოლობა და დედობა. და თუ აქვთ, რატომ არ აძლევენ იმათ იმგვარსავე თავისუფლებას, როგორიც ეძლევათ მამაკაცებს და ურომლისოდაც ადამიანის მოქმედებას არ ექნება სრული ის ნაყოფი, რომელსაც იგი გამოეღოს თავის მოქმედებისაგან. და ან რომელი უმაღლესი მართლმსაჯულების ძალით ერთ ნაწილს ქალებისას (ე. ი. ისინი, ვინც უქმრონი არიან). ხომ არა ვრაცხავთ ცოდვად და დანაშაულებად იმათს უქმრობას და ხომ არა ვსჯით ამისათვის?!“ (იქვე). მაშ სრული თანასწორობა კაცსა და ქალის შორის! უნდა უკუვაგდოთ ის აზრი, რომ ქალის დანიშნულება ის არის, რომ მან ესთეტიკურის მხრივ დაამშვენოს ჩვენი ცხოვრება. ნ. ინაშვილს ქალისა და კაცის ურთიერთობის ხასიათი ამგვარ პოეტურ ფორმულაში აქვს გამოსახული: „ჩვენ ვითხოვთ ისეთს თანხმობას და შეთანასწორებას, როგორიც არის მუსიკალური ჰარმონია, შემდგარი მრავალგვაროვან ხმათაგან“ (იქვე). ასეთია დედა-აზრი ჩვენი ავტორის წერილისა.

ჩვენ აქ კამათს არ დაუწყებთ მას მით უფრო, რომ ბევრ რამეში სავსებით ვეთანხმებით ავტორს და საზოგადოთ ფემინისტურ მოძრაობის მოტრფიალეთ. მართლაც, აუცილებლად საჭიროა უფლებრივი გათანასწორება კაცისა და ქალისა. საჭიროა განათლების მისაღებად ერთგვარ პირობებში ჩაყენება. საჭიროა კარის გახსნა სამოქალაქო და საპოლიტიკო ცხოვრების ასპარესზე. ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომლის წინააღმდეგ მეოცე საუკუნეების გალაშქრება სირცხვილიც არის. მაგრამ სულ სხვა საკითხია, თუ რა ნაყოფი მოჰყვება ყველა ამისაგან? მოხდება თუ არა ამ გზით შინაგანი, ფსიხიური გათანასწორება კაცისა და ქალისა? ან შესაძლებელია და სასურველია თუ არა კაცისა და ქალის იგივეობა? მეოცე საუკუნეში ეს პრობლემა საკმარისად იყო გადრმავებული და შესწავლილი. ამ შესწავლის ნაყოფი როგორღაც არ ეგუება ოფიციალურ ფემინიზმის იმედებს, მესამოცე წლებში ინტიმური ცხოვრება ქალისა ნაკლებად იყო შესწავლილი. ის კი, რაც იმალება ამ სიცოცხლის სიღრმეში ხშირად მოულოდნელია ჩვენთვის, როდესაც საკითხს მხოლოდ გარეგნულის თვალთ უყურებთ და როდესაც გვგონია, პირობები შესცვალეთ და ყოველივე შეიცვლებაო. ამას წინათ რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს ცნობილ პროფესორის სოფია კავალევსკის ქალის მიწერ-მოწერა თავის მეგობარ ქალთან. ერთ წერილში ვკითხულობთ : „იქნება იცოდე გაზეთებიდან, რომ მე პროფესორად დამნიშნეს და რომ უკვე გავათავე მათემატიკური შრომა, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში მაინტერესებდა. მაშასადამე, მე ბევრი მიზეზი მაქვს სიხარულისა. მაგრამ მე კარგა ხანია ასე მწვავედ არ მიგრძენია სიცოცხლის არარაობა და მოწყენილობა... იძულებული ვიყავი დიდხანს მემუშავა, რათა მივღწეულიყავი ამ მცირედ ნაყოფს. ახლა კი მგონია, რომ ეს ნაყოფი იმად არ ღირდა, რომ ამოდენა ჯაფა დავხარჯე“ („Речь“ N 29, 1912).

მოდით და მოიყვანეთ აღფრთოვანებაში სოფია კოვალევსკისთან პროფესორი ქალი ფემინისტური ფილოსოფიის კოდექსით. ყველას მიიღებს, არას უკუაგდება, მაგრამ დაუკმაყოფილებელი გული ისევ მშვიერი დარჩება. ჩვენი ახალგაზრდა მწერალი ქალ-ვაჟთა ურთიერთობას მუსიკალურ ჰარმონიას ადარებს. ამის გამო მაგონდება ერთი წერილი ლ. ტოლსტოისა ექ. შკარვანთან მიწერილი: „ორ სხვა და სხვა მელოდიაში ერთი და იგივე ხმებს შეხვდებით. განსხვავება იმაშია, რომ ერთი ხმა უფრო ადრე ისმის, ერთი უფრო გვიან, და განსაკუთრებით კი იმაში, რომ ერთ ხმას სხვაზე უფრო მეტად ხაზს უსვამენ. სწორედ ამგვარივე მოვლენაა ადამიანურ გრძნობათა გამმაში. კაციც, ქალიც, ერთი და იგივე ხმებს აჟღერებენ. მაგრამ ისინი სხვა და სხვა ნაირად უსვამენ ხაზს სხვა და სხვა ხმას. აქედამ ყოველივე სხვანაირად გამოდის. (Из письма Толстого къ Шкорвану) ეს მუსიკალურ ჰარმონიის გახსენებაზე მომაგონდა. ქალ-ვაჟთა ურთიერთობაში ეს ჰარმონია ხშირად დისჰარმონიად იქცევა.

ვიმეორებ, არაფერს არ უარ-ვყოფ და არ ვეკამათები. მესამოცე წლების შემდეგ კარგა ხანმა განვლო. მე მინდა ვსთქვა მხოლოდ, ამ ხანგრძლივ გამოცდილების შემდეგ მეოცე საუკუნის შვილს ის გულმხურვალე მთლიანობა და რწმენა აღარ აქვს. ეს არ არის სკეპტიციზმი, რომელიც ღრდნის და სიცოცხლეს აცლის ადამიანს, ეს არის დაუკმაყოფილებელი აზრი, რომელიც ნიადაგს ეძებს, აღრმავენს და წინ მიისწრაფვის.

ასეა თუ ისე, ქალთა საკითხის შესასწავლად ნ. ინაშვილმა მოამზადა ნიადაგი ქართულს ლიტერატურაში და უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი ეს ლითონი სიტყვა არ იყო იმ ხანებში. ჩვენშიაც ჩნდება პატარა მასშტაბით ქალთა მოძრაობა დამოუკიდებლობის და განათლების მოპოებისადმი. თან და თან საზოგადო მოქმედების ასპარესზედ ჩნდებიან ქალებიც. 1870 წელს გაზეთ „დროებაში“ (N 1) დაიბეჭდა ეკ. თარხან-მოურავის ქალის (შემდეგ გაბაშვილის ცოლის) წერილი: „გლეხ-კაცების აზრი სასოფლო სკოლებზე“. ამ წერილის გამო გაზეთის მახლობელ ნომერში დაიბეჭდა მისალმების მსგავსი დარია მამაციშვილის წერილი. იგი სწერდა: „ ჩვენ ყოველთვის სასიხარულოდ გვაქვს, როდესაც დედათა-სქესი წერას მიჰყოფს ხელს, ნამეტნავად ჩვენში. თქვენით ვცნობთ, რომ ჩვენშიაც მოიპოვებიან გონება-გახსნილი ქალები, რომლებიც ზრუნვენ საზოგადო საქმის წარმატებისთვის. დედანო და დანო! დროა გავიღვიძოთ. ჩვენზედ არის განსაკუთრებით დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წარმატება და ბედი! თუმცა მამაკაცი ჩვენ აღგვემატებიან ჩვენ ძალით, სწავლის ღონისძიებით, თავისუფლებით, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იმათი კეთილზნეობა, იმათი გონების მოძრაობის კეთილი მიმართულება ჩვენ ხელშია... სიამივნებით ვცანით თქვენის სტატიიდან, რომ ჩვენ საქართველოში არიან ნამდვილად განათლებული ქალები, რომელთაც არა თუ არ ეზიზღებათ დაბალი ხალხი, არამედ თავალყურს ადევნებენ გლეხკაცს, შედიან იმის მდგომარეობაში, მოისმენენ იმის ლაპარაკს იმის საჭიროებაზედ და შეჰყვებიან იმის ღარიბს ქოხში იმ აზრით, რომ გაერთონ იმის სჯაში, უჩვენონ იმას ყოველივე იმისი შეცდომილება, რომ ერთის სიტყვით, თვალი გაუხილონ ჭეშმარიტებაზედ და კეთილ-გონიერს გზაზედ დააყენონ... განგიცხადებთ უგულითადეს თანაგრძნობას და დავშთები მხურვალე მოსურნე

სრულის წარმატებისა ყოველს საქმეში, რაც კი ხალხის განსწავლას და კეთილდღეობას შეეხება.

1871 წელი ჟურ. „მნათობში“ იბეჭდება ფანნი ლევალდის ვრცელი წერილი „ქალების სასარგებლოდ და წინააღმდეგ“ თარგმანი ღვიანიაშვილის ქალისა. 1871 წ. „მნათობშივე“ იბეჭდება „სგანარელი“ მოლიერისა, თარგმანი ელ.ყიფიანის ქალისა. 1871 წ. „კრებულში“ (წ. 4) სერგეი მესხის წერილია „რა დაუპარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი“ (N3, 1871 წელი). 1870 წელს ქართველ მოწინავე ქალთა პირველი კოლექტიური შრომაც გამოდის : თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან. წიგნი პირველი. ეს თარგმანი და გამოცემა მომზადდა ეკ.გაბაშვილის ცოლის, ეკ.მელიქიშვილის ქალის (შემდეგში მესხის ცოლის) და ელ.ყიფიანის ქალის თაოსნობით. ამ გამოცემის გამო „დროებაში“ ასეთ აღტაცებულ სიტყვებს ვპოვებთ: „ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლინებაა. თვითონ წიგნი მაინცა და მაინც არაფრით არის მაგდენით ყურადღების ღირსი. მაგრამ ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს წიგნი გადმოთარგმნილი და გადმოცემულია ქართველ ქალებისაგან. როგორ სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ჰფიქრობდნენ, ჰკიდებენ ხელს ისეთ საქმეს, რომელსაც უეჭველია საზოგადოების რაიმე მნიშვნელობა უნდა ექმნეს? (N 44, 1872 წ.). მართლაც, იმ ხანებში ქართველი ქალები უმაღლეს სწავლასაც ეტანებოდნ და მათი ფსიხიური განწყობილება დროების მიხედვით იცვლება. პეტერბურგიდან ელისაბედ ყაზბეგის ქალი იწერებოდა: „როდის შევესწრებით იმ ბედნიერებას, როდესაც ჩვენი ძმები ათობით და ოცობით რომ ემზავრებიან აქეთკენ და სხვაგან სასწავლოდ, ერთი ხუთიოდე (ამჟამად ამ მცირე რიცხვზე კმაყოფილი ვხდები) ქალიც ერიოს. აი ჩვენი ბედნიერება ქმარში კია არა ამისთანა გონებითს ცხოვრებაში იქნებოდა, დასძენს ჩვენი კორესპოდენტი, როდესაც ჭირში და ლხინში ჩვენ მოძმეებთან ერთად ვიქნებოდით და ერთნაირი სწავლის საშუალებით, ერთნაირი თვალთ შევხედავდით ჩვენს ცხოვრებას, ერთი მხედველობა გვექნებოდა მომავალში, ერთს საქმეს ვემსახურებოდით და შევიქმნებოდით ყოვლად ღირსი ჩვენი ძმებისა და მომავალის ქმრებისა... („დროება“, N 18, 1873წ.).

მგონი საკმარისია ყველა ამ ფაქტების ჩამოთვლა იმა აზრის სათქმელად, რომ მესამოციანებში ქართველ ქალებშიაც დაიწყო გონებრივი მოძრაობა, რომელიც გამოისახა როგორც პრაქტიკულ მოქმედების ასპარესზე, ისე განთავისუფლების პრინციპის წამოყენებაში. როგორც ვსთქვით, ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ.ინაშვილს, რომელმაც ჩვენდა საუბედუროდ, დიდხანს აღარ იცოცხლა და სიჭაბუკეშივე მიუტევა სული. ამ ახალგაზრდა მწერლის უდროვო სიკვდილის გამო ნ.სკანდელი გვამღევს რამდენსამე ცნობას მის სულიერ მდგომარეობის შესახებ. „მე არ შემიძლიან, ვკითხულობთ „დროებაში“, უმჯობესათ გამოვხატო გრძნობის და გულის პატიოსნება, მისი მაღალი მიზანი, როგორც მისივე სიტყვების დაბეჭდვით, რომელსაც ის ამ წლის მაისში მწერდა პეტერბურგიდან: „ეგენი („ზოგიერთი ყმაწვილები“) სწერს ინაშვილი სკანდელს, არიან „ბრმა წინამძღვარები...

ხალხისა“. რა ძალა აქვს მაგათ სიტყვას? რაოდენათ ღრმა არის მაგათი აზრი? რამდენათ შორს და პირდაპირათ გასჭრის საზოგადო საგნების შინაარს მაგათი ანალიზი, მაგათი კრიტიკა? რაოდენად ცხოველი და ნაყოფიერია მაგათი მოქმედება? რა საზოგადო იდეალი აქვთ მაგათ დახატული თავში? რა პროგრამა აქვთ მოქმედებისა... შენ თითონ მითხარი, მეტყვიან თუ არა ეგენი ამაზედ პასუხს. ხეირიანად ამ საქმეზე არც ერთი იმათგანი არ მომზადებულა, ნიჭითაც ძალიან არ არიან დაჯილდოვებულნი. აი ვინ არიან წარმომადგენლები ჩვენი სახალხო აზრისა, აი ვისში გამოიხატება ჩვენი გონებითი მოძრაობა. მდგომარეობა მეტად სამწუხარო და საგრძნობელია. პატიოსანს და მოაზრე კაცს ვალი აქვს მიაქციოს ამაზე ყურადღება, ვალი აქვს გვიჩვენოს ჩვენ ახალი გზა და ახალი ნათელი შეიტანოს ჩვენ ცხოვრებაში. რატომ არ უნდა დაღონდეს კაცი, როცა ჰხედავს, რომ კაცი დიდი ენერგიის და ნიჭის პატრონი, უმოქმედო და უაზრო ცხოვრებას მისცემია. კერძო პირი არაფერიაო; კერძო პირი დამოკიდებულიაო საზოგადო გარემოებაზედ, ამბობენ. ეს მართალია. მაგრამ მაინც და მაინც კერძო პირსაც ბევრი რამ შეუძლიან. კერძო პირსაც ემართება ბრძოლა უმეცრებასთან, თუნდაც ამ ბრძოლაში დაიღუპოს. მაშასადამე ვიმოქმედოთ“. (N 45,1870 წ.)

დაუკმაყოფილებელი წყურვილი აზროვნებისა და ბრძოლისა დაუკმაყოფილებელი დარჩა და სევდიანი, ხოლო იმედებით სავსე გული, საფლავს მიაბარა!

5

წინა წერილში, სხვათა შორის, გვქონდა საუბარი ხელოვნების და ესთეტიკის შესახებ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს მწერლობაშიაც იყო წადილი ესთეტიკის წინააღმდეგ გალაშქრებისა. ახლა უნდა ვსთქვათ, რომ ამ წადილმა თავის საწადელს ვერ მიაღწია, და ჩვენს ლიტერატურაში თანდათან ვრცელდება და მყარდება საღი შეხედულება ხელოვნებაზე. აი რამდენიმე ნიმუში, რომლის გარკვევა მოგვცემს ხელთ უტყუარ საბუთს.

„დროება“-ში დაიბეჭდა მიუნხენიდან გამოგზავნილი სერია ფელეტონებისა უცნობი ავტორისა. წერილების სათაური „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ - ავტორის მოწმობით, მას ლესინგის და ტენის აზრებით უხელმძღვანელებია ესთეტიკურ თეორიის შემუშავების დროს. ასე რომ იმთავითვე აშკარაა, რომ აქ უკვე არავითარი ადგილი არა აქვთ ეგრედწოდებულ „პისარევშჩინას“. ლესინგის ხელოვნებათა კლასიფიკაციის პრინციპი დიდი შენაძენია ხელოვნების ფილოსოფიისათვის. ხოლო ტენის ცდა „მშვენიერების“ გაგებისა ისტორიულ და გარემოცულ პირობების შესწავლის მიხედვით ერთი დიდი ნაბიჯი იყო ესთეტიკის სისტემაში. მართალია, ტენმა სავსებით ვერ გაარკვია ესთეტიკური შემოქმედების ფენომენი, - თვით პროცესი შემოქმედებისა დარჩა მისთვის მიუწვდომელი, - მიუხედავად

ამისა, ტენის მეთოდი არის საუკეთესო მეთოდთაგანი ხელოვნური წარმოებისა, ასე ვთქვათ, ხილულ და ხელშესახებ მხარის გაგება-განმარტებისათვის.

ჩვენი უცნობი ავტორი ეძებს საფუძველს ნაციონალურ ხელოვნებისას. იგი ამბობს: „ყოველ-გვარი პოეზია (ლირიკული, ეპიური და დრამატული) არის ხალხის პოეზიაშიც, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში: ბუნებითი ლექცია (ლირიკა), ბუნებითი მოთხრობაც (ეპიკა) და ბუნებითი ბრძოლაც თავის ვნებასთან და გარემოებებთან (დრამა); - და ხელოვნებითი პოეზია, ლირიკა, ეპიკა და დრამა, ნამდვილი ნაციონალური იქნება მაშინ, როდესაც სამირკველი ხალხის ბუნებითი პოეზია ექნება (N 8, 1870). ავტორს „ნაციონალურისა“ არ ეშინიან. მისი აზრით „რომელსამე თხზულებას მაშინ ექნება კოსმოპოლიტური, საზოგადო მსოფლიო კაცობრიული ინტერესი, როდესაც იგი ნამდვილ-ნაციონალური იქნება. არ შეიძლება დიდი კოსმოპოლიტური თხზულება იმავ დროს ნაციონალური არ იყოს“ (იქვე). როგორ აფასებს ავტორი ჩვენს ეროვნულ პოეტებს? მესამოციანებში ადვილად შეიძლებოდა ზურგის მობრუნება ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიისათვის. მას ხომ განსაკუთრებულ „გრძნობელობის“ ხასიათი ჰქონდა. მაშინ კი იყოს მეფობა გონებისა და სარგებლობისა. მაგრამ ჩვენს ავტორს სამართლიანი სიტყვა მოუნახავს ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის დახასიათებისათვის. იგი ამბობს „რასაკვირველია, „სიყვარული“ და ამისთანები პატივსაცემი და შესხმის ღირსი საგანია, მეტადრე იქ, სადაც სიყვარული ჯერ ისევ ინდოელ დეკანოზებსავით (ბრამინებსავით) დიდ მომაკვდავ ცოდვად და ზნეობის შემარყეველ გრძნობათ მიაჩნიათ; იქ რომ ამ სიყვარულს შემდგომ პოეტმა და ღრმად ჩანერგილ კაცის გულში სიცოცხლის უტკბილეს და უმანკო ხმის დაცემული აღადგინოს, საძაგელი, კაცის დამამცირებელი უმეცარი ჰაზრები ამ გრძნობის შესახებ შემუსროს და შეარცხვინოს, - ეს დიდი მოვალეობის ასრულებაა, რასაკვირველია, დიდი საქმეა პოეტისაგან და დიდ პატივის ცემას და მადლიერებას მოითხოვს ჩვენგანა. მაგრამ... ქელებში სიმღერა ისეთივე სასაცილოა და საძრახი, როგორც ქორწილში ტირილი და გლოვა“ (N2). საქართველო იმ დროს ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ, ავტორის აზრით, სხვა გვარი ჰანგი იყო საჭირო. „ვისაც ხალხის წინამძღოლობა და ბელადობა ჰსურს, ამბობს იგი, უნდა იცოდეს სად, რა დროს, რა არის საჭირო, მისწრება და მალამო“ (იქვე). ეს ასეა, მაგრამ პოეტი რომ ამგვარი ბელადი ყოველთვის არ არის? პოეტს ხშირად სწორედ რომ „გლოვის დროს“ მოსწყურდება ხოლმე ლხინი და ქეიფი, იქნება ღრმა სევდის გასაქარვებლად, იქნებ თავის სისუსტის დასაფარავად, ან კიდევ ვინ იცის რად! ჩვენი ავტორი ღმობიერია, მზად არის აღიაროს ნიჭიც და ექსპრესია ამგვარ პოეტურ ნაწარმოებისა, მაგრამ მესამოცე წლების აზრი და მოთხოვნა მასში იმდენად ღრმად არის ჩანერგილი, რომ იგი მოწადინებულია პოეტებს მოსთხოვოს ანგარიში ძველი თაობის შეცდომებისა და ძველი რეჟიმის უვარგისობისა. იგი ამბობს: „ეს ფერხულისა და სამაიას“ პერიოდიც გავიდა. ყველიერისა და ბერიკაობის დროც მალე განქრა: დაიწყო დიდი მარხვა. პირველმა შავმა ორშაბათმა ისევ ეს ყაბულფლავისა და ერბოკვერცხების ჭამაზედ თავს დაათენა ამ მხიარულ საზანდარებსა, და ყვენმა ხარჯი და ანგარიში მოსთხოვა წინაპართ და იმათ საკუთარ შეცდომებსა. ამგვარად ბედის და ისტორიის საშინელ სამჯავროს წინ წარსდგნენ მოუმზადებელი, ქალწულებრივ კილოზედ მკვნესარე პოეტები და მიიღეს ღირსეული

სასჯელი მცოვანებისა, განძღომისა და ფუფუნებისათვის“(იქვე). მსჯავრი სამართლიანია, მაგრამ ცალმხრივი, იგი თითქოს რეალურ ნიადაგზეა დამყარებული. მაგრამ აქ, როგორც ყოველთვის ამგვარ კრიტიკულ მსჯელობაში, ყალბი ფსიხოლოგიური მეთოდია ნახმარი, ნაგულისხმევია, ვითომ ამა და ამ გარემოებას და პირობას შეუძლიან წარმოშობოს მხოლოდ ესა და ეს და არა სხვა რამ ნაყოფი. ნამდვილი კი წარმოშობილი ნაყოფი ხშირად მოლოდინს არ ემსგავსება და სრულიად სხვა ხასიათისაა. პოეტი ხშირად არ ჰქვავს იმ წრეს, სადაც სცხოვრობს. გონება დამჯდარ ხანში გაისმის ხოლმე გიჟისებური, ეგზალტაციით ცეცხლ-მოკიდებული მოწოდება. გარემოს შესწავლა საჭიროა, მაგრამ ესთეტიურ ფენომენის შეგნებისთვის საჭიროა აგრეთვე სუბიექტური ანალიზი ინტიმურ სიცოცხლისა და შემოქმედებითი პროცესისა, ყველა ამას ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ჩვენ ავტორს, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ნ. ბარათაშვილიც პოეზიის ანალიზის დროს იგი თითქმის ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ორიგინალობას არ არის მოკლებული თუნდ ამგვარი საზოგადო ხასიათის სურათი: „მგონია, მხატვარს თუ ჰსურს ნამდვილი სურათი ქართველისა გამოხატოს, ვერაფერი იპოვოს იმის სახეში, როგორც მიუცილებელი თვისება, რაღაც ტკბილი ღრეჭის და ღიმღის მეტი (ყველის ვაჭარსავით), რომელიც წარმოსდგება ხასიათის სრულიად უქონლობისაგანა. ცოტათ თუ ბევრათ ამ ტკბილ კილოსა თითქმის ყოველი ქართველი მწერლის თხზულებაში შევნიშნავთ, მაგრამ ახლა თუ თვალს გადაავლებთ ამ რკინისა და ფოლადის ნ. ბარათაშვილის ლექსებსა, მაშინვე წარმოიდგენთ კაცსა, რომელიც ყველაზე მაღლა სდგას, ყველასგან ერჩევა თავის გრძნობით, ნიჭით, და ხასიათით, - იალბუზივით მიუკარებელი, ცივი და მაღალი, მუდამ თავ და შუბლ დაბურული, როგორც ისევ იალბუზი, მარად გარემოხვეული გულის მკვლეელი და მომწყვლეელი სევდის ნისლითა, რომლის ტანჯვისა და „განწირულის სულის კვეთების“ მოწამენი და თანამოაზრენი მარტო ეს ღრუბლები არიან, ყველასგან განდევნილი, უთუოდ ყველასგან მოძულეებული და ნამდვილად ყველასგან გაუგებარი (N3).

ერთი სიტყვით, აღიარებულია ხელოვნების მცნება, ესთეტიკა პატივსაცემი ხდება. ეს უკვე დიდი გამარჯვებაა აზროვნებისა. აქ ის კი არ არის საკამათო, არის თუ არა მშვენიერება, არამედ როგორ უნდა განვმარტოთ და ავხსნათ მშვენიერების ფენომენი. აი თუნდ ნ. ბარათაშვილის პოეზია. „ცისკრის“ კრიტიკული წერილების შემდეგ არავის აზრად აღარ მოსდის უარყოს მშვენიერება ამ პოეზიისა. ეხლა მხოლოდ მის ახსნას ცდილობენ. 1870 წლის „კრებულის“ მესამე წიგნში გამოაქვეყნეს ბარათაშვილის კერძო მიწერ-მოწერის რამდენიმე წერილი. თითქოს ციდან ჩამოვარდნილი მანანა იყო, ისე გაეხარდათ ამ დოკუმენტების გამოქვეყნება. ბარათაშვილი დღემდე გაუგებარია ბევრისთვის და იმ დროს ხომ უფრო იქნებოდა. და აი ხელში თითქოს გასაღები ეძლეოდათ ამ გაუგებარი პიროვნების გასაცნობად. (ასე ეგონად მაშინ). გ. გორისელი (წერეთელი) ამბობს „სანამდის ზემოთხსენებული ნ. ბარათაშვილის წიგნები დაიბეჭდებოდა, ყოველ ჩვენთაგანს „მერანისა“, „სული ბოროტის“ და „ქართლის ბედის“ დამწერი ეგონა რაღაც ახირებული მოვლენათ ჩვენს ცხოვრებაში... ჩვენ ის რაღაც შავბედით ყმაწვილად მიგვაჩნდა, რომელიც თავის აზრებით და ფიქრებით არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული თავის თანამედროვე ცხოვრებასთან. ჩვენ ის უფრო სხვა ტომის

კაცი გვეგონა“... („დროება“ N 36, 1873 წ.) და გამოქვეყნებული წერილების წყალობით კი თურმე ყოველივე ნათელი გახდა. „ნ. ბარათაშვილის წიგნებმა დაგვიხატა თვითონ ნ. ბარათაშვილი ჩვენებურ ახალგაზრდათ, განაგრძობს გ. წერეთელი, რომელიც ებრძვის გარემოებას, ეძებს გონების წარმატებას, უნდა თავისი სამშობლო ქვეყანა და მისი ლიტერატურა წინ წააყენოს. ამის გულისათვის თვითონაც შრომობს და თავის ნათესავებსა და მეგობრებსაც აღვიძებს, ამხნევებს. ნ. ბარათაშვილის წიგნების დაბეჭდვის შემდეგ ჩვენ დავინახეთ უფრო ნათლად თვითონ იმის დროის ცხოვრება და დავრწმუნდით, რომ იმისი სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესობისთვის ყოფილა შეწირული, ის ნამდვილის სწავლის დამკვიდრების გულისათვის სდევნის უწყალოდ და თავის მახვილი გონების მათრახსა სცემს ყოველსავე, რაც არის ცრუ, მატყუარი, გარეგანი ბრწყინვალეობით შემკული, მაგრამ შიგნით გულდამპალი და უნაყოფო მეცნიერება“..... (იქვე).

იმ ხანაში ამგვარი განმარტებით ყველანი დაკმაყოფილებული იყვნენ, ბარათაშვილი ჩასვეს დროის და ისტორიის პირობებში. დოკუმენტების მიხედვით, მოქალაქეობრივი ყოველგვარი სიკეთით დააჯოღდოვეს იგი, და გაუგებარი გაგებული გახდა. აშკარაა, ამგვარი განმარტება დიდი შეცდომა იყო, რომელსაც მაშინ ვერ დაინახავდნენ (ამ შეცდომას დღესაც ბევრი ვერ დაინახავს). აშკარაა, ირაციონალური მოტივები ბარათაშვილის პოეზიისა, მისი ტრაგიკული შებრძოლება ბედისწერასთან სრულიად შეუგნებელი დარჩა გ. წერეთლისთვის. ხოლო მოქალაქეობრივი მოტივებით მისი სულის აღმაფრენის აღსნა, ხელიდამ გაგდება ის იმ გასაღებისა, რომლის წყალობითაც უნდოდათ განმარტება ბარათაშვილის პოეზიისა. ყოველივე ეს უკეთესი ნიმუშია ცალმხრივობისა ეგრედ წოდებულ საზოგადოებრივი კრიტიკისა ხელოვნების სულის ასაღსნელად.

რაკი ხელოვნებას შევეხეთ გადავხედოთ თეატრის საქმესაც, უკეთ ვსთქვათ, თეატრის შესახებ იმ დროში მოარულ აზრებს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ განხილვიდან დავინახავთ, რომ ხელოვნება არც პოლიტიკური ეკონომიაა, არც ფილანტროპია და არც დარაჯია ზნეობისა. ხელოვნება, რომელიც თეატრში ჰსახიერდება, ნათელს ფენს არა მარტო თეატრის საკითხს, არამედ საზოგადოდ ხელოვნების საკითხსაც. ჟურნალ „მნათობში“ ნ. ავალიშვილი არკვევს თეატრის მნიშვნელობას. იგი ამბობს: „..... თეატრი არის სხვა საშუალებათა შორის ერთი საშუალებათაგანი განათლების გავრცელებისთვის. ყველა დარწმუნებულია ამ აზრზედ, რომ სახალხო თეატრი ხალხის აღზრდისთვის, ხასიათების გაპატიოსნებისთვის, ცხოვრების დაწმენდისათვის და საზოგადოდ ხალხის განათლებისათვის საუკეთესო სკოლას, ანუ სასწავლებელს შეადგენს. („მნათობი“ 1869 წ. ივლისი და აგვისტო). ასე რომ ჩვენი ავტორის აზრით თეატრი-სკოლა, სასწავლებელი ყოფილა. ყოველი სხვა სიკეთე თეატრისა (აღმზღელი, ხასიათის გამაპატიოსნებელი და სხვა) თეატრის ამ მთავარი თვისებიდან წარმოსდგება. თავისი აზრის დასამოწმებლად ავტორს მოჰყავს ერთი მეცნიერის აზრი, რომელიც აღიარებს რა თეატრს განათლების ტაძრად, ამასთანავე საზოგადოების სარკედ მიაჩნია, „რომელშიაც ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე შეუძლიან თავის საკუთარი თვალთ დაინახოს თავის ცხოვრება მისი ღირსებით და ნაკლულევანებითურთ. როგორც ჩვენ ჩვეულებრივ სარკეში ვისწორებთ აწეწილ თმას, ვიწმენდთ სახეზედ მურს და რიგზედ მოგვყავს ჩვენი

მორთულობა, ისე განათლების სარკეში ჩახედვით (ესე იგი თეატრის შემწეობით) ჩვენ მოვიყვანთ რიგზედ მთელს ჩვენ ცხოვრებას: თუ მასში შევამჩნევთ რასმე გასაწმენდს, გასასწორებელს და რიგზედ მოსაყვანს, ვეცდებით გავასწოროთ, და რიგზედ მოვიყვანოთ“ (იქვე). გარდა ამისა თეატრს შექცევის თვისებაც ჰქონია. (გონიერი შექცევის რა თქმა უნდა). გაზეთ „დროებაში“ მეველეს (დ. მიქელაძეს) დაახლოვებით ამგვარივე აზრი აქვს გამოთქმული თეატრის შესახებ. „თეატრი შეიძლება შეადაროთ სარკეს, ამბობს იგი. როგორც სარკეში დაინახავს კაცი თავის სახეს, ისე სცენაზედ უყურებს საზოგადოება თავის გამოხატულებას, რამდენად კარგია სარკე, იმდენად სწორედ და ნამდვილად დაგანახებს ის თითოეულს თქვენს სიკეთეს, ან ნაკლულევანებას, ასეა თეატრიც“....(N402, 1893 წ.)

ჩამორჩენი და დაქვეითებულ ქვეყანაში თეატრს რომ განათლების მისია დააკისრონ და სასწავლებლის ორგანოდ გახადონ, გასაკვირველი არ არის. თეატრი მართლაც არის კულტურული პრობლემა - ხოლო კულტურული პრობლემა და სასკოლო დაწესებულება, რომელიც ცოდნას ავრცელებს, ერთი და იგივე არ არის. თუ თეატრი სკოლაა, მაშინ სკოლაც თეატრი ყოფილა. ეს კი ასე არ არის. მაშ არც თეატრი ყოფილა სკოლა. ისეთი დეფინიცია უნდა მისცეთ თეატრს, რომ მისი არსებითი თვისება მოსჩანდეს. როცა ამბობთ, სკოლა ცოდნას ავრცელებს, აქ არავინ წამოგედავებათ, რადგან მართლაც ძირითადი, არსებითი დანიშნულება სკოლისა ცოდნის გავრცელებაა. ხოლო, როცა ამბობთ, სკოლა ზნეობის განმსპეტაკებელი დაწესებულებაა, აქ თქვენ სკოლის პირდაპირ დანიშნულებაზედ კი არ ლაპარაკობთ, არამედ იმ შესაძლებელ ნაყოფზე, რომელიც მას მოტანა შეუძლიან, მართლაც ცოდნის გავრცელებას ხანდისხან მოსდევს ხოლმე ზნეობრივი განსპეტაკებაც. ვამბობ, ხანდისხან, რადგან ბევრგვარ შემთხვევაში ამგვარი ნაყოფი არ მოსდევს ცოდნის გავრცელებას. ზნეობის განსპეტაკებისთვის ხშირად სკოლის გარდა წესიერი აღზრდაა საჭირო. სკოლა ხანდისხან უძლურია ამ აღზრდასაც გაუწვდეს, ხოლო მიუხედავად ყველა ამისა მისი მნიშვნელობა როგორც ცოდნის გავრცელების ორგანოსი მაინც დიდია. სწორედ ამგვარადვე უნდა მოვიქცეთ თეატრის შესახებაც, დავიჟინეთ, თეატრი სკოლააო და სამოცი წელიწადია შეუპოვრად ვიმეორებთ ერთსა და იმავე აზრს. მაშ რა არის თეატრი?

რომ ვსთქვათ, თეატრალური ხელოვნება ერთგვარი დათრობის, და აღმაფრენის გამოძწევების საშუალებაა, დამცინებთ, მაგრამ, კარგად რომ ჩავუფიქრდეთ, არც ისე სასაცილოა ეს აზრი. ერთი თანამედროვე მწერალი, გეორგ ფუქსი, რომელსაც თანამედროვე თეატრის აღორძინებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, მოურიდებლად ლაპარაკობს მაყურებელში ექსტაზის გამოწვევის საჭიროებაზე. და თეატრალური ხელოვნება მის თვალში მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როდესაც ამ ხასიათის ორგიაზმის ელფერი აქვს. იგი ამბობს: „როდესაც ის, რაც სცენაზედ გვევლინება, თავისი რითმით, ისეთ ნაირად გვიპყრობს, რომ ჩვენი შინაგანი ცხოვრება ჩვენ მიერ ნახულ ცხოვრებაში იშლება, ამ შემთხვევაში ჩვენ გავწვივდით ისეთ დიდ აღმაფრენას ჩვენი პიროვნებისას და ისეთი სიღრმით ვიგნებთ სიცოცხლეს, როგორადაც იგი თავის დღეში ჩვეულებრივ პირობებში, არ გამოჩნდებოდა ჩვენთვის. თეატრალურ ხელოვნების ამგვარი მნიშვნელობა კარგად ესმოდა არისტოტელეს. მისი „კათარზის“ ჰნიშნავს განწმენდას, განთავისუფლებას სიცოცხლის მძიმე ტვირთისგან სიცოცხლის საზოგადო და

უნივერსალურ დასაწყისში პიროვნების გაშლის და უსაზღვრო თავდავიწყების საშუალებით. თეატრში ჩვენ არ ვეძებთ არც ლიტერატურას, არც მუსიკას. ჩვენ გვინდა, რომ ათას სხვა ადამიანთან ერთად აღფრთოვანებულნიად ერთ სულ და ერთ ხორცს შევადგენდეთ, რომ საზოგადო აღმაფრენას ავაყოლოთ ჩვენი გრძნობაც. ხოლო რათა ეს რეალურად შესაძლებელი იყოს, საჭიროა რომ ყველა ერთმა დიდმა ტალღამ წაგვიღოს, რომ ყველანი ერთის აღელვებით ვსუნთქავდეთ აჩქარებით“. (Георг Фукс. Революция театра, გვ. 75.)

თუ ამგვარი განმარტება მივიღეთ, ჩვენთვის მხოლოდ თეატრალურ ნაწარმოებს აქვს რაიმე ფასი და მნიშვნელობა, რომელსაც ძალუმს ზემოდ-აღნიშნული მღელვარება გამოიწვიოს მაყურებელში. ეს არის ესთეტიური ღირებულება ხელოვნებისა. ამ საზომით უნდა მივიღეთ ხოლმე მასთან. ყოველივე დანარჩენი, ე.ი. აღმზრდელობითი ხასიათი თეატრისა, მისი გამანათლებელი მნიშვნელობა, პირველზეა დამოკიდებული, მისგან გამომდინარეობს. **არ არის ენტუზიაზმი, აღმაფრენა, შეერთება ერთ ნაკადულში მრავალ პიროვნებათა, არ არის ხელოვნება, და არ არის მაშინ არც აღზრდა, არც განათლება და თეატრიც კულტურული პრობლემის მისიას ვერ ასრულებს.**

მესამოციანებში, როდესაც ჯერ კიდევ ბუნდოვანი აზრები იყო გავრცელებული ხელოვნების შესახებ და პრობლემა განათლებისა და სარგებლობისა იყო მთავარი პრობლემა ეპოქისა, მესამოციანებში, განსაკუთრებით ჩვენში, როდესაც მუდმივი თეატრი ის იყო ფეხს იდგავდა და ამ თეატრის გამოყენებაც უნდოდათ დროის მოთხოვნის მიხედვით, ვერ იხეირებდა ჩვენ მიერ წამოყენებული აზრი. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღესაც თეატრს უყურებენ როგორც ლიტერატურას, განათლების ტაძარს და მის ესთეტიურ მხარეს კი, რომელიც თავი და თავია ყოველგვარ ხელოვნებაში, უყურადღებოდ სტოვებენ. არავის ეგონოს, რომ ჩვენ „რეალურ ხელოვნების“ მტერი ვიყოთ, რომ თეატრიდან ცხოვრების განდევნა გვწყუროდეს, პირ-იქით, ძლიერ ვართ მოწადინებული, რომ თეატრმა **გვაგრძნობინოს, განგვაცდევინოს** ეს ცხოვრება. მოგვეცით თეატრი სამხატვრო და ნუ გვიწვევთ „სასარგებლო“ თეატრში. „სასარგებლო“ თეატრი არ არის აღფრთოვანება, აღმაფრენა, ენტუზიაზმი, მაშასადამე არ არის შიგ ადამიანთა საცოცხლის ერთმანეთში გახსნა და შედუღება. მაშასადამე ის არც „სასარგებლო“ ყოფილა, რადგან „სასარგებლო“ ჩვენთვის ის არის, როდესაც ეგოისტური და საზღვარ-დადებული ჩვენი პიროვნება იზრდება, ჰფართოვდება და თითქოს შიგ იტევს ამ უსაზღვრო სიცოცხლის სიდიადეს. ამას გვაძლევს სამხატვრო თეატრი. დროა შეუდგეთ ამ ახალი საქმის მოწყობას!

6

როგორც ვიცით „დროების“ გარდა იმ ხანებში დაარსდა ჟურნალი „მნათობი“ (1869 წ.) და „კრებული“ (1872 წ.), რომელიც შემდეგ წელში ჟურნალად გადაკეთდა და ორი წელიწადი იარსება. რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში ამ ორგანოებს? „დროება-კრებული“ ერთი

წრის გაზეთი იყო. ეს იყო იდეური გაგრძელება 1861 წლიდან დაწყებული მუშაობისა. აქ მთავარი თანამშრომლები: ს. მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე (კრებულში). „დროება-კრებული“ განიერი შარა გზა არის ჩვენის სალიტერატურო საქმისა, უმთავრესი ეტაპი საზოგადოებრივი განვითარებისა, სადაც ძველი წყობილება და ძველი თაობა საბოლოოდ იყო დამარცხებული ახალი თაობის მიერ, იმ თაობისა, რომლის სულის ჩამდგმელი და მამამთავარი ილია ჭავჭავაძე იყო. ახლა იკითხავთ, „მნათობი“ რაღა არის? მნათობისა და „კრებულ-დროებას“ შორის მუდამ ჩხუბი და უთანხმოება იყო? რა საფუძველზე იყო დამყარებული ეს უთანხმოება? ამაზე უნდა ვსთქვათ, რომ უთანხმოება იყო იდეურიც, პირადიც, მაგრამ იდეური უთანხმოება „მნათობისა“ და „კრებულ-დროებისა“ არ მიაგავდა უთანხმოებას „ცისკარისა“ და „საქართველოს მოამბის“ შორის რომ ატყდა. „მნათობიც“ პროგრესული ორგანო იყო, მასშიაც ახალ-თაობის მწერლები მუშაობდნენ (ნ. ავალიანი, მოსე ქიქოძე, ინგილო-ჯანაშვილი, ჭალადიდელი, ვაზელი, სიმონ მგალობელი, ანტ. ფურცელაძე და სხვანი). იდეური დიფერენციაცია ჩვენის ინტელიგენციაში იმდენად შესამჩნევი იყო უკვე ამ ხანში, რომ გაჩნდნენ მწერლები, რომელნიც ყველაფერში არ ეთანხმებოდნენ „კრებულ-დროებას“. ჩნდება თავისებური ნიუანსი პროგრესულ აზროვნებასა, რომელიც ეხლა, ორმოცი წლის შემდეგ, უფრო ნათლადა სჩანს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმასაც, რომ ამ ორგანოთა შორის მოურიგებლობა ხშირად, ძალიან ხშირად პირადი ხასიათისა იყო. ამიტომ ისიც უნდა ითქვას, რომ პირადი ხასიათის გამო „კრებულ-დროების“ კრიტიკა და პოლემიკა ყოველთვის არ იყო მიუდგომელი და სამართლიანი. საქმე ის არის, რომ „მნათობის“ თანამშრომელთა შორის ანტონ ფურცელაძეც იყო, ანტონ ფურცელაძეს უნდობლობით ეკიდებოდნენ მას შემდეგ რაც მან „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ გამოილაშქრა. თუმცა ანტონ ფურცელაძე არც ძველი თაობის კაცი იყო, არც წინააღმდეგი იყო განახლებისა და პროგრესისა, მაგრამ - ასეთია ძალა ერთხელ შემუშავებულ რეპუტაციისა - მას არ უჯერებდნენ და უნდობლობით დაჰყურებდნენ.

ანტონ ფურცელაძეს მდგომარეობაც ადვილი არ იყო. მას შემდეგ რაც მან „ცისკარს“ თავი გაანება, სალიტერატურო ბინა არ ჰქონდა. ძალიან ბევრსა სწერდა, როგორც კაზმულსიტყვაობის დარგში, ისე პუბლიცისტურ წერილებს, აუდიტორიას კი მოკლებული იყო. „დროების“ დაარსების შემდეგ (1866), პირველ ხანში, იგი ცდილობს გამაგრებას ისევ „ცისკარში“. მაგრამ პირობაში ვერ მოურიგდება ივ. კერესელიძეს და სამუდამოდ გაეყრება მას (იხ. მისი წერილი ივ. კერესელიძის შესახებ - „დროება“ 1867 წ. N 30 და ლექსისებური პასუხი ივ. კერესელიძისა N 31). ახლა ცდილობს „დროებაში“ შესვლას. მაგრამ „დროებაში“ მას არ ენდობიან, თუმცა გაზეთის კორესპონდენტად მაინც ხდება. მისი კორესპონდენციები სამეგრელოდან და ქართლიდან არ არიან მოკლებულნი ინტერესს. მაგრამ ა. ფურცელაძე კორესპონდენტობას არა სჯერდება. ზ. მოენიძის სახელით (რომლის შესახებ „დროებაში“ არც იცოდნენ, რომ იგი ფურცელაძეა) იგი ჰბეჭდავს გაზეთში ლექსებსა და წერილებს. სხვათა შორის კრიტიკული წერილიც დასწერა ანტ. ფურცელაძის „სამი თავ-გადასავლის“ გამო. ძალიან მოიწონა და შეაქო ეს ნაწარმოები გ. წერეთელმა და აქვე შენიშვნა გაუკეთა, რომ ხსენებული მოთხრობა ხელოვნების მხრივ ძლიერ სუსტია. შენიშვნა სწყენია ანტონ

ფურცელადეს და მან გამოამჟღავნა, რომ მოენიძე, რომლის ლექსები მოსწონდათ, „დროებაში“ ანტონ ფურცელაძეა. ხოლო იმავე მოენიძეს, როდესაც მას ფურცელაძე ჰქვია, გროშად არ აგდებენო (იხ. „კრებულ-დროებას“ – „მნათობი“ 1872 წ. თებერვალი). ამაში იქნება მართლაც გამოისახა მიდგომილობა გ. წერეთლისა. მაგრამ ის ფაქტი კი მაინც დარჩა, რომ მწერალი (ფარულად) თვითონვე აქებდა თავის ნაწარმოებს. (იხ. გ. წერეთლის 1873 წ. N 1). ამის შემდეგ მოენიძე - ფურცელაძის დარჩენა „დროებაში“ აღარ შეიძლებოდა და როდესაც „მნათობი“ დაასრულა იქ დამყარდა.

ჩვენ იძულებული ვართ ეს კერძო ფაქტები აღვნიშნოთ, რადგან მაშინ უფრო გასაგები გახდება ჩვენთვის, რომ რაც უნდა შემცდარი ყოფილიყო ანტ. ფურცელაძე (მოენიძის ინციდენტში) „კრებულ-დროებას“ ისეთ სასტიკი ომი არ უნდა გამოეცხადებინა „მნათობისთვის“, მით უფრო, რომ ზოგიერთ თეორიულ საკითხში სიმართლე აშკარად „მნათობისკენ“ იყო. ჩვენ ამ პოლემიკას, რომელსაც პირადი ხასიათი აქვს, არ გავაცნობთ მკითხველს. ჩვენ გვინდა მხოლოდ მივაქციოთ „მნათობის“ აზროვნების ზოგიერთ იდეურ ნიუანსებს, რაც ერთგვარ ღირსებას და მნიშვნელობას ანიჭებს „მნათობს“.

„თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ „მნათობის“ წერილებსაც აქვს აქა-იქ გადაკრული სოციალისტური ელფერი. ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ევროპიული მოძრაობის ფარგალში ტრიალებს. სჯა-ბაასი წმინდა თეორიულია. სიტყვა სოციალიზმი ნახსენებიც არ არის. სოციალისტების ნაცვლად „მასწავლებლებზე“ ლაპარაკი. ერთი თავის, ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ წერილში მოსე ქიქოძე, სხვათა შორის, ასე სჯის: „თუ ჰსურთ ფულის პატრონებს, რომ მუშებმა იმათი თანხა სინდისიანად აწარმოვონ, იმათ შემოსავალშიაც წილი უნდა დაუდონ მუშებს და მარტო შრომის ფასს (ქირას) არ დააჯერონ. მე ვსთქვი იქვე, რომ ეს აზრი მეტად საფუძვლიანი არის“ („სუსტი ჭკვის ამაყოფა - „მნათობი“, 1871, N 1). ცოტა ქვემოთ ჩვენი ავტორი ამგვარ საკითხს აყენებს „რა სახით შეიძლებოდა, რომ ეხსნათ მუშები დამოკიდებულებისაგან. რა გზით შეიძლებოდა, რომ თანხა შეეძინათ მუშებს და დამოკიდებულებისაგან გამოსულიყვნენ“... (იქვე, აქ ვრცელი ადგილი დამახინჯებულია ცენზორის მიერ). „მასწავლებლებმა“, როდესაც ეს საკითხი წარსდგა მათს წინაშე, სთქვეს, რომ მუშებმა უნდა შექმნან ასოციაციები. ამხანაგობა, ასოციაცია შეიძლება იყოს ორნაირი: „თვით მუშებს შორის და მუშებსა და თანხის პატრონებს შორის. უკანასკნელი გვარი ამხანაგობა... შეიძლება მაშინ, როდესაც თანხის პატრონები არა მარტო ქირას აძლევენ, არამედ წილს უდებენ ნაწარმოების მოგებაში...წილის დადება მოგებაში...საფუძვლიანიც არის და ნამდვილი მასწავლებლებიც ამ საშუალებას უცქეროდნენ, როგორც უკეთეს და უფრო მოხერხებულ საშუალებას, რომ მუშებისთვის მიენიჭებინათ დამოუკიდებლობა“ (იქვე). ... „თქვენ კი ამბობთ, ეუბნება ნ. ნიკოლაძეს ჩვენი ავტორი, რომე ეს არც საფუძვლიანი აზრიაო და არც მასწავლებლებს გადაუწყვეტიათო“..... (იქვე). მართლაც უსაფუძვლოდ აუხირდა მაშინ ნიკოლაძე მოსე ქიქოძეს, მით უმეტესად, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვითონაც აღიარებს სოციალისტურ აზრებს!

ზურაბ მოენიძე (ე. ი. ანტ. ფურცელაძე) ვრცელ წერილში „ჩვენი სალტოლოვილო“ სოციალურ აზროვნების ისტორიას მოუყვება მკითხველებს. აქ რობერტ-ოუენიც არის თავის საცდელ კომუნიზმით, აქ ბაბეფია თავის „ეგალიტარობის“ პრინციპით, ფურიე თავის ფალანსტერებით, სენსიმონი თავისუფალი ასოციაციებით, პრუდონი ურთიერთობის დახამრების პრინციპით (ბანკი), ლუიზლანი შრომის ორგანიზაციის საჭიროებით. ერთი სიტყვით, ჩვენ წინ, ეგრედ წოდებული, უტოპიური სოციალიზმია. ყველა ამ მოძღვრებათა შესახებ ანტ. ფურცელაძე, სხვათა შორის, ამბობს: „დიდი სიფრთხილე გვმართებს ჩვენ, რომ არ შევიქმნეთ ბრმა მონა ევროპის ბაძვაში. იქ როგორც ბევრი კარგია, ბევრი ცუდიაო“. ევროპის სოციალიზმს ჩვენთვის დიდაქტიკური ხასიათი აქვს - ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, ყოველივეს გავეცნოთ, რადგან ჩვენ სწავლას და ცხოვრებას უნდა საფუძვლიანი შედგომა და საძირკვლიანი შეცვლა. ამისთვის გვმართებს დიდი მხნეობა და სიმარჯვეო („მნათობი“, მაისი, 1871 წ.).

ჩვენ მესამოციანებს ჰქონდათ „კარგი გული და კეთილი სურვილი“. სოციალისტური თეორიებიც ამ „კეთილის სურვილით“ სცოცხლობენ და როგორც „დროების“ ზოგიერთი მწერალი „გულის მოსაფხანად“ დროგამოშვებით აღძრავდა ლაპარაკს ამ საგნის შესახებ, იმგვარადვე ეთიკო - დიდაქტიკური ხასიათი ჰქონდა „მნათობის“ ამ ხასიათის ზოგიერთ წერილებს. ეს იყო რუსეთის რადიკალურ ჟურნალისტიკის ნაყოფი. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ პრინციპით ნიადაგზე სერიოზული განხეთქილებაც აღოჩნდება ჩვენი მწერლების მთავარ წარმომადგენელთა შორის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი თეორიული ხასიათის საკითხი, რომელიც ჩემის აზრით, სამართლიანად იყო დაყენებული ჟურ. „მნათობში“. ჩვენ უკვე გვქონდა გაკვრით ლაპარაკი, თუ რა გასავალი ჰქონდა მესამოციანებში რუსეთსა და ჩვენ ეგრეთ წოდებულ ბიოლოგიურ სოციოლოგიას. ამ სოციოლოგიის შეცდომები აშკარად სჩანს დრეპერის ისტორიულ ფილოსოფიაში, რომელსაც მაშინ დიდი გასავალი ჰქონდა. ადამიანი ჩნდება, იზრდება, ვაჟკაცდება და კვდებაო. აგრეთვე საზოგადოებაც. ყოველი ხალხის სიკვდილი აუცილებელიაო. ესეთი იყო მოარული აზრები იმ ეპოქისა.

ჟურნალ „კრებულში“ მ. პეტრიძე ბიოლოგიური სოციალოგიის პრინციპს იყენებს „მცირე ტომთა ენების“ დაცვის საკითხში¹¹⁴, გაზეთ „კავკაზმა“ დაბეჭდა ბროშურა, სადაც ამტკიცებდა, მცირე ეროვნებანი და მათი ენები უნდა გაჰქრნენო. მაგრამ პროგრესი რომ მრავალგვარობისაკენ მიისწრაფვის და მ. პეტრიძეს, მაგალითად, მტკიცე საბუთი უჭირავს ხელში აღნიშნული ბროშურის სიყალბის დასამტკიცებლად. „სულ პირველში, ამბობს პეტრიძე... ნახევარ აზიის და თითქმის მთელი ევროპის ხალხებს (ინდოევროპიელების) წინაპართა ერთი ენით ულაპარაკნიათ. შემდეგ, თანდათან „ენა შეცვლილი და გაცალ-ცალკეებულა“.....თვით ამერიკაშიც დღევანდელ დროს „ინგლისური ენა თანდათან იცვლება

¹¹⁴ თ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა.

და შორდება დედაენას“..., ფოხტი ამბობს: „სულელობა იქნებოდა ერთი ენა მთელს კაცობრიობისთვისო. ეს ენა არავის მოთხოვნილებას არ ეთანხმებოდაო და მალე შეცვლით ამგვართვე დაიყოფებოდა როგორც ინდოევროპელების პირველი ენა, ე.ი. დაიყოფა დამოუკიდებელ ენებათ, რომელნიც მხოლოდ თავისის საძირკველით გვაჩვენებდნენ ერთობის შთამომავლობასაო“. (მცირე ტომთა ენებზე, კრებული 1872 წ. 10-12 წ.). მართალია, ენათა რიცხვი იზრდება, მაგრამ ბიოლოგიური მიზეზია ამისი, თუ სხვა რამ, ეგ საკამათოა. აგერ დარვინმა არ გაავრცელა თავისი „ბრძოლის“ კანონი ენათა სამეფოზედაც. ენათა შორის იმგვარივე ბრძოლაა, როგორც სახეთა შორისო. იმარჯვებს უფრო შეიარაღებული და უფრო ძლიერიო. ერთი სიტყვით, სახიფათოა ამ ნიადაგზე სოციალური ფილოსოფიის აგება. არა ნაკლებ სახიფათოა ის მსჯელობის პროცესი, რომლითაც შეიარაღდა დრეპერი ხალხთა განვითარების და სიკვდილის საკითხის განმარტებაში.

ამ საკითხს ეხება ან. ფურცელაძე. წერილი დაწერილია ბაქრაძის ისტორიის გამო. ავტორი აქებს ბაქრაძეს იმაში, რომ იგი არ გაჰყვება დრეპერის თეორიას ერთა სიკვდილისას და თავისი ისტორია ბოკლის აზრების საღ საფუძველზე ააგო. ბოკლმა უარ-ჰყო ორი პრინციპი ისტორიის შესწავლის დროს - თეოლოგიური ხასიათის ფატალიზმში (პროვინციალიზმში) და ისტორიულ მოვლენათა ერთმანეთთან დაუკავშირებლობა (ინდეტერმინიზმში). მან განდევნა ისტორიიდან თეოლოგია და მეტაფიზიკა და მით საფუძველი დაუდო ისტორიულ მეცნიერებას. რაც შეეხება დრეპერს, მისი თეორია ხალხთა „ჰასაკობისა“ და „სიკვდილისა“ არა მეცნიერებულია. ერნი თუ იკარგებიან, სიბერისგან არ იკარგებიან, არამედ მტრის დაპყრობისგან, ან უვარგისს ორგანიზაციის გამოო. იმ ხანებში ამ აზრების გამოთქმა დიდი გაბედვა იყო, რადგან დრეპერი ყველას სახარებისათვის სწამდა და ანტ. ფურცელაძე თავის წერილში „საქართველო“ სწორეთ ამგვარ აზრებზედ მყარდება; (მნათობი. 1872 წ. იანვარი) და სრულიად გაუგებარია რაზედ დასცინა „კრებულმა“ ანტ. ფურცელაძეს ამ აზრების გამოთქმისათვის. ბაქრაძე დრეპერზე და ბოკლზე მალლა დააყენაო. ბოკლს ტყავი გაადროვო. დრეპერს ხომ ცუდი დღე დააყენაო. პირველი ორი აზრი მართალი არ არის. რაც შეეხება დრეპერს, მისი ისტორიული ფილოსოფია სამართლიანად არის დაწუნებული (იხ. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები - „კრებული“ N 6-7 1872 წ.¹¹⁵)

მაგრამ ერთ საჭირობოროტო საკითხში კი „კრებულის“ პოლემიკა, მიმართული ან. ფურცელაძის წინააღმდეგ, სამართლიანიც იყო და ფრიად საჭიროც. სახეში გვაქვს ან. ფურცელაძის გალაშქრება ილ. ჭავჭავაძის და „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ. ჩვენ ამის შესახებ დაწვრილებით გვქონდა ლაპარაკი. რომ ჩვენი დიაგნოზი უტყუარი იყო, ამას გვიმტკიცებს „კრებულიც“. აი რას ამბობს ათი წლის შემდეგ ნ. სკანდელი „საქართველოს მოამბის“ და ძველი და ახლი თაობის შეტაკების შესახებ. „1863 ილია ჭავჭავაძემ დაიწყო

¹¹⁵ ჩვენს მწერლობაში დრეპერის ისტორიული ფილოსოფიის გამო 90-ში დიდი კამათი ასტყდა ილია ჭავჭავაძესა და ივ. ჯაბადარს შორის - Письма о Грузии ივ. ჯაბადარისა და აი ისტორია - ილ. ჭავჭავაძისა.

„საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს იცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო, და როცა, მეორეს მხრით, ასტყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა - ესე იგი ახალი ცხოვრების და ძველი კაცობის, ესე იგი ძველ წესს და სჯულ შუა? როცა ატეხილია ბრძოლა, როცა სდულს ცხოვრება, ყოველი პატიოსანი კაცის ვალია ან ერთ რაზმში, ან მეორეში ჩადგეს, როგორც ურჩევს გული, აზრი და მიმართულება... ბრძოლას ქვეყნის შექმნიდან ერთი და იგივე კანონი ჰქონია, და ქვეყნის დაბოლოვებამდე ერთი და იგივე კანონი ექნება. ბრძოლის ველზე ერთგულება, დისციპლინა და თავისი თავის დავიწყება და შეწირვა მთელი რაზმის სასიკეთოდ, ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება უაღრესი კანონი ყოველი პატიოსანი მეზრდოლისა. მაგრამ წამოიდგინეთ, რომ რაზმიდან გამოხტა ერთი უბრალო მოლაშქრე, შეცუნდრუკდა, შეხტა, შეტრიალდა, თუ რატომ მე არ მიჭირავს დროშაო, ას სხვა რამე მიზეზით და გაიქცა მტრის რაზმისკენ, მტერს გვერდით ამოუდგა და ხელი გაუწყო, წაეხმარა, გზა აჩვენა. ეს მაგალითი იშვიათია, ამიტომ რომ ბუნების და პატიოსნების უპირველესი კანონების წინააღდეგია, მაგრამ ეს ამბავი მოხდა ჩვენში, მოხდა ჩვენს მწერლობაში და ეს მაგალითი მოახდინა ანტონ ფურცელაძემ. დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავს „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წ. იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისთვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარული მიზანი - მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება ...“ ყოველი ეს ანტ. ფურცელაძისთვის თითქოს არ არსებობდა. მან მხარი დაუჭირა ძველებს და რა გამოვიდა ამ ბრძოლიდან? „დიდი არაფერი, იმის გარდა, რომ ცხოვრების ახალ წრეში შესვლით დაბრუნებულმა ძველკაცობამ ცოტათი სული მოიბრუნა, როცა დაინახა, რომ ახალს, საშიშს მტერს, რომელიც ახალი ცხოვრების საჭიროებას ჰქადაგებდა, შეუყეფა და შეეტაკა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბრძოლაში ახალ ახალ სიტყვებს ხმარობდა ... და ეხლა ეს ბაიყუში თხოულობს, რომ ჩვენმა მწერლობამ პატივი სცეს იმას, რომ ამ მწერლობამ შეირიგოს ის, ვინც შეუგინა და შეურაცხყო მწერლობის ძუძუს მაწოვებელი დედა და რომელმაც აკვანი ტალახით და მტვერით აუვსო, როცა მწერლობა აკვანში ხელფეხ ჩაკრული და შესუდრული იწვა? ამას ითხოვს ჩვენგან უფ. ფურცელაძე, როცა გვაყვებდრის სიძულვილს, დევნას (კრებული - N 10 - 12, 1872 წ. „ჩვენი მწერლობა“).

ანტონ ფურცელაძის თავის გამართლება ჟურ. „მნათობში“ ფრიად სუსტია (იხ. „მნათობი“ 1872 წ. ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი). მეც პროგრესულ აზრებს ვავრცელებდიო, „ცისკარში 1863 წლამდინაც ვმუშაობდი, როდესაც იქ 1861 წ. ილია ჭავჭავაძემ იყო, არავითარი თაობათა შეტაკება არ იყო, რადგან „საქართველოს მოამბის“ და ცისკრის“ თანამშრომლები ერთი და იგივენი იყვნენო და სხვა. ანტ. ფურცელაძეს გამოჰპარვია ის გარემოება, რომ 1861 წელს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მოხდა პირველი შეტაკება სქოლასტიურ და ახალ საქართველოს საზოგადოებას შორის. აღარ ახსოვს ის, რომ ილია ჭავჭავაძე იძულებული იყო გამოსულიყო „ცისკრიდან“ და მის გამოსვლის შემდეგ ამ ჟურნალის „ხელმძღვანელობას“ კისრულობს ანტ. ფურცელაძე. წინად იყო თანამშრომელი,

ახლა არის ხელმძღვანელი, ბრძოლის ამტეხი და მეთაური. ერთის სიტყვით, მისმა თავის გამართლებამ ჩვენ სრულად არ დაგვაკმაყოფილა. და იმ დროისთვის ნ. სკანდელის მსჯავრი სამართლიანია. ვამბობ, იმ დროისთვის რადგან დღეს, ორმოცდაათის წლის შემდეგ, რომლის განმავლობაში ანტ. ფურცელაძეს არ შეუწყვეტია შრომა ქართულ ლიტერატურაში, დღეს ამ მოღვაწის დაფასება მარტო აღნიშნულ სამწუხარო მოვლენის მიხედვით, შეუძლებელიც და უსამართლოც იქნებოდა. ხანგრძლივის მოღვაწეობით ანტ. ფურცელაძემ დაამტკიცა, რომ ამ ხანის განმავლობაში მას სწყუროდა თავისი ხალხის ბედნიერება და რომ იგი ემსახურებოდა პროგრესულ აზრებს და არც ერთხელ აღარ გამოუჩენია ის უცნაური გაუგებრობა მომენტისა და გარემოებებისა, რომელიც მან გამოიჩინა მესამოცე წლების დასაწყისში. ამიტომ ჩვენ დღეს ან. ფურცელაძესაც ვსთვლით მესამოციანთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენლად.

ჩვენი სურათი იმ დროის ვითარებისა სრული არ იქნება, თუ არა ვსთქვით რამდენიმე სიტყვა სალიტერატურო ჯგუფებსა და ორგანიზაციებზე. ვინ არ იცის, რა მნიშვნელობა ჰქონდა სალიტერატურო ჯგუფებს რუსეთის ცხოვრებაში. ეს იყო არა მარტო კულტურის გავრცელების წრეები, არამედ პოლიტიკური აზროვნების გასაწვრთნელი სკოლები. თუმცა ჟურნალები დაშორებულნი იყვნენ ხალხს - მეტად დიდი განსხვავება იყო განათლების მხრივ ხალხსა და ინტელიგენციას შუა, სამაგიეროდ ინტელიგენციის ფართო წრეებთან კი ძალიან დაახლოებულნი იყვნენ. და იმ ხანაში, როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ არავითარი პოლიტიკური ცხოვრება არ იყო, სალიტერატურო ჯგუფებში იყო თავმოყრილი ყოველივე. და სალიტერატურო ჯგუფი ბუნებრივად გახდა უჯრედად, საიდანაც გაიზარდა მომავალ პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაცია. შემდეგ ამ გარემოებას ცუდი მხარე აღმოაჩნდა - პარტიებსაც ჯგუფებრივი ხასიათი დაეტყვოთ, მშრომელი მასსა თუმცა ახლო იდგა ახლა, ხოლო იმდენად მაინც დაშორებული იყო, რომ ორგანიზაციების მიმართულებაზე სულ მცირე გაცლენა ჰქონდა. ეს ასეა, მაგრამ რადგან კლასიური საზოგადოება, ინტერესთა წინააღდეგობაზე აგებული, რუსეთში ოდნავ იყო განვითარებულ - შემეცნებული, ამიტომ სალიტერატურო ჯგუფების მნიშვნელობა მაინც დიდი და შესამჩნევი რჩება.

ამგვარ რამეს ჩვენში არას ვხედავთ. ჟურნალები იყო, თანამშრომლებიც ჰყავდა, მაგრამ ჯერ თვით ამ ჟურნალებშიაც არ იყო კარგად განაწილებული შრომა და უმეტეს ნაწილად ერთ კაცის კისერზე იყო მთელი საქმის გაძღოლა. ასე იყო „ცისკარში“ გ. ერისთავის და ივ. კერესელიძეს დროს. ასე იყო „საქართველოს მოამბეში“, თითქმის ასევეა საქმე „კრებულ - დროებაში“ და სხვა გამოცემებში. ამის მიზეზი, ერთის მხრით, ჟურნალის მატერიალური სიღატაკე იყო. შრომას ვერ აჯილდოვებდა და ვერც შეჰქმნიდა მუქთ თანამშრომლობაზე დამყარებულ სავალდებულო თანამშრომელთა რაზმს. მაგრამ ამ გარემოებას სხვა უფრო ღრმა მიზეზი აქვს. ჩვენი ინტელიგენცია ინდივიდუალისტურია. ჯგუფობრივობა თითქოს მის ბუნებას ეწინააღდეგება. ჩვენ სრულად არა ვგავართ რუს-ინტელიგენციას იქ კრებულობითი დასაწყისია, აქ პირადი, იქ „თემობა“, აქ „კერძოობა“. ამ საგანს ქვემოდ უფრო ვრცლად შევხებით. ეხლა კი ჩვენი ხასიათის კერძოობითი მიდრეკილების გამო, ვერც საჟურნალო ორგანიზაცია მოვაწყვეთ ხეირიანად, ვერც ჟურნალის გარედ რაიმე მკვიდრი და ხანგრძლივი წრე, თუ ჯგუფი შევქმენით. ძველ დროზედ მოგასხენებთ. ჯგუფები რა თქმა უნდა, იყო -

თვითორგანიზების ხელშემწყობი ჯგუფები, თეატრალურ წარმოდგენების გამმართავი წრეები და სხვა ამისთანა, არ ვიცი, იქნება სხვა გვარი ჯგუფებიც იყო. ამის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ის კი, რაც ვიცი, იქნება სხვა გვარი ჯგუფებიც იყო. ის კი, რაც ვიცი, ის არის, რომ ვერც ერთმა ჟურნალმა ვერ მოახერხა რაიმე იმგვარ ორგანიზაციის დაარსება, რომლის იდეურ ხელმძღვანელად თვითონვე დამდგარიყო. თავი და გარეშე წრეებს აგერ ადვილად არ ეკარებოდნენ (აქედამ გამონაკლისს ასე თუ ისე გ. წერეთელი შეადგენს). ყველა ამის შესახებ ჩვენ იმ დროინდელ ერთ მწერლის საყურადღებო მოწმობა გვაქვს. მ. პეტრიძე ამბობს ჟურ. „კრებულში“: „პროგრესი მდგომარეობს განსხვავების აღმოჩენაში, ამბობს იგი, (დიფერენციაში), მაგრამ ეს აზრი პარტიების შედგენაზე ტყუილია. სად არის მართლა პარტიები? არ არიან თითო ოროლა კაცნი, რომელთაგან ზოგი აქ კუნტია და ზოგი იქაო“... „ეხლანდელმა თაობამ, განაგრძობს იგი, ვერ მოახერხა და ვერცა სცნა საჭიროება წრის შედგენისა... ვინც უფრო მშრომელი და საზოგადო საქმის (საკუთარი ლიტერატურის) წინ წამყვანის მოწადინე იყო ამ თაობაში, რაკი ნახეს დანარჩენების უქონლობა, იმათ თავი დაანებეს და მოისურვეს ცალ-ცალკეობით, თითოეულად ეშრომნათ, რამდენათაც თითო ორ კაცს შეუძლია შრომა“... მწერლების წრის შედგენის აზრი ილია ჭავჭავაძის კრიტიკიდან და იმის ჟურნალიდან იწყება. შინაგანის ღირსები ლიტერატურა წინ მიდის, მაგრამ, მეორე მხარე, ესე იგი წრის შედგენა ჟურნალთან, დღევანდლამდე აუსრულებელი რჩება („შეერთებული შრომა“, „კრებული“ 1872 წ. N 8-9). ბევრი მიზეზი იყო მესამოციანების ძალთა შეხუთვისა და დაქსაქსვისა შემდეგ წლებში, ხოლო ერთ მიზეზთაგანად ეს გარემოებაც უნდა ჩაითვალოს.

7

რაც მეტი დრო გადიოდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, უფრო მეტად და გარკვევით იხატებოდა ახალი დროის ვითარება. საყოველთაო საზრუნველ გარემოებად ახლა საქმის და ფულის ძებნა იყო. რკინის გზის გაყვანის შემდეგ კი ეს საკითხი, საქმის და ფულების ძებნა - პირდაპირ საარსებო საკითხად გადაიქცა. ყველა ამაზედ წინადაც იყო ლაპარაკი ქართულ პრესაში, ხოლო ამ საგანს თანდათან მწვავე პრაქტიკული ინტერესი მიეცა, და „საბანკო საკითხი“ მთავარ სალაპარაკო საგნად ხდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. საზოგადოებრივ ერთგვარ აჟიოტაჟის შესახებ გაზეთი „დროება“ ასე სჯის ს. მესხის პირით: „ეს გამწარებული ფაცა-ფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრი ფულების მომცემი საქმისა და შრომისა ჯერაც არ დაწყნარებულა. ეხლაც არიან ესეთი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ, რომელნიც ცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვა და სხვა უსახელო კამპანიებს ადგენენ და სხვა და სხვა. და ჩვენ სრულიადაც არა გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს. ჩვენის აზრით, ამგვარ ფაცა-ფუცს, ამნაირ უსწორ-მასწორო და ბნელ გზაზე ხეტიალს იმ კეთილის ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავდგებით. თვით გარემოება გამოგვაფხიზლებს და გვიჩვენებს, რომ შეუსრულებელი პროექტების დევნა ხელს არ მოგვცემს, რომ უეცრად, მანქანების ძალით

გამდიდრების მაგიერ, ჩვენ ბეჯით სწავლას, გულმოდგინე შრომას და ასასრულებელ საქმეებს უნდა შეუდგეთო“. (N 444, 1874 წ.) მართლაც, ადვილი საქმე არ არის ერთ სოციალურ წყობილებიდან მეორე სოციალურ წყობილებაში გადასვლა. „სოფლურ“ და „თავადურ“ საქართველოს ახალი საზოგადოებრივი შინაარსი და ფორმა უნდა მისცემოდა. შრომა და გარჯა - ამაზე უნდა დამყარებულიყო ახალი საზოგადოებრივი აგებულება. ერთად-ერთი ელემენტი შრომას მიჩვეული გლეხობა იყო ჩვენში. ხოლო, მისი შრომა ახალ დროში უნაყოფო რჩებოდა. საჭრო იყო, რაც გახდეს, გახდეს, ამ შრომის განაყოფიერება. ამ განაყოფიერების ძეგნამ აამოძრავა ხალხი და სოფლელი ქალაქისაკენ მიისწრაფოდა. ჩვენთვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თავდაპირველად ჩნდება **ტფილისში** იმერლობა. იმერლობამ საფუძველი ჩუყარა ქართულ ვაჭრობა-მრეწველობას და ეროვნულადც გაამაგრა ჩვენი დედა-ქალაქი. გაჩნდნენ სხვა წრეებიდანაც საქმის კაცები. ამ საქმის კაცების პირველი ნაბიჯები, რა თქმა უნდა, უხეირო იქნებოდა. გ. წერეთელი ამგვარად აგვიწერს ერთ საქმიან კაცის ფიზიონომიას: „ამ ჟამად საცა არ გაიხედავ, ყველას ნახშირის სუნი ესმის. იმასაც ამბობენ, კავკასიის მთები იმიტომ მოსჩანან ლურჯად, რომ ნახშირის კომლი აქვს გარს შემომდგარი, რომელიც მთელი გულიდან ამოდისო. და ამის გამო უნდა ვიფიქროთო, რომ კავკასიის მთების გული სულ ნახშირიანია. - ამისი კი რა მოგახსენო და ზოგიერთი ქართველების გული, და განსაკუთრებით იმერლების რომ ნახშირიანია - ეს კი მართალია. ამ ნახშირის სუნმა და კომლმა ისე გაიტაცა ჩვენი საზოგადოება, რომ რაც შავია სულ ოქრო ჰგონია და ამის გამო შავ ჩირქიან ზნესაც არ თაკილობენ. ერთი ამ შავი ნახშირის მაძიებელი შემხვდა ამ დღეებში და მითხრა: მეშველაო!... იმის გიჟურმა თვალების ბრიალმა არ მასიამოვნა! ვთქვი, სიმდიდრის ძეგაში ტვინი გადაგბრუნებია მეთქი. მინდოდა გვერდი ამევლო... მაგრამ ამ ახალმა გიჟმა ჩამავლო კალთაში ხელი და მომამხა: გაიგე - და ! გაიგე, რა ვიპოვე! ბაქოსკენ წაველ და ოთხი ნავთის ჭა ვიპოვეო, თითო სამ-სამ თუმნად ვიყიდე. სულ დამიჯდა თორმეტი თუმანიო. ეხლა იცი, რას ვაპირებ! წავალ საზღვარ-გარედ, მოვიყვან კაპიტალისტებს და გავმართავ ნავთის კამპანიასო. ჩემს საწილოდ წელიწადში უკანასკნელი ასი ათასი მანეთი შემოსავალი მექნება. ამ დროს ძირს დავიხედე და იმის ცერს წაღაში თავი გამოეყო. თუ აგრეა, მაშ შენ ფეხის ცერსაც ეღირსება გათბობა - ვთქვი გუნებაში. ამ დროს ჩემი აქციონერიც ყურზე წამომწვდა და მიჩურჩულა: - გეთაყვა, იქნება ხუთი მანეთი გქონდეს. მასესხე, ფაეტონის ფული არ მაქვს, პასპორტი მინდა პოლიციიდან გამოვიტანო, თორემ ნავთის კამპანიის შედგენა დამიგვიანდებაო. ღვთის წინაშე გზის ფულიც მჭირდება; ისიც არა მაქვსო. „კაი მასალა გკლებია მამაშვილობა“ - მეთქი. ბოლოს ჩემი ჯიბე რომ ისე ცარიელი დაურჩა, როგორც თავისი, უკმაყოფილების ნიშნად უხეიროდ გაიღრიჭა და გამშორდა“. („ამ დროის ვითარება“, „კრებული“ 10-12 1872 წ.) ეს პატარა სურათი, ცხოვრებიდან ამოღებული, ფაქტია. სავალალო ის არის, რომ დღესაც არ დაუკარგავს ამ სურათს თავისი ცხოველმყოფელობა, დღესაც ბევრია ჩვენში ამ ხასიათის „საქმის კაცი“. ვიმეორებ, ადვილი საქმე არ არის, რომ მეომარი და მხვნელ-მთესველი, ისიც ყმად ქცეული, ერთბაშად მოქმედ და გამჭრიახ ვაჭარ-მრეწველად გახდეს. ასეა, თუ ისე, საქართველო ახალ გზაზე გამოვიდა და ჩვენი პრესის წინაშე დაიბადნენ ახალი სოციალური და საზოგადოებრივი საკითხები.

როგორც ვთქვი, რკინის გზა, მადნეულობათა აღმოჩენა, ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება, დიდ ცენტრებისკენ იზიდავდა ქართველობას. ჩვენი ინტელიგენციაც ტფილისში გროვდებოდა და მყარდებოდა. ტფილისში იწყებოდა ყოველი კულტურული დაწყობილება. ტფილისში ჰმატულობდა ქართველი მცხოვრებთა რიცხვი, ტფილისში უნდა გამოჩეკილიყო ახალი სოციალური კლასი ქართველ ვაჭარ-მრეწველობისა. და ეს ასედაც მოხდა. და როდესაც ეს გარემოება ფაქტად გადაიქცა, მყისვე გაჩნდა მწვავე საკითხი სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა. ქართველთა თვალში სომეხი მარტოოდენ ვაჭარი და ხელოსანი აღარ არის, სომეხი ერთგვარი სოციალური კატეგორიაა, რომელიც წინ დაუხვდა ქართველობას იმ ხანაში, როდესაც ამ ქართველობამ, სამოქალაქო ცხოვრების ასპარესზე გადმოსვლა დააპირა. და აქ არის უკვე თესლი ეროვნული მომენტისა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა. როდესაც 1874 წ. საქალაქ. არჩევნების დროს სამოცდათორმეტ ხმოსანში მარტო სამი თუ ოთხი ქართველი აირჩიეს, სერგეი მესხმა ვეღარ მოითმინა და სთქვა, „რაც უნდა ძალიან ეწყინოს ქართველს.... რაც უნდა ძალიან ეწყინოს, მაინც უნდა გავტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი - ტფილისი, დღეს სომეხების საკუთრებად შექმნილა“. (451, „დროება“ 1874 წ.) მართალია, სერგეი მესხს კარგად ესმის, რომ ქართველების ჩამორჩენა გამოწვეულია მათის უმნიშვნელო ქონებრივ მდგომარეობით ქ. ტფილისში, მაგრამ გული მაინც ადგილზე არა აქვს და სწყინს, რომ საქმე ასე უცნაურად მოეწყო. „ამაში გასაკვირველი არა არის რა. განაგრძობს იგი. მაგრამ ამ ამორჩევების შედეგი მგონი იმათ კი ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი ცოტას მაინც არის დაფიქრდეს“. (იქვე) დიად, საგანი დაფიქრების ღირსია და ქართველი ინტელიგენცია მუდამ ჟამს უფიქრდებოდა ამ საგანს, და საკვირველი ის არის, რომ მის ფიქრებში ყოველთვის რაღაც ორმაგი საზრუნავი საგანი იყო, კი, მესმის, რატომ უჭირავს სომეხობას ხელში ტფილისიო, მაგრამ ეს ხომ ჩვენი დედა ქალაქი იყო. ან იქნება ეხლა, ან მომავალში ამ გარემოებას მნიშვნელობა აღარ აქვს და აღარ ექმნებაო, მაშ ყოველივე ფულის და შეძლების საქმე ყოფილა? ასე კია ესო? ნახევარ საუკუნეზე მეტია ღრღნის ეს აზრი ქართველ ინტელიგენტის გულს და დღესაც მას ვერ გადაუწყვეტია, დაიმარხო მან გულში ის აზრი, რომ ტფილისი საქართველოს დედა-ქალაქია, თუ პირ-იქით მისცეს ამ აზრს გასავალი და მის შესაფერისადაც იმოქმედოს!

გ. წერეთლის აზრი ის იყო, რომ ქართველობის ეკონომიური გამაგრება საჭირო ტფილისში. და როდესაც ეს მოხდება ყოველივე სხვაც გამოირკვევა. „კრებულში“ ვკითხულობთ: აწ რა რკინის გზა გაიხსნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედაქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ. ახლა იქ არის ბურთი და მოედანი. დაიწყეთ ტფილისის სავაჭრო ბაზარში მიწოლა და ვაჭრობა ისევ თქვენ დაირჩინეთ. უამისოდ ტფილისი სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპული. ამას გარდა რკინის გზა ძალიან მჭიდროდ აახლოვებს ამ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ ხასიათების ხალხს, იმერლებს და ქართლ-კახელებს. იმერელია მარდი, გონება მახვილი, სწრაფი მგრძნობელი და მალე თავის ამღები. ქართლელია მტკიცე, ჭეშმარიტი,

მლიერი და გამტანი. როდესაც ეს ორი თვისება ერთმანეთში გადავა, ერთის ნაკლულევენება მეორის ღირსებით შეივსება, მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიც ძალიან გადიდდება, იწყებს წარმატებით ჩქარ დენას და კეთილდღეობაც მოახლოებულია...“ (1873 წ. N 3-4). აქ ორი ფრიად საგულისხმო საკითხია აღძრული. ერთია ბურჟუაზიის მნიშვნელობა ეროვნულ აღორძინების საქმეში. მეორეა ერთ მტკიცე სხეულის შედუღება ქართველ სხვა და სხვა ტომთა შეერთებით. ორივე საგანს დღესაც ცხოველმყოფელი მნიშვნელობა აქვს. ხოლო, საუბედუროდ, დღესაც ბევრს არ ესმის ჩვენში არც ერთი, არც მეორე. „იმიერ-ქართლელობა“ დღესაც არ გამქრალა. ხოლო რაც შეეხება ბურჟუაზიის საკითხს, დღეს ცდილობენ „სოცდაგართა ჯიბეების გასქელების“ მნიშვნელობამდე დაამცირონ იგი. და უნდა სთქვას კაცმა, ადვილად შესაძლებელია, რომ ეს საკითი მართლაც ამგვარად დამცირდეს, თუ რომ ქართველობაში და საკუთრივ ახლად აღორძინებულ ქართველ წვრილ ვაჭართა წრეებში პოლიტიკურ-ეროვნულ სახელმძღვანელო აზრი გაქარწყლდება და თუ რომ ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ ჩაიძინა ასეთი შეცდომები, რომელთაც ჰქონდათ ადგილი წარსულ არჩევნების დროს ქ. ტფილისში.

როგორც ვსთქვით, ცხოვრების ძირითად ცვლილებამ ბანკების დაარსების საჭიროება გამოიწვია. ლაპარაკი იყო სასოფლო, საამხანაგო ბანკების დაარსებაზედ. მხოლოდ საზოგადოების მთავარი ყურადღება მიჰყრობილი იყო იმ ორ „საადგილ-მამულო ბანკზე“, რომელნიც ტფილისში და ქუთაისში არსდებოდნენ. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ინტელიგენციის თვალსაზრისი და თავად-აზნაურობის მისწრაფება ამ საკითხში სხვა და სხვა იყო, რომ საადგილ-მამულო ბანკებს საზოგადოებრივი ხასიათი მიეცა. ამ საზოგადოებრივის ინტერესის ზეგავლენით ჩაერია ინტელიგენცია ამ საქმეში. და ეს ფრიად სასურველი იყო, ინტელიგენციის ცდამ ასე თუ ისე უნაყოფოდ არ ჩაიარა, აასრულებინა ბანკებს თავიანი საზოგადოებრივი მოვალეობა. მეორეს მხრივ კი, აქვე აღმოჩნდა იდეალური სხვა და სხვა გვაროვნება, რომელმაც იჩინა თავი ჩვენი მესამოციანების უკეთეს წარმომადგენელთა შორის. ჭავჭავაძის და ნიკოლაძის შეტაკება ბანკის ნიადაგზე არის დასაწყისი მესამოციანების გაყოფვისა. ეს არის ერთის მხრით, ახალი აზრის დიფერენციაციის დასაწყისი, მეორე მხრით კი დასაწყისი მესამოციანების დაკნინებისა და დარღვევისა. ერის კულტურულ „ეკონომიაში“ ეს დაკნინება, საბოლოო ანგარიშის მიხედვით, საჭირო იყო. მაგრამ სამწუხაროდ ის არის, რომ ხანმოკლეა საზოგადოდ იდეური ერთობა ქართული ინტელიგენციის ჯგუფობრივ მოქმედებისა. გამაპოხელი და გამთიშველი ძალა უფრო დიდია მათში, ვიდრე შეერთების და სოლიდარობის სურვილი.

როდესაც 1875 წელს დაარსდა ტფილისის ბანკი, მის მმართველად, როგორც ვიცით, მოწვეული იყო ილია ჭავჭავაძე. ილია ისევ ტფილისშია. და თავის პირდაპირ საქმის გარდა, ისევ იღებს მონაწილეობას ჟურნალ-გაზეთობაში. ფრიად შემცდარი აზრია, ვითომ „საქართველოს მოამბის“ მოსპობის შემდეგ ილია სრულად დაკარგული იყო ქართული ლიტერატურისთვის. ძველად ჟურნალ-გაზეთების გადაფურცვლის დროს დავრწმუნდი, რომ

ილიას არ შეუწყვეტია თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა¹¹⁶. თუმცა ისიც მართალია, რომ ეს მუშაობა აჩქარებული და ნაყოფიერი არ იყო. მაგრამ ეს, სხვათა შორის. ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს პირველი სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის მიერ ტფილისის ბანკის კრებაზე.

მოგეხსენებათ, თუ რა იმედები ჰქონდა თავად-აზნაურობას: ბანკს გავხსნით და ჩვენს კერძო საქმეებს სესხით გამოვაბრუნებთო. თავად-აზნაურთა უმრავლესობა ასე უყურებდა ბანკს, როგორც დაუშრეტელ წყაროს პირადის კეთილდღეობისას. საზოგადოებრივი მნიშვნელობა საბანკო დაწესებულებისა, განსაზღვრული მოვალეობა, რომელიც უნდა ჰქონოდა ყველას, ვისაც ბანკთან ექმნებოდა საქმე - ყოველივე ეს დაჩრდილული იყო თავად-აზნაურობის შემეცნებაში. ბანკის მეთაურობის მხრით საჭირო იყო იმ თავითვე გარკვეული, ნათელი აზრი გადაეშალათ საზოგადოებისთვის, რათა არავითარი გაუგებრობა არ ყოფილიყო ამ საქმეში და რათა თავად-აზნაურთა შემეცნებაში შესულიყო საღი და გონიერი შეხედულება. ილია ჭავჭავაძემ, პირველსავე სიტყვაში ისე მკაფიოდ და მკაცრად დააყენა საკითხი, რომ ეჭვი არ არის, ბევრს დააყენებდა ცუდ გონებაზე, ხოლო ამასთან ბევრს ნათელ იმედებსაც აღუძრავდა.

„ბევრ ჩვენგანს ჰგონია, სთქვა ილიამ, რომ ბანკი ნიკოლოზისა და პეტრეს, ესე იგი თვითვეულთა პირთა სასარგებლოდ დააწესაო თავად-აზნაურობამ. ამიტომაც ყოველს წესს, რომელიც აქ წარმოგვიდგენს დასამტკიცებლად, თავს ვესხმოდით იმ ანგარიშით, რომ ეგ წესი მე და ჩემს ბიძაშვილს თევდორესაო არაფერს არ გვარგუნებს ბანკიდანაო. ამ თვითვეულთა პირთა სარგებლობაზე აშენებულია ის ტყუილი იმედი, რომ ვინც მშვიდრად ვართ, ბანკმა უნდა გვასვას და ვისაც მამულებზე კანონიერი საბუთები არა გვაქვსო, ბანკმა ისე უნდა დაგვიჯეროსო, რომ მამულები გვაქვსო. არა ბატონებო, ჩვენი ბანკი მშვიდრად ვერ გააძღვრავს, მწყურვალს თულუხჩად ვერ გაუხდება, თუ არ მტკიცე საბუთით, ვერავის ვერ დაუჯერებს, რომ მამულის პატრონია. ჩვენ ბანკს რომ ეგენი ეკისრნა, პირველი რომ ქვეყანას სასაცილოდ არ ვეყოფოდით, მეორე რომ მაგ კისრულს თვითონ ბანკი თან გადაჰყვებოდა“...“მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც დღეს ბანკში ფულია, განაგრძობს ჭავჭავაძე, სულ რომ დღესვე ვურიგოთ მცონარე მშვიდრებს, ხვალ უფრო მეტი მშვიდრი მოგვადგება, ხვალ რით-ღა გავცეთ პასუხი, რაც დღეს ბანკს ფული აქვს, ათჯერ იმაზედ მეტი ფული შეგვძინა ჩვენ ყმების განთავისუფლებამ, - მაგან მოსპო ივანეს და პეტრეს შიმშილი? ვინც თვითონ არ ჭირნახულობს,

¹¹⁶ აი რა და რა ნაწარმოები შევნიშნეთ ჩვენ სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებში. 1866 წელს გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება „სცენები ბატონ-ყმობის განთავისუფლების დროიდან“. ამ ხანაში ჩვენი პოეტი აგრძელებს სახალხო სიმღერებს და ლექსებს. სამოცდაათიან წლებში რ. ერისთავმა და ილია ჭავჭავაძემ გამოსცეს ამ სიმღერების და ლექსების კრებული. „კრებული“ დაარსებიდან თითქმის მუდმივ თანამშრომლობს ამ ჟურნალში 1871. (წიგნი პირველი) იბეჭდება „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტკრებისა“ (ეს ლექსი დაწერილია 1860 წ.) ამავე წელს (წიგნი მეორე): „უცხოეთის ყარობ მთქმელსა“, წიგნი მეორე „მგზავრის წერილები“, წიგნი მესამე - „დედა და შვილი“, წიგნი მეოთხე „ბევრი ვიტანჯე, ვიცი რომ მელის“.... წიგნი მეხუთე - „ბედნიერი ხალხი“, წიგნი მეშვიდე - „ირლანდიისადმი“, წიგნი მერვე - „აჩრდილი“ 1872 წ., (წიგნი პირველი) - იანიჩარი 1873 წ., (წიგნი პირველი) - „გლახის ნაამბობი“ (მეორე ნაწილი, პირველი ნაწილიც არის), წიგნი მე-5 - 6, „გლეხური სიმღერები“, „პარიჟი“, (დაწერილი 1871 წ. „კომუნის“ დამხობის შემდეგ) - „ტვირთ მძიმე და მამწვარი მხსნელი დიდი დროშა დაიშალა“, წიგნი მეცხრე - „მეფე ლირი“ (თარგმანი ილია ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა)

ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ ცდილობს თავის სტომაქის ავსებას, ის, ბატონებო, ცხრილია, რომელიც მაინც არ აივსება, თუ მთელი მტკვარი გაუწყვეტლივ ზედ მიუშვათ, რა თანხა გაუძლებს მშიერს მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმოდენი უნდა იმატოს, რამოდენასაც დააკლებთო“... მცონარეობა, ილიას აზრით, შებრალებას არ უნდა იწვევდეს. „მცონარეობას რომ საზრდო მივცეთ, ეგ მცონარეობის წაქეზებასა და გამრავლებას მოასწავებს. წაქეზება, ხელის გამართვა და გამრავლებას მოასწავებს. წაქეზება, ხელის გამართვა გაჭირვებულს ბეჯითობას უნდა, იმიტომ რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი და ქვეყნისათვის ნაყოფიერი - და არა მშიერს მცონარეობას, რომელიც იმდენად დიდ პირს ალებს, რამოდენადაც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც რამოდენად ძლიერია, იმდენად აღარიბებს ქვეყანას“... ჰგომბს რა ჩვენი ორატორი „მშიერს მცონარეობას“ და უცხადებს რა თავის თანაგრძნობას „გაჭირვებულ ბეჯითობას“, იგი არკვევს ბანკის დაარსების აზრს და დანიშნულებას. „ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულის ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ მოგებიდამ უფრო ბევრი წილი ჩვენოს ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთა გაუნაწილდეს, იმ ღარიბთ, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულდაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ყვირიან, მასვით და მაჭამეთო“... („დროება“ N 16, 1875 წ.)

ასე ელაპარაკებოდა თავად-აზნაურობას ილია ჭავჭავაძე. ასე ხელმეორედ პირის-პირ დადგნენ ძველი და ახალი წესი, ძველი და ახალი თაობა. ეს იყო საბოლოო და მკაცრი გაკიცხვა იმ წესისა, რომელიც სულ არ იყო ათი წელიწადი, რომ მკვიდრად იდგა ჩვენს ცხოვრებაში. ეს იყო პრაქტიკული განხორციელება „მესამოციანთა“ პრინციპებისა. ამ ახალის წინაშე ძველს აღარა ჰქონდა რა სათქმელი. მისი გაბედულება გაიქარწყლა, მისი კერძოობა შეიკუმშა. თავად-აზნაურობას ან უნდა გადაეყენებინა „კადნიერი“ მოციქული, ან უნდა დასთანხმებოდა მას, იგიც დაეთანხმა. და ბანკმა იწყო თავისი მოქმედება.

მაგრამ აქ მოხდა ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი, რომლის აღუნიშვნელობა შეუძლებელია. ილია ჭავჭავაძეს წინ აღუდგა მისივე ამხანაგი - ნ. ნიკოლაძე. ნიკოლაძე შეეკამათა ჭავჭავაძეს. კამათის საგანი, რა თქმა უნდა, „მცონარეობის“ საკითხი არ იყო - ამ საგანში ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის ორი აზრი არ უნდა ყოფილიყო. კამათი აღიძრა სხვა ნიადაგზე. ნ. ნიკოლაძე იწუნებდა ბანკის წესდებას. და აი სწორედ აქ, აღიძრა თუ არა მთელი წყება ფინანსიურ და ეკონომიურ მოსაზრებათა, ორ მოპირდაპირეთა შორის აღმოჩნდა ღრმა წინააღმდეგობა ეკონომიურ ცხოვრების და დებულების განმარტების დროს. ნ. ნიკოლაძე თითქმის ხუთი წლის განმავლობაში სწერდა ქუთაისის ბანკის წესდების წინააღმდეგ, როგორც მკითხველს ეხსომება, დედა-აზრი ნიკოლაძის წერილებისა ის იყო, რომ ბანკს ბევრი ფული უნდა ჰქონდეს, რათა აუვიდეს მრავალ საჭიროებათ. ფულს მოიზიდვენ ბანკში აქციები, თუ რომ აქციების მყიდველებს ეკოდინებოდათ, რომ მათი ფული არ დაიკარგებოდა და ბანკი მტკიცე თავდებობას დაანახვებდა. ფულის პატრონები, აქციების მყიდველნი, დამშვიდებულნი იქნებოდნენ, თუ მთელი თავად-აზნაურობა თავდები

იქნებოდა ბანკის ქონების უზრუნველობის შესახებ. ამ ნიადაგზე იწუნებდა ნ. ნიკოლაძე ბ. ლოღობერიძის პროექტს, სადაც ურთიერთი თავდებობა არ იყო, არამედ თავდებობა ბანკში დაგირავებულ უძრავ ქონებისა. ამ საზოგადოებრივ თავდებობაზედ ეხლაც ლაპარაკობს ნ. ნიკოლაძე. იგი კვლავ უბრუნდება ქუთაისის წესდებას, იწუნებს მას, ხოლო ამ წესდებას ესარჩლება ი. ჭავჭავაძე. ილიას უპასუხებს ნ. ნიკოლაძე და გაჩაღდება პოლემიკა, სადაც ბევრი საყურადღებო საკითხი იყო აღძრული. აქ აღმოჩნდება ორი იდეური მიმართულება, რომელიც თითქმის დასაწყისი იყო მესამოციანების ერთიმეორისაგან განკერძოებისა და მესამოციანთა ჯგუფის მთლიანობის დარღვევისა.

8

ნ. ნიკოლაძე პესიმისტურად შეჰყურებს ბანკის საქმეს ჩვენში. გამიჯვნა მიწებისა დამთვარებული არ არის, იმერეთში ხომ ის იყო მაშინ იწყებდნენ მიწების გამიჯვნას. მემამულეებს მტკიცე, კანონიერი საბუთები არა აქვთ თავიანთ მამულების შესახებ. სულ მცირედი ნაწილი თუ მოახერხებს ამ საბუთების წარდგენას. მაშასადამე, თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა ვერც კი მოახერხებს ბანკით სარგებლობას. „მოგვეცადა გამიჯვნამდე და მერმე გაგვემართა. მაგრამ, რადგან გამიჯვნის დაბოლოვებამდე ჩვენს თავად-აზნაურობას ტყავი გასძვრებოდა უფულობის გამო, საჭირო იყო ჩვენში ისეთი ბანკის გამართვა, რომელშიაც საადგილ-მამულო ბანკის პრინციპი შეზავებული ყოფილიყო ურთი-ერთი ნდობის ბანკის პრინციპთანაო“ („დროება“ №35, 1876 წ.). ილია ჭავჭავაძე სხვა აზრისაა. მან კარგად იცის, რომ ყველას არა აქვს საბუთები. მაგრამ „უამისოდ შეუძლებელია, უმაგისოდ ქვეყანაზე არც ერთი მიწის სამოქმედო კრედიტის ბანკი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება ჩვენი დალოცვილი პრიკაზის მეტი. დაარღვიეთ ეს კანონი და ამასთანავე გამოეთხოვეთ თვით ბანკსაც და იმ იმედსაც, რომელიც ბანკზედ არის დამყარებული. მიწის სამოქმედო ბანკსა სხვა დედა-ბოძი არა აქვს თუ არ უძრავი ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს პატრონსა. გამოაცალეთ ეგ ერთად-ერთი დედა-ბოძი და ნახავთ, რა მშვიდობიანად მოუღებთ ბოლოს თვით ბანკსა“ („დროება“, №39 1876 წ.). რაც შეეხება ურთიერთ თავდებობის პრინციპს, „მთელის ჩვენის თ.-აზნაურობის თავდებობა აქ რას უშველიდა? განა თვითონ თავად-აზნაურობა კი დაუდგებოდა თავდებად იმ პირს, რომელსაც კანონიერი საბუთი არა აქვს მამულებზედა?... თუნდ რომ ეგ თავდებობა ყოფილიყო, განა თქვენს გირაო ფურცლებს გაანადღებდა ვინმე, როცა თქვენის წესდებიდან ეცოდინებოდა, რომ ბანკში გირაოდ შედის იმისთანა მამულიცა, რომელზედაც, თუ დავა ასტყდა, კანონს არ ეცოდინებოდა, ვისად აღიაროს?.. (იქვე). მაგრამ ნ. ნიკოლაძეს სხვაგვარი საშუალება აქვს საქმის მოსაგვარებლად. „ჩვენის ბანკის სიმაგრისთვის, ამბობს იგი, შესაძლებელი იყო, რომ ბანკში ადგილ-მამულის შეტანა გაეადვილებია კაცს იმ შემთხვევაში, როცა გირაოს შემტანის მეზობლობა ბანკს ხელ-წერილს მიცემდა, რომ ადგილი ნამდვილად ამ პირს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ბანკს საკმაო გარანტია ექნებოდა, როგორც თავისთვის, ეგრეთვე იმ კაპიტალისტებისათვის წარსადგენად, რომელნიც გირაოს ფურცლებს ყიდულობენო“ (№35). ეს მოსაზრება ილია ჭავჭავაძეს არაფრად

მიაჩნია. „ნუ თუ მას (ნიკოლაძე) არ გაუგია, უპასუხებს ილია, რომ მოწმები და მეზობლები თავისის ეზოს მიწას ჩაიყრიდნენ წაღებში და საცა უნდა წაგეყვანათ, ჰფიცავდნენ, რომ ჩემს მიწაზე ვდგევარო. მეზობლებმა რომ ბანკი მოატყუონ, ვინ იქნება პატრონი? ერთი ეს მითხარით, მემამულის მოდავე და ხელის შემშლელი ვინ არის სხვა ჩვენში, თუ არ მეზობელივე, და სად თქმულა, რომ ჩვენ შორის სადაო მამული შენია და არა ჩემიო... ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მაგ მოწმობას, თუ რომ კანონი არ შეიწყნარებს, როცა მამულს მოდავე გამოუჩნდება. ეგ ხომ იმისთანა ბანკი იქნებოდა, რომელსაც ავიღე და აღარ მოგცემ ჰქვიანო (N°39). ნ. ნიკოლაძე მაინც თავისას განაგრძობს; „ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი, როგორც ყველა გონიერმა პირმა იცის ჩვენში ის იყო, რომ ბანკი, თუ ჩვენ არ გვექნება ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენ მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდამ წაგვივა და სხვას დარჩებაო. მარტო ამ ჰქვიანურმა მოსაზრებამ გაუკვალა ჩვენში გზა იმისთანა მძიმე და უცნობ საქმეს, როგორც ყველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსება“ (N°35). ილია ჭავჭავაძე ამაზედ ფიცხლად უპასუხებს: „როგორ, მამულს გირაოდ აძლევ ბანკსა და თუ პირობა არ შეუსრულე გინდა, რომ მამული ისევ შენ დაგრჩეს. მაშ გირაო, რის გირაოდაა? განა ეს შესაძლებელია? (N°39). ნიკოლაძე ანვითარებს თავის აზრს. მისის აზრით, ვინც კი მოახერხებს თავის მამულის დაგირავებას, ყველანი დააგირავებენ. ფულს კი დროზე არ შემოიტანენ და მამული უსათუოდ გაეყიდება. ვინ არის ჩვენში მყიდველი? უმეტეს შემთხვევაში არაქართველნი. „მამულები დარჩებათ მოსულებს, უცხო ქვეყნელებს, მყიდველ-გამყიდველებს, რომელნიც ან ჩამოგესიძებიან და ხალხს გაჰყვლეფენ, ანა და შორიდან ჩვენ ადგილ-მამულით ივაჭრებენ და ჩვენ საზოგადოებას და ხალხს პროლეტარიად გარდააქცევენ“ (N°35). ამგვარ ხიფათის თავიდან ასაცილებლად საჭიროა რაიმე ღონე ვიღონოთ. ნიკოლაძის პროექტი ამგვარია: „ვსთქვათ, მე ვაპირებ ჩემი მამულის დაგირავებას ბანკში; ვსთქვათ კიდევ, რომ მე მყავს ოციოდე მეზობელი, ან სახლი-კაცი, რომელთაც ეწყინებათ შემდეგში, ჩემი მამული რომ ვინმე გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს. ვსთქვათ კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონს, ან სახეიროთ მიაჩნია ჩემი სოფლის გლეხ-კაცობას... განა შეუძლებელი საქმეა, ბანკმა ამგვარ სახლის-კაცებთან, მეზობლებთან, ან გლეხებთან თავდაპირველადვე მორიგებაში შევიდეს, დაფასების დროს და მტკიცე პირობა ჩამოართოს, რომ ვინიცობაა, რომ ჩემი მამული გასაყიდათ რომ შეიქნეს ბანკის ვალში, ის ჩემი მეზობლები, სახლის კაცები, ან გლეხები მოვალეობას იღებენ ამა-და-ამ ფასათ ის მამული აიღონ და იმდენ და ამდენ წელიწადში მისი ფასი ბანკს გადაუხადონ“ (N°35). ილია ჭავჭავაძეს ეს პროექტი არა ჰხიბლავს. იგი მას ოცნების ფრთებს აჭრის. „რომ ამ თქვენს მეზობლებმა, სახლის-კაცებმა ანუ გლეხკაცებმა ეგ არ ინდომონ და გითხრან, ჩვენც არ ვიცით, ჩვენს მამულებს როგორ ვუპატრონოთ, თქვენი რაღად გვინდაო, რას იტყოდით მაშინ? რა გიშველიდათ? ვსთქვათ, რომ მიეცათ მაგისთანა პირობაც და ბანკი გაბრიყვებულიყო და მიეღო ეგ პირობა, როცა მამულის გაყიდვის დრო მოვიდოდა და ისინი ყიდვას არ მოინდომებდნენ, რა კანონით დაატანდით ძალას, გინდა თუ არა იყიდეთ. რა ღონე ექნებოდა ამათს ადრინდელს პირობასა? თუნდაც ეგეც არ იყოს, განაგრძობს ჭავჭავაძე, თვითონ მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა, აი ერთი ურიააო, მე არა ვარ თანახმაო, რომ მაგაზედ ნაკლებ ჩემმა მეზობელმა ჩემი მამული იყიდოსო, რა ძალით, რა კანონით, რა სამართლით ხელ-ფეხს შეუკრავდით მამულის პატრონსა. ან მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა: ჩემი მამული ვაჭრობაში ჩააგდეთ, მეტად და დიდ ფასად გაიყიდებაო. რა გზით შეუკრავდით მას ხელ-ფეხსა და ამაზედ უარს ეტყოდით. რა სამართლით

წართმევდით მას მის ქონების უფლებასა? მერე **აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს რა პასუხს ეტყობდით?** (კურსივი ჩვენია). სხვები იყიდიან ჩვენს მამულსაო. განა რითიმე შეიძლება წინდაწინვე შეუშალოთ ხელი ამ სამწუხარო მოვლენასა? თუ კი ფასს მოგცემენ და ამას სახეიროთ დაინახავთ, რა დააბრკოლებს მამულის თქვენის ხელიდამ სხვის ხელში გადასვლასაო?.. (N°39).

შენისა არ ვიცი, მკითხველო, ხოლო ეს კამათი და დიალოგები ნიკოლაძესა და ჭავჭავაძეს შორის ჩემზე უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. ერთის მხრით, ნიკოლაძე, ის ნიკოლაძე, რომელსაც დღეს ვიცნობთ, - ულმოხელი საქმის კაცი, ოცნების, იდეალების და თვითპრინციპის მოურიდეელი მდევნელი და მგმოზი, ერთის მხრით ეს კაცი თავის წარსულ მოღვაწეობაში გვევლინება როგორც გულშემატკივარი და კეთილშობილურ განზრახვებით აღჭურვილი ადამიანი, მეორეს მხრით, ილია ჭავჭავაძე, „ქართლის ბედის“ უბედობის სევდით გულ დაწყლული ადამიანი, ჭავჭავაძე, მოჭირნახულე ქართულ კულტურისა - აღნიშნულ „დიალოგებში“ გულქვა, სენტიმენტალობას მოკლებული, მშრალი ლოდიკით და კანონებით აღჭურვილი, ჰამბურგელი უფროა ფინანსისტი, ვიდრე ჩვენებური საზოგადო მოღვაწე. აქ კიდევ საგულისხმო ის არის, რომ ჭავჭავაძე პრინციპიალურ მოსაზრებას ემყარება თავის პოზიციის გასამაგრებლად. ეს პრინციპი - აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპია. ეს დედა-აზრია ბურჟუაზულ ეკონომისტებისა. აქ ვითომდა თავისუფლების პრინციპის წყალობით ბევრი ბოროტებაა ჩადენილი ცხოვრებაში და ბევრი ძალმომრეობა გამართლებული, და აი ჩვენი ილია ამ პრინციპს ეფარება, მასზედ მყარდება. ძალიან კარგად ვხედავ, რომ ნიკოლაძისთვის რომ დაეჯერებინა და იმის ფეხისხმას აჰყოლოდა, ჭავჭავაძე დაღუპავდა ბანკს. ჩვენებური წრე, ჩვენი იმ დროინდელი კულტურის ბეჩაობა არ ახეირებდა არცერთ ნიკოლაძის მიერ წარმოდგენილ პროექტსა და მოსაზრებას. ილია, ალბად, კარგად ჰგრძნობდა ამას, რომ არ შეუშინდა არც მამულის წინაშე პასუხის მგებლობას, არც ყვედრებას მამულისადმი გულგრილობაში და ფინანსიურ ნიადაგიდამ, რომელზედაც იდგა, ფეხიც არ გადაუნაცვლია. ამ მხრით, მან აღმოაჩინა თავის ბუნების სირთულე და სიმტკიცე, მაგრამ ვაჭრობის და აღებ-მიცემობის პრინციპი, რომელსაც აღიარებს იგი, თითქმის ნახევრად უკარგავს ღირსებას მის პოზიციას და მის საბუთებს.

ნ. ნიკოლაძემ თავისი თავი დამარცხებულად არ ჩასთვალა და ახალის იერიშით მიადგა ჭავჭავაძეს. ჩვენ აქ საბანკო საქმეს აღარ გამოუდგებით. ბანკი იმდენად გვანტერესებდა, რამდენათაც აქ ირკვევოდა საზოგადოებრივი აზროვნება. ჩვენთვის აქ უფრო საგულისხმოა ის პრინციპიალური ნიადაგი, რომელზედაც დგას ილია ჭავჭავაძე. ნ. ნიკოლაძე სწორეთ ამ პრინციპიალურ პოზიციას უარჰყოფს. მეცხრამეტე საუკუნეში ორ მიმართულებათ შორის დაუცხრომელი ბრძოლა იყო ატეხილიო. ერთი მიმართულება - „ბურჟუაზული“, რომლის წარმომადგენელი ჟან-ბატისტ-სე იყო, „ამტკიცებდა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი კარგად მიდის, ოღონდ ნურც მთავრობა, ნურც საზოგადოება ნუ გაერევა ეკონომიურ საქმეშიო. აღებ-მიცემობის თავისუფლება დაამყარეთო, ქვეყანას მის მეტი არაფერი სჭირიაო. ამ თეორიის ბაირადით ითვლება სიტყვა „laisser faire, laisser passer «... „მე ვყიდი დამპალ თევზს, სოფლის კაცი მოდის და ყიდულობს, თქვენ (ესე იგი მმართველობას და საზოგადოებას) რა გენადვლებათო? თუ არ მოსწონს, რათ ყიდულობს; თუ ძვირია, წაბრძანდეს, თუ მოტყუვდება, რათ თანხმდებოდა?“ „მე ვასესხებ ფულს და მანეთში ორს მანეთს ვიღებ სარგებელს: ეს ჩემი

და მსესხებლის საქმეა, თუ ძვირათ მიაჩნია, ნუ მიიღებსო“. „მე ქარხანა მაქვს, მუშებს ვამუშავებ, ქირა არა ჰყოფნით იმათ, შიმშილით კვდებიან? თუ არა ჰყოფნისთ, წაბრძანდნენ, სადაც მეტი მისცენ, იქ იმუშავონო“. ეს გახლავთ ბურჟუაზული მიმართულების აზრი. ასე ითარგმნება „აღებ-მიცემობის თავისუფლების“ ფრაზა. („დროება“ №37. 1876 წ.) ამ მიმართულებას ნ. ნიკოლაძე უპირისპირებს „საზოგადოებრივ“ მიმართულებას¹¹⁷, რომელიც ამბობს: „ცხოვრება - ბრძოლაა, რომელშიაც დაიარაღებული კაცი იმარჯვებს დაუიარაღებელზე. საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ თუ ამ ბრძოლის მოშლა და გარმონიის გამართვა ჯერ-ჯერობით არ შეიძლებოდეს, ბრძოლა ისე მაინც მიდიოდეს, რომ ყოველი მებრძოლი ერთნაირად იყოს დაიარაღებული. რა ჰქნას ეხლა სოფლის მყიდველმა, როცა იმას თევზის ყიდვა სჭირია, თუ არ დაეთანხმა იმ ვაჭარს, რომელიც დამპალ თევზს ძვირად ჰყიდის? ეს თავისუფლება კი არა - ცარცვაა. ამისთვის საზოგადოებაში უნდა გაიმართოს თავისი საკუთარი დუქნები, რომ ვაჭრობა მარტო საქონლის მოტანაში და ხარჯის აღებაში მდგომარეობდეს... საზოგადო მეცნიერებამ გამოიგონა საზოგადოებრივი ბანკები სწორეთ იმისთვის, რომ დაარღვიოს აღებ-მიცემობის თავისუფლება იმ ვაჭბატონებისა, რომელნიც ხალხს სცარცავდნენ და არა იმისთვის, რომ ამ ვაჭბატონებს ხელი გაუწყოს თავისუფალ გლეჯაში და ცარცვაში“ (იქვე). დასასრულ ნ. ნიკოლაძე გვეუბნება, რომ იგი ჭავჭავაძის მიმართულებას არ თანაუგრძნობს; **„მე ყოველთვის, ყოველგან, ყველგან ვებრძოდი ამ მიმართულებას იმიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ“ მიმართულებას“** (კურსივი ჩვენია), რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზული მიმართულებაო (იქვე).

ამგვარად ნ. ნიკოლაძე თავის თავს სოციალიზმის მომხრეთ აღიარებს. სიტყვას „საზოგადოებრივს“ იგი ხმარობს ალბად ცენზურის გულისათვის. ბურჟუაზული მიმართულება თუ არის დამარცხებული, დამარცხებულია სოციალისტური მიმართულებით და არა ზოგად „საზოგადოებრივი“ მიმართულებით. ნ. ნიკოლაძის დახასიათებისათვის (თუ დღევანდელი მისი აზროვნებაც მივიღეთ მხედველობაში) ეს ფრიად საყურადღებო ნაქეთია. ამიტომ გადავხედოთ მის სხვა ნაწერებსაც და იქაც მოვნახოთ საბუთები, რომ მართლაც თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში ნ. ნიკოლაძის აზროვნება სოციალისტური ხასიათისა იყო.

თავის წერილში, „ახალი ახალგაზდობა“, ნ. ნიკოლაძე ეხება იმ სწავლას საზოგადოებრივ მეცნიერებისას, რომელიც იკვლევს საზოგადოებრივ ცხოვრების გაუმჯობესების გზას. „ეს სწავლა ამტკიცებს, ამბობს ჩვენი ავტორი, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექმნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრიობას ბედათ როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, რომ კაცობრიობა ერთ დროს ისეთ ნაირად გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთად არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისა დაგვარად ტვირთს უადვილებდეს ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ. ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ურთიერთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას... აი ამ სწავლას უნდა მოსთხოვოს ჩვენმა ახალმა თაობამ ის საშუალება და იარაღი, რომლითაც საბოლოოდ უნდა

¹¹⁷ * ეგ მიმართულება სოციალისტური ხასიათისაა.

დაიმხოს ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო“. („კრებული“ №1-2 1873 წ.) აქ აშკარად სჩანს კვალი, ეგრედ წოდებულ უტოპიურ სოციალიზმისა, რომელიც, ასე ვსთქვათ, რაციონალურად ჰქმნიდა საფუძველს ახალ ჰარმონიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციისას.

თავის წერილში „რუსეთის ცხოვრება“, ჩვენი ავტორი ეხება რუს-ინტელიგენციის მოღვაწეობას ხალხის საკეთილდღეოდ და გამოსთქვამს იმ მოსაზრებას, რომ ხალხის მდგომარეობა „კერძოობითი კეთილ-მოქმედებით ვერ გაკეთდება და მისი ბედი ისე ადვილად და წვრილმანად ვერ შეიცვლება“... აქ ნ. ნიკოლაძეს სახეში აქვს ძირითადი სოციალ-პოლიტიკური რეფორმა, რომლის შესახებ აშკარად ლაპარაკი ძნელი იყო იმ დროში, ხოლო სიტყვებში ეს აზრი ნათლად გამოსჭვივის. ინტელიგენციის დაახლოვებას ხალხთან დიდი მნიშვნელობა აქვსო. ამ დაახლოვებას „ის ნამდვილი და ძვირფასი სარგებლობა მოაქვს, რომ ხალხი ცნობულობს კეთილად განმზრახველს პირებს, გრძნობს, რომ იმათ მისი დახმარება ჰსურთ, რომ იმას მათზე დანდობა, მათი დახმარება და გამოყენება შეუძლიან. ამით იმ **პატიოსანს მიმართულებას** (კურსივი ჩვენი), რომელსაც ეს პირები ემსახურებიან და რომელშიაც მდგომარეობს რუსეთის მომავლის იმედი, შეეძინა ხალხის სიმპატია თუ არა, პატივისცემა მაინც, და მოვა ის დროც, როცა ესვე ხალხი იმ მიმართულებას უფრო მტკიცედ დაენდობა და მას მოსთხოვს უკეთესი ბედის და განწყობილების დაარსებას... აი მარტო მაშინ, როცა ეხლანდელი კერძოობითი კეთილმოქმედების მაგიერ, საზოგადო ღონისძიებები მიიღებიან ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეს მიმართულება ნამდვილ თავის ღირსებას და ძალას გამოიჩენს... („კრებული“ 1873, №5-6). მგონი, მეტია იმისი განმარტება, რომ აქ ლაპარაკია კონსტიტუციაზე და სოციალისტურ მუშაობის გაადვილებაზე კონსტიტუციის დროს. რომ ეს ესეა, ამის საბუთს წერილში ბევრს ვპოულობთ. იმ დროს ხალხს უახლოვდებოდა „ნაროდნიკული“ მიმართულების ინტელიგენცია, ხოლო ამ ინტელიგენციის იდეალი სოციალისტური წყობილების დამყარება იყო რუსეთში. ნ. ნიკოლაძე ამ „ნაროდნიკულ“ მიმართულებასა და რუსის ხალხის მისწრაფებათა შორის ბევრს მსგავსებას ხედავს. „ამ მიმართულების უმთავრესი პრინციპი - შეერთებული, ამხანაგური შრომის და ცხოვრების გამართვა - ათასი წლობით არსებობს რუსეთელ ხალხში, რომელსაც მიწა-წყლის საზოგადოებრივი მფლობელობა და ამხანაგობრივი (артель) საქმის წაყვანა ძვლებშიაც გამჟღარი აქვსო“ (იქვე).

1873 წელს რუსეთში და საზღვარ-გარედ მოგზაურობს ნ. ნიკოლაძე. პეტერბურგში ყოფნის დროს აგონდება თავისი ახალგაზდობა და ის აღფრთოვანება, რომელსაც განიცდიდა მაშინ ახალგაზდობა. „რა აღტაცებით და აჩქარებით, ამბობს ავტორი, რა სიხარულით და დაუღალავობით დავეწაფებოდით ჩვენ მის (ახალის ჟურნალის) კითხვას, რა ნაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლო-მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ ამ კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრად უწვალეზივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია! ვინ დასთვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტაცების, ტვინის წვალეზის და გრძნობის ამალღების დღეებს. ან **ვინ დაივიწყებს** (კურსივი ჩვენი) მათ სანიადაგოდ გულში ჩაბეჭდილს კვალს!.. სად არიან ის გმირები, ვისი სიტყვა ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილ-შობილებდა

და გვაამაღლებდა? „Однихъ ужъ нѣтъ, а тѣ далече!“ ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი... (სხვათა შორის, ნაგრძნობი და განაგონი, №4, 1873წ). აი ამგვარი გატაცებული და აღფრთოვანებული ახალგაზრდა კაცი იყო ნ. ნიკოლაძე თავის სიყმაწვილეში. ეს აღფრთოვანება მის გულში 1873 წელშიაც არ იყო გამქრალი. მას იმ ხანში ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სწამდა ის, რომ შეუძლებელია დავიწყება იმგვარ აზრების, რომელნიც ასე ღრმად არიან ჩამჯდარნი ადამიანის გულში. „ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოდ გულში ჩაბეჭდილს კვალსო“. ეხლა, როდესაც ნ. ნიკოლაძეს მეტი გამოცდილება აქვს, მას კარგად ეცოდინება, რომ ყველაფრის დავიწყება ყოფილა შესაძლებელი, თვით მისი დავიწყებაც, რაც ამშვენებდა და აკეთილშობილებდა ახალგაზდობას!

გავყვეთ ახლა ჩვენ ავტორს საზღვარ-გარეთ. პარიზში მასთან ერთად შევიდეთ ცნობილ ლუი-ბლანის სანახავად და დაუგდოთ ყური მათს საუბარს. საფრანგეთი იმ ხანებში (1873 წ.) დიდ კრიზისს განიცდიდა. დამარცხებული ბრძოლის ველზედ გერმანიასთან ომის დროს, იგი თავის შინაურ საქმეების მოწესრიგებას ცდილობდა. დაამხო ბონაპარტის მონარქია და აღიარა რესპუბლიკა. 1871 წელს მოხდა პარიზში რევოლუცია. ეს იყო მუშების მოძრაობა „კომუნის“ დროშის ქვეშ. „კომუნა“ სასტიკად დამარცხდა. და ამგვარად 1848 წლის შემდეგ მუშური და სოციალისტური მოძრაობა ორჯელ ზედი-ზედ იყო დამარცხებული საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ. ახლა 1873 წელს მუშათა საქმის მდგომარეობა შერყეული და დასუსტებული იყო. ეს გარემოება აწუხებდა ძალიან ნ. ნიკოლაძეს, და თავის მწუხარების გასაქარვებლად იგი მივიდა სალაპარაკოდ ლუი-ბლანთან. არ მოსწონდა ნ. ნიკოლაძეს ის, რომ ლუი-ბლანს გამბეტასთან ერთად უხდებოდა ამ ჟამად მოქმედება. „და ეს ლუი-ბლანი გამბეტას გვერდში უნდა უდგეს, ეუბნებოდა ნიკოლაძე თავის მოსაუბრეს. თქვენი მდგომარეობის ტრაგიზმი ამაში მდგომარეობს. იმაზე უარესი რაღა იქნება, რომ თქვენი პარტიის წინამძღოლი, ის, ვისი გავლენა თქვენ თვითონ უნდა აძლიეროთ, ხალხს ეუბნება, „საზოგადოებრივი კითხვა“¹¹⁸ არ არსებობსო. მოგწონს თქვენ ეს? კარგი შედეგი უნდა ჰქონდეს ამას ხალხის გრძნობაზე? როგორ გგონიათ? - ეს დელიკატური კითხვაო, მიპასუხა ლუი-ბლანმა... - ვიცი თქო, უთხარი, და მაინც და მაინც არც თქვენი პასუხი მჭირია¹¹⁹, ამიტომ რომ მე თქვენი პასუხი მე კარგად ვიცი მეთქი. ვიცი, მაგალითად, რომ თქვენი აზრით გამბეტას მიმართულება და თქვენი საკუთარი სულ სხვა და სხვაა, რომ გამბეტა თქვენთვის შემდეგში მოწინააღმდეგე იქნება, რომ მისი იდეალი ბურჟუაზული რესპუბლიკაა, რომელშიაც ხალხს თავისუფლება ეძლევა, როგორც უნდა ისე უშველოს თავს და თუ ვერ მოახერხა რამ - შიმშილით მოკვდეს - ვიცი, რომ თქვენი მიმართულება რესპუბლიკისაგან სულ სხვას ელის... მაგრამ მას გკითხავთ, როგორ გგონიათ, ეს ხალხი გაიგებს თუ არა, რომ დიდი განსხვავებაა თქვენსა და გამბეტას შუა? იმაზე, რომ იმედი დაკარგოს, თქვენი და თქვენი მიმართულების იმედი გულში ჩარჩება თუ არა? (იქვე, საუბარი ლუი-ბლანთან). ლუი ბლანი ამაზედ ეუბნება ნ. ნიკოლაძეს: „რაც უნდა იყოს შემდეგში, დღევანდელი ჩვენი საჭიროება ერთობას თხოულობს, ამიტომ რომ გამბეტას მიმართულება ჩვენი საკუთარი მიმართულების წინა ოთახი, დერეფანიაო“. (იქვე), ეს იმას ნიშნავს, რომ ლუი ბლანის აზრით, რესპუბლიკა, თუნდ ბურჟუაზული, აუცილებელი წყობილებაა სოციალიზმის განვითარებისთვის. მაგრამ ნ.

¹¹⁸ იგულისხმება სოციალიზმი

¹¹⁹ უნდა სთქვას კაცმა, მკვახეთ ელაპარაკებოდა ჩვენი თანამემამულე ლუი-ბლანს!

ნიკოლაძე მაინც დამშვიდებული არ არის. მას უნდა, რომ ხალხი ბრძოლისათვის იყოს მომზადებული. მეშინიან, რომ „ყოველ კანონიერ იარაღს თქვენ ხელიდამ გამოგაცლიან, რომ უკანონო მოქმედებაზე გამოგიწვიონ და ამოგჟლიტონ. და ამ გამოწვევის დროს თქვენ ნიადაგ უიარაღონი, დაუმზადებელნი და დასუსტებულნი გამოდიხართ... (იქვე).

ნ. ნიკოლაძე ლუი ბლანთან საუბარში სოციალურ რესპუბლიკის მომხრედ გამოიყურება. და ამასთან მისი რესპუბლიკანობა მკაცრი რევოლუციონური ელფერისაა. რასაც ჰმალავდა ჩვენში, სადაც გამოსადეგი პირობები არ იყო ამგვარ აზროვნების განვითარებისათვის. ფართოთ გაიფურჩქნა პარიზის თავისუფალ ატმოსფერაში. მართალია, ჩვენებური კაცი, საფრანგეთში რომ სოციალისტი იყოს, ჩვენში ღაღების აკრეფას არ იუკადრისებს, მაგრამ **იმ დროის** ნ. ნიკოლაძის შესახებ ეს არ ითქმის. ჩვენ საკმარისი საბუთი მოვიყვანეთ იმისა, რომ მართლაც იყო სოციალისტური ელფერის პირველ პერიოდის ნ. ნიკოლაძის აზროვნება, შინაც და გარედაც. ყველაზე აშკარად ეს აღმოჩნდა ზემოდ აღნიშნულ შეტაკებაში ილია ჭავჭავაძესთან. მაგრამ მკითხველი შესცდება, თუ იფიქრებს, რომ სოციალიზმი მესამოცე წლებიდან იკეთებს ფესვს ჩვენს მწერლობაში და რომ მასში უნდა ვეძებოთ მიზეზი ლიბერალ და დემოკრატი მესამოციანეთა დამარცხებისა. ნამდვილად კი სოციალისტური აზროვნება და მიმართულება ჩვენს მწერლობაში ოთხმოცდაათიან წლებამდე ანგარისში ჩასათვალავ მოვლენად არ ჩაითვლება. არც ნ. ნიკოლაძე არც ვინმე სხვა ამ მიმართულების ბელადად არ გამხდარა.

მაშ რა იყო მიზეზი მესამოციანეების ერთიერთმანეთისაგან დაშორებისა? სანამ ამას გამოვარკვევდეთ, საჭიროა შევხვთ კიდევ ერთ საჭირ-ბოროტო საგანს და ვიკითხოთ, რა ხასიათისა იყო პოლიტიკო-ეროვნული მიმართულება მესამოციანთა ჯგუფისა?

9

როდესაც ჩვენ მესამოციანეებზე ვლაპარაკობთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ სახეში გვყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი **ჯგუფი** და მხედველობაში ვიღებთ განსაზღვრულ **მსოფლმხედველობას და მცნებას**. ამიტომ ამ ჯგუფის კერძო პირების სოციალ-პოლიტიკური აზროვნება ზოგიერთ შემთხვევაში არ ჰსახავს მესამოციანთა, როგორც ჯგუფის იდეურ მიმართულებას. ჩვენ საკმარისი მასალა წარვუდგინეთ მკითხველს იმ საკითხის გარკვევის გასაადვილებლად, თუ რა და რა აზრი ახასიათებს ჯგუფობრივ აზროვნებას და რა და რა აზრი ინდივიდუალურ პიროვნების სახეს და ფიზიონომიას. პოლიტიკური ტერმინოლოგიის მიხედვით ძალიან ძნელია „მესამოციანობის“ დახასიათოვნება ერთის განსაზღვრულის დოქტრინით. „სოციალისტი“ ნიკოლაძე ბევრს სწერს და ჰქადაგებს ლიბერალურ პრინციპთა ფარგალში. ერობა, მუნიციპალიტეტი და სხვა ამ ხასიათის თვითმოქმედების საჭიროება ჩვეულებრივი საგანია მისი საუბრისა. მეორეს მხრით, „ლიბერალი“ ჭავჭავაძე დემოკრატიულ ნიადაგზე სდგას, როდესაც თავისი ხელოვნურ კალმის ნაწარმოებით ცხოვრების ძირითად რეორგანიზაციის საჭიროებაზე გვითითებს. სერგეი მესხს და გ.წერეთელს კიდევ საშუალო

ადგილი უჭირავთ. პირველი თითქმის უფრო ლიბერალიზმს თანაუგრძნობს¹²⁰, მეორე დემოკრატიზმს. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება ვსთქვათ ის, რომ „მესამოციანობა“ არის ახალი ერა ჩვენს კულტურაში, მან შემოიტანა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში მთავარი სოციალ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები.“ პირველ ხანაში იგი „ნაროდნიკული“ ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. თანდათან ამ გავლენას თავიდან იშორებს, და მესამოციანებიდან იწყება გავლენა ქართულ აზროვნებისა. და თუ მაინც და მაინც საჭიროა დეფინიცია, ამ ეპოქის მთავარი დამახასიათებელი თვისება - ლიბერალიზმ-დემოკრატიზმშია. იმ დროინდელი ჩვენი ცხოვრების სოციალური პირობები იმგვარი იყო, რომ სოციალიზმი ჩვენში უფრო ინტელექტუალური მოთხოვნილება იყო, ვიდრე პრაქტიკული ფორმულა მოქმედებისა. ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს თვით ნ.ნიკოლაძის სოციალიზმის გახსენების დროსაც.

მაგრამ არის კიდევ სხვა საგანი, რომელიც არ არის გარკვეული ჩვენს მწერლობაში. საქმე ის არის - ერთია, თეორიული სჯა-ბაასი გამართო ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის შესახებ, ხოლო მეორეა, კონკრეტულ სინამდვილეში განახორციელო შენი თეორიული ფორმულები. შრომა, სამართლიანობა, თვით-მოქმედება, თავისუფლება - ყოველივე ეს თეორიული სჯა-ბაასის დროს ძნელი გადასაწყვეტი საგანი არ არის. ვისაც ცოტა რა წაუკითხავს, ადვილად დასწერს შესაფერ თეორიულ წერილს. მაგრამ სულ სხვა არის, როდესაც წინ რეალური სინამდვილე გვიდგა და, გინდა თუ არა, ნათლად და ყველასთვის გასაგებად უნდა სთქვა, ამ ისტორიულ და არსებულ პირობებში, როგორ უნდა განმარტო და ახსნა აი თუნდ „თავისუფლების“ მცნება.

უფრო ნათელი რომ იყოს ჩვენი აზრი, ავიღოთ ეროვნული პრობლემა. იმ ხანაში რუსეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმი რომ გავიხსენოთ, ვიკითხოთ, რა აზრისანი იყვნენ მესამოციანნი ამ საგნის შესახებ, როგორ უყურებდნენ საქართველოს ეროვნულ მდგომარეობას, რა თვალთა აფასებდნენ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, რა გვარი ურთიერთობა იყო მათსა და თვითმპყრობელ წყობილების შორის? ამ საკითხზე მესამოციანებს უნდა ჰქონოდათ გადაჭრილი პასუხი. ქართველ ხალხის დაბეჩავებაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ქართველ ეროვნების ჩაგვრას ჰხედავდნენ და ამის მნახველებს არ შეიძლება არ ეკითხათ თავიანთ თავისთვის, ვინ არის ჩვენი მტერი და მოყვარე, მოხელეებისა და მთავრობის უხეირო აგენტების მოქმედებიდან გამომდინარეობს ყოველივე ბოროტება, თუ მიზეზი უფრო ღრმად არის ჩაფლული და თვით პოლიტიკური რეჟიმია აქ თავი და თავი დამნაშავე? უნდა სთქვას კაცმა, რომ მესამოციანებმა ამ საკითხზე გადაჭრილი და ნათელი პასუხი არ მოგვცეს. აქ მათ ეტყობათ ორაზროვნება. ერთის მხრით, თითქოს ესმით ნამდვილი მიზეზი, მეორის მხრით, თითქოს ყოველივე ბოროტებას მოხელეობის ავზნობას აწერენ. ერთის მხრით, თითქოს აღიარებენ საქართველოს, როგორც მცნებას ეროვნულ ერთეულისას, მეორეს მხრით, ერთეულის ვინაობის მცნება თითქოს იკარგება და კერძოობითი მოვლენანი ეროვნულის ცხოვრებისა და მოსჩანან - ერობა, სამოსამართლო რეფორმები, სკოლა, უფლებრივი ნორმები

¹²⁰ როცა ნიკოლაძის წერილი დაიბეჭდა „დროებაში“ ქუთაისის ბანკის წესდების წინააღმდეგ, ს.მესხმა ამ წერილს შენიშვნა გაუკეთა ავტორს არ ვეთანხმებიო. ა.ჯ.

მოქალაქეობრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლად და სხვა ამგვარი. ერთი გარკვეული აზრი არ არის და სუბსტრატი ეროვნულ არსებისა იკარგება.რა თქმა უნდა, თუნდაც რომ ყოფილიყო ამისთანა აზრი, მას საჯაროდ ვერ გამოაცხადებდნენ იმ დროინდელ პირობებში, მაგრამ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რაზედაც სწერდნენ, რაც გამოუცხადებიათ. და სწორედ აქედან სჩანს, რომ ქართული ეროვნული აზროვნება პოლიტიკურის მხრით ჯერ კიდევ დაუმწიფებელი იყო. მივმართოთ ისევ ჟურნალ-გაზეთებს.

ჩვენებური მესამოციანნი დიდი მეგობრები იყვნენ რუსის ინტელიგენციისა და დიდი თავყანისმცემელნი რუსულ კულტურისა, ხოლო ამასთან ისინი ქართველები იყვნენ, პატარა და დაბეჩავებულ ერის წარმომადგენელნი. საჭირო იყო არა მარტო ლიბერალური და დემოკრატიულ პრინციპების გადმოტანა ჩვენს სამწერლო ნიადაგზე, საჭირო იყო ცნობაში მოყვანა ქართველ ერის ვინაობისა. ჩვენი ისტორია-გრაფია ახლად ფეხადგმული იყო. ბროსე, პლატონ იოსელიანი, ჩუბინაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ს.ბარათაშვილი ესენი იყვნენ გამომსახველნი ისტორიულის მეცნიერებისა მეორმოცე წლების დაწყებიდან. ჩვენდა საბედნიეროდ, „დროების“ პირველ ოთხი წლის ხელმძღვანელიც (გ.წერეთელი) საფუძვლიანად (იმ დროისათვის) მომზადებული იყო ამ დარგში და გაზეთის დაარსებიდანვე აქვეყნებს სხვა და სხვა ეთნოგრაფიულ და ისტორიულ წერილებს საქართველოს შესახებ. ამის გარდა „დროება“ თავისი კულტურულის მნიშვნელობით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების გამაერთიანებელ ორგანოდ გახდა. საქართველოს ყველა პროვინციებიდან ვრცელ-ვრცელი კორესპონდენციები მოდიოდნენ, რომელნიც ხშირად ორი სამი ნომრის სივრცეზე იბეჭდებოდნენ. კორესპონდენტები არა სჯერდებოდნენ ახალ ამბების მოწერას, ისინი ხშირად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ცნობებსაც გვაწვდიან თავიანთ პროვინციათა შესახებ. ასე დაიბეჭდა ბევრი ცნობა საინგილოს შესახებ ინგილო ჯანაშვილის მიერ. ნუ გვავიწყდება, რომ ყოველივე ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართველ საზოგადოების ცხოვრებაში. მრავალ საუკუნეების შემდეგ იმ ხანებში პირველად წარსდგა ქართულ აზროვნების წინაშე პრობლემა მთლიან და გაერთიანებულ საქართველოსი. სამეგრელოს სამთავროს გაუქმება (1868) განმარტებულ იქმნა იმერეთიდან მოწერილ კორესპონდენციაში იმ მხრივ, რომ ამ აქტის შემდეგ სამეგრელოც შემოუერთდა თავის მეტროპოლიას და მასთან ერთად იზიარებს იმ დროიდან ჭირსაცა და ლხინსაცაო. მიიღეთ მხედველობაში ისიც, რომ ახალ თაობის თვალწინ იდგა ვორონცოვის დროის ლმობიერი და ნდობაზე დამყარებული პოლიტიკა კავკასიის უმაღლეს მმართველობისა. საქართველოს მიმართ და ისიც, რომ რამდენიმე წლის მანძილზე ასე აშკარად შეიცვალა ყოველივე, - ლმობიერებაც, ნდობაც და ურთიერთობის გაგებაც. მიიღეთ მხედველობაში აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია რუსეთში ყოფნის დროს, აღზრდილი იყო ბიუროკრატიული აბსოლუტიზმისადმი ოპოზიციის ატმოსფერაში და რომ ისინიც იზიარებდნენ ახალგაზრდობაში პოლიტიკურ იდეალებს რუსეთის რადიკალურ ახალგაზრდობისას. შეაზავეთ ახლა ყოველივე ეს ერთად და თქვენთვის აშკარა გახდება, რომ ჩვენს მესამოციანებს თან და თან განსაზღვრული ხასიათის ეროვნული ფორმულა უნდა დაჰბადებოდათ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მათ წამოაყენეს მხოლოდ ელემენტები ეროვნულის საკითხისა. აქვე უნდა იყოს აღნიშნული, რომ მათ განიცადეს თავიანთ თავზე გავლენა ქართველ თავად-აზნაურობისა, რამაც კიდევ მეტად შეაფერხა ბუნებრივი ზრდა ეროვნულის საკითხისა.

ქართველი ინტელიგენცია და ქართველი თავად-აზნაურობა, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ერთი და იგივე სოციალ-კულტურული მოვლენა არ იყო. მართალია, ინტელიგენციის შემადგენლობა უმთავრესად თავად-აზნაურული იყო, მიუხედავად ამისა, ქართულ თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, აღჭურვილს განსაზღვრულ წოდებრივ ორგანოებით, თავისი საკუთარი ფიზიონომია ჰქონდა, ხოლო ქართველ ინტელიგენციას, თავის მისწრაფებით და პრინციპით, წოდებრივობას გადაცილებულს, თავისი განსაკუთრებული ფიზიონომია ჰქონდა. სწორედ ისე იყო რუსეთშიაც. მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთში ინტელიგენციამ სავსებით სძლია თავისი წოდებრივობა, ჩვენმა ინტელიგენციამ ეს ვერ მოახერხა. და შედეგი ამისი ის იყო, რომ მან თანდათან შეითვისა პოლიტიკური აზროვნება ქართველ თავად-აზნაურობისა. მაგრამ ეს მოვლენა თავდაპირველად არა სჩანს. იმ ხანებში სჩანდა მხოლოდ ის, რომ თავად-აზნაურობის სიახლოვე გახეთთან უნებლიეთ თავის კვალს სტოვებდა მასზედა. „ცისკრის“ დროს ინტელიგენცია, როგორც თავად-აზნაურობისგან გამოყოფილი ერთეული, არა სჩანს. ეს გამოთიშვა ხდება „საქართველოს მოამბეში“, და „დროებაში“ თითქოს დამთავრებული ხასიათი ეძლევა ამ მოვლენას. ნამდვილად კი სრული გათიშვა არც აქ ხდება. იმ დროს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალად დიმიტრი ყიფიანი იყო. დიმიტრი ყიფიანს ინტელიგენციის წრეებში დიდად სცემდნენ პატივსა. დიმიტრი ერთი იმ აზნაურთაგანი იყო, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა დაცული პრინციპი ტახტისადმი ერთგულებისა. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლაძის ძე, რომელიც მეფის მოადგილედ იყო იმ დროს კავკასიაში, ხელს უწყობდა თავად-აზნაურობაში ერთგულების გრძნობის გაღვივებას. და ინტელიგენცია, რომელიც ასე ახლოს იდგა თავდაზნაურობასთან, უნებლიეთ განიცდიდა იმ პოლიტიკის გავლენას, რომლის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო იგი თეორიულად. რუსეთის ინტელიგენციისთვის იმ ხანაში არ არსებობდა ეჭვი იმ საკითხში, თუ რა იყო მიზეზი რუსეთის დაქვეითებისა. ყირიმის ომიანობის დროს 1885 წ. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის თავისუფალ განვითარებას ძველი პოლიტიკური რეჟიმი ეღობებოდა, და არა მარტოდნენ ამ რეჟიმის აგენტები. ჩვენშიაც უნდა გარკვეული ყოფილიყო ეს აზრი, მაგრამ ამ საკითხის გარკვევის დროს იმ თავითვე მოსჩანს ორი ნაკადული და ამიტომ საკითხიც ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩებოდა იმ დრომდე, სანამ საბოლოოდ გამარჯვება არა ხვდა თავად-აზნაურულ პოლიტიკურ აზროვნებას. ამ აზრს ჩვენ თანდათან უფრო ნათელს ვყოფთ. ეხლა კი ისევ პირველ ხნის „დროებას“ დავუბრუნდეთ.

რედაქციის ერთ წერილში - „რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე“, ვკითხულობთ: „წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც ენას სჭრიან, იმას ართმევენ სიამოვნებას, რომ ჩჩვილი ყრმის ტიკტიკი გაიგონოს და იმის წრფელ გრძნობას დაუახლოვდეს. წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც სტანჯავენ, სისხლსა სწოვენ და ამასთან ეს ყოვლად უგრძნობელია. ოჰ ამაზე მეტი გულის გაქვავება-ღა გინახავთ?! რა სიცოცხლეა ის სიცოცხლე, როდესაც კაცი ყოვლად უგრძნობელია?! ყოვლად უგრძნობლობა მარტო უსულო საგნების თვისებაა. ახლა წარმოვიდგინოთ ზოგიერთის ხალხის ცხოვრება. ზოგიერთს ხალხს სწორედ ამ მდგომარეობაში ვხედავთ. იმას დაუკარგავს ის, რაც ხალხის მიუცილებელ კუთვნილებად უნდა მიგვაჩნდეს და ამასთან ის ვერა გრძნობს ვერაფერს. რათა? **იმისთვის, რომ თავის თავს ვერა სცნობს** (კურსივი ჩემია). („დროება“ №25, 1867). სწორედ ასეა: ერი, რომელიც თავის თავს ვერა სცნობს, ყოველთვის აბუჩად იქნება აგდებული. ჩვენი ავტორი განაგრძობს: „რომელს

ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია-რა ქვეყნისთვის. მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულად თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე ყოფილა.”(იქვე). მაშ თავისუფლება და თავისუფლებისადმი მისწრაფება ყოფილა ის პირობა, სადაც ერი სცნობს თავის თავსა? „როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეოდ და უჰაეროდ, ისე ის (ერი) ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალის წინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, სადაც ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოზღუდავსრა”..(იქვე). ჩვენში რაღაა? „ჩვენში ჯერ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი სწორედ ნეტარებენ და „სასუფეველი ცათა” იმათ აქვე იხილეს. ამაში ეჭვი არავისა აქვს. მაშ დეე იოცნებონ ჩვენებმა. მერე ძილის სიზმრები საუკუნო ძილის სიზმრებად გადაექცევათ!.. (იქვე).

ყველა ამ სიტყვებს რომ დააკვირდეთ, სრულიად გარკვეულად მოსჩანს ის, თუ რა მიმართულება სწადია მისცეს გწერეთელს ეროვნულ საკითხს, მაგრამ აქ ლაპარაკი ერთ პიროვნებაზედ არ არის, ჩვენ სახეში გვაქვს მხოლოდ ის, რასაც კოლექტიური აზროვნების და თანხმობის ბეჭედი აქვს. და ამ მხრივ რომ შევხედოთ საგანს, ეროვნულ საკითხს ნათელი და გარკვეული სახე თითქოს ეკარგებოდა მის წამოყენების დროიდანვე. ეროვნების ჩაგვრას ყველა ხედავდა, ამის გამო ძალიანაც იტანჯებოდნენ ზნეობრივად, მაგრამ ამ ჩაგვრის მიზეზებს მოხელეთა ავკარგიანობაში ეძებდნენ და არა უფრო ღრმა და საზოგადო საფუძველში. ვიმეორებ, მე საზოგადო მიმართულება მაქვს სახეში და არა ამა თუ იმ პიროვნების შეხედულება. ხოლო უმჯობესია ისევ ჟურნალ-გაზეთობას მივმართოთ. აღვნიშნოთ რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტი.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ წინა წერილებში გვქონდა ლაპარაკი 4 აპრილს 1866 წელს პეტერბურგში მომხდარ ამბავის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო ქართველი თ. - აზნაურობა მყისვე შესაფერ ადრესით გაეხმაურა. „ამბავმა ავაზაკურის ბოროტ-განზრახულებისამ... ღრმად შეადრწუნა საქართველოს თავად-აზნაურობის გული” და სხვა. ადრესი დაიბეჭდა „დროების” დამატებაში (№7, 1866 წ.) რა თქმა უნდა, გაზეთმა, რაც შეიძლება მეტი ცნობა უნდა მიაწოდოს თავის მკითხველს, და ადრესიც უნდა დაებეჭდა. დაბეჭდა კიდევაც და არა მარტო თავად-აზნაურობის ადრესი, ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოებისაც. მაგრამ ამას გაზეთი არა სჯერდება. ტერორისტული აქტის და მის მიერ გამოწვეულ შთაბეჭდილების შესახებ რუსეთში მას მოჰყავს ცნობები იმ დროინდელ რეაქციონურ გაზეთებიდან: „პეტერბურგის ვედომოსტები“-დან, „ინვალიდი“-დან (დროება №9, 10. 1866წ). აქ მოთხრობილია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტების პატრიოტული მისწრაფებანი, მედიკო-ხირურგიული აკადემიის სტუდენტების სურვილი სტიპენდიების დაარსებისა კოსტომაროვის¹²¹ სახელზე და სხვა ამისთანა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდა. მაშინდელი სტუდენტობა in corpore იყო რადიკალური მიმართულებისა. გამონაკლისი მაშინაც იქნებოდა, ხოლო უმნიშვნელო. და რაკი ცენზურულ პირობების გამო შეუძლებელი იყო ლაპარაკი საზოგადოებრივ აზროვნების ნამდვილ მიდრეკილების შესახებ, უმჯობესი იყო გაჩუმება, ვიდრე „მოსკოვის ვედომოსტების“

¹²¹ მან ჰკრა ხელი კარაკოზოვს და გასროლა ააცდენინა.

ცნობების გავრცელება. გმობა ტერორისტულ აქტისა ერთი საქმეა, ხოლო გარკვევა მიზეზების, რომლებმაც გამოიწვიეს ეს აქტი, მეორე საქმეა, თუ ამ გარკვევის ნებას არ გაძლევენ, გაჩუმდი. და თუ გმობა მაინც გინდა, დაჰგმე, მხოლოდ არაკებს ნულარ მოუთხრობ მკითხველ საზოგადოებას. ამ მხრით „დროებაში“ თავისი მოვალეობა ვერ აასრულა. შეიძლება ეს გამოუცდელობის მიზეზი იყო, შეიძლება სხვა რამეც არის მისაღები მხედველობაში, რასაც ეხლა ჩვენ ვერა ვხედავთ.

ამ ამბის სამი წლის შემდეგ, 4 აპრილს, წლის თავზე ჟურნალ „მნათობში“, სადაც ნ.ინაშვილის კარგი წერილია დაბეჭდილი ჩვენში ჟურნალის საჭიროებისა და გამოცემის შესახებ, მოთავსებულია ლექსი დიმ.ბერიევისა:

„დღეს ის დღეა შენნი ერნი
„ღმერთს შესწირვენ მადლობასა,
„შენნი ერთგულნი ივერნი
„მოგიძღვნიან გალობასა... და სხვა.
(მნათობი 1869 წ.მარტი).

1871 წელს ხელმწიფეს ტფილისში მობრძანების გამო გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ამ თვის 26-ს ტფილისი ეღირსა იმ ბედნიერებას, რომელსაც დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა და რისთვისაც დიდ მზადებაში იყო. მთელი ქალაქი მიეგება თავის მოწყალე ხელმწიფეს და არა თუ მთელი ქალაქი, ვინ იცის რამდენი იყვნენ სოფლებიდან და მოშორებული ალაგებიდან, რომ ერთხელ მაინც შეეხედნათ დიდ ხელმწიფისთვის. (№38, 1871წ). ახალციხიდან, სადაც დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ დაათვალიერა სკოლა, სწერენ „დროებას“: „ხალხი, რომლითაც გატენილი იყო სასწავლებლის არე-მარე, დიდს ხანს არ დაშლილა და ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ამგვარ მათი ხელმწიფური მოწყალებისათვის”(№36, 1872 წ).

რომ რუსეთის მონარქიას საქართველოში ბევრი ერთგული შვილი ჰყავდა, განსაკუთრებით იმ ხანაში, როდესაც საქართველოში თითქოს გაიქარწყლა შეგნება საკუთარის ეროვნულ ვინაობისა, ამაში ეჭვი არ არის. ზემოდ აღნიშნული ფაქტები ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო იმ დროში. მე მხოლოდ ვაქცევ მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ყოველივე ამას ვკითხულობთ იმ დროინდელ ჩვენებურ რადიკალურ ჟურნალებში. ამითი მე მინდა მხოლოდ იმ გარემოების აღნიშვნა, რომ **იმ თავითვე** დიდი განსხვავება იყო რადიკალურ რუსეთის ინტელიგენციასა და ქართველ ინტელიგენციის შორის.

ჩვენშიაც იყო, როგორც ვიცით, თაობათა ბრძოლა. ძველი თაობა უნდობლად ეკითხებოდა „წვეროსნებს“¹²². სხვათა შორის, ბრალს იმაშიაც სდებდა, რომ ვითომ მის მოქმედებას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. სიტყვა „პოლიტიკური“ იმ დროს ფრიად საშიში სიტყვა იყო. ამ საგნის შესახებ „დროებაში“ ვპოულობთ აკაკი წერეთლის საყურადღებო წერილს: „...ახალგაზრდებმა პირველად შემოიტანეს ამ ბნელოში სინათლე, ამბობს აკაკი წერეთელი, და მართალია, მათი ლამპარი, საქორწინო ლამპარი არ იყო, მაგრამ მაინც ანათებდა

¹²² წვერის მოშვება ახალგაზრდების მიერ დიდ ცოდვად ჩათვალეს მამებმა და „წვეროსნებად“ მონათლეს ახალგაზრდები.

ამ ბნელს იმდენად, რომ ერთმანეთის დანახვა შეიძლებს ჩვენმა მამებმა, - შეიძლებს და რა მოხდა? ის რომ, როდესაც თავისი დატიტკნილ-დასისხლიანებული ცხვირ-პირი დაინახეს, იუცხოვეს და ნაცვლად იმისა, რომ გაბან-გაწმენდას შესდგომოდნენ, გულის ბუხარის ამოყრა იმ ნათლის მჭირველ ახალგაზრდობაზე მოინდომეს!...ეს ასეა ყოველთვის!...მახინჯს სარკე ეზარება!... ჩვენებური ანდაზა ამბობს: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“. მერე როგორ ამოიყარეს ჯავრი? ისე რომ „სცდილობენ ბოროტ-განზრახულობით ახალ თაობის მოქმედებას პოლიტიკური მოქმედება უწოდონ და ყოველი მათი უმანკო მოქმედება პოლიტიკურ მოქმედებად გამოხატონ. მაგრამ ვერც არას აქ მოიგებენ - არა რაი არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდესო. ადრე თუ გვიან, მათი შავი საქმეები უფრო უშავესად გამოჩნდებიან. და ისინი კი, ვისაც ეს ვეშაპები ცუდმნიშვნელობით პატრიოტებს ეძახიან, პატიოსან პატრიოტებათ დარჩებიან და მათ მოქმედებაში არაფერი საწინააღმდეგო პოლიტიკური არ იქნება შენიშნული“. როგორც ხედავთ, ბ-ნი აკაკი ცდილობს უსაფუძლო ბრალდების გაბათილებას. და ამ შემთხვევაში მას, მგონი სინამდვილის დამახინჯება არ სჭირდებოდა. მართლაც, „პოლიტიკური პატრიოტობა“ არსად იყო, არამედ მარტოოდენ „პატიოსანი“. ამ ორ მცნებათა დაპირისპირებაც საგულისხმოა. პატრიოტობა? „განა პატრიოტობა პოლიტიკურად საწინააღმდეგო არის? განაგრძობს ჩვენი ავტორი. აბა დავფიქრდეთ კარგად: პატრიოტობა ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს და პატრიოტი იმ კაცს, ვისაც თავის სამშობლო, მამული უყვარს-მიუხედავად პირადის სარგებლობისა. ჩვენი ახალ თაობა სწორედ ამგვარი პატრიოტია“... ქვემოთ ეს აზრი კიდევ მეტად არის გარკვეული. ახალი თაობა „ემბებს მისთვის (ქვეყნისთვის) ბედნიერების მოპოვებას და დაჩქარებას, მაგრამ როგორ ესმის მას ეს ბედნიერება? რაში მდგომარეობს ჩვენი ხალხის ბედნიერება? მხოლოდ ერთს განათლებაში, რომ ჩვენი ხალხი ზნეობით ამაღლდეს“. როგორც ხედავთ, ფრიად ზოგადი და ამასთან სადა ფორმულაა, და მასში, მართლაც, ვერას იპოვნით, რომ გინდოდეთ კიდევ, პოლიტიკურს. ამიტომაც, სრულიად დარწმუნებული უნდა იყოთ, დასძენს აკაკი, რომ უმაღლესი მართველობაც ამ ჰაზრის უნდა იყოს და როდესაც დაუკვირდება ახალ თაობის მოქმედებას, მაშინ მიხვდება, რომ ახალი თაობა არის კავშირი ჩვენს ხალხსა და მათ შუა. მხოლოდ ახალ თაობას გაჰყავს ხალხში ის ჰაზრები, რომელიც მართებლობას აქვს და არა ძველ-თაობასაო”(დროება №13. 1873წ).

მგონი აქ ყველაფერი ნათლად არის გარკვეული. არავითარ პოლიტიკას ადგილი არა აქვს. განათლება და ზნეობის ამაღლება - აი რა ჰსურს ინტელიგენციას. მაშასადამე ეს ორი ელემენტი ერთმანეთს უნდა დაუახლოვდეს. გაიგებს თუ არა მთავრობა, რომ ინტელიგენციასაც სწორედ ის უნდა, რაც მას სწადია, სრულ ნდობას გამოუცხადებდესო ინტელიგენციას. ის აზრი მომავალ მოქმედების პროგრამაც არის, ის ერა უმაღლესს სახელობაზედ გაგზავნილ ადრესებისა და არზებისა, სადაც თავად-აზნაურობის სხვა და სხვა შუამდგომლობა იყო გამოსახული, სწორედ ანალოგიურ პრინციპზე იყო დამყარებული, გავაგებინოთ, აუხსნათ და მოგვეცემა, რადგან ერთი წადილი გვაქვს და ერთი სურვილიო. ჩვენმა ინტელიგენციამ, თავადაზნაურობის ზეგავლენით ეს ნაბიჯიც წადგა წინ და მაშინ მან, ერთის მხრით, სავსებით გასწყვიტა კავშირი რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციასთან, რომელიც ამ ხანაში საბოლოოდ გაეყარა და გაეთიშა მართველობას, მეორეს მხრით, შეითვისა პოლიტიკური აზროვნება ქართველ თავადაზნაურობისა. მაგრამ ეს პროცესიც მოხდა თანდათან. და როდესაც ეს მოხდა საბოლოოდ, „მესამოციანობა“ აღარ იყო, ჯგუფი

დარღვეული იყო. ხოლო თვითვეული მოღვაწე განცალკავებულად მოქმედებდა და თავის მოქმედებაში ცოტათ თუ ბევრად აღნიშნულ პრინციპებით ხელმძღვანელობდა. სანამ კი, მიუხედავად ამგვარი ლოიალური მიდრეკილების არსებობისა, გულის სიდრეში რაღაც ურწმუნოება გამოსჭვრეტდა, ატმოსფერა დახშული იყო და ეროვნულ ჰანგის ლეიტმოტივი შავი ფიქრები და პესიმიზმი იყო. ერთ თავის წერილში ჭავჭავაძემ სწორედ ამ მოტივის გამოსახვა მოახერხა შესაფერის სიტყვებით. „სად არის ქართველი და ქართველობა, ამბობს ავტორი. ერთიც ეს უნდა გკითხოთ, ვართ-ღა სადმე?... ეს ჩვენი დედა-ქალაქი და ეს შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი - სოფლები ქართველები არ არიან, მამ ვინ არიანო? ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ დიდი ხანია გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარ სწოვს... ის შეკრებელობითი დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, -დიდი ხანია დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულია მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ოდესმე ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად, ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით-თუ არაფერს აკეთებს, თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთანაც და კანონთანაცა (ზოგიერთი რამ „დროება“ №27, 1876).

ილიას აზრი ნათელია, „დედის ძუძუ დიდი ხანია გაშრაო“. „შემკრებელობითი, დიდებული, ერთიანი აზრი დიდი ხანია დაირღვაო“. ცხადია, ერის პოლიტიკურ ვინაობაზეა აქ ლაპარაკი და ყოველივე უბედურება ამ ვინაობის დაკარგვით არის ახსნილი. ძალიან კეთილი. ეროვნულ შემეცნების პროცესის შემუშავებისთვის ამ აზრის შეგნებაც დიდი რამეა. ხოლო საქმე ის არის, როგორ გამოიყენებს ადამიანი იმ შეგნებას და რა მსვლელობას მისცემს ეროვნულ აზროვნების ზრდას. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრით, მესამოციანებს აქტიური ნაბიჯი არ გადაუდგამთ. თავის წერილის თავში ჭავჭავაძეს მოჰყავს გრ.ორბელიანის სიტყვები: **თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისო.** და აი სწორედ ამ ფსიხოლოგიურ ნიადაგს არ გადასცილებიან მესამოციანნი. ჩვენი პოეზია განიმსჭვალა ამ ჭმუნვით და ჩვენი ინტელიგენტიც „საქართველოს“ გახსენებაზე ცრემლებს აფრქევდა. და როდესაც ამგვარი ჭმუნვა, რომელიც მხოლოდ სიტყვაში ჰპოვებდა შვებას, საზოგადო მოვლენად გახდა ჩვენს მწერლობაში, უიმედობამ და მტირალა წირპლიაონობამ ისე გაიმაგრეს ფესვები, რომ იყო ერთი ხანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როდესაც გამამხნეველ და ვაჟკაცურ სიტყვის წარმოთქმას ვერავინ ჰხედავდა. ასეთი ჭირნახული მოგვცა ორაზროვნებამ.

ახლა დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ 1877 წლიდან იწყება დაქსაქსვა მესამოციანებისა. ირღვევა და იშლება იდეური ჯგუფი, რომელიც 1861 წლიდან მოყოლებული

მოღვაწეობდა ჩვენს სამწერლო ასპარეზზე. პირველი ხანა ამ ჯგუფის მოღვაწეობისა დახასიათდება, აზროვნების ფარგალში, სხოლასტიურ აზროვნების წინააღმდეგ გალაშქრებაში, ხოლო, სოციალურ საკითხთა ფარგალში, ბატონ-ყმურ საქართველოს უარპყოფაში. მეორე ხანა ამ ჯგუფის მოღვაწეობისა გამოისახა მოქალაქობრივ და საზოგადოებრივ იდეალების გამორკვევაში და იდეურ ხელმძღვანელობაში ყოველგვარ საკულტურო დაწესებულებისა, რომელიც კი იზადებოდა ჩვენს საზოგადოებაში. 1877 წლამდე მოსჩანს მთლიანობა და ერთობა, მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა კერძო პირთა შორის სხვა და სხვა საკითხთა გარკვევის დროს. ზოგსა ჰგონია, ვითომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენში ორი დასი გამოსულიყოს – „საქართველოს მოამბის“ ერთი, ხოლო „დროების“ მეორე. მაგრამ ჩემის აზრით, ამგვარ აზრს არავითარი საფუძველი არა აქვს. თუ იმას იტყვით, რომ ჭავჭავაძის აზროვნება განსხვავდებოდა დანარჩენ პუბლიცისტების აზროვნებისაგან, რატომ გავიწყდებათ რომ ამგვარი განსხვავება მარტო ჭავჭავაძის თვისება არ იყო. ნ. ნიკოლაძეც, მაგალითად, არა რჩება „დროება“-ში და როდესაც 1878 წელს მან „Одною“- ი დააარსა, ს. მესხიმ ბრძოლა გამოუცხადა გაზეთს. ერთობრივი და ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედება მესამოციანებისა იყო მხოლოდ 1877 წლამდე. შემდეგში კი თვითოეული მოღვაწე (ჩვენ სახეში გვყავს ჟურნალისტიკის უმთავრესი პუბლიცისტები) დამოუკიდებელი გზით მიდის, თუმცა დრო-გამოშვებით შემდეგშიაც პატარა ხანს უერთდებიან ერთმანეთს (1880 წელს დროება-ივერიის გაერთიანება).

1863 წელს პირველი დასი გამოვიდაო, ხოლო 1866 წელს მეორეო, საკვირველი გაუგებრობაა. დასი სოკოსავით ხომ არ იზრდება, რომ ორი სამი წლის განმავლობაში ორი სხვა და სხვა მიმართულების ჯგუფი დაბადებულიყო ჩვენში. ყოველი ჯგუფის გაჩენა და სამოღვაწეოდ გამოსვლა ცხოვრების პირობებით არის გამოწვეული, მიუცილებელის საჭიროებით. და რა განსხვავებაა ამ მხრით 1863 წლისა და 1866 წლის შორის? არავითარი. დიდი საქმე განახლებისა, დაწყებული ჩვენში ჯერ კიდევ 1861 წელსა, არამც თუ იყო დაბოლოებული, არამედ თავის განვითარების პირველ პერიოდში იყო მხოლოდ. თაობათა ბრძოლა, 1861 წელს ატეხილი, არ დამცხრალა 1866 წელსაც. თუ იტყვით იმას, რომ „დროებამ“ და განსაკუთრებით „კრებულმა“ ბევრი რამ ახალი შემოიტანეს აზროვნების ფარგალში, ის, რაც „საქართველოს მოამბეში“ არ იყო, ამაში დაგეთანხმებით, მხოლოდ ეს გარემოება მარტოდენ იმას მოასწავებს, რომ ახალი თაობა, 1861 წელს გამოსული და ისინი, რომელნიც გზა და გზა ემატებოდნენ, 1863 წელს და 1866 წელს, განვითარების უნარით ყოფილან დაჯილდოვებულნი და დროთა მსვლელობაში იძიებდნენ და ითვისებდნენ ახალს და კარგს. ეს იყო ერთის იდეური ჯგუფის განვითარება და ევოლუცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა თანამშრომლობა ილ. ჭავჭავაძისა ჟურ. „კრებულში“ (1871 – 1873), სადაც ახალი თაობის აზროვნება თავის უმაღლეს განვითარების საფეხურს მიაღწა, მაშ თავი დავანებოთ ლეგენდებს ორი დასის გამოსვლის შესახებ და მივაქციოთ ყურადღება უფრო იმას, რომ იმ ერთი დიდი და დამსახურებული იდეური ჯგუფის ცხოვრებაში დადგა ისეთი დრო, როდესაც ამ ჯგუფის დარღვევა და დაქსაქსვა უტყუარ ისტორიულ ფაქტად გახდა. რატომ მოხდა ეს? განა სავსებით აასრულა ამ ჯგუფმა თავისი კულტურული მისია? განა ახალი რამ იშვა და დაიბადა ჩვენში, რამაც გამოიწვია იმ ჯგუფის დარღვევა? უნდა ვსთქვათ, რომ კულტურული მისია ჯგუფს შესრულებული ჯერ კიდევ არა ჰქონდა. 1877 წელსაც, როგორც ადრე, ჩვენში უფლებრივი წყობილება ახალი საქმე იყო, ხოლო ეროვნული დევნა ახლა უფრო საგრძნობელი გახდა.

(საშუალო სასწავლებლიდან ქართულ ენას სდევნიდნენ, „დროებას“ კითხვისათვის სემინარიიდან შეგირდებს ითხოვდნენ და სხვა), ქართული ლიტერატურა ახლაც ჰსაჭიროებდა ახალი თაობის შეერთებულ შრომას და სხვ. მიუხედავად ამისა ჯგუფი ირღვევა. ამბობენ, ბანკი დაარსდა, ჭავჭავაძემ „ივერია“ დააარსა ბანკის გულისათვის, მის დასაცავად, ბანკს ბევრი მოპირდაპირე გამოუჩნდა და ბანკმა დაჰყო ორ ბანაკად ჩვენი ინტელიგენციაო. ეგეც მართალი არ არის, თუმცა იყო ერთი ხანა, როდესაც ბანკს ასეთი დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ საზოგადოებაც დაიყო ორად, მაგრამ ეს გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ოთხმოციანების მიწურულებში. ახლა კი ჩვენ ვართ მხოლოდ საქმის დასაწყისში. მესამოციანებს ალბად სხვა რამეც ჰქონდათ ერთმანეთის წინააღმდეგ სათქმელი და თუ გაშორდნენ ერთმანეთს, ბანკის გულისათვის კი არ გაშორდნენ, არამედ სხვა უფრო დაფარულ და უჩინარ მიზეზის ძალით. საინტერესოა, რა მიზეზია ის მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ „საერთო საქმეს“, რომელსაც კი კისრულობენ ქართველები. ეს მიზეზი რომ გარკვეული იყოს ჩვენთვის, იქნება უფრო გასაგები გახდებოდა მაშინ ფაქტი მესამოციანების დაქსაქსვისა და საზოგადოდ ფაქტი „ჯგუფობრივ საქმეების“ ქართველებში სისუსტისა და გაუტანლობისა.

ამ საგნის გარკვევაში დიდ სამსახურს გაგვიწევს ანალოგია. საინტერესოა, თუ შევადარეთ რუსეთის ინტელიგენცია ჩვენებურს, თუ შევადარეთ, ასე ვსთქვათ, ფსიხოლოგიური შინაარსის და თვისებების მხრით. ამ შემთხვევაში პირველისავე შეხედვით აშკარაა, რომ ჩვენს წინ ორი სხვა და სხვა ფსიხოლოგიური ტიპის მოვლენაა. შესაძლებელია შედარება უფრო გავაფართოვოთ და ვსთქვათ, რომ საზოგადოდ ქართველი და რუსი სხვა და სხვა ფსიხიური ორგანიზაციის მატარებელნი არიან. მაგრამ აქ შედარებით ფართო ნიადაგზე დგომა უფრო ძნელია, მაშინ, როდესაც რუსის ხალხის ხასიათი ღრმად არის შესწავლილი, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებთა საშუალებით. ჩვენსაზე იგივე არ ითქმის. არ არის აგრედვე სავსებით შესწავლილი ჩვენი ისტორიული წარსულიც. უკანასკნელად ბევრი საგულისხმო მასალა გამოქვეყნდა. მაგრამ სრულ სურათს ადამიანი მაინც ვერ შეადგენს. რაც შეეხება წარსული ეპოქების შესწავლას ფსიხოლოგიურის მხრით, ზემოთ აღნიშნულ მიზეზების გამო, ეგ საქმე ძლიერ გაძნელებულია. ხოლო რომ მივიღოთ მხედველობაში ის, რაც უკვე გარკვეულია ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, უნდა ვსთქვათ, რომ ძველი ეპოქების ქართველი ადამიანის ფსიხიკა უკიდურესად საამქვეყნოა და ემპირიული ხასიათისაა. ალბად ამგვარი თვისება განვითარდა ხალხის ფსიხიკაში. ისტორიული პირობების ზედგავლენით. პატარა ერი, რომელიც მუდამ ბრძოლაში იყო, თავის არსებობის დასაცავად, მეოცნებე და გულგრილი მჭვრეტელი ამ ქვეყნიერებისა ვერ იქნებოდა. და ეს თვით ჩვენს წარსულს რელიგიურ აზროვნებასაც ატყვია. ჩვენი რელიგიური მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ მასში „ასკეტიზმს“ და „მეუდაბნოებას“ ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა¹²³, თითქმის ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან, რომელიც დარაჯი იყო როგორც ხალხისა, ისე ეკლესიისა „ურჯულოთა“ შემოსევის დროს. პატარა, მცირე რიცხოვანი ხალხი დამოუკიდებლად და თავისუფლად ვერ განავითარებდა თავის რელიგიურ აზროვნებას, რომელსაც ნიადაგ უდარაჯებდა განსაცდელი გაქრობისა და განადგურებისა.

¹²³ საქართველოს სინა იმერხეში და შავშეთი და მეუდაბნოების განვითარება მე VIII – X საუკ.

შავშეთ-კლარჯეთის მეუდაბნოენი ცდილობენ საზღვარი დასდონ საამქვეყნოსა და საიმქვეყნოს შორის, ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მეფეს ბერებთან არავითარი საქმე არა აქვს, რადგან ისინი სხვა და სხვა ღმერთებს ემსახურებიან, მაგრამ მტკიცედ ამ ნიადაგზე ვერ დგანან. ერთ-ერთ კუროპალატს ეურჩებოდა ბერი და მის ბრძანებაზე არ ჰსურდა მეფესთან მისვლა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის რჩევით ურჩობას თავი დაანება და აასრულა მეფის ბრძანება. ეკლესია იმგვარ პირობებში იყო, რომ მისთვის შეუძლებელი იყო სრული კავშირის გაწყვეტა სახელმწიფოსთან. ამიტომ ჩვენი რელიგიური აზროვნება თუ არის მისტიკური და მეტაფიზიკური, არის ამგვარი სარწმუნოებრივი და დოგმატიური საკითხებში, ხოლო ეს მისტიციზმი ჰქრება მთავარ საგნის გარკვევის დროს, ე.ი. მაშინ, როდესაც საჭიროა არჩევა; ან საამქვეყნოსი, ან „სასუფეველისა ღვთისა“, - თუნდ სიკვდილის საფასურით მოპოებულსა. აქ ჩვენი რელიგიური აზროვნება ემპირიულია, ხორცშესხმული, მიწიერი და საამქვეყნოა. ილია ჭავჭავაძემ რომ თავისი „განდეგილი“ დაამარცხა, საამქვეყნო მშვენების პირველსავე ხილვის დროს, - ეს აუცილებლობა სწორედ ზემოდ აღნიშნულ მოტივებით უნდა აიხსნას. კიტა აბაშიძემ მიაქცია ყურადღება ამ ფსიხოლოგიურ პრობლემას და კარგად გაგვიმარტა, რომ ჭავჭავაძე გამომხატველი იყო ამ შემთხვევაში ქართულ ბუნებისა, ქართველ გენიასი, რომელიც, არსებითად, ემპირიული და საამქვეყნოა. ეს რამდენიმე მოსაზრება ხელს შეგვიწყობს ქართველ ინტელიგენციის ხასიათის გამოცნობის საქმეშიაც. თქმა არ უნდა, რომ ყოველივე აქ თქმული, ან ის, რასაც ვიტყვი ქვემოთ, ერთ-ერთი შესაძლებელი ჰიპოტეზაა ეროვნულ ხასიათის ასახსნელად. ამიტომ აქ ადგილი აქვს დაკვირვებას და მოსაზრებას და არა მეცნიერულ საბუთს.

ჩვენი ინტელიგენცია რომ შევადაროთ რუს-ინტელიგენციას, მათ შორის დიდ განსხვავებას ვპოვებთ, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნების მხრით საერთო ბევრი რამა აქვთ. თავდაპირველად მოსჩანს რუს-ინტელიგენციის კულტურული უპირატესობა (ამგვარი უპირატესობა რუსის ხალხს ჩვენ ხალხთან შედარებით არა აქვს). იქ მეტი სიღრმეა, მეტი თავდადება, რწმენა და თავგანწირულება. აქ ზერელეობაა, თავდაჭერა; გატაცება და ენტუზიაზმი ხან-მოკლე და თავის თავის დაზოგვაა. შესაძლებელია ეს ძველის ძველად გადმოცემული და ჩვენ დროში ახლად გამოღვიძებულ პატარა რიცხოვან ერის თავის დაცვის ინსტინქტის გადაფურჩქენაა, მაგრამ ჩვენ მიზეზებს არ ვიკვლევთ.

წინდაწინვე უნდა ვსთქვათ, რომ ლაპარაკი გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენციაზე. მეოცე საუკუნის „მოძრაობა“ აქ სახეში მისაღები არ უნდა იყოს, რადგან მაშინ მღელვარება და თავგანწირულება საზოგადო მოვლენა იყო, ეს იყო ხალხური სტიქია, რომელსაც აჰყვა ინტელიგენცია. ჩვენ უნდა ავიღოთ ის ხანა, როდესაც, როგორც იყო ერთ დროს რუსეთში, ინტელიგენცია სრულიად განმარტოებულ ჯგუფს შეადგენდა, რომლის წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდა მთავრობა და ხალხი კი მას სრულებით არ თანაუგრძნობდა.

როდესაც 1825 წ. დეკაბრისტებმა მოაწყეს პირველი შეთქმულება და თავიანთი სიცოცხლეც შესწირეს ამ საქმეს (ზოგი ჩამოაღრჩეს, ზოგი კატორღაში დააბერეს). ვინმე გრ. რასტოპჩინი დაცინვით ამბობდა: საკვირველია, საფრანგეთში „ბრბომ“ მოახდინა რევოლუცია

გაბატონებულ კლასების პრივილეგიების ჩამოსართმევად, ჩვენში კი არისტოკრატია¹²⁴ თვითონ ცდილობს თავისი უპირატესობა „ბრბოს“ დაუთმოს და ჩააბაროსო; რუსი ინტელიგენტი იმ თავითვე თავგანწირული ადამიანია. იგი ავადმყოფია ქვეყნიურ უსამართლობის გამო, იგი არ ითვისებს, არ იწყნარებს უსამართლობაზე დამყარებულ ქვეყანას, გერცენი პატარაობისას მგრძნობიერი ყმაწვილი იყო. ერთხელ პატარა ოგარიოვთან ერთად მოსკოვში, ვორობიოვის მთაზე უსეირნია და იქ ამ ორ ყმაწვილს რაღაც არა ჩვეულებრივი სულიერი განწყობილება აღეძვრათ. თვითონ გერცენი ასე აგვიწერს ამ ამბავს: „მზე ის იყო წვებოდა, ეკლესიების გუმბათები ბრჭყვიალებდნენ, უსაზღვრო სივრცეში იშლებოდა დიდი ქალაქი, მთის ძირში, საამო ნიავი სახეს გვიგრილებდა. ჩვენ ვიდექით, ვიდექით, ერთმანეთს მიუახლოვდით და უეცრად, გადახვევის დროს, ფიცი მივეცით ერთმანეთს აი, აქ, მთელი მოსკოვის წინ, რომ სიცოცხლეს შევწირავთ იმ ბრძოლაში, რომელიც უკვე არჩეული გვქონდა“ (იხ. Героический характер русской литературы, ტ. I გვ. 127, Венгерова). ან გეხსომებათ „მწვანე პატარა ჯოხის“ ამბავი ლ. ტოლსტოის სიყმაწვილიდამ. მის უფროსს ძმას ნიკოლინკას ერთი პატარა შტო მოუჭრია, მწვანეთ გაუთლია და ზედ გაუკეთებია რაღაც საიდუმლო წარწერები და ეს ჯოხი ჩაუფლავს სოფ. იასნაია პოლიანაში, იქ, სადაც ახლა ასაფლავია ლ. ტოლსტოი. ამ ჯოხის წარწერა თურმე ნიშნავდა საიდუმლოებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ადამიანს არავითარი უბედურება აღარ მიეკაროს, რომ არასოდეს არ ჩხუბობდნენ და არ ჯავრობდნენ და ყოველთვის „ბედნიერნი ყოფილიყვნენ“. ლ. ტოლსტოისთვის თავის ბავშვობაში ბევრი უძებნია ეს ჩაფლული ჯოხი, მაგრამ ვერ მოუწახავს (იქვე გვ. 188).

ან რა შეედრება თავისი სიდიადით, თავისი წვალეზიერების ნიშნებით და თავისდადებით იმ მოძრაობას, რომელიც გაჩნდა რუსეთში 1872-73 წლებში, როდესაც მთელმა ინტელიგენციამ, ქალ-ვაჟიანათ, ხალხისაკენ გაიწია და ხალხი უნდოდა აემაღლებინა, გაენათლებინა და აემოძრავებინა უკეთესის მომავლისათვის. „ხალხში სიარული“ ის არ არის, რასაც დღეს კულტურულ მუშაობას ეძახიან (ბიბლიოთეკა-თეატრების გამართვა). არა, მიდიოდნენ გლეხკაცობაში, მათთან ერთად მუშაობდნენ და ქადაგებას ეწეოდნენ, მიდიოდნენ ქარხნებში უბრალო მუშებთან და აუტანელ პირობებში თავიანთ მისიას ასრულებდნენ. ტურგენევს ერთ თავის პროზაიკულ ლექსში (Порогъ) მშვენივრად აქვს აღბეჭდილი იმ დროინდელ სულიერ ვითარების სიდიადე. უზარ-მაზარ, მახინჯ სახლის გახსნილ კარის წინ დგას მშვენიერი ახალგაზრდა ქალი. საიდუმლო ხმა აფრთხილებს და ეუბნება, რომ მოერიდოს დერეფანს, ნუ შევა ღია კარებში, იქ „სიცივე, სიმშვილე, მძულვარება, დაცინვა, ზიზღი, შეურაცყოფა, საპყრობილე, ავადმყოფობა და თვით სიკვდილია“. მაგრამ ქალი არ დრკება. მას არ უნდა „არც მადლობა, არც შებრალება, არც სახელი.“

- მაშ რომ გაჭირდეს, სისხლის დანაშაულობასაც ჩაიდენ?

ქალმა თავი დაღუნა.

¹²⁴ „დეკაბრისტების“ უმრავლესობა არისტოკრატის წრეს ეკუთვნოდა

პატარა ხანს უკან, საიდუმლო ხმა განაგრძობდა: ის კი იცი, რომ შემდეგში იქნება რწმენა დაგეკარგოს და აღარ ინდომო, რაც დღეს გინდა. და მაშინ იგრძნობ, რომ მოსტყუვდი და უქმად დაღუპე ახალგაზრდა სიცოცხლე.

- ეგეც ვიცი. და მაინც მინდა კარებში შესვლა.

- შედი.

ახალგაზრდა ქალი ფეხს გადადგამს და მძიმე ფარდა ჩამოეშვება.

- „სულელი“! – წამოიძახა ვილაცამ უკნიდამ.

- „წმინდა“ – საიდლამაც გაისმა პასუხად. (იქვე, გვ. 162).

დაგვეთანხმებით, რომ ამგვარ ფსიხიკაში არის რაღაც არაჩვეულებრივი, თითქოს რელიგიური ხასიათის ენტუზიაზმი, რომელიც ზიზღით უყურებს პირად ბედნიერებას, პირად სიცოცხლეს. და უნდა თქვას კაცმა, რომ ეს საერთო თვისებაა რუსეთის ინტელიგენციისა, თვისება რომელიც გამოისახა როგორც პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე, ისე კაზმულ სიტყვაობაში, სადაც საკვირველის და გასაოცარის სიღრმით სხვა და სხვა ეთიკური პრობლემებია წამოყენებული.

ამ ხასიათის ფსიხიური მიდრეკილება აწინდელ ქართველის სულის განწყობილებას არ ეგუება. ძველად უნდა ყოფილიყვნენ ამ ტიპის ხასიათები. ჩვენი წარსული ისტორიის ზოგიერთი მომენტები ნამდვილი გმირული თვისებისაა. უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები, დაწყლულულნი ხალხის ტანჯვით და სევდით, უნდა ყოფილიყვნენ მამულიშვილნი, რომელნიც სიხარულით სდებდნენ თავსა მამულის კეთილდღეობისათვის. ნამდვილად იყვნენ ამგვარი მეგრძოლნი. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეგეც ის არ არის, რასაც წარმოადგენს რუს ინტელიგენტის ფსიხიკა. ომიანობის დროს, როდესაც ყველანი დიდიდამ პატარამდე, მმართველ წრეებიდან ყმებამდე ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი ვაჟკაცობის და თავგანწირულების გამოჩენა ერთი საქმეა. ხოლო მეორე თავდადების გამოჩენა მაშინ, როდესაც ირგვლივ არამც თუ თანაგრძნობა არ არის, თავისიანების მხრით დევნა და სასტიკი მოპყრობაა, როდესაც ხალხი, რომლისთვისაც სწირავ თავს და ჰლუპავ სიცოცხლეს, შენვე დაგცინის და გაფურთხებს. ამ პირობებში უანგარო თავდადების თვისებების აღმოჩენა და უმწვერვალეს ზომამდე მათი განვითარება სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც თავის გმირულის ხასიათით არ შეედრება სამხედრო ხასიათის გმირობას.

ხოლო ახალ დროში ჩვენი ხასიათი შესამჩნევად დაწვრილმანდა. ჩვენშიაც იყო 1832 წ. „შეთქმულება“. ჩვენებურ მამულიშვილებს სწადდათ საქართველოს „განთავისუფლება“, მაგრამ რა ბავშვური იყო მათი ოცნება და რა გულუბრყვილო მათი პოლიტიკური აზროვნება! უმეტეს შემთხვევაში, ნადიმებსა და სადილობის დროს სწყვეტდნენ თავიანთ საქმეებს, ღვინით შეზარხოშებულებს ვარდისფრად ეჩვენებოდათ ყოველივე. ხოლო შემდეგში, როდესაც ოცნების ფრთები შემოაჭრეს, რა მალე დამშვიდნენ, რა წარმატებით და გულმოდგინეობით ემსახურებოდნენ სამოქალაქო თუ სამხედრო ასპარეზზე იმავე მთავრობას, რომლის წინააღმდეგ გუშინ ილაშქრებდნენ... მესამოცე წლებში ახალი ტიპის ახალგაზრდობა გვიჩნდება. ეს უკვე ნამდვილი ინტელიგენციაა. წინა წერილებში ჩვენ საკმარისად ნათელი

ვყავით ის აზრი, თუ რა დიდი კულტურული საქმე გააკეთა ამ ახალმა თაობამ, პირველმა ჯგუფმა ნამდვილ ქარველ ინტელიგენციისა. მაგრამ, თუ შევადარებთ ჩვენი იმ დროინდელი ინტელიგენცია რუსეთის ინტელიგენციას მესამოცე წლებისას, აშკარად დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს, სხვა და სხვა ტიპის ინტელიგენციებთან. არც უარ-ყოფაში, არც რისამე აღიარებაში ქართველი ინტელიგენცია არ მიდიოდა ლოდიკურ უკანასკნელ დასკვნამდე, იგი მიდიოდა საშუალო გზით. ეს იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენცია უფრო დაბლა იდგა კულტურულად და სულიერ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსეთის ინტელიგენციასთან, ეს იყო იმიტომ, რომ **ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი. მას მეტად უყვარს საკუთარი თავი; პირადობა მისი ბატონია, საზოგადო საქმე მალდატანებაა. იგი მალე ინთება, ხოლო უმაღლე ჰქრება. მისი ენტუზიაზმი უფრო ფიზიოლოგიურია, ვიდრე ფსიხიური.** იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, ხოლო მის შრომას გაუტანლობის ნიშნები ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალისტია. ჯგუფობრივობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს სხვას იმას, რაც საჭიროა საერთო საქმის გაკეთებისათვის. და საერთო საქმე მას არ ეხერხება. ვიმეორებ, შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს უკულტურობის ნიშანი იყოს, მაგრამ უკულტურობის გარდა აუცილებლივ საჭიროა ეროვნული თვისებების მხედველობაში მიღება. ქართველი ინტელიგენტი არსებითად საამქვეყნო კაცია, მისი სიცოცხლის ფესვები აი ამ მიწაშია ჩაფლული, რომელზედაც დგას. მას უყვარს მზე, ლაყბობა, ოხუნჯობა. იგი გულუბრყვილოა, მაგრამ თავს არ ივიწყებს. მას მეტად უყვარს თავისი ხორცი, თავისი კეთილდღეობა. ამიტომ არის ხშირად იგი ფარისეველი, როდესაც სასწორზე „პირადი“ და „საზოგადო“ იწონება. მას არ უნდა გახსნას და გააქარწყლოს თავისი პირადობა „კრებულობით დასაწყისში“ – ღმერთია იგი, თუ საზოგადო, სახალხო საქმე.

ჩვენში არ იყო არაფერი მსგავსი იმისი, თუ როგორი აღფრთოვანებით იყო აღჭურვილი რუსეთის ინტელიგენცია „ხალხში სვლის“ პერიოდში 1872-73 წელს. უსამართლობა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ გვეთქვა, სამოცდაათიან წლებში ქართველი ინტელიგენცია სრულიად არ იზიარებდა ამ ხასიათის აღფრთოვანებას და ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა-თქო. არა, ქართველებშიაც იყვნენ თავგანწირულნი, მხოლოდ მათ საქართველოში არ უმოღვაწნიათ. ცნობილ პროცესში, რომელსაც უწოდებდნენ „50 კაცის პროცესს“ ქართველი ახალგაზრდებიც არიან – მიხეილ ჩიკოძე, ალ. ციციშვილი, ოვ. ჯაბადარი, გამყრელიძე, გ. ზდანოვიჩი. ვინც ამ პროცესს იცნობს, ეცოდინება ისიც, რომ ჩვენებურ ახალგაზრდებს უმნიშვნელო საქმე არ გაუკეთებიათ, ხოლო მათი თავგანწირულობის გრძნობა არაფრით არ განირჩეოდა მათს რუს-ამხანაგების გრძნობისაგან. თავის „მოგონებაში“ ოვ. ჯაბადარი, სხვათა შორის, ამბობს: „ალ. ციციშვილი ფრიად შეწუხებული იყო ციხეში იმ აზრით, რომ მან ვერ მოასწრო თავის მამულის გაყიდვა და ფულის შეტანა სარევოლუციო ფონდში. მაგრამ მერე მაინც მოახერხა ეს საქმე, ერთის დღის წინად, სანამ სასჯელს გამოუცხადებდნენ, მხოლოდ ისე ცუდად მოახერხა, რომ ჩვენ შემდეგ მომქმედ რევოლუციონერებმა მისი დიდ მამულიდან, რომელიც ათი-ათასად ღირდა, აიღეს მხოლოდ რამდენიმე ათასი მანეთი. დღევანდელი მფლობელი ალ. ციციშვილის მამულისა აფასებს მას 200 000 მან. (Процессъ пятидесяти, Ив. Джабадари. Былое, октябрь, 1907 г.) ჩვენებურები არ ზოგავდნენ თავიანთ თავს. და სამოცდაათიანებში ბევრი ყმაწვილი კაცი გაიგზავნა ციმბირის კატორღაში. ყოველივე ეს იყო და თითქოს ამგვარი ფაქტების არსებობა ძირიანად არღვევს ჩვენ

მიერ დახატულ ქართველ ინტელიგენციის ფსიხიურ განწყობილების სურათს. მაგრამ ამ ფაქტებს ჩემს თვალში ის დიდი ღირებულება არა აქვთ, როგორადაც სჩანს ზერელედ რომ შეეხოთ მათ. აქ არ არის გამორკვეული, რა არის საკუთარი და რა შეთვისებული. რომ მასიური მისწრაფებანი და მოქმედება გადმომდებია, ამაში ეჭვი არ არის. აღელვებული მასა წყნარ და მშვიდ ადამიანს ჩაადენინებს ხშირად არა ჩვეულებრივ საქციელს. მასიური ფსიხოლოგია იმორჩილებს ადამიანის ნებას და მას აკუთვნებს თავის საკუთარ თვისებებსა. ჩვენი ახალგაზრდობა სამოცდაათიანებში, როდესაც იგი უკვე შეპყრობილი იყო ამ გადამდებითი სენით, სულით და ხორცით შეეთვისა რუსეთის ინტელიგენციას. და აქ მანაც გამოაშკარავა ყოველივე ის, რაც დამახასიათებელია რუსეთის ინტელიგენციისა. ხოლო რამდენად იყო ეს ბუნებრივი, ე.ი. რამდენად ეგუებოდა ამგვარი ფსიხიური ვითარება ქართულ ეროვნულ ხასიათს, სხვა საკითხია. და სწორედ აქ იბადება ეჭვი, რომ საკუთარის ინიციატივითა, თავის საკუთარ ხალხში ახალგაზრდობა ანალოგიურ მოქმედებას მოერიდება. და მართლაც, ჩვენში ამ მხრით დიდი რამ არა მომხდარა რა, მოუმწიფებლობაა ეგ, თუ ეროვნულ განსაკუთრებულ ტემპერამენტის თვისების გამოაშკარავებაა, სწორედ ეს პრობლემაა გასარკვევი და სწორედ ამ პრობლემის ნათელ საყოფად გამოვსატეხით ჩვენ რამდენიმე ზემოდ აღნიშნული მოსაზრება.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადეს: ფატი ღამბაშიძემ, მაკა ლომიძემ, მზია კიპაროიძე, თამარ გიორგაძემ, დარეჯან ცინარიძემ, თინათინ ებანოიძემ, თამარ ლომიძემ, ანი ოქროპირიძემ, გვანცა ფარქოსაძემ.